საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

გამოდის ორშაბათ... №15 (641) 8 – 14 აპრილი * ფასი 1,50 ლარი
www.tbiliselebi.ge



გვ. 18

როგორ აფასებს ქართველ კონკურსანტებს „იურმალის“ „რუხი კარდინალი“ – ალექსანდრ რევზინი და რითაა ის ბედნიერი საქართველოში

გვ. 22

რას აძალებდნენ ვალერი მელაძე და ბრენდონ სტოუნი რუს სტუმრებს ქართულ რესტორანში და რის მერე გაიღვიძა მათში ქართულმა გენეტიკამ



გვ. 14

რა კოდის გახსნას ცდილობს მურაზ მურვანიძე და როგორ შეძლო მან პლანეტების გაადამიანება



გვ. 57

როგორ ყიდულობენ მატილდა მიურატის ხელნაკეთ ნივთებს საქართველოში უცხოელები და რატომ არ უნდა მას საფრანგეთში დაბრუნება



რითი დაიღალა გივი თარგამაძის ცოლი და ისმინება თუ არა მისი ტელეფონი

გვ. 73



გვ. 70

როგორ მალავდა გიორგი ნაზღაიძე ნასამართლეობას და ვის გამო იჯდა ის ციხეში



რა რჩევებს აძლევს დათო ტურაშვილს ნაზოლარა ქალიშვილი

გვ. 74



როგორ ანვალებს ხოლმე გოგონებს ფიზიკურად „მისტერ ვალენტინი“ და რა ჭორები გავრცელდა მასზე კონკურსის შემდეგ

გვ. 71



გვ. 72

რა უნდა ვიცოდეთ წითელას შესახებ და როგორ დავიცვათ თავი ამ დაავადებისგან

## მარხვის მადლმა გაგაძლიეროთ!

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რა მოუტანა საქართველოს სამი მმართველის პრეზიდენტობამ და რატომ დაზარალდა ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირის დაშლით პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს შორის .................. 6



რატომ ვერ ახერხებს ქართველი გლეხი მიწის დამუშავებას დამოუკიდებლად და რატომ არის მომგებიანი ჩინელების, ინდოელებისა და კოპტებისთვის საქართველოში მიწათმოქმედება ........................................................ 8

რატომ ითვლებიან დასავლეთში პენსიონერები ყველაზე შეძლებულ ფენად და რატომ იღუპება საქართველოში ყოველწლიურად ერთ წლამდე ასაკის 800 ბავშვი.....................10



რომელ პრეზიდენტებს აქვთ მიღებული ყველაზე მეტი ხმა არჩევნებში და ვინ არის ამ მხრივ რეკორდსმენი საქართველოს პრეზიდენტებს შორის ...................... 12



ადვოკატი გირჩევთ .. 16

ინტიმური საუბრები ................ 17

როდის უტყდება ქალს მამაკაცებზე გული საბოლოოდ და რატომ ამბობს ის უარს დიდ სიყვარულზე ........................................................ 20

როგორ ექცევიან ახლა ქართველ ემიგრანტებს ... 

როგორ ეძებს 80-იან წლებში თბილისში, სოფლის მეურნეობის სამინისტროში მომუშავე კაცს საბერძნეთში მცხოვრები ქართველი ქალბატონი და რისი იმედი აქვს მას............21

თბილისის რომელ ბაღს უწოდებდნენ „იასეს ბაღს“ და სად იმართებოდა მეცხრამეტე საუკუნის თბილისში ყაბახი.........23

რატომ უნდა იცხოს ადამიანმა შვიდგზის ზეთი და რატომ აღესრულება ეს საიდუმლო სხვადასხვა ეკლესიაში განსხვავებულ დროს.....................24



ვინ არის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჰოკეისტი მსოფლიოს ყველაზე პოპულარულ ლიგაში – ნჰლ-ში...............26

ექიმის რჩევები ............................................ 29

როგორ მიუხვდა კანდიდ ჩარკვიანი ბერიას ფარულ ზრახვებს ცენტრალურ კომიტეტში მისვლისთანავე ..................... 30



როგორ დავიცვათ სახლი შურიანი ადამიანის თვალისგან და რატომ არის საშიში მზის ჩასვლის შემდეგ ხალხური გადმოცემების გაუთვალისწინებლობა ...... 32

დენზელ ვაშინგტონის „გენეტიკური მაკიაჟი“ და ოსკაროსანი როლები .... 34

რატომ იკლავდნენ თავს „ენკავედეს“ თანამშრომლები .............. 35


# ყურადღება!

სასწავლებელი „აკადემია ლიბერთი-პროფ-ი“, რომელიც გჭირდებათ თქვენ!
ჩვენი დევიზია:
„თუ იცი – სამყაროს დაიპყრობ!
თუ იცი – საქმე თვითონ გეძებს!
თუ იცი – ბედნიერი ხარ!“
პირველად საქართველოში, გაძლევთ უნიკალურ შანსს, ერთდროულად მიიღოთ როგორც საშუალო, ისე პროფესიული განათლება. შესაბამისად, მიიღოთ როგორც ზოგადი განათლების ატესტატი, ისე პრესტიჟული და შემოსავლიანი პროფესიის დაუფლების დამადასტურებელი და სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი.

მისამართი: თბილისი, დადიანისა და ზაზიაშვილის ქუჩების კვეთაზე, "გალაკანების" ხიდთან (ყოფილი მონტინის ქუჩა) №1, მე-4 სართული (სავაჭრო ცენტრ „ქარვასლის" გვერდით). ტელეფონები: 2-95-20-16; 599-55-02-95; 790-50-60-98; 574-05-06-12. ვებ-გვერდი: www.libertyprof.ge


შეკითხვა ასტროლოგს .............................. 38

ცხოვრების რომელ პერიოდში უშვებს ადამიანი საბედისწერო შეცდომებს და რა საფეხურებს გავდივართ წლების მატებასთან ერთად ................................. 38

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ....... 43

როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები ...................... 46

როგორ გადაარჩინა სიკვდილს მიწაში დამარხული ჩვილი ქართველმა ჯიბგირმა ................................................. 48

რძალმა ქმრის ღალატის დასამალად დედამთილი თონეში დაწვა ...................... 50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს .... 51

ვეტერინარის რჩევები.............56



ფლორის სამყაროში.........56

მე – დაქირავებული მკვლელი..........58

მკვდარი ვერსია................66

ქართველი როკმენების გასტროლები „საშუალო დონის“ რუსულ ქალაქში და ორი ცრუ განგაში .............. 78

გაქართველებული ხუნხუა და „გაუთხოვრად დარჩენილი“ ლუსი ........ 78



ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში
ელ-ფოსტა: PRINT@ASAVALI.GE

განყოფილებები

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ჟღენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე

მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# ნეო-ების მოლოდინში

## ანუ, ბექამოსაგდებები

მთლად ისეც არ არის, **თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო,** მაგრამ, **ისიც ფაქტია, რომ ამ საყოველთაო დემოკრატიის ჟამს, მსხვილ-მსხვილ სახელმწიფოებს შიგადაშიგ იმპერიული მადა უღვივდებათ ხოლმე.**

მართალია, **მოარული ხმები კარგა ხანია, ამტკიცებენ, რომ თანამედროვე და „ნატოს" წევრი თურქეთი ნეოოსმალური იმპერიის აღორძინების იდეის ფარული მეტრფეა**, მაგრამ, **სულ ახლახან ხვაშიადი ჩვენი მეზობელი თურქეთის თვით საგარეო საქმეთა მინისტრმაც გაგვიზიარა.**

კერძოდ, ბრძანა (რაკი გასული საუკუნე გადაფურცლული გვერდიაო): „ახლა ჩვენ **დავამყარებთ ახალ კავშირებს სარაევოსა და დამასკოს, ბენღაზასა და ბათუმს შორის. ამჯერად ჩვენ ამას გავაკეთებთ მშვიდობიანი გზებით.** არავისთან **არ ვიომებთ, საზღვრებსაც პატივს ვცემთ**. ახლა ამაშია ჩვენი ძალა. დღეს **ეს ქვეყნები სრულიად სხვა**




**ქვეყნებია, მაგრამ, 110 წლის წინ იემენი და სკოპიე, ბათუმი და ბენღაზა იყვნენ** ერთი ქვეყნის – **ოსმალეთის იმპერიის ნაწილი**".

რაც მთავარია, **თურქეთის ნომერ პირველი დიპლომატი იმდენსაც ხვდება,** რომ **მთლად ოცდამეერთე საუკუნის შესაფერის ჭეშმარიტებებსაც არ აფრქვევს**, ამიტომაც, იქვე დასძენს: **„ვამბობთ რა ამას, ჩვენ ვიღებთ იმათ გამოწვევას, რომლებიც ბრალს დაგვდებენ ნეოოსმანიზმში.** მაგრამ, თუ ასეა, **ისინი, რომლებმაც გააერთიანეს მთელი ევროპა, რატომ არ იწოდებიან „ახალ რომაელებად?"**

ჯერჯერობით **სარაევოც დუმს და ბათუმიც** (უფრო ზუსტად, თბილისი), ზედაც, **დამასკო – ბენღაზიანად**, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **არა მხოლოდ ჩვენი მეზობელი თურქეთი მისტირის თავის იმპერიულ წარსულს, ირანიც და რფ-ც აღვარლვარებენ ცრემლებს იმ ტერიტორიების გამო, რომლებზეც ახლა დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან გაშენებული**, ვიდრე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დუმს (დანარჩენები კი თურქეთთან მეგობრობის ვერსიას აწვებიან) **ამოცანა გვეკითხება**: ნეტავ, **ბეჟს ხომ არ ამოიგდებენ ნეო-ები ერთმანეთს შორის ჩვენი განაწილებისას?!**

# „მე მაოცებენ ლამპიონები"

## მას – ომბუდსმენის ანგარიში

**სახალხო დამცველის ანგარიში პარლამენტის შენობაში კიდეც შევიდა** და **ხალხის რჩეულები მის გაცნობასაც შეუდგნენ**. თუმცა, **ცნობისმოყვარე თვალი ომბუდსმენის შეფასებებს არც საკანონმდებლო ორგანოს გარეთ მოჰკლებია**. კერძოდ, **მის ანგარიშს ყოფილი არაერთგზის მინისტრი ბ-ნი შაშკინიც გასცნობია** (ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც სამშობლოში დაბრუნდა და ფრიად მშვიდადაც გრძნობს თავს).



მშვიდადაა თუ შეშფოთებული, ბ-ნი **შაშკინი არ ეთანხმება (მთლად შექსპირს კი არა) სახალხო დამცველს**, სადაც ის ამბობს, რომ **ლაფანყურის სპეცოპერაცია მთავრობის მიერ განხორციელებული პროვოკაცია იყო** (ნამინისტრალი ამბობს, „იმეორებს რუსეთის პოზიციასო" არადა, **სამგზის ასეთს ტყუილიც დაეჯერება).**

მომყავს ციტატა: „გაოცებული დავრჩი სახალხო დამცველის დასკვნით. **არ ვიცი, რა ზღაპარზე შეიძლება იყოს ასეთი დასკვნა აგებული. არანაირ კრიტიკული აზროვნების ჩარჩოებში ეს დასკვნა არ შედის".**

თავის მხრივ, თავდაცვის **ნამინისტრალი განმარტავს, რომ დეტალებზე ვერც თვითონ ისაუბრებს**, თუმცა, **საკუთარ ექშენ-შთაბეჭდილებებს მაინც გვიზიარებს**: „დაახლოებით 32 საათის შემდეგ ჩავედი იმ ადგილას, სადაც მოხდა შეტაკება. იმ დროს მიმდინარეობდა ჩვენი გარდაცვლილების გამოყვანის ოპერაცია. მინდა გითხრათ, რომ **ჩემი თვალით მაქვს ნანახი საბუთები, იარაღი და გარდაცვლილები ჩეჩნური მხრიდან. ჩემი თვალით მაქვს ნანახი პასპორტები საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით**. იქ იყო სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების პასპორტები. **ასეთ ძლიერ მოწინააღმდეგესთან ჩვენ არ გვქონია შეხება 2008 წელსაც კი."**

**ილარიონის არ იყოს**, როგორც ჩანს, **აქ ცოტა შეეშალა ჩვენს სამგზის ნამინისტრალს**, რადგან, **თუ ასეთ ძლიერ მოწინააღმდეგეს ლაფანყურში კუდით ქვა ვასროლინეთ**, ამ ლოგიკით, **2008-ში თავ-პირი უნდა ამოგვენაყა** (თუ სწორად მახსოვს, პირიქით მოხდა). შეეშალა თუ არა, ფაქტია, რომ ბ-ნი **შაშკინი გაოცებულია**, ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ პირადად მე **ფრიად მაოცებდა, განათლების მინისტრი რომ ქვემდებარეს შემასმენელს ვერ უწყობდა ვერც რიცხვში** და, მით უმეტეს, **ვერც პირში** (ეს ბ-ნი შაშკინის აქილევსის ქუსლია), ყოველ შემთხვევაში, **მე და ის ბარი-ბარში ვყოფილვართ** (ბუნებრივია, გაოცების მიმართულებით), **დანარჩენს კი, ალბათ, პროკურატურა გაარკვევს!**

# აპოკალიფსი – მშობლიურად

## „და იქმნა ელვა და ქუხილი"

თუმცა **საქართველოს მშრომელების** (ვისაც გაუმართლა და დაქირავებით დასაქმებულია) **ქუჩაზე დღე-დღეზე გაზაფხული მოდის** (იმ მარტივი მიზეზით, რომ სამსახურიდან მთლად ძველებურად უპრაგონოდაც ვერ მიაბრძანებენ და დამქირავებელს მათი უფლებების მინიმალურად დაცვა მაინც მოუწევს), მაგრამ, **როგორც ჩანს, ეშმაკს არ სძინავს**. ასე, მაგალითად, **ბიზნესასოციაციის დასაქმებისა და შრომითი მოწყობის კომიტეტის თავმჯდომარე** (ვინმე ბ-ნი ახალაძე) **აცხადებს, რომ შრომის ახალი კოდექსის არსებული სახით ამოქმედება ბიზნესს დაანგრევს.**



სახელდობრ, ბ-ნ **ახალაძეს ახალ კოდექსში არ ეპიტნავება ვადიანი ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობა, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება** და კიდევ სხვა ბიუროკრატიული მექანიზმები **(ეჭვი მაქვს, ისიც, დამქირავებელს დაქირავებულისთვის კუთვნილი შვებულების ანაზღაურებაც რომ მოუწევს, თვით მაშინაც კი, თუკი მიზეზს მოუძებნის და გაათავისუფლებს).**

შესაბამისად, ბიზნესასოციაციის დასაქმებისა და შრომითი მოწყობის კომიტეტის **თავმჯდომარე ასკვნის, რომ კოდექსის ამოქმედება ბიზნესგარემოსაც გააუარესებს და მუშახელსაც გააზარმაცებს** (ვითომ, სულ თუ ნიჩაბზე გეყოლება დასაქმებული, ეს მას შრომის ნაყოფიერებას აუმაღლებს?!); **ვაკანსიებიც შემცირდება,** ხოლო, საბოლოოდ, **უმუშევრობაც გაიზრდება**. ამდენად, **თუ პარლამენტი „შრომის კოდექსში" ამ ცვლილებებს დაამტკიცებს, ბ-ნი ახალაძის ღრმა რწმენით, ქართული აპოკალიფსიც დადგება** („და ***იქმნა ელვა და ქუხილი, და გრგვინვა და მიწისძვრა დიდი, რომლის მსგავსიც არ ყოფილა მას აქეთ, რაც კაცნი არიან ქვეყნად"***).

თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **„შრომის კოდექსში" ბ-ნი ახალაძის მიერ დაწუნებული ცვლილებების აუცილებლობაზე ევროკავშირი მიგვითითებს** (იმ მარტივი მიზეზით, რომ ევროპელები უარს ამბობენ მონური შრომით მიღებული პროდუქტით სარგებლობაზე), ჩნდება ეჭვი, რომ **ეს ჩვენი ბიზნესასოციაციის დასაქმებისა და შრომითი მოწყობის კომიტეტის თავმჯდომარე ევროკავშირს „სავსემ ნე უვაჟაეტ"!**

# მიტოვებული

## „და მე ავტირდი, ვით მეფე ლირი“

ქართული **პოსტსაარჩევნო ვითარება ტკივილამდე მისული რეალიზმით ამტკიცებს**, რომ **დრონი მეფობენ და არა მეფენი,** ამიტომაც, **თუკი ადრე გუბერნატორს ხელქვეითი**



**ისევე ვერ უსწორებდა თვალს, როგორც ორფეხა მოკვდავი – მანათობელ მზეს**, გასულ კვირას **შიდა ქართლის გუბერნატორ** ბ-ნ ბარნოვთან **დაგეგმილ შეხვედრაზე რეგიონის მუნიციპალიტეტების არც ერთი გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე არ გამოცხადდა.**

გავრცელებული ინფორმაციით, **გუბერნატორსა და მის ხელქვეითებს რეგიონში დაგეგმილი ღვინის ფესტივალის საორგანიზაციო საკითხებზე უნდა ემსჯელათ**. მართალია, **უნდა ემსჯელათ, მაგრამ, კოვზი ნაცარში გუბერნატორსაც ჩაუვარდა** და **ღვინის ფესტივალსაც**. ბ-ნი ბარნოვი **არმოსვლის საკუთარ ვერსიასაც გვიმხელს** და, დარწმუნებულია, რომ **გამგებლები მასთან მავანის შეგონების გამო არ გამოცხადდნენ.**

ოღონდ, იქვე შენიშნავს, რომ, თუმცა **შემხვედრის კონკრეტულ ჩამშლელებს ვერ ასახელებს** („მე ახლა არ მაქვს კონკრეტული ინფორმაცია, რომ დავასახელო, რომელმა მაჟორიტარმა ან პოლიციელმა დაავალა მათ, რომ არ მოსულიყვნენ“), **მაინც მტკიცედ სწამს, რომ „ეს არის პირდაპირი ზეწოლა“.**

**პირდაპირია თუ ირიბი** (ან, საერთოდაც, იყო თუ არა), **ჯერჯერობით ქვემო ქართლის გუბერნატორსა და იმავე რაიონის გამგებლებს შორის „მერის“ ტრაგედია** გათამაშდა: „და **მე ავტირდი, ვით მეფე ლირი, ლირი, ყველასგან მიტოვებული** („ყველაში,“ ამ კონკრეტულ შემთხვევასა და მიზანსცენაში, მუნიციპალიტეტების გამგებლები იგულისხმებიან).“

# გაყიდულია!!!

## 1 1 5 / 1 1 5

ოფიციალური სტატისტიკით, **ამ ჩვენს ქვეყანაში** (სახნავ-სათეს-საძოვარ, მთა-ბარიანად) **თითოეულ მოქალაქეზე სულ რაღაც 115-115 მეტრი მიწა მოდის**, მაგალითად, **ინდოეთში საქმე გაცილებით სავალალოდაა – თითო მოსახლეს 50-50 მეტრი მიწა თუ ერგება.**

ამიტომაც, **რა გასაკვირია, რომ ინდოეთის მკვიდრთ მრავლად შეხვდებით ჩვენს სამშობლოში** (იქნებ, პრინციპითაც: **მუქთა იყოს, კუბო იყოს**).

შესაბამისად, **არც ის გაგვკვირვებია, რომ გასულ კვირას დიცში,** ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრე სოფელში, **დაპირისპირება მოხდა**. კერძოდ, **სოფლის მოსახლეობამ შეიტყო, რომ სოფლის ტერიტორიაზე არსებული 140 ჰექტარი სარეზერვო ფართობი 2012 წლის დეკემბერში ინდოეთის მოქალაქეებისთვის მიუყიდიათ.**

თავის მხრივ, **ინდოელებს თადარიგი დაუჭერიათ და მიწის დამუშავებას ღამით შესდგომიან,** მაგრამ, **რაკი მზე ყოველდღიურად მოაფენს ხოლმე თავის მანათობელ სხივებს არემარეს**, მოხნულ-დამუშავებული მიწა **დილით დიცელებმაც შეამჩნიეს** (უფრო მეტიც, ის-ის იყო, ახლად გამოჩეკილ მეპატრონეებს ხეხილი უნდა დაერგოთ). ხოლო, **რადგან შეამჩნიეს, ვაშლის ხის ნერგების გასაშენებლად ამოთხრილი ორმოებიც მიუსწორ-მოუსწორეს და ტერიტორიაც დაატოვებინეს.**

**დიცელები არ აპირებენ, მიწის ეს ფართობი ვინმეს დაუთმონ** (2008 წლის ომის დროს საკუთარი სიცოცხლის ფასად დავიცავითო!) **და იმის ეჭვიც აქვთ, რომ ის დარღვევებით გასხვისდა.**

ამბის სიუჟეტიც მოწმობს, რომ **სამართალდამცველების ჩარევის გარეშე ფონს ვერ გავალთ**, თუმცა, **თუ ჩვენს ქვეყანაში მოვლენათა განვითარების ქრონიკას გადავხედავთ,** არ არის გამორიცხული, **ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინოთ, რომ დედაწულიანად სტამბულის ბაზარზე ვართ გაყიდულები.**

# შეჩვეულს ნუ გადააჩვევ

## ანუ, ჩახედე კლიენტს ჯიბეში

რაკი დრომ მოიტანა, **ჩვენმა მობილურმა ოპერატორებმაც იკადრეს და შიდა ქსელში საუბრის ფასი გონივრულ ტარიფს მიუახლოვეს** (რასაც წინ მრავალწლიანი „წუთი 28 თეთრად“ უძღოდა), **ქართველმა მომხმარებელმაც ამოისუნთქა** (რომელსაც თავის ცოდვებიც ჰყოფნის, მათ შორის, ისეთი, როდესაც ძვირად ღირებულ მობილურ ტელეფონში სასაუბროდ ფული არ აქვს), მაგრამ, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ოდენ დროებით.

მეტიც, ზემომოყვანილი **პრობლემის მქონეთ** (მობილური ტელეფონი კი აქვთ, მაგრამ, სასაუბრო – არა) **საქმეც გაუადვილეს:** იმდენადაც, რომ, **სწრაფი ჩარიცხვის აპარატებით მსურველს არათუ ლარის, თვით 50 თეთრის დასმაც კი შეეძლო სატელეფონო ანგარიშზე.**

არც მთლად იმიტომ, რომ „ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა“, მაგრამ, **ხანი გამოხდა და ჩარიცხვის მარტივ პროცედურას მიჩვეულ მომხმარებლებს მობილურმა ოპერატორებმა ჩარიცხვის საკომისიო დაარიცხეს** (აქამდე ჩვენ ვიხდიდით, რადგან, მომხმარებლის მიჩვევა გვინდოდაო). მართალია, **სულ რაღაც, 4 თეთრი ერთი ლარიდან,** მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლარ-ლარის ჩამრიცხველთა ოდენობა ფრიად სოლიდურია მობილური ტელეფონების მომხმარებლებს შორის, უნდა ვივარაუდოთ, რომ **ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორები გვარიან თანხას დაზოგავენ** (ბარათების დაბეჭდვა თანხა ჯდება, ჩარიცხვის საკომისიოს კი ახლა უკვე მომხმარებელი ფარავს).

უდავოა, რომ **ჩვენებური ოპერატორები მეტად გონებამახვილნი ბრძანდებიან** (ეჭვი მაქვს, **თვით ქვასაც კი შხუილით გამოადენენ წვენს**), როგორც ის, რომ **მათ თვითნებობას** (კლიენტების ჯიბეებში ხელების უპრაგონოდ ფათურის განხრით) **ახლებიც ძველებივით მშვიდად ადევნებენ თვალს.**

# გულმოკლული

## მოტივზე: „ჩემი შენ გითხარიო“

მართალია, **პათოსი ძველებურია** (ანუ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, როგორც ძველად, ახლაც კვლავაც მიუწვდომლები არიან პირდაპირი დიალოგისთვის), მაგრამ, სამაგიეროდ, **ფრიად ენაწყლიანობენ სოციალურ ქსელებში** (ეს ენაწყლიანობაც მარტივი ასახსნელია: უსიამოვნო მოსაუბრეს დაბლოკავ და, ჩვეულებისამებრ, მონოლოგის რეჟიმში იმოქმედებ).

როგორც უნდა იყოს, სავარაუდოდ, რაკი **საპარლამენტო ტრიბუნა ევიწროება**, მაგალითად, ქ-ნი **თაქთაქიშვილი საკანონმდებლო ორგანოში განსახილველ „კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ FB-ში ეხმაურება** (ბუნებრივია, აღშფოთებული!).



კერძოდ, ქ-ნი **თაქთაქიშვილი წრეგადასულადაა შეშფოთებული უმრავლესობის გაბედულებით** (მოვიხმობ ციტატას მისი ნააზრევიდან): „ამ კანონის მიხედვით, **საქართველოს სახელმწიფოს ექნება 2 ტიპის საზღვარი: ერთი – ოკუპირებულ ტერიტორიებსა და რუსეთს შორის**, რომლის დარღვევა უცხო ქვეყნის მოქალაქეს დაუჯდება 400 ლარი და **მეორე – საქართველოს დანარჩენ რეგიონებსა და რუსეთს შორის** საზღვარი, რომლის დარღვევა სისხლის სამართლის კოდექსით დაისჯება.“

აქედან გამომდინარე, **ხალხის ეს კონკრეტული რჩეული ასკვნის: „**ივანიშვილი, ზაქარეიშვილი, ხიდაშელი, ძმები ბერძენიშვილები **ბედავენ, რომ ქართველი ხალხი არჩევნების შემდგომი ეიფორიის ფონზე შეიტყუონ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარების შეუქცევად პროცესში.“**

შესაბამისად, ასკვნის: „ეს არ იქნება მხოლოდ ამ მთავრობის პასუხისმგებლობა, ამ გადაწყვეტილების შედეგებს ჩვენი მომავალი თაობები ზღავენ. **გული მიკვდება – რა ხელში ჩავარდა ჩვენი ქვეყანა!“**

თუ გავიხსენებთ, რომ **ამ ჩვენს ერთ საქართველოში უკვე სამი პრეზიდენტია** (ერთი, რომელსაც მზისქვეშეთში ყველა აღიარებს, ორიც – მხოლოდ ექვსთა მიერ აღიარებული), უნდა ვივარაუდოთ, რომ **„რა ხელში“ დიდი ხანია ჩავცვენილვართ.** მეორე მხრივ, თუ იმასაც დავამატებთ, რომ **მთავარსარდალი** და დღესაც ქ-ნი **თაქთაქიშვილის თანაპარტიელი ბ**-ნი **სააკაშვილი 2008 წლის აგვისტოს ომს შემდეგნაირად აფასებდა** – სულ რაღაც, **ათი სოფელი დავკარგეთო**, ცხადია, რომ **კარგა ხანია და უიმედოდ გულმკვდრები ვყოფილვართ.**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**


ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**2013 წლის 9 აპრილს 24 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც საქართველოს უიარაღო მოსახლეობა საბჭოთა სისტემას მასობრივად დაუპირისპირდა, იმავე 9 აპრილს 22 წელი შეუსრულდა ჩვენს დამოუკიდებლობასაც. თუმცა ამ გადასახედიდან ისიც აშკარაა, რომ დამოუკიდებლობა ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკამ მიიღო, ოღონდ ჩვენ შევაკვდით; თითოეული პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებს (მეტ-ნაკლები წარმატებით), ოღონდ ჩვენ საკმაოდ დავიშალეთ და ამ ერთ საქართველოში აგერ უკვე სამი პრეზიდენტი გვყავს. ლოგიკურად იბადება კითხვები: ჩვენ უნდა დაგვეღვარა ყველას დასაღვრელი სისხლი და გაგვეღო ყველას მიერ გასაღები ხარკი თუ შესაძლებელი იყო მიზნისკენ ნაკლებად სახიფათო გზით სიარული? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას აკაკი ასათიანთან ერთად შევეცდებით.**

# რა მოუტანა საქართველოს სამი მმართველის პრეზიდენტობამ და რატომ დაზარალდა ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირის დაშლით პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს შორის



**შეიძლება, რომ 900 წლის წინ დავით აღმაშენებელს ესმოდეს გზაჯვარედინის მნიშვნელობა, გორი იმიტომაც ააგო, შენ კი 900 წლის შემდეგ იძახდე, დავითი დიდი იყოო და მის გამოცდილებას არ იყენებდე?!**

**– თუ ბაქოსა და ვილნიუსის მოვლენებს არ ჩავთვლით, ჩვენ მოვახერხეთ და ყველაზე მეტად დავზარალდით საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში. ჩვენი კარმაა ეს თუ ჩვენივე გაუთვლელი ნაბიჯების შედეგი?**

– მარქსი პოლონელებს ისტორიის დონ კიხოტებს უწოდებდა. რაღაც ამგვარი ბრალდება ისმის ჩვენი მიმართულებითაც. 1989 წლის 9 აპრილმა დასავლეთის პოლიტიკურ ელიტაში დიდი რეაქციების გარეშე ჩაიარა, იქაურ მედიაშიც კი ზომიერი რეაქცია იყო. ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ მსოფლიო პოლიტიკის პოსტულატი, რომ ყველაფერი ზომიერად და თანდათანობით უნდა ხდებოდეს. არადა, იდეა ასეთი იყო: ჯერ სოციალისტურ რესპუბლიკებს მოვაშორებთ საბჭოთა კავშირს და მოკავშირეებს გადავიყვანთ სოციალისტურებშიო, მაგრამ ჩვენ, რაკი დავინახეთ, თავისუფლება, მოვინდომეთ მაქსიმალური.

**– ქაჩლის არ იყოს, ჯერ არ მოიფხანა, შემდეგ მოიგლიჯაო?**

– ეს, ალბათ, ჩვენი პოლიტიკური უმწიფრობის შედეგი იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობდა ხალხის უდიდესი შემართება. ვფიქრობ, ამ ინერციამ და თავისუფლების დაგუბებულმა მოთხოვნილებამ შეასრულა თავისი როლი. მაშინდელი პოლიტიკური ელიტა არ გამოდგა და რადიკალურმა ფრთამ აიღო თავის თავზე ლიდერობა. კომუნისტებმა ინიციატივა არ აიღეს თავის თავზე, ინტელექტუალური ელიტა რაღაც განცხადებების გაკეთებას მოუნდა. მაშინ, როდესაც ბალტიისპირეთში ამ ორმა ფრთამ მესამესთან, ეროვნულ მოძრაობასთან, კონსენსუსი შეადგინა და ფონს გავიდნენ. მხოლოდ ლიტვას ჰქონდა მსხვერპლი ვილნიუსში, დანარჩენებმა პროცესები უსისხლოდ გაიარეს. ისიც ნიშანდობლივია, რომ ლიტვაში ვიცით, ვინ ხელმძღვანელობდა პროცესს: ბრაზაუსკასი და ლანდსბერგისი, კომპარტიის ყოფილი ლიდერი და დისიდენტი. ლატვიელებისა და ესტონელების ლიდერები უკვე არ ვიცით, რადგან იქ ყველაფერი მართლაც მთელმა ხალხმა გააკეთა.

ჩვენთან ეს მისია ითავა გამსახურდიამ. ეს, რა თქმა უნდა, არის გამსახურდიას ღირსება, მაგრამ საზოგადოების ნაკლი. აი, ეს არის პრობლემა.

პირველი ხელისუფლება მართლაც ყამირს ტეხავდა. სრულიად გამოუცნობი ვითარება იყო. დღეს არსებობს თეორიები, ვინ დაგეგმა, ვინ რა როლს ასრულებდა, მაგრამ, სინამდვილეში მოქმედებათა ჯამი იყო: შეერთებულ შტატებს უნდოდა საბჭოთა კავშირის დასუსტება; რუსეთს უნდოდა თავის მიერ კონტროლირებადი ენერგორესურსებისა და რუსეთის სიმდიდრის ხელიდან გამოცლა; ცენტრალურ აზიას უნდოდა, დაჰპატრონებოდა თავის სიმდიდრეებს; ჩვენ გვინდოდა თავისუფლება; სომხებსაც იგივე, მაგრამ უფრო ზომიერად; აზერბაიჯანიც ქვეცნობიერად თავისი რესურსების დაპატრონების მიზნით მოქმედებდა; ბალტელებს დასავლეთის უპირობო მხარდაჭერა ჰქონდათ. გორბაჩოვს წარმოდგენა არ ჰქონდა, რას აპირებდა. გამიკვირდა, როდესაც აღმოვაჩინე, რომ მათ გათვლილი არ ჰქონდათ არათუ მეხუთე და მეექვსე ნაბიჯი, არც ერთი მომდევნო ნაბიჯი არ იცოდნენ. ამდენად, მე ის უფრო მიკვირს, რა მოვახერხეთ, ვიდრე ის, რა ვერ მოვახერხეთ. ეს იმას ჰგავდა, უცნობ ადგილას რომ მოხვდები ქარიშხალში, თან, ტყეში, რომელიც სავსეა ყაჩაღებით. სრულიად ექსტრემალურ ვითარებაში მოვხვდით, მაგრამ შემდეგ ხომ შეიძლებოდა იმის გათვალისწინება, რაც გავიარეთ, სხვისი პოზიტიური მაგალითის გათვალისწინება?! არც ჩვენი შეცდომები გავითვალისწინეთ და არც სხვისი მიღწევები, თუმცა შევარდნაძეს ჰქონდა ძალიან სერიოზული საგარეო პოლიტიკა.

**– ეს უკვე წყალგაუსვლელი ფაქტია.**

– ეუთოს სტამბულის სამიტის გადაწყვეტილება დიდი მიღწევა იყო, მაგრამ მაშინაც ატყდა ერთი ამბავი, რატომ ახლავე არ გადიან რუსებიო.

**– აქვე გავიხსენებ ბარემ, როდესაც „იმელის" პარლამენტი მსჯელობდა რუსული ბაზებისთვის იჯარის გაგრძელების საკითხს, ვერაფრით შეთანხმდნენ ვადებზე, არადა, მაშინ რომ დაედგინათ ვადად ის 15 წელი, უკვე ამოწურული იქნებოდა ეს დრო.**

– შევარდნაძე თავისი დაბალანსებული პოლიტიკით მიდიოდა დასავლეთისკენ, რუსეთი ამას არ პატიობდა, რადგან პირადად ის არ უყვარდათ, თორემ მანევრი დიდებული იყო. თუმცა ვიცით, შიგნით ქვეყანაში რა ხდებოდა და დღესაც გაუგებარია ჩემთვის, რატომ არ აკეთებდა შევარდნაძე იმას, რაც სააკაშვილმა და მისმა პატარა ლაწირაკებმა შეძლეს?! მაგრამ, სამაგიეროდ, იმავე სააკაშვილმა საგარეო პოლიტიკაში აიღო ყოვლად უაზრო კურსი რუსეთთან. დაპირისპირების კი არა, იდიოტური სიტყვიერი რიტორიკის და ამაზე ისინი რეაგირებდნენ. არა მარტო ისინი, ჩვენ გვახსოვს, რომ მამა ბუში გაეპაექრა გამსახურდიას, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკის მეთაურს და გაუმართა პოლემიკა, იმიტომ რომ ისინიც ადამიანები არიან.

**– უკვე დღესავით ნათელია, რომ ავტონომიები რუსეთს სჭირდებოდა ზემოქმედების ბერკეტებად, თუმცა არც ერთი არ ულიარებია, ჩვენი ავტონომიების გარდა. რატომ იმუშავა ამ საბჭოთა დროს ჩადებულმა ნაღმებმა ყველაზე ეფექტიანად საქართველოში? რუსები იყვნენ ძალიან მოწადინებულები თუ ჩვენ შევუწყვეთ ხელი?**

– წამოვეგეთ, რადგან ყველგან იყო ამის მცდელობა და ვიცით, რომ აზერბაიჯანშიც გათამაშდა ყარაბაღი. აზერბაიჯანი ძალიან ბევრ რამეში მოიქცა ჩვენნაირად. შემდეგ დამყარდა ალიევის ავტორიტარული რეჟიმი და ამის გამო, მინიმუმ, ადრე მოწესრიგდა პრობლემები, თუმცა იქ სამოქალაქო ომიც იყო, ტერიტორიული პრობლემაც შეიქმნა, ოღონდ იქ ორ ხალხს შორის. შევარდნაძემ იმის ნაცვლად, რომ ხელი არ ეხლო აფხაზეთისთვის, რომელიც მოგვარებული დავუტოვეთ, გაამწვავა. არადა, იქ მმართველები იყვნენ ყოფილი კომუნისტები, ანუ შევარდნაძის ხელქვეითები. შემდეგ თქვა შევარდნაძემ, ვნანობ, რომ არ შევხვდიო. არ იკადრა მათთან შეხვედრა, რადგან შევარდნაძის გადასახედი იყო ბეიკერი, ბუში, შულცი. აქაოდა, გამსახურდიამ ეს პრობლემა მოაგვარაო, დაარქვეს რაღაც სისულელე და ჯარები შეიყვანეს აფხაზეთში. შემდეგ სააკაშვილმა აიჩემა ცხინვალი. 2004 წლის სისულელე არ გაითვალისწინა და რუსეთთან ომამდე მივიდა საქმე. სხვათა შორის, ომის წაგებასაც აზრი აქვს. მაგალითად, ფინეთმა იცოდა, რომ ომს წააგებდა საბჭოთა კავშირთან, მაგრამ იმ წაგებას აზრი ჰქონდა. ძალიან ვწუხვარ ამას რომ ვამბობ, მაგრამ ჩვენ არაფერი ვიცოდით დღემდე და ვინც ვიცოდით, მათ გავლენა ვერ მოვახდინეთ. აი, ახლა ხორციელდება თვითმმართველობის რეფორმა: 25 წელი დასჭირდა იმის მიხვედრას, რომ შეუძლებელია 80 რაიონით იმართებოდეს ქვეყანა. მით უმეტეს, საქართველოსნაირი ქვეყანა, სადაც არავინ არ იცოდა ხარაგაულისა და გურჯაანის რაიონები, მაგრამ იცოდა გურია და კახეთი. ერთადერთი ლეჩხუმი ემთხვევა ცაგერის რაიონს, დანარჩენები ხელოვნურადაა აწყობილი. ის ვერ გავაცნობიერეთ, რომ ის ტერიტორიული დაყოფის წესი უზრუნველყოფდა საბჭოთა კავშირს, რაკი საბჭოთა კავშირი წავიდა, შენ ახალ მანქანაში გადაჯექი და ახალი კონტრაქტი გახდა საჭირო. საბჭოური ცნობიერებით გვინდოდა, დამოუკიდებელი ქვეყანა აგვეშენებინა, არადა, არ ისხმება ძველ ჭურჭელში ახალი ღვინო. ძლივს მივედით საპარლამენტო რესპუბლიკამდე. ამისთვის პოლიტიკური ელიტა კი არა, საზოგადოება არ იყო მზად, ეგონათ, 300 კაცი ერთდროულად მართავდა ქვეყანას. მონარქია ვთქვით 1990-ში და ბატონყმობის აღდგენა უნდათო. გაოგნებული დავრჩი. არ იციან, რომ მონარქიები ყველაზე სტაბილური ქვეყნებია ევროპაში. მაგრამ რა ვაკეთეთ იმისთვის, რომ გაგვერკვია ეს ყველაფერი?! მგონი, ახლა არის დრო, მშვიდად შეფასდეს განვლილი გზა, დაერქვას ყველაფერს თავისი სახელი, რა იყო მცდარი, რამ იმუშავა, რა არ გამოგვადგა. ასევე, გავითვალისწინოთ გარე გამოცდილება. მაგალითად, ფინეთი, არის ევროკავშირის წე-

ტურისტული კომპანია CAUCASUS TOUR, ავიაკომპანია AIR CAUCASUS-თან ერთად

AIR CAUCASUS

გთავაზობთ ფრენებს მსოფლიოს ყველა მიმართულებით.

რეისი თბილისი-სალონიკი – 99 ევროდან.

გისურვებთ მშვიდობიან ფრენას!

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
2-202-202, 2-202-203;
ცხელი ხაზი – 595-33-22-22;
მობილური: 598-18-04-09,
598-306-155, 571-79-77-88.
ვეკუას №3, V სართული.

CAUCASUS TOUR

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**რამაზ თავაძე** *(58 წლის, ინჟინერი. ქუთაისი).*

**დიაგნოზი**: ***პოდაგრული ართრიტი.*** ისეთი დღეები გამოვიარე... კინაღამ თავის მოკვლა ვიფიქრე. ერთ დილას საშინელმა ტკივილმა გამომაღვიძა – მტკიოდა კოჭი, ტერფი. გასიებული და გახურებული მქონდა, თითქოს მდუღარე გადამასხეს, ისე მეწვოდა. სასწრაფო გამოვიძახე, ნემსები გამიკეთეს, მაგრამ, შვება ვერ ვიგრძენი. ამხელა კაცი ბავშვივით ვტიროდი აუტანელი ტკივილებისგან. ორი დღე რა აღარ მიკეთეს, შედეგი კი არ მქონდა. მერე ჩემმა ძმამ თბილისში, ამ კლინიკაში ჩამომიყვანა. პირველივე პროცედურამ არაჩვეულებრივი ეფექტი მომცა – იმავე საღამოს დამიცხრა ფეხი და ღამით კარგად მეძინა. მეორე დღეს ისე მივედი, ჩემი ფეხით, თითქოს არც არაფერი მტკიოდა. ასევე, მაწუხებდა მაღალი წნევები, თავის ტკივილები და რამდენიმე დღეში ესეც მომეშვა, დაიწია ქოლესტერინმა და უკვე 10 დღეში თავს ჩიტივით ვგრძნობ.

**მარინე ნაფეტვარიძე** *(42 წლის, დიასახლისი. თბილისი).*

**დიაგნოზი**: ***კისრის მალების ოსტეოქონდროზი, დისკოპათია.*** მრავალი წელი ვიცხოვრე გერმანიაში, ფიზიკურად ვშრომობდი, რის გამოც დამიზიანდა კისერი და გამიჩნდა თიაქარი. მტკიოდა ბეჭი და ხელში გადაეცემოდა იქ გამიკეთეს ოპერაცია, ჩამიდგეს კისრის მალების ფიქსატორი და ხელოვნური დისკი (იმპლანტანტი). ორი წელი არა მიშავდა, მერე კი ისევ დამეწყო ანალოგიური ტკივილები კისერში, ბეჭში, რომელიც გადადიოდა მკლავში, თითები მიბუჟდებოდა, ძალა მეცლებოდა, ღამით არ მეძინა. ბევრი ვიმკურნალე, მაგრამ, შედეგი ვერ ვნახე. ვგრძნობდი, რომ ჩემი საქმე ისევ ოპერაციამდე მიდიოდა. მუშაობა ველარ შევძელი. საქართველოში დავბრუნდი. მოვაკითხე ამ კლინიკას, სადაც გამიკეთდა ახალი გამოკვლევები. მკურნალობამ საუცხოო და სწრაფი ეფექტი მომცა. პირველივე ღამეს მშვიდად მეძინა. 2-3 დღეში ყველა სიმპტომი ალაგდა. მკურნალობას განვაგრძობ. ულრმესი მადლობა მანანა ექიმს და მთელ კოლექტივს!



**თამარ ბაქრაძე** *(81 წლის. თბილისი).*

**დიაგნოზი**: ***ორმხრივი გონართროზი, მესამე ხარისხი.*** ტკივილის ატანა სიბერეში უფრო ძნელი ყოფილა. სიცოცხლე ტკბილია, შვილო. მუხლები დიდი ხანია, მაწუხებს. ჯაფა არ მაკლდა, დიდი ოჯახი მქონდა, თავს ვერ გავუფრთხილდი და სულ დავიხუთე, ველარ დავდიოდი, მუხლებს ღრჭიალი გაუდიოდა. ვიწექი, მაგრამ ტკივილი არ მაძინებდა. შვილებმა მანანა ექიმთან წამიყვანეს. ამისმა მარჯვენამ გაიხაროს და იმუშაოს ასი წელი! ამ ასაკში სიცოცხლისა და საქმის ხალისი დამიბრუნდა, სხვისი ხელის შემხედვარე აღარ ვარ. მომეშვა ის გამუდმებული ტკივილები. კიდევ, წნევა მკლავდა, კუჭ-ნაწლავი მაწუხებდა და ესეც მომიწესრიგდა. თითქოს 20 წელი ჩამომაკლეს, ისე ვარ. ახლა უჯოხოდაც დავდივარ.

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედა-შვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**ნინო ბუჩუკური** *(38 წლის, თიანეთი).*

**დიაგნოზი**: ***ანალური ნაპრალი, კოლიტი, ქოლეცისტიტი.*** ბოლო წლებია, კუჭ-ნაწლავმა შემაწუხა, ყველაფერი ადვილად მწყენდა, მტკივდებოდა მუცელი. კუჭის სიმაგრემ ნაპრალი გამიჩინა. ძალიან მტკიოდა. მაწუხებდა წვაც, ქავილიც, სისხლდენაც. ბევრგან ვიმკურნალე, მაგრამ, საშველი არ მქონდა. ახლობელმა აქ მოსვლა მირჩია. მკურნალობა მთლიანად ნატურალური მალამოებით ჩამიტარეს. ძალიან კმაყოფილი ვარ. დამირეგულირდა და საათივით ამეწყო ნაწლავების მუშაობა. მომეხსნა ტკივილი, წვა, ქავილი. მადლობა მანანა ექიმსა და მის ვაჟიშვილს – სოსო ექიმს!

**დათო ტუკვაძე** *(47 წლის, მძღოლი. რუსთავი).*

**დიაგნოზი**: ***ჰემოროიდული დაავადება მესამე ხარისხის, დისბაქტერიოზი.*** ხუთი-ექვსი წელია, ეს დაავადება მაწუხებს – დიდი ზომის კვანძების გამოვარდნა, სისხლდენა, დისბაქტერიოზი. ბოლო თვეებში გამირთულდა, დამეწყო ტკივილები, დაერთო სისხლდენა, დამივარდა ჰემოგლობინი. ექიმთან მისვლის მერიდებოდა, მაგრამ, ტკივილმა თავისი გაიტანა – მოვედი და, ახლა ვნანობ, აქამდე სად ვიყავი. პირველივე კურსზე მომიწესრიგდა ამდენი ხნის სატკივარი. ახლა მეორე კურსისთვის მალამოების წასაღებად ვარ მოსული. ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ოპერატიული, კვალიფიციური დახმარებისთვის მანანა ექიმს. ღმერთმა დაგლოცოთ!

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*

**თამუნა ნიჟარაძე**

ვრი, მაგრამ არ არის „ნატოს“ წევრი. თუ საქართველოს მთლიანობა არ აღდგა, მაშინ იმ მსხვერპლს გამართლება არ ექნება და თუ არ ექნა, მაშინ ის ცოდვა უწევს ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ პროცესში.

**– ერთია, პასუხისმგებლობა და, მეორე, რა ალტერნატივები არსებობს თანამედროვე სამყაროში: „ნატო“, ევროკავშირი, ევრაზიული კავშირი...**

– ოღონდ ევრაზიული კავშირი ჯერჯერობით არსად არსებობს, არც ქაღალდზე.

**– და ისიც არ ვიცით, „ნატო“ თუ იარსებებს 50 წლის შემდეგ.**

– ევროკავშირის არსებობა-არარსებობის პრობლემა დადგა.

**– შევარდნაძის დროიდან მოყოლებული ლაპარაკობდნენ პოლიტიკოსები უსაფრთხოების ქოლგაზე: რომელი ქოლგა გამოგვადგება?**

– ჯერ ერთი, „ნატოსა“ და ევროკავშირში არ გვიღებენ. მეორეც, ინგლისი აპირებს რეფერენდუმის ჩატარებას, დარჩეს თუ არა ევროკავშირში, კვიპროსს კი ევროზონიდან გასვლის გარდა სხვა გამოსავალი არ რჩება. ამასთან, ერთია, რომ არ გვიღებენ და, მეორე, რა პირობით გვიღებენ, ავწონ-დავწონეთ მათი მოთხოვნები?! ან ევრაზიის კავშირზე რომ უარს ვამბობთ, ვიცით, რა არის?! აი, მაგალითად, უკრაინა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზეც მუშაობს ევროკავშირთან და თან, საბაჟო კავშირში შედის რუსეთთან და ორივე თანახმაა, სჭირდებათ და იმიტომ. მოგატყუებთ, თუ გეტყვით, რომ უკრაინელები წონიან და აანალიზებენ არგუმენტებს, მაგრამ ჩვენზე მეტს ნამდვილად ფიქრობენ.

**– უკრაინელები კარგ ადგილას არიან და დიდი ანალიზი, მაინცდამაინც, არ სჭირდებათ.**

– ჩვენც კარგ ადგილას ვართ, თუ გამოვიყენებთ. რუსეთის, ამხელა სივრცის, მთელი ტვირთბრუნვა გადადის უკრაინასა და ბელორუსიაზე. ბელორუსია ამაზე დგას და ნახეთ, რა ეკონომიკური მიღწევები აქვს, რუსეთის სამხრეთთან ურთიერთობა გადავიდოდა ჩვენზე. თურქეთი არის მსოფლიოს მეჩვიდმეტე ეკონომიკა, რუსეთი – მეათე. შეიძლებოდა, ორი ამხელა ეკონომიკის დამაკავშირებელი რგოლი ყოფილიყავი. ჩვენი მეშვეობით თურქეთზეც გახვალ და ირანზეც. დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაკავშირებას ჰყოფნის ჩვენი და აზერბაიჯანის თანამშრომლობა. შეიძლება, რომ 900 წლის წინ დავით აღმაშენებელს ესმოდეს გზაჯვარედინის მნიშვნელობა, გორი იმიტომაც ააგო, შენ კი 900 წლის შემდეგ იძახდე, დავითი დიდი იყოო და მის გამოცდილებას არ იყენებდე?!

**მიგრანიანმა თქვა რამდენჯერმე, ჩვენ მივეცით ქართველებს სამეფო საგვარეულო ბაგრატიონების სახითო. ვუთხარი, თუ ერთი და იგივე გვარი ერთ ქვეყანაში სამ სამეფოს გაყიდის და მეორეში იმპერიას შექმნის, სხვა დასკვნები გამოდის-მეთქი**

**– დამოუკიდებლობის 22 წლისთავზე ცოტათი მაინც წავიწიეთ წინ?**

– დაკარგული ტერიტორია ვერ გათქმევინებს, რომ წინ წავიწიეთ, მაგრამ, ცივი გულით რომ ვიმსჯელოთ, პირველმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის მიღწევით შეასრულა თავისი პირობა; მეორემ შეძლო რაღაც მინიმალური ინსტიტუციური მოწესრიგება, კონსტიტუციის სახით, საგარეო ასპარეზზე თავისი თავის დამკვიდრებით, ფუნქციის მოძებნით; მესამემ ოცდამეერთე საუკუნის მინიმალური წესრიგი მაინც დაამყარა, ოღონდ მერე ველარ მოზომა და დაასკვნა, რომ ცემა-ტყეპა და ხოცვა-ჟლეტა უნდა ყოფილიყო. აი, ეს სამი ნაბიჯი მაინც გადაიდგა, ახლა დგას დემოკრატიისა და სოციალური პრობლემის მოხსნის ამოცანა. მე ვფიქრობ, სწორედ ეს არის ამ ხელისუფლების ამოცანა. როდესაც ივანიშვილმა თქვა, პრეზიდენტობა კი არა, პრემიერმინისტრობა მინდაო, ეს იყო პირველი მაღალრეიტინგული ქარიზმატული ლიდერი, რომელმაც უარი თქვა პრეზიდენტობაზე და ეს უკვე პროგრესი იყო.

**– რომ იტყვის, ისეთი კომბოსტო მომყავს, ვერც წარმოიდგენთო, უკვე გარღვევა იქნება?**

– ეს დიოკლეტიანეს ნათქვამია... სოციალური პრობლემის მოხსნისა და დემოკრატიის ამოცანა დგას. ამას წინათ, მარგველაშვილი იყო ფასანაურში და იქაურ ბავშვებს სკოლაში წასაყვანად ავტობუსი დაუნიშნეს. მე ის ერთი ავტობუსი უფრო მიღირს, ვიდრე სააკაშვილის მიერ აშენებული ცათამბჯენი. იმიტომ რომ იმ ცათამბჯენებში ვინ იცხოვრებს, არ ვიცი, თუ ის ბავშვები არ ისწავლიან ფასანაურში. დიდ ხარჯად დაგვიჯდა აქამდე მოსვლა, მაგრამ წინ უნდა წავიდეთ. დიდი დრო დასჭირდა ამას და დიდი მსხვერპლი. შეიძლებოდა, ნაკლები ყოფილიყო, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ახლა მაინც უნდა გავაცნობიეროთ, რა ამოცანა დგას ჩვენ წინაშე, იმ ამოცანის შესრულებაზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულნი.

**ნინო ხაჩიძე**



ჯერ უნდა შექმნა ნედლეული და შემდეგ უნდა გადაამუშავო, თორემ ეს ტიპურ სოციალისტურ მუშურ-გლეხურ ხაფანგს ჰგავს: არ გაქვს ხორცი და აკეთებ სოსისების ქარხანას, რაც მოხდა კიდეც საქართველოში 90-იანი წლების პირველ ნახევარში

**უკვე დაიწყო „მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის" მეორე ეტაპი – „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი", რომელიც სამკომპონენტიანია. პირველი კომპონენტი გულისხმობს 6-თვიანი უპროცენტო სასაქონლო კრედიტის გაცემას მცირე ფერმერებისათვის: ზედა ზღვარი – 5 000 ლარი, საპროცენტო განაკვეთი ფერმერისთვის – 0, თუ ამ ვადაში სესხს ვერ დაფარავს, მას თვეში 3-პროცენტის გადახდა მოუწევს. მეორე კომპონენტი 2-წლამდე შეღავათიანი აგროკრედიტია საშუალო და მსხვილი ფერმერებისათვის, თანხა 5 000-დან 100 000-ლარამდე მერყეობს და მისი საპროცენტო განაკვეთი 8-ს არ აღემატება. მესამე კომპონენტი 7 წლამდე ვადით შეღავათიანი აგროკრედიტის გაცემას გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის, რომლის ზედა ზღვარიც 1 მილიონი ლარი იქნება, საპროცენტო განაკვეთი კი – არაუმეტეს 3-ისა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წელს მესამე კომპონენტში არანაკლებ 60 საწარმოს დაფინანსება იგეგმება. რა შედეგს გამოიღებს ზემოხსენებული პროექტი როგორც გლეხებისთვის, ისე ბანკებისთვის და, რაც მთავარია, რამდენად ეფექტიანი იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის. თემაზე პაატა კოღუაშვილი გვესაუბრება.**

# რატომ ვერ ახერხებს ქართველი გლეხი მიწის დამუშავებას დამოუკიდებლად და რატომ არის მომგებიანი ჩინელების, ინდოელებისა და კოპტებისთვის საქართველოში მიწათმოქმედება

**– ის ღონისძიებები, რომლებსაც ატარებს ხელისუფლება სოფლის მეურნეობის გამოსაცოცხლებლად, შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის არა მხოლოდ ჩვენს დამპურებელ, არამედ მის მომგებიან დარგად ქცევას?**

– სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის რამდენიმე პირობაა: მელიორაციული მომსახურება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურება, ზოოვეტმომსახურება და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობა. ჩვენს გლეხობას მთელი ამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამის საშუალება, ფაქტობრივად, არ ჰქონდა. ბანკები სოფლის მეურნეობას, როგორც სარისკო წარმოების სფეროს, ფაქტობრივად, არ აკრედიტებდნენ. ერთი პროცენტიც კი არ იყო უშუალოდ სოფლის მეურნეობაზე გაცემული კრედიტები და პლუს ამას იყო ძალიან მაღალი საპროცენტო განაკვეთი.

**– დანარჩენ მსოფლიოში როგორაა გადაწყვეტილი აგროკრედიტების საკითხი?**

– მთელ მსოფლიოში ძალიან შეიცვალა დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისადმი, იმიტომ რომ კაცობრიობის არსებობის საძირკველშია ადამიანთა სურსათით უზრუნველყოფა და სწორედ ეს განაპირობებს მის ძალიან დიდ მნიშვნელობას. მაგალითად, იაპონიამ სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისთვის საპროცენტო განაკვეთი საერთოდ გაანულა. შეერთებულმა შტატებმა 2,5 პროცენტამდე დაიყვანა, ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში, საშუალოდ, 3 პროცენტია.

**– იაპონიამ გაანულაო, სახელმწიფო იხდის პროცენტს თუ კერძო ბანკებმა რატომ უნდა გასცენ 0-პროცენტიანი კრედიტები?**

– იქ სხვაგვარადაა საკითხი გადაწყვეტილი. არსებობს სპეციალიზებული ბანკები, არამომგებიანი საბანკო სისტემები, რომლებიც ფერმერთა საკუთრებაა. მსგავსი სისტემები აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, საფრანგეთს, ბელგიას, ჰოლანდიას, გერმანიას და ასე შემდეგ. მისი მთავარი წევრები არიან კოოპერატივები ან ფერმერები. ამიტომ ჩვენთანაც უნდა დაიწყოს სოფლად კოოპერაციის პროცესი, კანონიც ცოტა სხვაგვარი უნდა იყოს და არა ისეთი, როგორსაც დღეს იღებენ. ბანკისთვის ვინ უფრო სანდო კლიენტია: ერთი ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი? რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ კრედიტზე და იქ დაუბრუნებლობის ვარიანტი არ არსებობს?! ამდენად, სასწრაფოდ, დღესვე უნდა შევქმნათ, უფრო კარგი იქნებოდა, გუშინ ან გუშინწინ დაგვეწყო. როდესაც რომელიმე ჩინოვნიკს ეტყვი, რატომ გააკეთეთ ეს პროექტი კომერციული ბანკების მეშვეობითო, გიპასუხებენ, ეს ახლა ვერ მოესწრება. ასეთ ჩინოვნიკს უნდა ვუთხრათ: თუ არ დავიწყეთ, არასდროს არ მოესწრება. ამიტომ უნდა დავიწყოთ. ეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი და აუცილებელია. ამას ავტომატურად ებმება აგროსადაზღვევო სისტემა. მით უმეტეს, რომ ასეთი სისტემა საქართველოში უკვე დამუშავდა, ევროგაერთიანების ექსპერტების მონაწილეობით, ბრიუსელში მოიწონეს და დამტკიცდა. ამერიკელებმა ეს 1916 წელს გააკეთეს.

**– ვაიმე, ასი წლის წინათ?!**

– ფრანგებმა უფრო ადრე, მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში, ეს სისტემა ერთგვარი ურთიერთდახმარების სალაროა. უფროსი ასაკის ადამიანებს ახსოვთ, თამაშობდნენ ეგრეთ წოდებულ სალაროს. მაგალითად, თვეში დებდნენ 50 ლარს და, ვისაც რიგი უწევდა, ის იღებდა სრულ თანხას. აი, ასეთი მარტივი წესით დაიწყო ამ სისტემის მშენებლობა, ძალიან დიდი სრულყოფა განიცადა და დღეს უძლიერესი საბანკო სისტემების სახის არსებობს. თავიდან სახელმწიფოც შედის საწესდებო ფონდის ფორმირებაში. მაშინ, 1916 წელს 125 მილიონი დოლარი ჩადო ამ ფონდში ამერიკის ხელისუფლებამ.

**– ჩვენთანაც შეიქმნა 700-მილიონიანი ფონდი, თუ ასეთი გამოცდილება არსებობს, ამ თანხის ნაწილი სწორედ ასეთი სისტემის შექმნას მოხმარებოდა?**

– ეს საქართველოს მამაცი და ქველი პრემიერ-მინისტრის სწორი გადაწყვეტილებაა, იმიტომ რომ მან იცის, რა არის სოფელი და ესმის სოფლის მნიშვნელობა ჩვენი ერის იდენტობისა და ვინაობის შენარჩუნებისთვის, მისი დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებისთვის. ფონდი კრედიტებს ვერ გასცემდა, ამიტომ მოინახა მარტივი სქემა, რაც საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში იყო აპრობირებული. კომერციულ ბანკებს სთხოვეს ამ პროგრამაში მონაწილეობა, რომ მათ თავიანთი პასუხისმგებლობით გასცენ და დაიბრუნონ ეს კრედიტები. ფონდი კი ბანკებს გადასცემს რაღაც თანამონაწილეობის თანხას, ოღონდ დღემდე ვერ გავიგე, რა არის ეს თანამონაწილეობა, მაგრამ, ფაქტია, ის 9-პროცენტიან სუბსიდირებას გააკეთებს. სქემა ასეთია: ბანკები კრედიტებს გასცემენ 17 პროცენტით, საიდანაც ფონდი ფარავს 9 პროცენტს, ფერმერი კი იღებს 8 პროცენტად. მინდა, ვთქვა, რომ პროცენტი ძალიან მაღალია.

## ამერიკაში ას წელზე მეტია, უცხოელს შეუძლია, იყიდოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მაგრამ რამდენია გაყიდული? 0,7 პროცენტი. რატომ? იმიტომ რომ რეგულაციებია

**– ჩვენთან მაღალ საპროცენტო განაკვეთებს ბანკები ხსნიდნენ მაღალი რისკებით, თუ ფონდი ამ რისკს ანეიტრალებს თავისი გარანტიით, რატომ მაინც 17 პროცენტად?**

– რა თქმა უნდა. არადა, ვიცით, რომ ეს კომერციული ბანკები გვთავაზობენ სამომხმარებლო სესხებს 13,95 პროცენტად. მაშინ 15 პროცენტად მაინც მიეცათ სოფლის მეურნეობისთვის, როდესაც სახელმწიფო დგას გარანტად?! ასეთ შემთხვევაში, გლეხი გადაიხდიდა 6 პროცენტს, 14-ად რომ მისცენ, გლეხი გადაიხდიდა 5 პროცენტს, რაც აბსოლუტურად მისაღებია, მაგრამ კერძო ბანკები ამას არ აკეთებს, ამბობენ, სარისკოაო, არადა, თუ მე, სახელმწიფო, თანამონაწილე ვარ, გადაზღვევას ვაკეთებ, ეს ძალიან მაღალი პროცენტია. ეჭვი მეპარება, გლეხებმა შეძლონ 100 000-ლარიანი კრედიტების აღება, ვფიქრობ, ცოტა სხვანაირად უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ ეს გაკეთდა, ძალიან კარგი იქნება.

**– ვინ შეიძლება, იყოს მილიონიანი აგროკრედიტის პოტენციალური ამღები?**

– აქ ლაპარაკია გადამამუშავებელი წარმოებების შექმნაზე. თუმცა, მე ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის პირველი ამოცანაა სანედლეულო ბაზის შექმნა. როდესაც არ გაქვს ხორცი, ბოსტნეული ან ხილი, წინასწარ არ უნდა აშენებდე საკონსერვო და გადამამუშავებელ ქარხანას. ჯერ უნდა შექმნა ნედლეული და შემდეგ უნდა გადაამუშავო, თორემ ეს ტიპურ სოციალისტურ მუშურ-გლეხურ ხაფანგს ჰგავს: არ გაქვს ხორცი და აკეთებ სოსისების ქარხანას, რაც მოხდა კიდეც საქართველოში 90-იანი წლების პირველ ნახევარში. ამიტომ, უპირველესად, უნდა დადებულიყო სოფლის მეურნეობის სამოქმედო გეგმა და სტრატეგია.

**– როგორც მე გავარკვიე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს არ აქვს დათვლილი, ამ ფონდის მეშვეობით განხორციელებული პროექტებით რის და რამდენ მოსავალს უნდა ველოდოთ, სად გასაღდება ის, ბაზარი თვითონ დაარეგულირებსო. დაარეგულირებს?**

– როდესაც ასეთ ნაბიჯზე მიდის სახელმწიფო, კონცეფციაა დასამუშავებელი, რა გჭირდება, რა შეიძლება, გაიტანო გარეთ და ასე შემდეგ. ისეთ კრიზისულ სიტუაციებში, როგორშიც ჩვენ ვართ, სახელმწიფოები თავად არიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემსყიდველები, დამფინანსებლები და დისტრიბუტორები, ანუ წარმოებული პროდუქციის გამანაწილებლები. გლეხებს აკლიათ კრეატიულობა, ისინი ელიან, რას იტყვის ბატონი ბიძინა მას კი უწყება აწვდის საკითხებს, უწყება კი თავის პრობლემებზე არასდროს დაელაპარაკება. მე სპეციალიზებულ აგროსაკრედიტო სისტემას გავაკეთებდი და ეს დოკუმენტი არის კიდეც მზად და ამას ეყოფა 250 მილიონი. რაც შეეხება მილიონიან კრედიტებს: ამით მხოლოდ გადამამუშავებელი მრეწველობა თუ ისარგებლებს ან, თუ ვინმე გადაწყვეტს მეფრინველეობის ან მეცხოველეობის დიდი კომპლექსის გაკეთებას. თუ ამ კრედიტებს აიღებს ის 60 გადამამუშავებელი საწარმო, რომლებსაც შპს-ეს ფორმა ექნებათ, ეს ნიშნავს, რომ ისევ ისინი დარჩებიან ფასების მკარნახებლებად, მონოპოლისტებად, ისევ ისინი გამდიდრდებიან და არა – მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქართველი გლეხობა. ჩვენ ეს გადამამუშავებელი საწარმოები კოოპერაციულ გაერთიანებებს უნდა გადავცეთ, რომელიც ერთ რაიონში იქნება იმდენი, რამდენი სოფელიცაა.

**(გაგრძელება მე-11 გვერდზე)**

# რატომ ენდობა საფინანსო კომპანია „საქართველოს“ ინგლისელი ბიზნესექსპერტი მაიკლ-კრისტიან დეილი

*2013 წლის თებერვალში საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით დიდად აღემატება სხვა წლების მაჩვენებლებს, რაც საფინანსო კომპანიათა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ტენდენციით არის გამოწვეული.*

*საფინანსო კომპანიები მთელ მსოფლიოში სარგებლობს პოპულარობით, რადგან, ჩვენთანაც და უცხოეთშიც, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ურჩევნია, მისთვის სასურველი უძრავი თუ მოძრავი ნივთის შეძენისას, ისარგებლოს ვადიანი საფინანსო კრედიტით და დაკისრებული საპროცენტო განაკვეთი ისე გადაიხადოს, რომ, ზოგადად, ფინანსური დისკომფორტი არ იგრძნოს. სწორედ ამაში ეხმარებიან მომხმარებლებს მომრავლებული საფინანსო კომპანიები, მაგრამ, საყოველთაო აზრით, საქართველოს საფინანსო კომპანიების საპროცენტო განაკვეთები ბევრად აღემატება უცხოეთში მოქმედი ანალოგიური კომპანიების მიერ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთებს.*

***საქართველოში მოღვაწე ინგლისის მოქალაქე მაიკლ-კრისტიან დეილმა ჩვენთან საუბარში დაგვიდასტურა, რომ უცხოეთის საფინანსო კომპანიები და ბანკები, საქართველოს ანალოგიურ კომპანიებთან შედარებით, გაცილებით ნაკლებ საპროცენტო განაკვეთს სთავაზობენ და, ისიც გვითხრა, რომ ჩვენს ქვეყანაში გამონაკლისი ნახა საფინანსო კომპანია „საქართველოს“ სახით, რომელთანაც 6 წელია, თანამშრომლობს. მან თქვა, რომ:***

– ინგლისში მოსახლეობის დიდი ნაწილი სარგებლობს საფინანსო კომპანიების მომსახურებით და ძალიან იშვიათია რაიმე გაუგებრობა, თითქმის უმტკივნეულოდ ხდება დაკისრებული თანხების გადახდაც. ათი წელია, საქართველოში ფართო მოხმარების საქონლის ბიზნესი მაქვს და ხშირად ვსაჭიროებდი თავისუფალ თანხებს, მაგრამ, სანამ საფინანსო კომპანია „საქართველოს“ მომსახურებას არ მივმართე, დიდად კმაყოფილი არ ვყოფილვარ. საქმე ისაა, რომ აქ ძალიან სწრაფი და კვალიფიციური მომსახურებაა, სესხის ხელშეკრულებით, მოსახლეობისგან აღებულ თანხებზე კომპანია გასცემს წლიურ 30%-იან სარგებელს, რაც საქართველოში სხვა ფირმებს არ აქვთ; ამიტომაც, ამონაგებ თანხებს მათთან ვაბანდებ. საფინანსო კომპანია „საქართველოსთან“ თანამშრომლობამ გაცილებით მომგებიანი გახადა ჩემი ბიზნესი.

***გვესაუბრება ლევან ჭილლაძე – ექსპერტი-იურისტი, რომელიც წლების განმავლობაში ცხოვრობდა ინგლისში და კარგად იცნობს საფინანსო კომპანიების საქმიანობას იქაც და საქართველოშიც.***

**– ბატონო ლევან, რამდენად რეალური თანხის ბრუნვისა და მოგების შანსი საფინანსო კომპანია „საქართველოს“ მიერ მომხმარებლის სასარგებლოდ დაწესებული ანაბრისთვის 30-პროცენტიანი დივიდენდის გაცემის შემთხვევაში? არსებობს თუ არა მსოფლიოში მსგავსი განაკვეთები?**

– მსოფილიო საბანკო სივრცეში პროცენტული მაჩვენებლების სიჭრელეა. ტრანზაქციათა რაოდენობა დამოკიდებულია კომპანიების რენტაბელობაზე, იმაზე, თუ რისი შეთავაზების საშუალებას იძლევა მბრუნავი თანხა. ამის მიხედვით განისაზღვრება დივიდენდების რაოდენობაც. საქართველოს საფინანსო სივრცე მართლაც გამოირჩევა საბანკო და, საერთოდ, საფინანსო კომპანიებში არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთებით მთელ მსოფლიოში არსებულთაგან, მაგრამ, ეს კიდევ ბევრ გარემოებაზეა დამოკიდებული. მოგეხსენებათ, „არის ბაზარი – არის საქონელი“, ასე რომ, ბაზარი თვითრეგულირებადია ამ შემთხვევაშიც. მე არ ვიცნობ საფინანსო კომპანია „საქართველოს“, მაგრამ, ინტერნეტში არსებული ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ, მას საქმიანი პარტნიორული ურთიერთობები აქვს საქართველოს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსა და სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაისთან“ და სარგებლობს მათი კვალიფიციური მომსახურებით. ამიტომაც დოკუმენტაციის უპრეცენდენტოდ ოპერატიულად – სწრაფად და კომფორტულად ადგილზე – ოფისში გადაფორმებისა და დაზღვევის მხრივ, ბევრად განსხვავდება სხვა ანალოგიური კომპანიებისგან. არიან ადამიანები, რომლებიც ფულს არ ხარბდებოდნენ და მცირე, მაგრამ სტაბილურ მოგებას ამჯობინებენ და სჯერდებიან. სწორედ ამ ტიპის ბიზნესმენები არიან, ალბათ, საფინანსო კომპანია „საქართველოში“, რაც, თავისთავად, მისასალმებელი და მისაბაძი პრეცედენტია, რადგან პატიოსანი პარტნიორული ურთიერთობა და გამართული მენეჯმენტი სრულიად შესაძლებელს ხდის, მომხმარებელს მოგების სახით 30-პროცენტიანი განაკვეთი შესთავაზონ.


ირაკლი ყურაშვილი

**– თავად თუ ენდობოდით და ანდობდით მათ სოლიდურ თანხებს?**

– რატომაც არა! ცნობილია, რომ უკეთესად საცხოვრებლად თევზი ეძებს ღრმა წყალს, ადამიანი კი – უკეთეს პირობებს. როგორც კი ასეთი თანხა გამიჩნდება, უფრო კარგად შევისწავლი კომპანიის საფინანსო საქმიანობასა და პერსპექტივებს და შემდეგ არჩევანს სწორედ მასზე შევაჩერებ.

***თემასთან დაკავშირებით კომენტარისთვის დავუკავშირდით „საფინანსო კომპანია საქართველოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს, ირაკლი ყურაშვილს.***

**– ბატონო ირაკლი, რა შეთავაზებები გაქვთ ამჟამად მომხმარებლისთვის?**

– საფინანსო კომპანია „საქართველო“ უკვე მექვსე წელია, საქართველოს საფინანსო ბაზარზეა და მოსახლეობას სთავაზობს სრულიად გამართულ მომსახურებას, მათ შორის – ავტოსალომბარდოსაც, მართვის უფლების დატოვებით, გადაფორმებისა და დაზღვევის სათანადო დოკუმენტაციის და ყველგვარი ფორმალობის მარტივად, ხუთ წუთში, პირდაპირ ოფისში მოგვარებით.

**– რა საწარმოოს ფლობს საფინანსო კომპანია საქართველო?**

– საფინანსო კომპანია საქართველოს ერთ-ერთი შვილობილი კომპანიის საწარმოა საკონდიტრო „თბილისი“, რომელიც აწარმოებს ექსკლუზიურ საკონდიტრო ნაწარმს, დაპატენტებული საგანგებო კალათებით. აქვს შეკვეთები სხვადასხვა ბრენდისგან – სასტუმროებისა თუ რესტორნების სახით.

**– რა სიახლე გაქვთ ამჟამად კომპანიაში და რა იგეგმება მომავალში?**

– ამჟამად ჩვენთან სიახლე გახლავთ ახალი ოთხნიშნა ნომერი (*1818), რომელზეც ჩვენს მომხმარებლებს, დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერი ქსელიდან შეუძლიათ დარეკვა, სამომავლოდ კი ბევრი სიახლე იგეგმება, რომლებზეც, სამწუხაროდ, ახლა ვერ ვისაუბრებ, ეს მოგვიანებით გახდება მედიისთვის ცნობილი.

**სოფი ლორია**

**კვლევის თანახმად, მსოფლიო რეიტინგში კეთილდღეობის მაჩვენებლით საქართველოს პენსიონერები 89-ე ადგილს იკავებენ. ამის პარალელურად, ცნობილია გაეროს მონაცემიც, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში, საშუალოდ, 800 ერთ წლამდე ასაკის ბავშვი იღუპება, მათგან 300-ის დაღუპვის მიზეზი, სწორედაც რომ, საკვების უკმარისობაა. ეს ორი მაჩვენებელიც მოწმობს, რომ, რაგინდ მრავალი ავტობანი ავაშენოთ, ევროსტანდარტებამდე ძალიან შორია. იოსებ არჩვაძესთან ერთად მიმოვიხილავთ ამ სავალალო სტატისტიკის მიზეზებსა და მათი შეცვლის შესაძლებლობებს.**

# რატომ ითვლებიან დასავლეთში პენსიონერები ყველაზე შეძლებულ ფენად და რატომ იღუპება საქართველოში ყოველწლიურად ერთ წლამდე ასაკის 800 ბავშვი



**იმის ალბათობა, რომ ღარიბი ოჯახები ღარიბებად დარჩებიან, ჩვენთან უფრო მაღალია, ვიდრე იმის ალბათობა, რომ მდიდარი ოჯახის შვილები გაღარიბდებიან, მიუხედავად თავიანთი უნარ-ჩვევებისა და ნიჭისა**

**– სხვა ქვეყნებთან შედარებით, რამდენად სავალალოა ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის ჩვენი მაჩვენებელი?**

– ჩვენთან რომ ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის საშუალო ევროპული დონე იყოს, შეგვეძლებოდა, წლის განმავლობაში 500-600 ბავშვის სიცოცხლე გადაგვერჩინა და მოკვდავობის მაჩვენებელი არ იქნებოდა 200-220-ზე მეტი. თუ იაპონიას ავიღებთ, იქ ძალიან იშვიათად იღუპებიან ჩვილები. ჩვენთან, ოფიციალური მონაცემით, ყოველ ათას ბავშვზე 12 ბავშვი იღუპება, ევროპაში ეს მაჩვენებელი არის 6-7, იაპონიაში – 2,8, სინგაპურში – 1,9. ამერიკის მონაცემიც, დაახლოებით, ემთხვევა ევროპულს. ასე რომ, ევროპაზე ორიენტაცია მხოლოდ დროშების ფრიალით კი არ უნდა ავიღოთ, არამედ, იმ სისტემური ყურადღებითა და მიდგომით, რასაც ისინი იჩენენ ცალკეული სოციალური ჯგუფების მიმართ.

**– პოსტსაბჭოთა სივრცესთან შედარებით როგორ გამოვიყურებით?**

– ეს მაჩვენებლები: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა და სხვა, ძალიან მაღალ კორელაციაშია ცხოვრების დონესთან. მხოლოდ ქველმოქმედება და შემოწირულობა ამ პრობლემას ვერ უშველის. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ცხოვრების დონის საერთო გაუმჯობესებაზე, – აი, ეს არის ამ პრობლემის გასაღები, რომ შევამციროთ, ჯერ, ბავშვთა მოკვდაობა და შემდეგ, გავზარდოთ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.

პენსიონერთა რაოდენობას უნდა შევხედოთ სტრუქტურულადაც: ჩვენთან 1999 წელს საპენსიო ასაკმა გადაიწია 5 წლით, თუმცა განვითარებულ ქვეყნებში ნებისმიერი ხელისუფლება ერიდება ასეთი მყისიერი ნაბიჯის გადადგმას, რადგან საკმარისია, ხელისუფლებაში მყოფმა ძალამ გამოაცხადოს საპენსიო ასაკის გაზრდა, ჩათვალეთ, ეს პოლიტიკური ხარაკირი იქნება მისთვის. ამიტომ ევროპულ ქვეყნებს აქცენტი აღებული აქვთ 15-20-25-წლიან პერიოდზე. ისინი ლაპარაკობენ, თუ როგორ მოხდება საპენსიო ასაკის ზრდა, მაგალითად, 2025 წლისთვის და ამას უკავშირებენ სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას. არის ცალკეული გათვლები, რის მიხედვითაც, 2030 წლისთვის საპენსიო ასაკი, დაახლოებით, ისეთივე იქნება, როგორიც იყო გასული საუკუნის 80-ანი წლების დასაწყისში.

**– ანუ მაღალი?**

– მაღალი, რაც ნიშნავს, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზრდება, თუმცა თანაფარდობა სიცოცხლის ხანგრძლივობასა და საპენსიო ასაკს შორის, უცვლელი დარჩება. სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას ჰქვია „ასაკის ინფლაცია“. ეს ნიშნავს, თუ, მაგალითად, 2030 წელს 65 წლის ადამიანი ისე იგრძნობს თავს ჯანმრთელობის მხრივ, როგორც დღეს 60 წლის ადამიანი, რაც დრო გავა, მით უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფში იქნება დაბერება გათვალისწინებული.

**– თუ ასე მივუდგებით საკითხს, მაშინ საპენსიო ასაკის ზრდა საგანგაშო არ უნდა იყოს?**

– საგანგაშო არ არის, თუ ის მისდევს ცხოვრების დონისა და კეთილდღეობის ზრდას. ამიტომ სტრატეგიული ხაზი უნდა ავიღოთ საპენსიო ასაკის ინდექსაციაზე. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ საპენსიო ასაკიც გაიზარდოს იმ თანაფარდობით, როგორც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის კვალობაზე იზრდება ჯანმრთელი ცხოვრების პერიოდი, რაკი უფრო გვიან დგება ავადმყოფობისა და ბიოლოგიური დაბერების სხვა შეუქცევადი ბიოლოგიური პროცესები.

**– ჩვეთან პირიქითაა, საპენსიო ასაკს ადამიანები ელოდებიან, როგორც შვებას, რადგან პენსიას მაინც აიღებენ.**

– ჩვენთან, რატომღაც, პენსიონერებმა დაივიწყეს პიპინია ერისთავის ნათქვამი: აწი ვაპირებ ცხოვრებასო.

**– მე ვიტყოდი, უფრო დაავიწყებინეს.**

– ჩვენ უნდა შევქმნათ პირობები იმისთვის, რომ პენსიონერმა თავი იგრძნოს სრულყოფილ პიროვნებად და ახალგაზრდა ასაკში მიუღწეველი სურვილები მაინც დაიკმაყოფილოს: მოგზაურობა იქნება თუ ახალი შთაბეჭდილებების მიღება.

**– რა იგულისხმება ევროპული გაგებით პენსიონრების კეთილდღეობაში?**

– კეთილდღეობის სხვადასხვა ინდიკატორი არსებობს და ნიშნავს ნორმალურ ფიზიკურ მდგომარეობას, კვებას, ძილს, საცხოვრებლის ფართობს, შემოსავალს, მიმდინარე მოთხოვნილებების მეტნაკლებად სრული სახით დაკმაყოფილებას. ჩვენგან განსხვავებით, ევროპასა და ამერიკაში პენსიონერთა მატერიალური კეთილდღეობა, დაახლოებით, 1,5-ჯერ უკეთესია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში.

**– ყველაზე წელგამართული ფენაა პენსიონერები?**

– სიღარიბის დონე მათში გაცილებით დაბალია, შემოსავლებისა და დანაზოგების დონე – გაცილებით მაღალი. საბჭოთა პერიოდის დამსახურება თუ ბრალი იყო, მაგრამ მაშინ მოსახლეობის 83-85 პროცენტს ჰქონდა ანაბრები და დღეს ეს მაჩვენებელი შედარებით მცირეა. უფრო მეტიც, იმ ჯგუფში, ვისაც დეპოზიტებზე ანაბარი აქვთ გახსნილი, პენსიონერთა რიცხვი ძალიან მცირეა.

**– რა იწვევს ბავშვთა მაღალ მოკვდაობას, დედების ჯანმრთელობის მდგომარეობა, არასრულფასოვანი კვება და ასე შემდეგ? ყოველწლიურად ერთ წლამდე ასაკის 800 ბავშვის სიკვდილი კატასტროფული მაჩვენებელი მგონია ჩვენი დემოგრაფიის მქონე ქვეყნისთვის.**

(გაგრძელება მე-13 გვერდზე)


## კოლხი წინასწარმეტყველი და პარაფსიქოლოგი ნათია



*ბავშვობიდან უფლისადმი უსაზღვრო სიყვარულით, სათნოებითა და მორჩილებით, ემსახურება ხალხს. წლების განმავლობაში ის უამრავ ადამიანს დახმარებია. ამჟამად ამერიკიდან მოუვიდა მოწვევა, თუმცა, არ სურს წასვლა უცხოეთში, რადგან მისი მიზანია, ემსახუროს ქართველ ხალხს და თავისი ენერგია ბოლომდე მას მოახმაროს. თუკი გამოუჩნდება სპონსორი, დიდი სიამოვნებით დარჩება საქართველოში.*

**კოლხი წინასწარმეტყველის პაციენტები:**

**მამუკა ჩალაძე** *(50 წლის ბიზნესმენი):* საკმაოდ კარგად აწყობილი ბიზნესი მქონდა მოსკოვში, მაგრამ, გავიცანი ბიზნესპარტნიორი ქალი, რომლის გარეგნობამ ისე მომხიბლა, მთლიანად გრძნობებზე გადავერთე. მხოლოდ დროსტარებასა და საკუთარ სიამოვნებაზე ვფიქრობდი. ამის გამო ჩემი ბიზნესი ნელ-ნელა იმდენად უკან წავიდა, გაკოტრების პირას მივედი. მაგრამ, საბედნიეროდ, შარშან ძმაკაცმა მირჩია ქალბატონ ნათიასთან მისვლა. მას პირველად მოსკოვში შევხვდი. აღმოჩნდა, რომ ჩემი ყველა პრობლემა ჯადოსგან და გათვალვისგან მოდიოდა, რომლის მიზეზიც ჩემი ბიზნესპარტნიორი იყო. ქალბატონმა ნათიამ წამიკითხა სპეციალური ლოცვები, გამიკეთა ბოროტი ძალისგან დამცავი თილისმა და მას შემდეგ ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. ახლა ბიზნესის გაფართოებასაც ვგეგმავ, ულრმესი მადლობა ქალბატონ ნათიას.

**ელენე თორდია**: განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ნათიას. ჩემს ქალიშვილს ბედი ჰქონდა ჩაკეტილი – 35 წლის იყო და ვერ თხოვდებოდა, არადა, გარეგნულად დასაწუნი არაფერი აქვს. სწორედ ნათიასთან ხშირმა ვიზიტებმა გამოიღო ის შედეგი, რომ დღეს მე ორი შვილიშვილის ბებია ვარ და მიხარია, რომ ჩემმა შვილმა ოჯახი შექმნა.

*კოლხი წინასწარმეტყველი ხსნის ჯადოს, გათვალვას, შიშებს, ნევროზს, ამზადებს ბოროტი ძალისგან დამცავ თილისმას. აქვს მომავლის განჭვრეტის საოცარი უნარი.*

**ჩაწერა ხდება წინასწარ, ტელეფონზე: 599-98-74-25, 514-45-18-81. skype _ bulvarzelioni**

# გაზაფხული იმუნიტეტზე ზრუნვის დროა

ყველასთვის კარგად არის ცნობილი სიტყვა – იმუნიტეტი. იმუნიტეტი არის ორგანიზმის უნარი, დაიცვას თავი სხვადასხვა ინფექციისა და მავნე ფაქტორებისგან.

ასევე, ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გამართულად მუშაობს ჩვენი იმუნური სისტემა.

განსაკუთრებით აქტუალურია იმუნიტეტზე ზრუნვა შემოდგომაზე და ზამთარში, როცა მაღალია ინფექციური დაავადებების რისკი. თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ გაზაფხულზეც ასევე მნიშვნელოვანია ცივი ზამთრის შემდეგ დაქვეითებული იმუნიტეტის გაძლიერება. იმუნოდეფიციტის გამოვლინება ხშირი და გახანგრძლივებული ავადობაა, კერძოდ – ხშირი რესპირატორული ინფექციები. იმუნოდეფიციტი დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანის ორგანიზმს, რადგან, ბანალური გაციება ან გრიპიც კი, შესაძლოა, სერიოზული გართულების მიზეზი გახდეს და საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას.

თუ თქვენ ხშირად გემართებათ გრიპი, სურდო და სასუნთქი სისტემის სხვა მწვავე და ქრონიკული ინფექციური დაავადებები, აუცილებლად უნდა იზრუნოთ იმუნიტეტის გაძლიერებაზე.

ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია სპეციფიური პრეპარატების – იმუნოსტიმულატორების გამოყენება. დღესდღეობით ძალიან ეფექტური და პოპულარულია ეგრეთ წოდებული ბაქტერიების ლიზატების გამოყენება გრიპის, გაციების, ვირუსული და ბაქტერიული ინფექციების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის.



მათ შორის გამოვარჩევ პრეპარატ „ისმიჟენს”, რომლის წარმოების ლიცენზია, ქართულმა ფარმაცევტულმა საწარმო „ჯი-ემ-პიმ“ 2011 წლის მაისში მოიპოვა შვეიცარიული კომპანია „ლალემან ფარმასგან“ (Lallemand Pharma). „ლალემან ფარმამ“ ანალოგიური ლიცენზია გადასცა ბრიტანულ ფარმაცევტულ კომპანია „გლაქსოსმიტკლაინს“ (GlaxoSmithKline) აღმოსავლეთ ევროპასა და უკრაინაში პრეპარატების რეალიზაციისთვის. ქართული ფარმაცევტული საწარმო „ჯი-ემ-პისთვის“ დიდი მიღწევა და აღიარებაა შვეიცარული კომპანიის მხრიდან ასეთი ნდობის გამოცხადება, მით უმეტეს, რომ „ლალემან ფარმას” პარტნიორები ევროპაში ცნობილი და აღიარებული კომპანიები არიან.

საქართველოში გამოჩენის დღიდან, „ისმიჟენი” აქტიურად გამოიყენება სასუნთქი სისტემის დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტისთვის. „ისმიჟენზე” მრავალი კვლევაა ჩატარებული და ის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და უსაფრთხო თანამედროვე საშუალებად არის აღიარებული სასუნთქი სისტემის დაავადებების დროს იმუნიტეტის ასამაღლებლად.

„ჯი-ემ-პი” – ევროპული სტანდარტებით მომუშავე პირველი ქართული ფარმაცევტული საწარმოა, რომელიც მუდმივად ცდილობს, უახლესი თაობის, თანამედროვე პრეპარატები შესთავაზოს მომხმარებელს და საქართველოში ხელმისაწვდომი გახადოს ევროპასა თუ ამერიკაში დანერგილი თანამედროვე პრეპარატები.

**კახა ვაჭარაძე**

**საქართველოს რესპირატორული ასოციაციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი**

## რატომ ვერ ახერხებს ქართველი გლეხი მიწის დამუშავებას დამოუკიდებლად და რატომ არის მომგებიანი ჩინელების, ინდოელებისა და კოპტებისთვის საქართველოში მიწათმოქმედება

(მე-8 გვერდიდან)

**– მე, როგორც მივხვდი, ჯერჯერობით ამ პროექტით ყველაზე მომგებიან მდგომარეობაში ისევ ბანკები აღმოჩნდნენ. სასოფლო-სამეურნეო ბარათების პროექტი გამოიღებს სასურველ შედეგს?**

– რაც არის, ამას არაფერი არ ეშველება, მაგრამ სამომავლოდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ შეიძლება, სოფლად მცხოვრებ ყველა ადამიანს, ვისაც მიწა აქვს, აძლიო ასეთი ბარათი. მიწათმოქმედის სტატუსია მისაღები, გავიგოთ, ვინ არის ეს გლეხკაცი, რა უფლებები და მოვალეობები აქვს. ბენდუქიძემ ეს სტატუსი გააუქმა 2005-ში, თუმცა მთელ მსოფლიოში არსებობს. იმიტომ რომ სოფლად ცხოვრობს ექიმიც, მასწავლებელიც, კულტურის მუშაკიც, მძღოლიც და ისინი არ არიან სოფლის მეურნეები.

**– ნიშნავს, რომ ეს 700 მილიონი არაეფექტიანად დაიხარჯება?**

– წელს ვერ მოხდება ამ თანხის ათვისება. კანონია მისაღები მიწის კონსოლიდაციის შესახებ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ, სოფლის სტატუსის შესახებ. სხვანაირად არ გამოვა. გადავხედოთ გერმანიის მაგალითს, იტალიის მაგალითს. თავის დროზე პირველი კოოპერატივები 1570-იან წლებში იტალიაში გაკეთდა. დღეს ჩვენი სოფლის მეურნეობა არ არის მზად მილიარდის ასათვისებლად. ყველანი შევთანხმდით, რომ გლეხკაცი უნდა გავაძლიეროთ, სოფელი ავაღორძინოთ, ახლა გზებზეა ლაპარაკი. ჯერ ამაზე უნდა შევთანხმდეთ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვერ ერევა ზოგიერთ პრობლემას. უამრავჯერაა ეს დაწერილი, მაგრამ , ბატონ ბიძინას არ ეუბნებიან. აი, მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკანონებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ღია ბაზარზე გატანა და დღეს ნებისმიერ უცხოელს აქვს საქართველოში მიწის ყიდვის უფლება, მაშინ, როდესაც გალატაკებულია ქართველი გლეხკაცი, არადა, საქართველოში ბიძინა ივანიშვილის გარდა ერთი კონკურენტუნარიანი მოქალაქე არ არის, რომელიც ამ მიწას იყიდის. ხომ ხედავთ, რა ხდება, მიაქვთ ყველაფერი ინდოელებს, ჩინელებს...

**– სულ მიკვირს, თუ ქართველი გლეხისთვის არამომგებიანია მიწის დამუშავება, რატომ ეწაფებიან ამ მიწას უცხოელები? თავიანთი დაკრედიტებით ჩამოდიან?**

– საქართველოში 4 000 კოპტია ჩამოსული, ძველი ეგვიპტელები, მიწის ნაკვეთებს ყიდულობენ დასავლეთ საქართველოში. ეგვიპტური სოფელი უნდა გავაკეთოთო. 22 000 სპარსია, ინდოელები, ჩინელები. ჩინელები და ინდოელები დაფინანსებულები მოდიან. მაგრამ, რა გინდა, რომ უქნა ამ საკონსტიტუციო სასამართლოს?! ვამზადებთ სარჩელს ახალგაზრდა იურისტებთან ერთად, შევიტანთ, მაგრამ იტყვის, განიხლვას არ ექვემდებარებაო, ამიტომ მიწის არსებულ კანონმდებლობაში ისეთი რეგულაციები უნდა შევიტანოთ, რაც წინააღმდეგობაში არ მოვა ამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან.

**– ეს შესაძლებელია?**

– კი ბატონო, ჩვენ ვაღიარებთ, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყიდვის უფლება აქვს უცხოელს, საქართველოში დაფუძნებულ იურიდიულ პირს, რომელშიც მონაწილეობას იღებს უცხოელიც. არ უარვყოფთ ამას, მაგრამ ისეთი შეზღუდვები და რეგულაციები უნდა შევიტანოთ, რაც აქვთ საფრანგეთს, გერმანიას, ავსტრიას, შვეიცარიას, ირლანდიას, პოლონეთს, საერთოდ ყველას. მაგალითად, ჩეხეთი ევროკავშირის წევრია და მისი კანონმდებლობით, ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქეს აქვს უფლება, იყიდოს ჩეხეთში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მაგრამ მოქმედებს რეგულაციები. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ას წელზე მეტია, უცხოელს შეუძლია, იყიდოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მაგრამ რამდენია გაყიდული? 0,7 პროცენტი. რატომ? იმიტომ რომ რეგულაციებია. მყიდველს უნდა ჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო განათლება, სოფლად ცხოვრების გამოცდილება, შესაბამისი კაპიტალი, იმ ქვეყანაში უნდა ცხოვრობდეს ათი წელი და, მათ შორის, სოფლად 5 წელი. კიდევ ბევრი შეზღუდვებია. მაგალითად, თურქეთში უცხოელს არ შეიძლება, ჰქონდეს ამდენი და ამდენი მიწა, თურქეთში არ შეიძლება, რომ ამდენი და ამდენი პროცენტი მიწის იყოს უცხოელების ხელში. იგივეა ყველგან და ჩვენთანაც ასე უნდა იყოს, რომ დავიცვათ ჩვენი ერის საარსებო ბაზა!

**ნინო ხაჩიძე**

**ნდობის ტელეფონი**

**0902200200**

**SMS – 93094**



**დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან**

**ზარი ფასიანია**

# რომელ პრეზიდენტებს აქვთ მიღებული ყველაზე მეტი ხმა არჩევნებში და ვინ არის ამ მხრივ რეკორდსმენი საქართველოს პრეზიდენტებს შორის

*2013 წლის ოქტომბერში საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული და ქვეყანა მეექვსედ აირჩევს უმაღლეს მთავარსარდალს. მანამდე კი საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები ერთი კანდიდატის უპირატესობით მთავრდებოდა: 1991 წელს ზვიად გამსახურდიამ ხმათა 87,03 პროცენტით გაიმარჯვა; 1995 წელს ედუარდ შევარდნაძე ხელისუფლებაში მოსახლეობის 74,04 პროცენტის მხარდაჭერით მოვიდა; 2000 წელს შევარდნაძემ ხელმეორედ იყარა კენჭი და ამჯერად ხმათა 79,04 პროცენტი მიიღო; ვარდების რევოლუციით მოსული მიხეილ სააკაშვილი ხმათა რეკორდული რაოდენობით გახდა პრეზიდენტი – 2004 წელს 96,24 პროცენტი მიიღო, ხოლო, ჯერჯერობით ბოლო, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე სააკაშვილმა ამჯერად ნაკლები პროცენტული მაჩვენებლით – 53,47 პროცენტით – მეორე ვადით მოახერხა გამარჯვება. საინტერესო იქნება, გავეცნოთ, თუ რომელ ქვეყნებში დაფიქსირდა ერთი კანდიდატის მიერ საპრეზიდენტო არჩევნებში მოპოვებული ხმათა რეკორდული მაჩვენებლები.*

### პოლ ბია (კამერუნი) – 1984 წელს მიიღო ხმათა 99,98 პროცენტი

პარიზში განათლებამიღებულმა კამერუნელმა პოლიტიკოსმა პოლ ბიამ 1984 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ფენომენალური შედეგი აჩვენა – მან თითქმის ხმათა 100 პროცენტი მიიღო. მიახლოებული შედეგი მან 1988 წლის არჩევნებშიც დააფიქსირა – ხმათა 98 პროცენტი. უკანასკნელად პოლ ბია კამერუნის პრეზიდენტობაზე კენჭს 2011 წელს იყრიდა და ხმათა 77,99 პროცენტით კვლავ გამარჯვება მოიპოვა.



### საპარმურატ ნიაზოვი (თურქმენეთი) – 1992 წელს მიიღო ხმათა 99,5 პროცენტი

პირველად საპარმურატ ნიაზოვმა პრეზიდენტის თანამდებობა 1990 წელს დაიკავა, ჯერ კიდევ თურქმენეთის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში. ორი წლის შემდეგ ნიაზოვი უალტერნატივო კანდიდატი იყო არჩევნებში, ერთი წლის შემდეგ კი მან თავი „თურქმენბაშად," ანუ, „ყველა თურქმენის მამად" გამოაცხადა. 1999 წელს ნიაზოვი სამუდამო პრეზიდენტად გამოაცხადეს. 2007 წელს კი თურქმენეთში პირველი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა ნიაზოვის გარდაცვალების შემდეგ და თურქმენებმა გურბანგულ მუჰამედოვი აირჩიეს.

### ფერდინანდ მარკოსი (ფილიპინები) – 1981 წელს მიიღო ხმათა 88 პროცენტი

ფილიპინელი დიქტატორის რვა საარჩევნო კამპანიიდან მეხუთეში, მარკოსმა ხმათა უმრავლესობა მიიღო. არჩევნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ კი, იძულებული გახდა ქვეყნიდან გაქცეულიყო. გაქცევიდან სამ წელიწადში მან ჰავაის კუნძულებზე დაასრულა სიცოცხლე, ისე, რომ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მიუღია.

### ისლამ ქარიმოვი (უზბეკეთი) – 1991 წელს მიიღო ხმათა 86 პროცენტი

1991 წლის უზბეკეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე ისლამ ქარიმოვმა ხმათა 86 პროცენტი მიიღო და პრეზიდენტი გახდა, თუმცა, ქვეყნის სათავეში იგი ერთი წლით ადრე, უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით იყო მოსული. მას შემდეგ ქარიმოვი სამჯერ გადაირჩიეს. 2002 წლიდან, ნაციონალური რეფერენდუმის გადაწყვეტილებით, საპრეზიდენტო ვადა 5-ის ნაცვლად 7-წლიანი გახდა. საინტერესოა, რომ 1995 წელს ქარიმოვმა სურვილი გამოთქვა, რომ აღარ ეყარა კენჭი პრეზიდენტობაზე, თუმცა მისი სურვილი სურვილად დარჩა და ის დღემდე უზბეკეთის პრეზიდენტია.



### ჟაკ შირაკი (საფრანგეთი) – 2002 წელს მეორე ტურში მიიღო ხმათა 82,21 პროცენტი

ჟაკ შირაკი პრეზიდენტის თანამდებობაზე 12 წელი იმყოფებოდა. მის პრეზიდენტობას დაემთხვა საკონსტიტუციო ცვლილება, რომლის თანახმად, საფრანგეთის პრეზიდენტს 7-ის ნაცვლად, პრეზიდენტობის ვადა 5 წლით განესაზღვრა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შირაკი ფრანსუა მიტერანის რეკორდს გაიმეორებდა, რომელიც 14 წლის განმავლობაში ედგა საფრანგეთს სათავეში. ცნობისთვის, შირაკის მეტოქე 2002 წლის არჩევნებში იყო ნაციონალური ფრონტის ლიდერი ჟან-მარი ლე პენი, რომელმაც ხმათა მხოლოდ 17 პროცენტის მოგროვება მოახერხა.



### ემომალი რაჰმონი (ტაჯიკეთი) – 2006 წელს მიიღო ხმათა 79,3 პროცენტი

ემომალი რაჰმონი 1994 წლიდან იყრის კენჭს ტაჯიკეთის პრეზიდენტობაზე და, მიუხედავად იმისა, რომ მას მუდამ ჰყავს ოპონენტი, არჩევნების შედეგი არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე არის ხოლმე ცნობილი. ტაჯიკეთის კონსტიტუცია რაჰმონისთვის უკვე რამდენჯერმე შეიცვალა და ხუთის ნაცვლად მას ამჟამად პრეზიდენტობის შვიდწლიანი მმართველობის უფლება აქვს. ამჟამინდელი ვადა რაჰმონისთვის მესამეა, თუმცა, ცნობილია, რომ იგი შემდეგ არჩევნებშიც მიიღებს მონაწილეობას.

### ლეხ ვალენსა (პოლონეთი) – 1990 წლის არჩევნებში მიიღო ხმათა 74,25 პროცენტი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1990 წლის საპრეზიდენტო არჩევნები პირველი დემოკრატიული არჩევნები იყო ამ ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოში. არჩევნების დროს მეორე ტურის დანიშვნა გახდა აუცილებელი და, პროფკავშირების „სოლიდარნოსტის" ლიდერმა ვალენსამ ხმათა უმრავლესობით აჯობა კომუნისტ სტანისლავ ტიმინსკის. 1995 წელს ვალენსამ მეორედ იყარა კენჭი არჩევნებში, თუმცა, ალექსანდრ კვასნევსკისთან დამარცხდა და საბოლოოდ წავიდა პოლიტიკიდან.

### ვლადიმირ პუტინი (რუსეთი) – 2004 წელს მიიღო ხმათა 71,3 პროცენტი

2004 წლის რუსეთის ფედერაციის არჩევნებში ვლადიმირ პუტინმა პირველივე ტურში მნიშვნელოვანი სხვაობით გაიმარჯვა და მეორე ვადით გახდა რუსეთის პრეზიდენტი. პუტინის გამარჯვება იმდენად მოსალოდნელი იყო, რომ კომუნისტებისა და ლიბერალ-დემოკრატების ლიდერებმა, გენადი ზიუგანოვმა და ვლადიმირ ჟირინოვსკიმ საკუთარი კანდიდატურები არ წარადგინეს.



### საული ნიინისტე (ფინეთი) – 2012 წელს მიიღო ხმათა 62,6 პროცენტი

ფინეთის 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მონაწილე რვა კანდიდატიდან მეორეში ორი გავიდა: ნაციონალური კოალიციის ლიდერი საული ნიინისტე და „მწვანეების" ლიდერი პეკა ჰაავისტო, რომელმაც მეორე ტურში ნიინისტეზე ორჯერ ნაკლები ხმები მოიპოვა. ნიინისტე ფინეთის ისტორიაში ხალხის მიერ არჩეული მესამე პრეზიდენტია – 1994 წლამდე ფინეთის პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევდა.

### ლინდონ ჯონსონი (ამერიკის შეერთებული შტატები) – 1966 წელს ხმათა 61,1 პროცენტი მიიღო

ამერიკის შეერთებული შტატების რიგით 36-ე პრეზიდენტს, ლინდონ ჯონსონს, პრეზიდენტის პოსტი ერთ ვადაზე მეტხანს ეკავა – 1963 წელს მოკლული ჯონ კენედი მან ჩაანაცვლა, როგორც მოქმედმა ვიცე-პრეზიდენტმა. სწორედ ჯონსონს ეკუთვნის რეკორდი ამერიკის პრეზიდენტთა შორის მიღებული ხმების რაოდენობაში. მანამდე 60-პროცენტიანი ზღვრის გადალახვა მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა – 1936 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ფრანკლინ რუზველტმა მეორე ვადით არჩევისას მოსახლეობის ხმათა 60,8 პროცენტი მიიღო.

**უშანგი რუხაძე**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რატომ ითვლებიან დასავლეთში პენსიონერები ყველაზე შეძლებულ ფენად და რატომ არ სჭირდება საქართველოში ნიჭი და უნარები გამდიდრებასა და სიმდიდრის შენარჩუნებას

(მე-10 გვერდიდან)

– აბსოლუტური მატება, ანუ ბუნებრივი მატების მაჩვენებელი, სხვაობა შობადობისა და მოკვდაობის აბსოლუტურ მაჩვენებლებს შორის, ბოლო მონაცემებით, იყო 7 000-ზე ოდნავ მეტი. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 45 000-55 000-ს წლების მიხედვით, ანუ, საშუალოდ, 50 000 იყო. სამი წლის წინათ მატება გვქონდა 15 000, მაგრამ შემდეგ შემცირდა, რადგან რამდენიმე ათასით გაიზარდა მოკვდაობის მაჩვენებელი და 3 000-4 000-ით შემცირდა შობადობის მაჩვენებელი, ამიტომ მათ შორის სხვაობამ იკლო.

**– რა კომპონენტები იწვევს ამას?**

– კვება, ჯანდაცვის სისტემა, პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენა, ამისადმი მოსახლეობის კულტურის დაბალი დონე. უნდა იცოდე, როგორ მოიქცე, რა კვების პროდუქტები მოიხმარო. ესეც თავის როლს ასრულებს.

**– გაეროსვე მონაცემებით, საქართველოში 16 წლამდე ბავშვთა 9 პროცენტი უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს, 25 პროცენტი – ფართობით სიღარიბეში, ანუ 35 პროცენტი არასრულფასოვან გარემოში იზრდება. რას ნიშნავს ეს, რომ ისინი არასრულფასოვან მოქალაქეებად გაიზრდებიან?**

– უკეთეს შემთხვევაში, იქმნება სოციალური ფონი ქართველი გავროშების კვლავწარმოებისთვის; უარეს შემთხვევაში, იმ ტიპის ცხოვრების წესი ქმნის ამადუს ცნობილი რომანის, „ქვიშის კარიერის გენერლების“ გმირებს. ჯერ კიდევ 2 000-იან წლების დასაწყისში ჩატარდა კვლევა ბავშვთა შრომის შესახებ საქართველოში და აღმოჩნდა, რომ საქართველოში 15 წლამდე ასაკის რამდენიმე ათეულათასობით ბავშვი იყო, რომლებიც არც სწავლობდნენ, არც მუშაობდნენ და თავიანთ ნებაზე იყვნენ მიშვებულნი. დღეს ეს ციფრი, ალბათ, კიდევ უფრო მაღალი იქნება.

**– პრაგმატულად რომ შევხედოთ საკითხს: ასეთ პირობებში გაზრდილი ბავშვი, თუ მიაღწევს საპენსიო ასაკს, სახელმწიფოს უფრო ძვირი არ დაუჯდება?**

– თქვენ უფრო ოპტიმისტურად უყურებთ საკითხს: ისინი საპენსიო ასაკის მიღწევამდეც შეუქმნიან პრობლემებს საზოგადოებასაც და საკუთარ თავსაც, იმიტომ რომ ხდება მათი მაუგლიზაცია. ის შეიძლება, სარგებლობდეს ტრანსპორტით, ლიფტით, მაგრამ იყოს გაუცხოებული და არ ჰქონდეს კომუნიკაბელურობა, არ ფლობდეს ქცევისა და კომუნიკაციის იმ ნორმებს, რაც მიღებულია საზოგადოებაში. ესეც ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით. ხოლო, პესიმისტური გათვლებით, მივიღებთ იმას, რაც ილია ჭავჭავაძემ აღწერა თავის მოთხრობაში „სახრჩობელაზედ“: ასოციალურ პირობებში ისინი ჩამოყალიბდებიან დამნაშავეებად. ამიტომ ჯობია მეტი მზრუნველობა გამოვიჩინოთ ამ ბავშვებისადმი, მოვაქციოთ ისინი გარკვეულ ჩარჩოებში მანამ, სანამ დაკარგავენ ამ დროს, რადგან შემდეგ მათი ადაპტაცია და რესოციალიზაცია გაცილებით რთული იქნება, თუ დაგვიანებული არ აღმოჩნდა.

**– თუ არის ასეთი მონაცემი: როგორ მოქმედებს მძიმე სოციალური პირობები ბავშვის გონებრივ შესაძლებლობებზე?**

– ამის სტატისტიკა არ არის, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მაღალ კავშირშია ერთმანეთთან, იმიტომ რომ ადამიანს სჭირდება ახალი ინფორმაცია, შთაბეჭდილებები, გარემოსთან ადაპტირება, რაც უფრო მოკლებულია ამ პირობებს ბავშვი, მით მოკლებულია ის გონებრივი განვითარების შესაძლებლობას. მარტო ბუნებრივი ნიჭით კი ფონს ვერ გავა. ჩვენ ბევრი გონებაგახსნილი ადამიანი გვინახავს, თუმცა მათ სათანადო სწავლა-განათლების მიღების გარეშე საკუთარი თავის რეალიზაცია ვერ მოუხდენიათ. სოციალურმა ლიფტებმა რომ იმუშაოს, ჩვენ გვჭირდება არა მარტო ბუნებით ნიჭიერი ადამიანები, არამედ მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, იმისთვის, რომ გამოავლინონ თავიანთი ნიჭი და მოახდინონ თვითრეალიზება.

**– გამოდის, რომ ჩვენ ვკარგავთ მეოთხედს იმ შემოქმედებითი ძალიდან, რომელმაც უნდა შექმნას ამ ქვეყნის მომავალი. თუ კრეატიული, გონებრივად განვითარებული ადამიანების კრიტიკული მასა არ გვეყოლა, პროგრესს რა გამოიწვევს?**



სოციალური ლიფტები ჩვენთან ვერ მუშაობს, არადა, მთელ მსოფლიოში, ევროპასა თუ ამერიკაში და ახლა უკვე რუსეთშიც, ნიჭიერ პიროვნებას სათანადო პირობებს უქმნიან, რომ შეძლოს თავისი ამ უნარების უკეთ გამოვლენა

– არსებობს ამის საფრთხე. განვითარების პერსპექტივა და რესურსი უკავშირდება თვითკმარი სისტემის ჩამოყალიბებას. იმის ალბათობა, რომ ღარიბი ოჯახები ღარიბებად დარჩებიან, ჩვენთან უფრო მაღალია, ვიდრე იმის ალბათობა, რომ მდიდარი ოჯახის შვილები გაღარიბდებიან, მიუხედავად თავიანთი უნარ-ჩვევებისა და ნიჭისა. ამიტომ ეს მომენტი გასათვალისწინებელია. ვახსენე სოციალური ლიფტები, რაც ჩვენთან ვერ მუშაობს, არადა, მთელ მსოფლიოში, ევროპასა თუ ამერიკაში და ახლა უკვე რუსეთშიც, ნიჭიერ პიროვნებას სათანადო პირობებს უქმნიან, რომ მათ შეძლონ თავიანთი ამ უნარების უკეთ გამოვლენა და მეტი სოციალური აქტივობა.

**– თუკი ბავშვების პირობები რამდენიმე წელიწადში შეიძლება, გამოსწორდეს და დრო მეტ-ნაკლებად ითმენსავით, პენსიონერებს ამდენი დრო არ აქვთ. ვინმეს პოსტსაბჭოთა**

> **თუ 2030 წელს 65 წლის ადამიანი ისე იგრძნობს თავს ჯანმრთელობის მხრივ, როგორც დღეს 60 წლის ადამიანი გრძნობს. ამას ჰქვია „ასაკის ინფლაცია“**

**სივრცეში აქვს ჩვენზე უარესი მდგომარეობა, ამ მხრივ?**

– ჩვენზე ცუდი ვითარებაც არის, მაგალითად, ტაჯიკეთში, თუმცა თურქმენეთზე მონაცემები ნაკლებად ვრცელდება. ჩვენ ოდნავ ვუსწრებთ მოლდოვას. მაგრამ მთლიანობაში ასეთი სიტუაციაა: საშუალო ეკონომიკურ დონესთან შედარებით, ჩვენი პენსიონერების მდგომარეობა უფრო უარესია, ვიდრე ქვეყანაში საშუალო ეკონომიკური მდგომარეობა. ჩვენ ნაკლები გვყავს დაქირავებულთა კონტინგენტი და ბევრი გვყავს პენსიონერი. გასული საუკუნის 80-იან წლებში ყოველ 100 დაქირავებით დასაქმებულზე მოდიოდა 42 პენსიონერი, დღეს მოდის 131 პენსიონერი. ესეც არის იმის მიზეზი, რომ ჩვენთან პენსიონერთა დონე საერთო დონეს ჩამორჩება.

**– ამერიკული სამყაროს დევიზია: თუ ღარიბი დაიბადე, შენი ბრალი არ არის, მაგრამ, თუ ღარიბად კვდები, ეს უკვე შენი ბრალიაო. ჩვენ მივალთ ოდესმე ამ თეზამდე?**

– ამერიკელებს სხვა ფრაზაც აქვთ ნათქვამი: თუ ჭკვიანი ხარ, მდიდარი რატომ არ ხარო, მაგრამ ეს მოქმედებს ნორმალურ საბაზრო პირობებში, სადაც თამაშის საერთო წესებია ყველა ვერტიკალსა და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში. ამ პრინციპმა რომ ჩვენთან იმუშაოს, უნდა გვქონდეს კანონის უზენაესობა და თამაშის საერთო წესს იცავდეს ყველა მოთამაშე და, უპირველესად, არბიტრები.

**– როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება, რომ ბავშვები და პენსიონერები შიმშილით არ იხოცებოდნენ, რომ ასაკის მომატება გარდაუვალ სიღატაკეს არ ნიშნავდეს? სხვადასხვა ქვეყანამ ხომ გაიარა ეს გზა და არსებობს მათი გამოცდილება?**

– სხვადასხვა ზომების გატარება შეიძლება და თვით ყველაზე მდიდარ ქვეყნებშიც კი ბოლომდე არ არის დაძლეული სიღარიბე. მაგალითად, ამერიკაში სასურსათო ტალონების მიმღებთა რაოდენობა ათჯერ აღემატება საქართველოს მოსახლეობის მთლიან რაოდენობას. ესე იგი, ეკონომიკური განვითარება არ ნიშნავს, რომ ეს პრობლემა ბოლომდე იხსნება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მაღალ კორელაციაშია. შეიძლება, შეძლებულ ოჯახს ჰქონდეს საშუალება და თავის ბავშვებს ყოველდღე თუ არა, ორ დღეში ერთხელ აჭმევდეს ხიზილალას. მაგრამ, თუ გარშემო არიან ბავშვები, რომლებიც შიმშილობენ, მათ შორის გავრცელებულია ინფექციური დაავადებები, გადამდები ავადმყოფობები, აბსოლუტურად დაცული შეძლებული ოჯახის შვილიც ვერ იქნება. ამდენად, ეს სოციალური წყლულები უნდა მოვიშუშოთ, ბროლის კოშკებში კი არ უნდა აცხოვრონ შეძლებულებმა თავიანთი ოჯახის წევრები, არამედ იზრუნონ იმისთვის, მინიმუმამდე დავიდეს გაჭირვებულ ადამიანთა რაოდენობა და ამის ერთ-ერთი საფუძველია ეკონომიკა: სამუშაო ადგილების შექმნა.

ჩვენ შეგვიმცირდა დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა, დიდი ნაწილი ქვეყნის გარეთაა გასული და მათ გასულ წელს მილიარდ 400 მილიონი დოლარის ტრანზაქცია განახორციელეს. ეს ორჯერ მეტია, ვიდრე გასულ წელს ქვეყანაში განხორციელებული მთლიანი უცხოური ინვესტიციები მთელი მსოფლიოდან. საჭიროა სამუშაო ადგილების შექმნა ქვეყანაში, რადგან საქართველოში, სადაც მოსახლეობას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი მოზარდი თაობისადმი მზრუნველობა, ჩვილთა მოკვდაობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს ქვეყნის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე. რაც უნდა ბანალურად გვეჩვენოს, უნდა ვიზრუნოთ ეკონომიკის განვითარებასა და შემდგომ შექმნილი დოვლათის სამართლიან განაწილებაზე. ეს ახალი რეცეპტი არ არის, მაგრამ ამაზე უკეთესი რეცეპტი კაცობრიობას ჯერჯერობით არ მოუგონია. მაგალითად: ნორვეგიაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ეკვატორულ აფრიკაში.

**ნინო ხაჩიძე**

**თეატრის მხატვრობას მურაზ მურვანიძემ სრულიად ახალი სული შთაბერა, სული, რომელიც არა მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების, არამედ, მსოფლიოს ნომერ პირველ თეატრებში შევიდა და ააფორიაქა. გენიალური მხატვარი სხეულით გრძნობს, თუ რა არის საჭირო სპექტაკლისთვის, ბალეტისთვის, ოპერისთვის... როგორ იქცეს დეკორაცია მსუნთქავ ორგანიზმად და ისე შეერწყას სცენაზე განვითარებულ მოქმედებებს, რომ მაყურებელი უწონადობაში გადაიყვანოს. უცხოური პრესა მის შესახებ წერს: „ჰამლეტის“ თავშეკავებული და ტრადიციული კოსტიუმებისა და დეკორაციის შემდეგ მურვანიძემ „პორგი და ბესიში“ ექსპერიმენტული, ნოვატორული სასცენო გამომგონებლობის მწვერვალს მიაღწია.“**

# რა კოდის გახსნას ცდილობს მურაზ მურვანიძე და როგორ შეძლო მან პლანეტების გაადამიანება

**მურაზ მურვანიძე**: ბავშვობიდან ვდგამდი სპექტაკლებს – მაგიდას გადავაბრუნებდი, სახურავს და ფანჯარას გავუკეთებდი და ის იყო თეატრი. მეხერხებოდა ხელოსნური რალაცეები, ვხერხავდი და ვაფუჭებდი ბევრ ნივთს, რისთვისაც ხშირად მეჩხუბებოდნენ კიდეც ***(იცინის).*** გამომგონებელი ვიყავი, ხატვა არასდროს ყოფილა ჩემი მთავარი მისწრაფება. ვაკეთებდი თვითმფრინავების, მატარებლების მოდელებს, რომლებიც მექანიკურად მუშაობდა, დადიოდა... სათამაშოები არ მქონდა და ჩემით ვიკეთებდი. ვფიქრობდი, ავიაკონსტრუქტორი ან არქიტექტორი გავხდებოდი. ამ პროფესიების მიმართ სიყვარული დამრჩა და ეფექტურად ვიყენებ სცენაზე. სხვათა შორის, პატენტიც მაქვს აღებული თვითმფრინავის დასასმელ შუქნიშანზე. სამფერიანი, ქუდიანი შუქნიშნები მოვიფიქრე, რომლის მიხედვითაც, თუ მფრინავი ქვედა, ანუ წითელ შუქს ხედავს, თვითმფრინავი დასასმელად ძალიან ქვემოთ არის, თუ ორ ზედა ნათურას – იდეალურად ჯდება, ხოლო, თუ მხოლოდ ზედა შუქს, მაშინ, თვითმფრინავი საჭიროზე მაღლაა. ამერიკელებმა ზუსტად ასეთი შუქნიშნები დაამონტაჟეს ავიამზიდზე პატენტის აღებიდან თორმეტი წლის შემდეგ. ვერ ვიჩივლებ – ხელით დაწერილ სიგელს ხომ არ მივიტან ***(იცინის).*** საერთოდ, მპარავენ ხოლმე რალაცეებს, მაგრამ, არ მწყინს, მეცინება; უნდა მოიპარონ, აბა, რა უნდა ქნან?! კომპიუტერით სპეციალურად არ ვსარგებლობ – არ ვნახულობ არაფერს და, ვცდილობ, არ მივიღო ინფორმაცია, რადგან, შეიძლება, რალაც დავინახო, მომეწონოს და ჩემდაუნებურად გამოვიყენო. არ მინდა სხვისი ინფორმაცია, ტოტს რომ შევხედავ, იდეა მომდის. რა იდეებიც მაქვს, იმის ერთი პროცენტი მაინც რომ განმახორციელებინა, ბედნიერი ვიქნებოდი.



**დავხატე პიერ არჟილე და მან თქვა: პიკასომ, დალიმ, ვინ აღარ დამხატა და ყველა შენახული მაქვს, მაგრამ, არც ერთი არ მომწონსო**

იქიდან გამომდინარე, რომ სწავლა მეზარებოდა, ყველაზე იოლი გზა ავირჩიე და ხატვას გავყევი, მოგვიანებით კი თეატრალურში სცენის მხატვრობას დავეუფლე. დღემდე, ალბათ, თეატრში ჩემი ბადალი არ არის და, გეტყვით, რატომ: მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდაა, მათ უჭირთ ტექნიკური ამოცანების გადაჭრა. ამიტომ, შეიძლება, მოიფიქრონ სასწაული დეკორაცია, მაგრამ, მათი განხორციელება შეუძლებელი იქნება. კონსტრუირება, აწყობა, მექანიკა – ცალკე უზარმაზარი სამუშაოა. ერთი სიტყვით, ასე გავხდი თეატრის ტყვე.

**– თავიდანვე კარგ რეჟისორებთან მოხვდით?**

– ნანა დემეტრაშვილი იყო ჩემი პირველი რეჟისორი. გრიბოედოვის თეატრში სპექტაკლი დადგა და პირველსავე გაფორმებაში საუკეთესო მხატვრის მედალი ავიღე ***(იცინის).*** შევედი თეატრში, წარმოდგენა არ მქონდა, რა როგორ მუშაობდა, მაგრამ, ძალიან მალე ავუღე ალღო. თეატრში ვცხოვრობდი, სხვენში მეძინა, ვუყურებდი „როლიკებს“, რა როგორ ტრიალებდა.

**– თქვენი საქმის ფანატიკოსი ხართ?**

– ერთმნიშვნელოვნად, და არა მხოლოდ საქმეში, ყველაფერში – ადამიანებთან ურთიერთობაში, ქვეყნის, ჩემი ხალხის მიმართ სიყვარულში ვარ ფანატიკოსი. ბოროტების ნატამალი არ მაქვს. არ მეგულება სხვა ხელოვანი, ვინც სხვის გამოფენაზე ისეთი სიხარულით მიდის, როგორც მე. ვიცი, რადგან მუშაობს, აუცილებლად დადებითს დავინახავ. კეთილგანწყობილება მერე საინტერესო რალაცეებს ბადებს. პარიზში 1987-1988 წლების თეატრალური სეზონის საუკეთესო მხატვრად დამასახელეს, რასაც ფანტასტიკური პრესა მოჰყვა. წერდნენ, რომ, კორსარის პრემიის შემდეგ როგორც ვარსკვლავმა, ისე გაიღვიძა, „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ კი – როგორც გენიოსმაო. ერთ-ერთ ინტერვიუში მკითხეს, რა არის ამ წარმატების მიზეზიო და ვუპასუხე: აქ რომ მოვრბოდი ფინიშის ხაზის გადასაკვეთად, ვგრძნობდი ჩემი კოლეგების ცხელ სუნთქვას, იმ ადამიანების, ვინც ჩემთან ერთად მუშაობს და ვინც ოდესმე დამხმარებია-მეთქი.

**– პირველი საერთაშორისო მასშტაბის წარმატება „პორგი და ბესი“ იყო?**

– დიახ. აღიარებულია, რომ ასეთი დეკორაცია საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში არ გაკეთებულა. ურთულესი ამოცანა გვქონდა: ოპერა ბალეტად დაიდგა და უფეხო პორგის ისე უნდა ეცეკვა, რომ მაყურებელს ეს დაეჯერებინა. ისეთი დეკორაცია გავაკეთე, რომ მისი ფეხზე ადგომა და დატრიალება ხალხმა გადაყლაპა. ბალეტმაისტერებს და, ზოგადად, რეჟისორებს, უჭირთ მხატვრის მნიშვნელობის აღიარება, უნდათ, რომ ყველაფერი მხოლოდ მათ სახელს მიეწეროს. მხოლოდ ერთეული, ძალიან ჭკვიანი რეჟისორები არიან, ვინც იცის, რომ მას სჭირდება კარგი კომპოზიტორი, კარგი მხატვარი და ასე შემდეგ. სუსტები კი ფიქრობენ, რომ ეს მათ სახელს სრულყოფილ დიდებას აკლებს. სხვათა შორის, რეჟისორმა დეკორაციის გარეშე აჩვენა „პორგი და ბესი“ და, გეფიცებით, მაყურებელმა სტვენა ატეხა.

**– მსგავსი დეკორაციის გაკეთება ძალიან დიდ დროს მოითხოვს?**

– რა თქმა უნდა. წელიწადში მაქსიმუმ სამიოთხი ბალეტის ან ოპერის გაფორმება შემიძლია. თუმცა, ვიცნობ ისეთებს, ვინც ამდენს დღეში აკეთებენ. ნინო ანანიაშვილს ჩამოჰყავს ხოლმე მხატვარი, ვიცნობ იმ ბიჭს, რომელიც მართლა პროფესიონალია და მან თავად მითხრა: მე სერიული მხატვარი ვარ, თქვენ კი ინდივიდუალურიო. დღეში სამ სპექტაკლს აკეთებს, კონვეიერივით – გააჩნია, რეჟისორს რა უნდა.

**– რადგან ეს არ შეგიძლიათ, ამ აჩქარებულ საუკუნეში თუ რჩება მოთხოვნა თქვენზე, ანუ ხარისხზე, რომელიც მხოლოდ უნიკალურსა და განუმეორებელს ქმნის?**

– არ არის მოთხოვნა. ეჩქარებათ, თან, მაყურებელიც მიაჩვიეს და მას აღარ უჩნდება პრეტენზია. გარდა ამისა, ერთია დრამატული თეატრის მხატვრობა და, მეორე – მუსიკალური თეატრის. დრამატული სპექტაკლი შეიძლება მინიმალური დეკორაციით გაკეთდეს, მაგრამ, როდესაც ოპერაშიც, იგივე შეიჭრა, ეს ძალიან არ მომწონს. ოპერაში უნდა იგრძნობოდეს ირეალურობა, ფუფუნება...

**– ამიტომაც ბედავს მაყურებელი ჯინსებით მისვლას ოპერაში.**

– არაფრით არ შეიძლება. სულ ვფიქრობ, რომ ბავშვი თავიდანვე, „აი იასთან“ ერთად უნდა მიეჩვიოს გემოვნებიან მუსიკას, სპექტაკლს, რომ იცოდეს კარგისა და ცუდის გარჩევა. ჩვენთან კი როგორ იყო?! რაიკომის მდივანი თუ მივიდოდა, ესე იგი, ოპერა კარგი იყო და მაყურებელიც არ აკლდა. თან, მუსიკალური თეატრი ფოიერვერკია, ყველაფრის მომცველი – თუკი რამე კოსმიურისთვის, ზეადამიანურისთვის მიუღწევია ადამიანს, ყველაფერს აერთიანებს.

**– რა ჯილდოებია, რომლებიც თქვენთვის განსაკუთრებულია?**

– მარჯანიშვილის თეატრში „დონ სეზარ დე ბაზანი“ გავაკეთე და ადმინისტრატორმა და ბილეთების გამყიდველმა ქალბატონებმა მოულოდნელად ხელზე მაკოცეს. ცრემლები წამომივიდა, ისე იმოქმედა. მეორე იყო პეტერბურგში, როდესაც თანამშრომლებმა ფული აკრიბეს და იტალიელი თეატრის მხატვრების კრებული მაჩუქეს დაბადების დღეზე. ეს იყო მეორე შემთხვევა, პირველად შალიაპინისთვის გაუკეთებიათ მსგავსი საჩუქარი. ეს ორივე ფაქტი მარინის თეატრის ისტორიაში შევიდა. რასაკვირველია, ვაფასებ ყველა იმ ჯილდოს, რომელიც ქართველი შემოქმედებიდან მხოლოდ მე მაქვს – პიკასოს, „ლინკოლნ-ცენტრის“, ჩიკაგოს პრემიები. საუკეთესო მხატვრის პრემიები მაქვს აღებული პოლონეთში, საფრანგეთში, ამერიკასა და მსოფლიო ჩემპიონატში – კანადაში. მორჩა, ამაზე მეტი აღარაფერია. აი, საქართველოდან „პორგი და ბესი“ რომ წასულიყო, აუცილებლად აიღებდა ოქროს მედალს „ოლიმპიურ თამაშებზე“. ოთხ წელიწადში ერთხელ ვარშავაში თეატრალური მხატვრების გამოფენა ტარდება როგორც ვენეციის ბიენალე, რომელსაც „ოლიმპიურ თამაშებს“ ეძახიან და ერთ-ერთი პრესტიჟული ჯილდოა. არც ერთხელ, საქართველოს თავისი სახელით არ გაუტანია ჩემი ნამუშევარი...

**– რატომ?**

– არ ვიცი, არ დავიწყე ამის კვლევა-ძიება...

**– გწყდებათ გული?**

– მწყდება, მაგრამ, მხოლოდ ერთადერთი მიზეზის გამო – უამრავი რალაცის გაკეთება შემიძლია ჩემი ქვეყნისთვის და ვერ ვაკეთებ. ისევ ჩემი ძმაკაცების შვილიშვილები, ისე გაიზარდნენ, რომ არ იციან, რისი გაკეთება შემიძლია, რადგან, ჩემი ნამუშევრები არსად ჩანს. ბადრი პატარკაციშვილი რომ არ ყოფილიყო, საქართველოში არ დავბრუნდებოდი. მთაწმინდის პარკის უზარმაზარი ტერიტორიის რვა ჰექტარიც კი ვერ დავასრულე მთლიანად, ისე გამომაგდეს. სამეფო უბნის თეატრში გავაკეთე რამდენიმე სპექტაკლი, მაგრამ, ისინი რას გადამიხდიდნენ (იცინის), იქით მიმაქვს ფული ***(თეატრის მმართველი ბატონი მურაზის სი-***

*ძე, ნიკა თავაძე, ხოლო ერთ-ერთი რეჟისორი – შვილიშვილი, დათა თავაძე, – ავტორი).*

**– უცხოეთიდან არ არის შემოთავაზებები?**

– გიგა ლორთქიფანიძემ მითხრა ერთხელ, ამ და ამ სპექტაკლს არ გავაკეთებ, სანამ შენ არ ჩამოხვალ და ერთად არ ვიმუშავებთო. მელოდებოდა, ვერ ჩამოვედი და არ დადგა. სხვაგან ეს არ ხდება, სხვა სისტემაა. რაც დღეს აქვთ გასაკეთებელი, დღესვე უნდა გაკეთდეს. ბალანჩინთან ერთად გავაკეთე რამდენიმე სპექტაკლი. „ლინკოლნ-ცენტრის“ პრეზიდენტმა კირსტაინმა პირდაპირ მითხრა, რაც შენ „მეტროპოლიტენისთვის“ გააკეთე, მსგავსი არაფერი მინახავს, სასწაულია, ასე ჰარმონიულად მოძრაობდეს მოცეკვავე და მთელი სცენაც მის გარშემოო. მოდი, „ლინკოლნ-ცენტრის“ მხატვარ-კოორდინატორად დარჩიო. ცენტრის მთავარი მხატვრობა ნიშნავს, რომ უნდა ვყოფილიყავი ყველა იმ კულტურული დაწესებულების მხატვარი, რომლებსაც ეს ცენტრი აერთიანებს: ბალეტის თეატრი, ჯულიარდი, ოპერის თეატრი, ფილარმონია, კინოცენტრი, ბიბლიოთეკა და ასე შემდეგ. მქონდა კიდევ მეორე შემოთავაზება ოლივერ სმიტისგან. ის და კიდევ ერთი მხატვარი თეატრის კლასიკოსი მხატვრების ენციკლოპედიაში არიან შესული. ეს სმიტი ჩვენი გაგებით, იმ პერიოდში, თეატრალური ინსტიტუტის, თეატრალური მხატვრობის კათედრის გამგე იყო. მან მთხოვა, კათედრაზე დარჩი, ენის სპეციალისტს დაგინიშნავ, ამ თანამდებობაზე დიდხანს აღარ ვიქნები და შენ დარჩებიო. ეს იყო 1989 წელი. მაინც სიფრთხილე გამოვიჩინე – ვიფიქრე, არ მობრუნდნენ კომუნისტები და ჩემი ოჯახის წევრებს პრობლემები არ შეუქმნან-მეთქი. თან, არ მიჭირდა, მსოფლიოს ყველა თეატრის კარს ფეხით ვაღებდი. მაშინ „მარინის თეატრის“ მთავარი მხატვარი ვიყავი, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო მუსიკალური თეატრების სათავეშია. პირველია თავისი მასშტაბებით და შტატით, გარშემო ქარხნები აქვს. „მეტროპოლიტენში“ მუშაობის დროს ქალაქის ბოლოს, ბრონქსში დავდიოდით – იქ იყო „ცეხები“, აქ კი ყველაფერი გარშემოა – ქუჩას გადახვალ და ამზადებ, რასაც გინდა. დიდ თეატრში ვმუშაობდი როსტროპოვიჩთან, პაკროვსკისთან, ჭაბუკიანთან... უამრავი საქმე მქონდა.

**– რატომ გამოგიგზავნათ ნახატი სალვადორ დალიმ?**

– გავიცანი და დავმეგობრდი ჭარმაგ ადამიანთან – პიერ არჟილესთან, სალვადორ დალის დიდ მეგობართან, რომელიც, სამწუხაროდ, ახლა აღარ არის ცოცხალი. უმდიდრესი კაცი იყო და ლუვრიდან თექვსმეტ კილომეტრში, ულამაზეს შატოში აქვს გაკეთებული დალის მუზეუმი. ამ შატოში დაახლოებით ოთხმოცდაათი ოთახია, რომლებიც სავსეა დალის ქანდაკებებით, მულიაჟებით, ფერწერული და გრაფიკული ტილოებით, შუშის ნაკეთობებით. ჩავდიოდი ამ შატოში და დალის საწოლში მეძინა. სხვათა შორის, გადაღებულია, როგორ ვილვიძებ მის ლოგინში, ცუდად კი ვთამაშობ ***(იცინის).*** ერთ მშვენიერ დღეს, დავხატე პიერ არჟილე. მან მითხრა, პიკასომ, დალიმ, ვინ აღარ დამხატა, ყველა შენახული მაქვს, მაგრამ არც ერთი არ მომწონსო. და უცებ ასისტენტს დაავალა, ჩარჩოდან ამოეღო დალის ნახატი და ჩემი ნახატი ჩაესვა, მერე კი თქვა: სალვადორს უნდა ვკითხო, მაძლევს თუ არა ამ ნახატის თავის მუზეუმში დაკიდების უფლებასო. სალვადორმა თანხმობა განაცხადა, თან, გამომიგზავნა თავისი ნახატი წარწერით. დალის იმ მუზეუმში, მისი სიკვდილის შემდეგ აღარაფერი აღარ შესულა და აღარც შევა, ასე რომ, დღემდე, დალის მუზეუმში სულ ოთხი სხვა, დალის მიერ დაშვებული მხატვრის ნახატი ინახება. ესენია: პიკასო, დე კირიკო, კოკტო და მე. ასე ვართ „ჩამოკიდებული“ ბიჭები სალვადორის გვერდით ***(იცინის).***

**– ახლა რაზე მუშაობთ?**

– ვაკეთებ სილვი გილემის ქანდაკებას, რომელიც ბრინჯაოში უნდა ჩამოვასხა. ბალეტის პარიზელი მოცეკვავეა, ყველა დროის საუკეთესო შემსრულებელი. მინდა, აქ ჩამოვიყვანო და ვაჩუქო, იქნებ, იცეკვოს კიდეც. მაგრამ არა მგონია, ნინო ანანიაშვილმა ეს მოინდომოს – არ უყვარს კონკურენცია. რუსეთში ხალხი ხარხარებს, როცა მეკითხებიან, ოპერაში



მუშაობ თუ არაო და ვეუბნები, ოპერაში არც მიშვებენ-მეთქი – გიჟდებიან ამაზე. თან, რამეს ხომ არ ვითხოვ, სულ უფასოდ ვმუშაობ. არადა, ისეთ რაღაცას შევიტანდი, რაზეც ახალი თაობა გაიზრდება. დათას სპექტაკლი გავუკეთე, აქ კაციშვილს ყურადღება არ მიუქცევია დეკორაციისთვის, წაიღეს მოლდოვაში და გაგიჟდნენ – რა საოცრებააო. მათ შეუძლიათ დანახვა, აქვთ ეს კულტურა.

**– ქართველებმა არ ვიცით დაფასება.**

– აი, დაფასების მინისტრად რომ დამნიშნონ ძალიან ბევრ საქმეს გავაკეთებდი ***(იცინის).*** სხვათა შორის, ერთხელ მკითხეს, რა თანამდებობისთვის ჩამოხვალ საქართველოშიო და, ვუპასუხე, რესტორნებში მუსიკისთვის ხმის დაწევის მინისტრად თუ დამნიშნავენ, ჩამოვალ-მეთქი ***(იცინის).*** ახლა ვხატავ სურათს, რომლის დასრულებაც ველარ მოვახერხე ოპერის ფარდის გამო – შესაძლოა, ოპერის ფარდა მოვხატო. ნახატს ჰქვია „ეს გზა მიგვიყვანს?!“, რომელზეც გამოსახულია გზა და მის მარჯვნივ და მარცხნივ ჩამწკრივებული: ბენზინგასამართი სადგური, აფთიაქი, ეკლესია, მერე მიდგმული მეორე ეკლესია, ისევ აფთიაქი, რესტორანი, რესტორანი, ბენზინგასამართი სადგური და ასე ორივე მხარეს, შორს, პერსპექტივაში... ბოლოს კი დანგრეული კედელი და ფრესკის ნაწილი მოჩანს...

**„ლინკოლნ-ცენტრის“ პრეზიდენტმა, კირსტაინმა, პირდაპირ მითხრა, რაც შენ „მეტროპოლიტენისთვის“ გააკეთე, მსგავსი არაფერი მინახავს, სასწაულია, ასე ჰარმონიულად მოძრაობდეს მოცეკვავე და მთელი სცენაც მის გარშემოო**

**– ტაძრების აქტიური მშენებლობა მიმდინარეობს. სამწუხაროდ, აბსოლუტური კალკირება ხდება ხუროთმოძღვრების საუკუნეების წინანდელი გაგების. შესაძლოა, ადრე ეს პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ, ოცდამეერთე საუკუნე ახალ მოთხოვნებს აყენებს ხუროთმოძღვრების წინაშეც კი. რას ფიქრობთ ამაზე?**

– ამაზე სულ ვფიქრობ და ძალიან ბევრი იდეა მაქვს. ბევრი კრიტიკა მესმის სამების საკათედრო ტაძრის და ჩემი აზრიცაა, რომ ასეთი უშველებელი ტაძარი ამ საუკუნეში ზედმეტია. თუმცა, თუ საკითხს დავაყენებთ ასე: უნდა აშენებულიყო თუ არა, – ერთმნიშვნელოვნად, უნდა აშენებულიყო! მაგრამ, მომხრე ვარ, რომ ხუროთმოძღვრებაც განვითარდეს. სხვათა შორის, სამებაზე რომ იყო გამოცხადებული კონკურსი, მაკეტი შევქმენი, მაგრამ, აღარ გავიტანე – ვიცოდი მაინც არ გაკეთდებოდა. ერთი ეკლესიაც ჩავხატე, რომელიც პატრიარქს მივუძღვენი: ჩამოღვენთილ სანთელს ჰგავს, ქრისტეს დაფლეთილ კვართს, სკულპტურას. რაც გავაკეთე, ის სულ შუშა იყო, ჩვენი გენიალური ფრესკები ვიტრაჟში იყო გადატანილი. კრამიტების მასალისგან შიგნით იყო ჩამოკიდებული ნაკეთობები, რომლებიც აკუსტიკაზეც ზრუნავდა და სინათლის განაწილებაზეც. იატაკი გავუკეთე მთლიანად თეთრი მარმარილოსი, რომელსაც შუშა ირეკლავდა და თითქოს უწონადობაში გადადიოდი. სანთლები, სინათლე საოცრად სულიერ განწყობას ქმნიდა. ღამით ფილებს ვწევდი და იქიდან ძლიერი პროჟექტორებით ტაძარი ნათდებოდა, ისე რომ სიბნელეში ტაძარი თითქოს ჰაერში იყო გამოკიდებული.

**– როგორც ვიცი, ოპერის ფარდაზე მუშაობთ.**

– პატრიარქის აღსაყდრების იუბილესთან დაკავშირებით ფარდა გავაკეთე, რომელიც ძალიან მოეწონა. ერთხელ მთხოვა, იქნებ მოხვიდე ჩემთან, სალაპარაკო მაქვსო. შემომთავაზა, იქნებ ოპერის ფარდაზე იმუშაოო. ვუთხარი, გენიალური ფარდა ჰქონდა გაკეთებული სერგო ქობულაძეს-მეთქი. დიდებული კი იყო, მაგრამ, არ იყო მაინცდამაინც ქართული ელემენტებითო. ვუთხარი, პარიზში, „პალე დე კონგრეიში“, „ვეფხისტყაოსანი“ მაქვს გაკეთებული, 24X12 მეტრზე, რაშიც პიკასოს პრემია ავიღე-მეთქი. მთხოვა, მაჩვენეო. ის სეფიაში, შავ-ყავისფერში მქონდა გაკეთებული და ოპერის ფარდისთვის ფერადად გადავაკეთე. ყველაფერი კოსმოსში გავიტანე, რადგან, გმირები არ არიან ადამიანები, იქ პლანეტებზეა ლაპარაკი – კოსმიურია ყველაფერი, ყველგან კოდი დევს. ვერ ვიტყვი, რომ ეს კოდი გავხსენი, მაგრამ, ვცდილობ, მივუახლოვდე. ამაზე გენიალური და ამაზე დიდი სატრაბახო არაფერი გვაქვს. ამ სილამაზის გამო, პარიზში, ნიუ-იორკში, ვანკუვერში – სადაც კი წავიღე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემები გაჩნდა, თავიდან დაიწყეს ბეჭდვა. ფარდა მთლიანად ძვირფასი ქვებით იქნება გაფორმებული და ჩამონტაჟდება პატარა დიოდები. შუქი რომ ჩაქრება, ფარდა ვარსკვლავებიან ცას დაემსგავსება და ისე აიწევა.

**– ეს ფარდა გვექნება ოპერაში?**

– არ ვიცი, ამას ჯერ კიდევ სჭირდება განსჯა, საზოგადოების აზრის მოსმენა. მაგრამ გპირდებით, თუ ოპერაში ეს ფარდა დაიკიდება, ხალხი წარმოდგენაზე სპეციალურად ადრე მივა მის სანახავად.

**სალომე გველესიანი**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორ შეიძლება სამოქალაქო დავის შემთხვევაში, დავის საგნისა და სარჩელის ღირებულების განსაზღვრა, თუ მხარის შესაძლებლობას აღემატება, განსაზღვროს სადავო საგნის ღირებულება.**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, თუ სარჩელის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, სახელმწიფო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მოსამართლე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება, საქმის გადაწყვეტისას დადგენილი სარჩელის ფასის შესაბამისად.

**კითხვა: მაინტერესებს, როგორ, რა**



**კრიტერიუმებით ხდება ოჯახური დავების შემთხვევაში საქმის განმხილველი სასამართლოს განსაზღვრა, ანუ, რომელ სასამართლოში უნდა იქნეს ოჯახურ დავასთან დაკავშირებით სარჩელი შეტანილი?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ოჯახური დავების განსჯადობის საკითხი განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. კერძოდ: სარჩელი ქორწინების შეწყვეტის, ქორწინების ბათილად ცნობის, აგრეთვე, ქორწინების არსებობისა თუ არარსებობის დადგენის შესახებ, შეიძლება, შეტანილ იქნეს სასამართლოში მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ სარჩელის შეტანის დროისთვის ასეთი ადგილი არ არსებობს, მაშინ სარჩელის შეტანა შეიძლება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო, თუ მას არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, მაშინ საქმეს სასამართლო განიხილავს მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რაც აძნელებს მის გამოცხადებას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შეიძლება, მოსარჩელის თხოვნით, საქმე გაირჩეს სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ – სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**კითხვა: სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით დამიყადაღეს საბანკო ანგარიშები. საქმის განხილვა გაგრძელდა რამდენიმე თვის განმავლობაში, თუმცა, შემდგომ სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ჩემს სასარგებლოდ. ყადაღის შედეგად ჩემმა ბიზნესმა განიცადა დიდი ოდენობის ზარალი. როგორ უნდა მოვიქცე?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა, იმის გამო, რომ სასამართლომ ამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ, ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად.

**კითხვა: მაინტერესებს, რა ვადით შეუძლია მოსამართლეს, თანამდებობიდან გადააყენოს პირი თუ ის ბრალდებულად არის ცნობილი?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მოსამართლეს უფლება აქვს, გამოიტანოს განჩინება ბრალდებული თანამდებობის პირის მიმართ და ის გამოტანილი განჩინებით გადააყენოს თანამდებობიდან საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე.

**კითხვა: მაინტერესებს, რა ღონისძიებები ტარდება, თუკი ჩანს, რომ პირი დანაშაულის ჩადენისთვის იყენებს კომპიუტერულ სისტემას?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია, გამოძიების ადგილის მიხედვით მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით, გასცეს განჩინება ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების შესახებ, რომლითაც მომსახურების მომწოდებელი ვალდებულია, ითანამშრომლოს გამოძიებასთან და დაეხმაროს მას მიმდინარე რეჟიმში ინტერნეტტრაფიკის იმ მონაცემთა შეგროვებაში ან ჩაწერაში, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ და კომპიუტერული სისტემის მეშვეობით გადაცემულ კონკრეტულ კომუნიკაციებთან. ამასთან, ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვებისა და ჩაწერის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მოპოვებისთვის აუცილებელ ვადას.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ გადაწყდება ბრალდებული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, თუ ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ დანაშაულის ჩადენისას ბრალდებული ფსიქიკურად დაავადებული ანუ გიჟი იყო?**



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
ანატოლ ფრანსი

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხადი იყო, მხარის შუამდგომლობით, სასამართლო წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას მის მიმართ. მოსამართლე უფლებამოსილია, ამ პირის მიმართ გამოიყენოს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

**კითხვა: მაინტერესებს, როგორ გადაწყდება იმ ბრალდებული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დანაშაულის ჩადენისას იყო შერაცხადი, ხოლო განაჩენის გამოტანის დროს სასამართლოში უკვე შეურაცხადის მდგომარეობაში იმყოფება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შერაცხადი იყო, მაგრამ, მისი ჩადენის შემდეგ შეურაცხადი გახდა, სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც განსაზღვრავს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდას შესაბამის სამედიცინო, სამკურნალო დაწესებულებაში მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ გადაწყდება იმ მსჯავრდებული პირის შემდგომი სასჯელის მოხდის საკითხი, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაავადდება ფსიქიკურად და გახდება შეურაცხადი?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, თუ დადგინდა, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც დასრულებულია სამართალწარმოება, აღენიშნება ფსიქიკური აშლილობის ნიშნები, მისთვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევის საკითხი რეგულირდება „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონისა და პატიმრობის კოდექსის შესაბამისად. მსჯავრდებულის გამოჯანმრთელების შემთხვევაში, მის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით.

# ინტიმური საუბრები

## ვნანობ, რომ ძალიან პატარა გავთხოვდი

17 წლის გავთხოვდი. ჩემი ქმარი 18 წლის იყო. როგორც ხშირად ხდება ხოლმე ამ ასაკში, გავიპარეთ. ორივეს მშობლები წინააღმდეგები იყვნენ ჩვენი დაქორწინების, რადგან, ძალიან პატარები ვიყავით, მაგრამ, ბოლოს შეგვირიგდნენ.

მამუკას ოჯახმა კარგად მიმიღო. განსაკუთრებით მამამთილი მყვებოდა თან, თუმცა, არც დედამთილი მექცეოდა ცუდად. მყავდა ჩემზე რვა წლით უფროსი მული, რომელიც თავიდან თითქოს კარგად შემხვდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბავშვი გვეყოლა, რაღაცნაირად ამითვალწუნა. აშკარად არ მეჩხუბებოდა, მაგრამ, სულ პროვოკაციებს მიწყობდა, ცინიკურად მელაპარაკებოდა, ყველაფერს მიწუნებდა – ჭურჭლის გარეცხვით დაწყებული, ჩაცმით დამთავრებული. დასცინოდა ჩემს დაქალებს, რომლებიც ჩემთან მოდიოდნენ; დონეს უწუნებდა ჩემს მშობლებს, მაშინ, როცა ძალიან განათლებული, დახვეწილი და ინტელიგენტი მშობლები მყავდა. მოკლედ, თვალში ეკლად ვესობოდი. თავისი ერთადერთი ძმისშვილიც კი (ჩემი შვილი) არ უყვარდა ისე, როგორც უნდა ჰყვარებოდა. რომ მომკვდარიყო, ბავშვს ხელში არ აიყვანდა. საწოლთან რომ ჩაუვლიდა ან ჩემს დედამთილს თუ ეჭირა ხელში, ახლოს მივიდოდა, დააკვირდებოდა და ირონიული სახით გამოაცხადებდა: „ჩვენი რომ არის, გვიყვარს, თორემ, ისე, შეუხედავი ბავშვია, კოპიო დედამისია", – და გაივლიდა. ერთხელ დედამისს უთხრა ჩემს გასაგონად: „ზოგს რა ბედი აქვს, არაფერში უქნია ღმერთს, მაგრამ მაინც ყველაფერში უმართლებს; არის თუ არა ამის ღირსი, ქმრით დაწყებული, ყველა ხელისგულზე ატარებს და ფეხქვეშ ეგება, არადა, ღირდეს მაინც ამდენ თან გადაყოლად"... – მერე წარბაწევით გადმომხედა, ჩამიარა და კართან გაჩერდა იმის მოლოდინში, რას ვეტყოდი, რომ მერე ბოლომდე აეშვა აფრები. ცრემლების ყლაპვით, ძლივს შევძელი, თავი შემეკავებინა. პასუხი რომ არ გავეცი, ისევ დაიწყო ნერვების ბურღვა და ბოლოს ისე გადაამლაშა, სამზარეულოდან მამამისი გამოვიდა და ძალიან მწარედ უთხრა: ლამის ერთი საათი ვისმენდი შენს საძაგლობებს და ვიცდიდი, როდის დაამთავრებდი გესლის ნთხევას, მაგრამ, არა, მაგ ტვინში გულსა და ენაზე არ გამოგელია შხამი. ისე გახდი ამხელა ქალი, შენთვის ერთი უხეში სიტყვა არ მიკადრებია, მაგრამ ახლა ყველაფერს ერთად გეტყვი: შენი საზიზღარი ხასიათის გამოა, ბიჭს რომ არ მოსწონებიხარ არასდროს; დაქალიც კი არ გყავს შენი იაზვობის გამო; ყველა გაგირბის – ერიდებიან შენთან ურთიერთობას, რომ მერე რამე მიზეზის გამო არ გაახვიო შენი შურიანი გულისა და მწარე ენის ქსელში. რა გინდა, რას ერჩი ამ შენს რძალს, რა დაგიშავა? არაფერიც არ დაუშავებია, მაგრამ, გულზე ხარ გახეთქილი, შენ რომ 27 წლის ასაკში ვერ თხოვდები, ეს კი 17 წლის გათხოვდა, ერთ წელიწადში შვილიც ეყოლა, ქმარსაც თან ჰყვება და მის მშობლებსაც თვალებში შეჰყურებს... ერთი შენთან ვერ გამონახა საერთო ენა, რადგან, ჩემდა სამწუხაროდ, შურიანი და ბოროტი ქალი დადექი, რის გამოც ძალიან მრცხვენია. ხანდახან მგონია, რომ ყველა გათხოვილი გოგო გძულს, რადგან შენ თვითონ ვერ თხოვდებიო. ვერც კი წარმოიდგენთ, რა დაემართა ჩემს მულს. ისეთ ისტერიკაში ჩავარდა, მოსაბრუნებელი გახდა. სიმართლე გითხრათ, შემეცოდა და ახლაც მიმაჩნია, რომ მამას ასეთი რამეები არ უნდა ეთქვა. შვილი რომ მოვასულიერეთ, ახლა მამა გახდა ცუდად და სასწრაფოს გამოძახება მოგვიწია. გულის შეტევა დაემართა და საავადმყოფოში დავაწვინეთ. რა თქმა უნდა, თიკა (ჩემი მული) სანახავადაც არ მისულა და არც არავისთვის უკითხავს, მამა როგორ არისო. ან რას ჰკითხავდა, როცა ოჯახში არავის ელაპარაკებოდა. ერთ დღეს კი დაჰკრა ფეხი და გათხოვდა – ვიღაც უსაქმურს გაჰყვა, რომელსაც ორი პირი ცოლ-შვილი ჰყავდა მიტოვებული, არც ბინის მაგვარი რამ გააჩნდა და არც სამსახური. რამდენიმე დღის შემდეგ, თავისი ნივთების წასაღებად რომ მოვიდა სახლში (მამამთილი უკვე გამოყვანილი გვყავდა საავადმყოფოდან), მამამისს უთხრა, – აი, თუ ვერ გავთხოვდიო. თავისი პირადი ნივთები რომ ჩაალაგა, მთელი ბინა მოიარა და, რაც კი რამ ღირებული იყო – ჭურჭლით დაწყებული, სურათებით დამთავრებული – წინასწარ მოტანილ ყუთებში ჩააწყო. რა თქმა უნდა, ხმა არავის ამოუღია, მაგრამ, როცა ჩემს მზითევსაც მიადგა (ძირითადად, თეთრეული, სუფრები და სერვიზები გამოაწყო წასაღებად), ჩემმა დედამთილმა ძალიან მორიდებით უთხრა, მაგეებს თავი დაანებე, ეგ თაკოს მზითევიაო. იმან კი ვითომ ვერ გაიგონა – არც პასუხი გაუცია და არც ჩემი ნივთების ჩალაგება შეუწყვეტია. მერე ვიღაც ორი მუშა მოიყვანა, ყუთები და ჩანთები ჩაატანინა და გასვლის დროს ირონიულად გვითხრა: ჯერ სადა ხართ, ეს ყველაფერი ჟურნალია, მაგრამ, ფილმიც მალე დაიწყებაო. შვილის საქციელის შემხედვარეს, ჩემს მამამთილის წნევამ დაარტყა და მეორე დღეს გარდაიცვალა. თიკა მხოლოდ დასაფლავებაზე მოვიდა ნახევარი საათით (ქმართან ერთად იყო). ორი თუ სამი დღის შემდეგ კი მაკლერი მოიყვანა ბინის შესაფასებლად და გამოგვიცხადა, ამ ბინის ნახევარი მე მეკუთვნის და უნდა გავყიდოო. ნათქვამია, გაჭირვებულს ქვა ალმართში მიეწიაო, ისე დაგვემართა. მაკლერის წასვლიდან მეორე დღეს ჩემმა ქმარმა ვიღაცეებთან იჩხუბა, თან, ნასვამი იყო. პატრული რომ მისულა, იმისთვისაც გაურტყამს და დაიჭირეს. ჩემი დედამთილი ამდენი ნერვიულობის გამო ლოგინად ჩავარდა და ამ ყველაფრის მიუხედავად, თიკამ მაინც გაყიდა ბინა, ჩვენ თანხის მესამედი მოგვცა (რომლითაც მხოლოდ ერთოთახიანი ბინის ყიდვა შევძელით), დანარჩენი კი თვითონ წაიღო. როგორც მერე გავიგეთ, ის თანხა მთლიანად ქმრისთვის ჩაუბარებია, ვითომდა ბინის საყიდლად, მაგრამ იმას თანხის ნაწილი თავისი შვილებისთვის დაურიგებია, დანარჩენით კი კაზინოში უთამაშია და მთლიანად წაუგია. უფულოდ რომ დარჩენილა, თიკას ნივთები მოუპარავს და გაუყიდია, რაზეც თიკას სერიოზულად უჩხუბია და მისგან წამოსულა. ჩვენთან, რა თქმა უნდა, ველარ მოვიდოდა, სადღაც ნახევრად სარდაფში ერთი ოთახი უქირავებია და ახლაც იქ ცხოვრობს. მეგობარი არც არასდროს ჰყოლია, ნათესავებთან ყველასთან ნაჩხუბარია, თანამშრომლები ვერ იტანენ და არის ასე საცოდავად, მარტოდმარტო, მინდვრის თაგვივით, კაცი გულშემატკივარი არ ჰყავს. ჩემს დედამთილს ვუთხარი, მე რომ დამინახოს, ალბათ, ქვას მესვრის, იქნებ თქვენ წახვიდეთ და პროდუქტები წაუღოთ-მეთქი. საწყალმა ტირილი დაიწყო – ვიცი, რომ ყველას საშინლად მოგვექცა, მაგრამ, რა ვქნა, მაინც შვილია და მეცოდება, რომ ასეთი თავისთავის უბედური გამოდგაო.

სხვათა შორის, გულში მაინც მეგონა, რომ დედამისსაც არ მიიღებდა და არც მის მიტანილს დაიტოვებდა, მაგრამ, დაიტოვა კი არა, სია ჩამოუწერია, რაც სჭირდებოდა და მეორე დღისთვის დაავალა მიტანა. დედამისმაც, თავისი პენსია გამოიტანა, ყველაფერი უყიდა და რაც ფული დარჩა, ისიც დაუტოვა. იმანაც ისე კარგად შეირგო ყველაფერი, დედამისს დაუწესა, კვირაში ერთხელ მისვლა და პროდუქტების მიტანა. თავიდან ხმას არ ვიღებდი, მერე კი ჩემს დედამთილს საყვედური ვუთხარი: თქვენი შვილიშვილი როგორ გავზარდო და თქვენი მეორე შვილი როგორ შევინახო ციხეში მარტომ-მეთქი. აბა, რა ვქნა, ჩემს შვილს საბოლოოდ ხომ არ ვკრავ ხელს. შენ ახალგაზრდა ხარ, მუშაობ, თან, კარგად იცი ცხობა, გამოაცხვე ნამცხვრები, ჩააბარე და შემოსავალი გაგეზრდება. მე კი ჩემს პენსიას ვისაც მინდა, იმას მოვახმარო. ის უსინდისო შვილი კი ისე გაფცქვნის ხოლმე დედამისს ყოველ მისვლაზე, წნევის წამლის ფულსაც აღარ უტოვებს და მე ვყიდულობ ხოლმე.

აი, ასეთ დღეში ვარ. ახლა ვნანობ, რომ ასე ადრე გავთხოვდი. ვერც სტუდენტობა ვიგემე, ვერც მეგობრებში სიარული მოვასწარი და მთელი ცხოვრება ჩემი მულის სიგიჟეებს ვუყურებ და ვუძლებ, საბოლოოდ კი ჩემს შვილს (თუ რამე სასწაული არ მოხდა) ბინაც კი არ აქვს. ასეთი ცხოვრების გამო უკვე დაღლილ მოხუცად ვგრძნობ თავს, არადა, ჯერ მხოლოდ 26 წლის ვარ.

**თაკო, 26 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# როგორ აფასებს ქართველ კონკურსანტებს იურმალის „რუხი კარდინალი“ – ალექსანდრ რევზინი და რითაა ის ბედნიერი საქართველოში

*კონკურს „ახალ ტალღაზე“ მონაწილეობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება გვაქვს. თუმცა, პირველად მოხდა, როცა საკმაოდ წონიანი დელეგაცია – კონკურსის „ტოპ-მენეჯმენტი“ წინაშესარჩევი ტურის ჩასატარებლად საქართველოში ჩამოვიდა. თბილისს ეწვივნენ ალექსანდრ რუმიანცევი, კონკურსის გენერალური დირექტორი, „ახალი ტალღის“ „რუხი კარდინალი“ და მთავარი რგოლი, რეჟისორი ალექსანდრ რევზინი, ჟიურის წევრი ვალერი მელაძე, მუსიკალური პროდიუსერი ანასტასია მუხინა, კონკურსის საუნდპროდიუსერი ბრენდონ სტოუნი, იგივე ბესიკ შპეტიშვილი და სხვები. კონკურსის მთავარი მოთხოვნა, რომ რომელიმე ტელეარხმა „ახალი ტალღის“ პირდაპირი ტრანსლაცია იყიდოს, წელს „იმედმა“ დააკმაყოფი-*



**ალექსანდრ რევზინი: „ვცდილობ, არც ნეგატივი და არც პოზიტივი სახეზე არ დამეტყოს. ემოციების შეკავება, ეს უკვე პროფესიული ჩვევაა“**

*ლა და ივლისის ცხელ სამ დღეს, ქართველები დიდ გულშემატკივრობასა და ნერვიულობაში გავატარებთ. შიდაშესარჩევი კონკურსის თვალყურის სადევნებლად მუსიკალური პროდიუსერები შეიკრიბნენ. ჟიურის წევრი იყო რუსა მორჩილაძე – „იმედის“ მუსიკალური პროდიუსერი, იქ იყვნენ: მარინა ბერიძე, ნატო დუმბაძე, დათო ოქიტაშვილი, რომელიც ვალერი მელაძის ქართულ მხარეს წარმოადგენდა; მაია ყიფიანი, რომლის გარეშეც ეს კონკურსი წარმოუდგენელია. „იმედში“ იყვნენ „ახალი ტალღის“ სხვადასხვა დროის მონაწილეები. სოფო ხალვაში და დუეტი „ჯორჯია“ ჟიურიში ისხდნენ, რა თქმა უნდა, იქ იყო ლელა წურწუმიაც, როგორც „ახალი ტალღის“ ერთ-ერთი, ყოფილი მონაწილე. მან რევზინს ხელმოწერილი დისკიც გადასცა საჩუქრად. როგორც ყოფილი მონაწილე, იქ იყო მაია ყარყარაშვილიც.*

*კონკურსში ყველა ის მომღერალი მონაწილეობდა, ვინც, შეიძლება ითქვას, ახალი ქართული შოუ-ბიზნესის ამინდის შექმნას ცდილობს. ერთადერთი მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე გახლდათ, რომელმაც საკმაოდ დამაჯერებლად იმღერა და პატარებთან შედარებით თავდაჯერებული იდგა სცენაზე. კონკურსში მონაწილეობდნენ: ოთო ნემსაძისა და ნინი წიკლაურის დუეტი, სალომე ქათამაძე, ნინი ცნობილაძე, მაგდა ვასაძე, მიშა სულუხია, თემო საჯაია და სხვები. ქასთინგის დროს იყო უხერხული მომენტებიც, რომელიც ძირითადად გამოიწვია იმან, რომ კონკურსანტებმა ცუდად იცოდნენ რუსული და არ ჰქონდათ საკუთარი სიმღერა. როგორც რევზინმა რამდენჯერმე გაიმეორა, სტივ უანდერის მოსმენა რომ უნდოდათ, ის იურმალაში ჩაიყვანეს. ის რაღაც ორიგინალურსა და განსაკუთრებულს ეძებდა. მოსმენას ერთსაათიანი მსჯელობა მოჰყვა, სადაც კონკურსანტების ბედი წყდებოდა. მონაწილეები ელოდებოდნენ, რომ მოსკოვის ნახევარფინალისთვის დაახლოებით ხუთ მონაწილეს აირჩევდნენ. მოვლენები კი სხვაგვარად განვითარდა და რევზინმა სულ ორი მონაწილე დაასახელა, რომლებიც „ახალი ტალღის“ ფორმატის მიხედვით, ყველაზე ორიგინალურები და თვითმყოფადები იყვნენ. ესენი არიან ნინი ცნობილაძე და სალომე ქათამაძე, რომლებიც უკვე წავიდნენ კიევში კიდევ ერთ ტურში მონაწილეობის მისაღებად. იქ უკვე იმ მომღერლის ვინაობა გაირკვევა, რომელიც იურმალაში საქართველოს წარადგენს. ჟურნალის გამოსვლის დროს მისი ვინაობა უკვე გარკვეული იქნება. ცნობილია, თუ ვინ წარადგენს საქართველოს საბავშვო იურმალაზე – ეს არის თერთმეტი წლის ირაკლი ინწკირველი, უსაყვარლესი პატარა, რომელიც როგორც ნასტია მუხინამ თქვა, ყველაზე კაშკაშა კონკურსანტი იყო.*

*ყველაზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ვალერი მელაძის გამოჩენამ. როგორც კულისებში გავიგეთ, თბილისში უნდა ჩამოსულიყო კონსტანტინ მელაძე და იგორ კრუტოიც, მაგრამ ვერ მოახერხეს. მიუხედავად იმისა, რომ ვალერი მელაძესთან ინტერვიუს ფასი ოთხნულიან ციფრს აღწევს, საქართველოში ის ძალიან ღია და თბილი იყო ჟურნალისტებთან ურთიერთობაში და მასთან ინტერვიუს ჩაწერაც მოვახერხეთ.*

– ყველა მონაწილე სასწაულად მღერის, სიტყვები არ მყოფნის, რომ გამოვთქვა როგორი ნიჭიერები არიან. კარგი იქნება, დრო მქონდეს და ყველას სათითაოდ ავუხსნა რა დეტალები და ნიუანსები უნდა დახვეწონ იმისთვის, რომ დიდ სცენაზე როგორც ინდივიდუალური და ორიგინალური მომღერალი ისე ავიდნენ. როგორც რევზინმა თქვა, მომღერალს რეპერტუარი ქმნის და მათ ბევრი უნდა იმუშაონ რეპერტუარზე. ის, რომ საქართველოში ყველა კარგად მღერის, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ამ ფონზე უფრო რთული იქნება გადაწყვეტილების მიღება. თუმცა, ეს გადაწყვეტილება არ უნდა გახდეს არც ერთისთვის ფარ-ხმლის დაყრის მიზეზი. ჩემს ცხოვრებაში სამ კონკურსზე მაქვს მონაწილეობა მიღებული და სამივედან მაშინვე გამოვვარდი. ამიტომ, შევეშვი ამ კონკურსებს და პირდაპირ სცენისკენ ავიღე გეზი ***(იცინის).*** ყველაზე მთავარი მიზანი იყო, ჩემი მეგობრები ქართველების ნიჭიერებით გამეკვირვებინა და ეს ნამდვილად გამომივიდა. მათი უმრავლესობა პირველად არის საქართველოში. მინდოდა, გამეგიჟებინა და გავაგიჟე არა მხოლოდ ნიჭიერებით, არამედ იმით, თუ როგორი დახვედრა იციან საქართველოში და როგორი სტუმართმოყვარეები ვართ.



**ვალერი მელაძე: „ვიცი, საქართველოში როგორც ხდება და ჩვენს არჩევანს, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის, აუცილებლად მოჰყვება მითქმა-მოთქმა – ვილაცა აუცილებლად იტყვის, რომ პროტექციონიზმს ჰქონდა ადგილი“**

**– ქასთინგის შემდეგ რაიმე პროგრამა თუ გაქვთ, რის გაკეთებას აპირებთ?**

– გუშინ საღამოს იყო სადილი, რომელზე ჩამოსვლაც ვერ მოვახერხე. მაგრამ, სამაგიეროდ, დღეს საღამოს გველის ვახშამი რესტორან „სენატში“, რომელიც სტუმრებისთვის დაუვიწყარი იქნება ***(ინტერვიუ ჩაწერილია 2 აპრილს – ავტორი).*** გვინდოდა, შევხვედროდით პატრიარქს, მაგრამ, სამწუხაროდ, ის საქართველოში არ იმყოფება. გუშინ მათ ნახეს ღამის თბილისი, როგორც გავიგე, ცოტა დაულევიათ კიდეც და გადასარევად გაერთნენ.

**– მოენატრათ ქართული ღვინო?**

– სხვათა შორის, მოსკოვში უკვე დაიწყეს ცოტ-ცოტა გაყიდვა. „ბორჯომი“ ჯერ არ გამოჩენილა, მაგრამ ამბობენ, ეს ამბავიც განხილვის პროცესშია და მალე „ბორჯომის“ დალევასაც შევძლებთ.

**– ჩუმ-ჩუმად, დარწმუნებული ვარ, აქამდეც იყიდებოდა.**

– რასაკვირველია. ყველა ქართულ რესტორანში შეგეძლო დაგელია „ბორჯომიც“ და ღვინოც. საღამოს გავისეირნებთ და შემდეგ ქართულ სუფრას აუცილებლად შემოვუსხდებით.

**– საქმის გარეშე, რამდენიმე დღით როდის ჩამოხვალთ საქართველოში, ისე, რომ პრესასთან ურთიერთობისთვისაც მეტი დრო გქონდეთ?**

– ვფიქრობ, ზაფხულში, ალბათ, ივლისში. მიმოსვლის პრობლემა არ მქონია. მინდა, დღეს ისეთი ადამიანი ავარჩიოთ, ვინც წელს კონკურსს მოიგებს.

**– ეს რეალურია დუეტ „ჯორჯიას“ შემდეგ? არც ისე დიდი დრო გავიდა იქიდან, რაც ქართველებმა ტრიუმფით დაამთავრეს კონკურსი და ამ ტრიუმფის გამეორება ისევ საქართველოსთვის რეალურია?**

– აბსოლუტურად რეალურია. ჯერ ერთი, იმ გამარჯვებიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა, მეორეც, თუ ძლიერი კონკურსანტი იქნება, შეიძლება, ზედიზედ რამდენჯერაც გინდა, იმდენჯერ გახდეს საქართველოს წარმომადგენელი გამარჯვებული. „ჯორჯიას“ გამარჯვება საოცარი იყო. არავითარი შეზღუდვა და ჩარჩო არ არსებობს. ძალიან გამიხარდება თუ საქართველო ყოველ წელს გაიმარჯვებს ***(იცინის).*** ვიცი, საქართველოში როგორც ხდება და ჩვენს არჩევანს, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის, აუცილებლად მოჰყვება მითქმა-მოთქმა – ვილაცა იტყვის, რომ პროტექციონიზმს ჰქონდა ადგილი. სხვათა შორის, ჩემმა ბათუმელმა ნათესავებმა დამირეკეს, ეს ბავშვი არ დამიჩაგროთო, მაგრამ ჟიურის სხვა წევრებთან ვერაფერს გავხდი ***(იცინის).*** ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ჟიური ისე მუშაობს, რომ შეუძლებელია, ვინმემ ვინმეს გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონიოს. გადასარევი, უნიჭიერესი გოგოები ავარჩიეთ და ვინც არ უნდა წარმოადგინოს საქართველო იურმალაში, ჩემი სახით უდიდესი გულშემატკივარი ეყოლება.

**ალექსანდრ რევზინი**: უამრავ ქვეყანაში ვატარებთ ქასთინგებსა და გადაწყვეტილების მისაღებად მსჯელობა ამდენ ხანს არსად გაგრძელებულა.

**– აქამდე რატომ არ იღებდით შესარჩევ ტურში მონაწილეობას?**

– ყოველთვის ვმონაწილეობ ორ შესარჩევ კონკურსში, ჰელსინკიში ან რიგაში და რომელიც კიევში იმართება. ამ წელს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში შესარჩევი კონკურსი პირველად იმართებოდა, საჭირო იყო, ამეხსნა, საერთოდ რა არის „ახალი ტალღა“. ერთია, როდესაც კონკურსს ტელევიზიით უყურებ, სავარძელში მშვიდად ზიხარ, „კაიფობ“, არხიდან არხზე რთავ, ყავას მიირთმევ და მეორეა, ამ კონკურსის ფორმატის, შინაარსის გაგება. სულ სხვა საქმეა უკვე, მონაწილეობის მიღება, მის კულისებში გარკვევა, ის, თუ რა მოთხოვნებს უყენებს კონკურსი თითოეულ მონაწილეს. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ჩამოსვლა აუცილებელი იყო. მით უფრო, რომ

# „ბი დი სი“ აკადემია – „გახდი წარმატებული კანდიდატი“!

## ნათია შათირიშვილი: „ცოდნა არასოდეს არის ზედმეტი და სწორად მიზანმიმართული განათლება იძლევა კარიერული წინსვლის გარანტიას“

„ბი დი სი” აკადემია წარმატებით ფუნქციონირებს 2006 წლიდან. პროგრესირებს და მიჰყვება საზოგადოებისა და სასწავლო ბაზრის მოთხოვნებს. ატარებს მოკლევადიან ტრენინგებს კომპიუტერის, უცხო ენების, ბუღალტერიის, საბანკო საქმის, საფინანსო, საგადასახადო საქმის, მენეჯმენტის, მარკეტინგისა და PR – საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლების, ჟურნალისტიკისა და ფიარის, ოფისმენეჯერის თეორიული და პრაქტიკული კურსის შესასწავლად.

ასევე, აქტიურად შეასწავლის ფარმაციას, პირველად სამედიცინო დახმარებას და სხვა. „ბი დი სი“ აკადემია მაქსიმალურად ამომწურავ ცოდნას აძლევს დაინტერესებულ პირებს, რაშიც ხელს უწყობს პრაქტიკოსი პედაგოგების მუშაობა. მოკლევადიანი ტრენინგის პრიორიტეტია მინიმალურ დროში მაქსიმალურად საჭირო და გამოყენებადი განათლება მიიღოს მსმენელმა.

ცენტრის მსმენელები სტაჟირებას გადიან ბანკებში, აფთიაქებში, ტელევიზიებსა და ბეჭდვით მედიაში, სხვადასხვა სპეციფიკურ ორგანიზაციაში და იძენენ პრაქტიკულ გამოცდილებას. აკადემია მაქსიმალურად ცდილობს, გარანტირებული სამუშაო ადგილებით უზრუნველყოს წარმატებული მსმენელები.

BDC საგანმანათლებლო ცენტრმა 2010 წლიდან ტრენინგ-აკადემიის სტატუსი მიიღო და აქტიურად მუშაობს სწავლების მეთოდების დახვეწაზე. წარმატებული რეორგანიზაციის შედეგად გაფართოვდა ქსელი, გაიხსნა ფილიალები, დამყარდა კავშირები უცხოელ პარტნიორებთან, ამუშავდა გაცვლითი პროგრამები, გაღრმავდა ურთიერთთანამშრომლობა ქართულ ბრენდებთან და წამყვან ბიზნესწრეებთან. აკადემია ატარებს სხვადასხვა სახის საქველმოქმედო აქციას. ეხმარება სოციალურად დაუცველ ოჯახებს.



„ბი დი სი“ აკადემიის მიზანია, მაქსიმალურად დაეხმაროს საზოგადოებას განათლებაში და არ არსებობდეს უკმაყოფილო და იმედგაცრუებული მსმენელი.

სწავლის საფასურის გადახდისას მოქმედებს სხვადასხვა ტიპის შეღავათი. შეღავათებით სარგებლობენ დევნილები; ერთი ოჯახის წევრები; მსმენელი, რომელიც „ბი დი სი“ აკადემიაში რამდენიმე კურსს გაივლის.

სწავლების მაღალი დონე და აკადემიის პედაგოგების კვალიფიკაცია სრულიად გამორჩეულ კანდიდატებს სთავაზობს დამსაქმებლებს. ცენტრის გენერალური დირექტორი, ნათია შათირიშვილი 2006 წლიდან აქტიურად უზიარებს გამოცდილებას მომავალ თაობას. „ცოდნა არასოდეს არის ზედმეტი და სწორად მიზანმიმართული განათლება იძლევა კარიერული წინსვლის გარანტიას...“ – ამბობს ქალბატონი ნათია და გვთავაზობს, გავხდეთ გამორჩეული კანდიდატები დასაქმების ბაზარზე. „ჩვენთან პირველი ორი ლექცია უფასოა. მსმენელს შეუძლია, დაესწროს, მოისმინოს და შემდეგ ჩამოყალიბდეს, სურთ თუ არა სწავლის გაგრძელება. სწავლის დასრულების შემდეგ, გაიცემა სერტიფიკატი და სარეკომენდაციო წერილი.“

„ბი დი სი“ აკადემიის დევიზია – „Be Different Candidate - გახდი წარმატებული კანდიდატი!“

**ანა თაყაიშვილი**

**მისამართი: რუსთაველის გამზ. № 36. ტელ: 5(93) 25-25-08, +995 32 251-47-30**
**ელექტრონული ფოსტა: academy@bdc-center. ge ვებ-გვერდი: www.bdc-center.ge**

---

საქართველოში ყოფნა ძალიან მიყვარს. მიყვარს თბილისი.

**– კონკურსანტები როგორ მოგეწონათ?**

– მათ არ აქვთ რეპერტუარი და ეს ყველაზე ცუდია. ალბათ, იმ პერიოდმა, რომელიც „ახალ ტალღაზე“ ჩავარდა, თავისი გავლენა იქონია. არ არსებობს ორიგინალური მუსიკა და ეს დიდი პრობლემაა. სოფიკოს, დუეტ „ჯორჯიას“ საკუთარი ფანტასტიკური სიმღერები ჰქონდათ. უიტნი ჰიუსტონს თავისი ჰქონდა, ღმერთმა გაანათლოს მისი სული და მისი გამეორება არავის არაფერს მოუტანს. შეიძლება მომღერალი იყოს ძალიან ნიჭიერი, ჰქონდეს თავისი კარგი სიმღერები, მაგრამ არის კიდევ პატარა დეტალები, რასაც ყურადღებას ვაქცევთ. ეს აბსოლუტურად ამოუცნობი ფენომენია, წინასწარ ვერაფერს გათვლი და გამოიცნობ. ტალანტი უცებ ინთება, ბრწყინდება და ხედავ, ადამიანი ჩვენს კონკურსთან ზუსტ ტონალობაშია. სწორედ ამას ვეძებთ.

**– როგორი შანსები აქვთ „ახალ ტალღაზე“?**

– ორივეს აქვს არა მხოლოდ გადასვლის, არამედ კონკურსის მოგების შანსი, ნამდვილად ღირსეულები არიან, მაგრამ როგორ აჩვენებენ თავს, ეს მათზეა დამოკიდებული. კარგი იქნებოდა ორივეს წაყვანა, მაგრამ ასე არ ხდება. ჩვენ სატელევიზიო ფორმატში ვმუშაობთ, გვაქვს განსაზღვრული დრო. ეთერი ორი საათი და ოცი წუთი გრძელდება, სამი წუთი გვაქვს თითო მონაწილისთვის. ოცდაშვიდ ნაწარმოებზე მეტის გაჟღერების დრო ფიზიკურად არ გვრჩება. თექვსმეტი მონაწილე გვყავს, თექვსმეტი სამზე, ეს უკვე ორმოცდარვა წუთია... მოკლედ, ჩვენ ციფრების სამყაროში ვცხოვრობთ. ეს ციფრები დროა, დრო კი – ფული. ჩვენთვის ახლა უმთავრესია, რომ მონაწილეს პროდიუსერი ჰყავდეს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომ არხმა მათ პროდიუსირება გაუწიოს.

**– როგორ შეგხვდნენ ქართველები?**

– სუპერ! ყველაფერი იყო, ღვინო, ხაჭაპური, ზუსტად ისე, როგორც უნდა ყოფილიყო და როგორც ველოდებოდით. ხვალ უკვე მივფრინავთ კიევში, სადაც კიდევ ერთი ტურია. ვგიჟდები ამ ქალაქზე, ამ ქვეყანაზე და ყველანაირ შანსს გამოვიყენებ, რომ აქ ხელახლა ჩამოვიდეთ. აქ ყველაფერი მომწონს.

**– ყველა ყოველთვის თქვენს სახეს უყურებს, ყველამ იცის, რომ საბოლოო სიტყვა მაინც თქვენზეა.**



– ვცდილობ, არც ნეგატივი და არც პოზიტივი სახეზე არ დამეტყოს. ეს უკვე პროფესიული ჩვევაა-ემოციების შეკავება. როდესაც კონკურსანტი სცენაზე დგას, ნებისმიერმა ჩემმა ჟესტმა, შესაძლოა, ისე დააბნიოს, რომ შესაძლებლობების მეოთხედი ვერ აჩვენოს. თუმცა, ამასაც მნიშვნელობა აქვს, არანაირმა პუბლიკამ არ უნდა დაგაბნიოს. რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღებას, ვერ დაგეთანხმებით, ეს არასდროს ხდება ერთპიროვნულად. ბევრს ვმსჯელობთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩემი არგუმენტები მაქვს, რომლის გათვალისწინებაც ჟიურის სხვა წევრებს უწევთ ხოლმე *(იცინის)*.

**– ცნობილია, რომ ძალიან მკაცრი ხართ მონაწილეების მიმართ, მაგრამ თქვენთან სამდღიანი მუშაობა ამბობენ, სამუდამოდ ატყობს თქვენს ხელწერას მონაწილეს, რომელიც შემდეგ სულ სხვანაირად დგას სცენაზე.**

– არ ვიცი, რამდენად მკაცრი ვარ და როგორ ეტყობათ ჩემი ხელი, მაგრამ ამდენწლიანი გამოცდილება მაძლევს იმის უფლებას, რომ ზუსტად ვიცოდე, როგორ უნდა მოიქცეს მომღერალი სცენაზე, რა მუშაობს ეფექტურად სატელევიზიო ეთერისთვის და როგორ გამოჩნდნენ მაქსიმალურად კაშკაშა.

**– კონკურსანტები ყოველწლიურად იცვლებიან, მაგრამ მოწვეული რუსი ვარსკვლავები – თითქმის არასდროს. ხომ არ იგეგმება წელს რაიმე ცვლილება?**

– ეს არ არის სწორი. „ახალ ტალღას“ ათას ორასი ადამიანი აკეთებს – მთელი არმია. არქივს თუ ამოიღებთ, ნახავთ, რომ ყოველწლიურად ხდება არტისტების ორმოცპროცენტიანი როტაცია. რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, ვინც მუდმივად ჩვენთანაა – ჟიურის მუდმივი წევრები, რომლებიც ჟანრს განასახიერებენ. უბრალოდ, კაშკაშა სუპერვარსკვლავები, რომლებიც კონკურსზე ჩამოდიან, თავისი ნათებით სხვებს ჩრდილავენ, სინამდვილეში კი, როტაცია საკმაოდ ინტენსიურია.

***ერთი სიტყვით, იურმალაში ყველაფერი მზად არის ქართველი მომღერლის მისაღებად. ნინი ცნობილაძის პროდიუსერი ნატო დუმბაძეა, ხოლო ვინ „მიხედავს“ სალომე ქათამაძეს კიევში, ეს სულ რამდენიმე დღეში გაირკვევა.***

**სალომე გველესიანი**



# როდის უტყდება ქალს მამაკაცებზე გული საბოლოოდ და რატომ ამბობს ის უარს დიდ სიყვარულზე

**სიყვარულზე უარს არავინ ამბობს. უფრო მეტიც – ყველა ოცნებობს, იყოს შეყვარებული და ბედნიერი. მაგრამ, ყოველთვის მოაქვს სიყვარულს ბედნიერება?! ფაქტებით დადასტურებულია, რომ სიყვარული ზოგჯერ აგრესიის, სუიციდის, მკვლელობის მიზეზიც კი ხდება; ასევე, დეპრესიისა და სხვადასხვა ნერვული აშლილობის. შეიძლება, ეს ყველაფერი სიყვარულის მახინჯი ფორმებია, მაგრამ, სიყვარულში ხელმოცარული, იმედგაცრუებული ადამიანები ჩვენ გვერდით ცხოვრობენ და, ამდენად, მათი ტკივილიც რეალური და ხელშესახებია. ცხოვრება ბევრ რამეს გვასწავლის, მათ შორის, ცუდი მაგალითებითაც. იქნებ, ადამიანები უფრო მეტად უნდა ვფიქრობდეთ იმაზე, რომ ერთმანეთს გული არ ვატკინოთ?!**

**ლიზა** *(29 წლის):* ხომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც სხვის შეცდომებზე სწავლობენ? მე საკუთარ შეცდომებზეც ვერაფერი ვისწავლე. ცხოვრება ცუდად მომექცა. ჩემ თვალწინ ბევრი ცუდი რალაც მოხდა და ბევრი მწარე გაკვეთილი გავიარე. მიკვირს, საერთოდ როგორ ვიღიმები. ტკივილით ვცხოვრობ და არაფერი აღარ მიხარია. საშინელებაა ასე ცხოვრება. მე აღარც სიყვარული მინდა და, საერთოდაც, მიმაჩნია, რომ ქალისთვის სიყვარული ზედმეტია – ის მას წამგებიან მდგომარეობაში აყენებს.

**– ანუ, აჯობებს, მამაკაცი საერთოდ არ შეგვიყვარდეს?**

– გაცილებით აჯობებს. მე უკვე უამრავი მაგალითი მაქვს იმისა, რომ ქალს სიყვარული ასუსტებს, უკან ხევს და სასოწარკვეთილებაში აგდებს; ასევე, ანგრევს მის პიროვნებას. ის ქალები ცხოვრობენ კარგად და კომფორტულად, რომლებიც ახერხებენ, იქით შეაყვარონ კაცს თავი და მერე მისი გრძნობა თავის სასარგებლოდ გამოიყენონ. ისინი ძალიან ჭკვიანები არიან. ბოლოს და ბოლოს, სიყვარულიც ხომ იმისთვის გვინდა, რომ ბედნიერები ვიყოთ.

**– მამაკაცები არ ზარალდებიან სიყვარულისგან?**

– არ ვიცი. შეიძლება. თუმცა, რატომღაც, მგონია, რომ გაცილებით ნაკლებად. ჯერ ერთი, კაცი მაინც კაცია და მას მოქმედების მეტი თავისუფლება აქვს, ანუ, მეტი შესაძლებლობები და ნაკლები პასუხისმგებლობა.

**– თუ, თვითონ მიაჩნიათ, რომ ნაკლები პასუხისმგებლობა აქვთ?**

– დიახ, თვითონ მიაჩნიათ ასე და ამიტომაც, ვზარალდებით ქალები ორმაგად – მაშინაც, როცა ვუყვარვართ და, მაშინაც, როცა მათ არ ვუყვარვართ და გვიყვარს ჩვენ. რაღაც ისე ვერ ვთქვი, როგორც საჭირო იყო, მაგრამ, ფაქტია, რომ ჩვენ გარშემო გულნატკენი ქალი უფრო მეტი დადის, ვიდრე გულნატკენი მამაკაცი – ისინი ხომ ჩვენზე გაცილებით ზერელეები არიან და ბევრად ადვილად გადააქვთ დარდიც და სევდაც. გამონაკლისები, ალბათ, არიან, მაგრამ, მასშტაბურად თუ ვიმსჯელებთ, პროცენტული რაოდენობით ჩვენ ვაჭარბებთ. ჩვენ უფრო მეტად ვართ დაზარალებულები. კიდევ რა მაღიზიანებს, იცით? თუ კაცი რამდენიმე ქალს ერთად „აბამს“, მაგარი ტიპია, ხოლო, როცა ქალი იქცევა ასე, ის უწესოა, „სტერვაა“ და კუდიანი. დააკვირდით, თუ ასე არ არის. პირველად ჩემი მეგობრის საქმროს საქციელმა შემიცვალა მამაკაცებზე წარმოდგენა. ვაკვირდებოდი, როგორ უტიფრად ცდილობდა ჩვენს „შებმას“, ანუ, თავისი საცოლის დაქალების. ველარ მოვითმინე და ჩემს მეგობარს ვუთხარი, შენი საქმრო ნაძირალა და იდიოტია-მეთქი. გაგიჟდა – ამას როგორ მეუბნებიო. ცოტა ხნის შემდეგ უკვე თვითონაც აღარ დამალა საკუთარი უსაქციელობის ამბავი და ჩემს დაქალს „აღსარება“ უთხრა. იმ სულელმა კი, პირიქით, შეაქო და ჩვენთან გაამართლა: ნაძირალა რატომ არის? მართალი კაცია, თვითონ აღიარა ყველაფერი და ჩემთან მოინანია. აბა, ტკბილ ტყუილში მეცხოვრა? მირჩევნია, მწარე სიმართლე ვიცოდე. გადავიტან ამას, შეიძლება, ძნელად, მაგრამ, ვაპატიებ და ურთიერთობა ამით ნაკლებად დაზარალდებაო. გავოგნდი. ვიფიქრე, ასე როგორ უყვარს, რომ ასე მორჩილად ეგუება საქმროს ღალატს; ახლა რომ ასე ექცევა, მერე ხომ საერთოდ ფეხებს გაიწმენდს მასზე-მეთქი... ამ ამბავმა საბოლოოდ ის შედეგი გამოიღო, რომ მე მათ ოჯახში არასასურველი სტუმარი გავხდი. მერე მეც შემიყვარდა და, როგორც ხდება ხოლმე, ჩემი შეყვარებული განსაკუთრებული, სხვებისგან სრულიად გამორჩეული მეგონა. რასაც სხვა კაცები კადრულობენ, ჩემი საქმრო ამას არ გააკეთებს-მეთქი – ამ ილუზიებით თითქმის ერთი წელი ვიცხოვრე. ეტყობა, სიყვარული მართლა აბრმავებს ქალს, თორემ, ჩემ ცხვირწინ ისეთ რაღაცეებს სჩადიოდა, ახლა მიკვირს, როგორ ვერ ვამჩნევდი... ერთ საღამოს კი, სხვებს რომ დავცინოდი, მე თავად აღმოვჩნდი ბრიყვის როლში. დანიშნულები ვიყავით და ერთად ვცხოვრობდით, ფაქტობრივად, ცოლი ვიყავი და ქორწილის დღეც დათქმული გვქონდა. მესტუმრნენ დაქალები. სამზარეულოში ყავას ვსვამდით, რომ ორივემ ერთდროულად მომახალა: შენმა ქმარმა გიღალატაო.

**– რამდენ ხანს ცხოვრობდით ერთად?**

– ოთხი თვე. სწორედ ასე მოკლე დროში მიღალატა. აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ ადრე ჰყავდა ვინმე და მე გვიან გავიგე – ეს კიდევ ნაკლები ტრაგედია და დანაშაული იქნებოდა.

**– რატომ იქნებოდა ნაკლები დანაშაული?**

– რა ვიცი, იმას მაინც ვიტყოდი, მასთან სექსი მოენატრა და ცდუნებას ვერ აჯობა-მეთქი. თუმცა, ესეც არ არის გამამართლებელი. სწორედ იმიტომ, რომ ქალები ასეთ იდიოტურ დათმობებზე მივდივართ, კაცებმა საერთოდ აიშვეს თავი. არ ვთხოვთ პასუხისმგებლობას და მაგათაც მეტი რა უნდათ?! შეგვიყვარდება და, მზად ვართ, ყველაფერი ვაპატიოთ; ყველა დანაშაული საკუთარ თავზე მივიწეროთ, მერე კი ვტირით, და ლოყებს ვიხოკავთ – ვაიმე, მე ამის ღირსი არ ვიყავი და როგორ მიღალატაო.

**მიმაჩნია, რომ ქალისთვის სიყვარული საერთოდ ზედმეტია – ის წამგებიან მდგომარეობაში გვაყენებს**

**– იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ თქვენდაუნებურად მოახდინეთ მისი ღალატის პროვოცირება?**

– დიახ, ასეა. როცა იცი, რომ გაპატიებენ, სიამოვნებაზე უარს რატომ იტყვი?! ჩემთვის, პირადად, ღალატი ვერაფრით იქნება სიამოვნება, მაგრამ ზოგიერთი მამაკაცის (და ასეთები ცოტანი არ არიან) მახინჯი, სტერეოტიპული აზროვნება სხვანაირად ჭრის და კერავს. ხომ გაგიგიათ, ცოლები როგორ ამბობენ – მე ნურაფერი მომაკლდება, ქმარმა ჩემთან იცხოვროს და კისერიც უტეხიაო. ხომ სასაცილოები არიან და საბრალონი? ჰოდა, მეც მათსავით „დავიბოლე“ თავი.

**– იქნებ, იმ ცოლებს სხვა გამოსავალი აღარ რჩებათ? ქალს ოჯახის წინაშე ბევრი ისეთი ვალდებულება აქვს, ხელის ერთი მოსმით ყველაფერს ვერ დაანგრევს.**

– ალბათ, მაგრამ, მე ხომ არ მქონდა ისეთი ვალდებულებები, როგორც სტაჟიან ცოლებს აქვთ. მე მესმის, რასაც გულისხმობთ და ვიცი, რა ძნელია მთლიანობის დარღვევა, როცა ეს მთლიანობა, ასე თუ ისე, არსებობს. ჩემს შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ გრძნობის გამო დამემართა, რაც დამემართა – სიყვარულმა დამაკარგვინა თავმოყვარეობა. საერთოდ, რაში მჭირდებოდა? ჩემს ცხოვრებაში ნეგატიური როლი შეასრულა – თავმოყვარეობა დავკარგე პიროვნულად დავკნინდი და ჩემი თვითშეფასების კრიტერიუმი ყველანაირ ქვედა ზღვარს ჩამოსცდა. ახლა რა მჭირს, იცით? მამაკაცთა მოძულე ვხდები – არც ერთი „შარვლის“ აღარ მჯერა. ეგენი ყველანი ერთნაირები არიან. არავითარი ძლიერი სქესი – მითია ეს ყველაფერი.

**– ძალიან გაგტეხიათ მამაკაცებზე გული?**

– საბოლოოდ გამიტყდა და ამას უკვე აღარაფერი ეშველება. მე იმ პერიოდზე უფრო ვნერვიულობ, როცა შეყვარებული და დებილი ვიყავი. ზუსტად ის სიტყვები გავიმეორე, რაც ჩემმა დაქალმა თქვა: „რაც მოხდა, მოხდა. დაველაპარაკები და, თუ გამბედაობა ეყოფა, რომ აღიაროს ღალატი, ვაპატიებ-მეთქი“. ამას რა ჰქვია – ხომ არის უთავმოყვარეობის პიკი?! მართლაც, – დაველაპარაკე და აღიარა: ჰო, იყო ასეთი ფაქტი, ვიწექი სხვასთანო. იმ წუთში საშინელი რეაქცია მქონდა – ვერ შევიკავე თავი და სახლიდან გავაგდე. ძალიან მძიმე აღმოჩნდა იმ აზრთან შეგუება, რომ უსინდისოდ მომექცა – ისე, როგორც არაფრისმაქნის ნივთს. ჩემი დაქალებიც ცეცხლზე ნავთს მისხამდნენ – არ უნდა აპატიოო. მეც საკუთარ თავს ომი გამოვუცხადე – დავიწყე ბრძოლა ჩემს ღირსეულ „მესთან“. ბევრი ცრემლი დავღვარე, ძალიან ბევრი ვინერვიულე და, რომ იტყვიან, გავწამდი... რა თქმა უნდა, ერთბაშად პატიება ვერ შევძელი. წამოვედი მისგან, მაგრამ, ველოდებოდი, როდის მოვიდოდა, დამირეკავდა და პატიებას მთხოვდა. ჩემი მეგობრები ერთი წუთითაც არ მტოვებდნენ და ჩამჩიჩინებდნენ – არ გაბრიყვდე და პირველმა შენ არ დაურეკო, საბოლოოდ მოიჭრი ყველა გზას და უარესს გაგიკეთებსო. ვერ გავუძელი საშინელ მონატრებას და მაინც დავურეკე, რაც ჩემი მხრიდან უზარმაზარი შეცდომა იყო. დაქალებმა რომ მითხრეს, ამ სიყვარულმა ფეხების საწმენდ ჩვრად გაქციაო, ძალიან გავბრაზდი, არადა, მართლები იყვნენ. ვუმტკიცებდი, სიყვარულმა არც ღირსება დამაკარგვინა, არც თავმოყვარეობა-მეთქი, მაგრამ, რეალობა ხომ სხვა იყო.

**– ანუ, თქვენ გრძნობდით, რომ ის ცუდად მოგექცათ, მაგრამ, სიყვარულმა თავმოყვარეობა დაგაკარგვინათ და ამას არ აღიარებდით?**

– დიახ, შინაგანად ამას ვგრძნობდი, თუმცა,

# როგორ ეძებს 80-იან წლებში თბილისში, სოფლის მეურნეობის სამინისტროში მომუშავე კაცს საბერძნეთში მცხოვრები ქართველი ქალბატონი და რისი იმედი აქვს მას

***ნათელა ღუღუნიშვილი ეძებს დაახლოებით 70-75 წლის იოსებ (სოსო) რთველიაშვილს.***

**ისტორია**: ვეძებ იოსებ (სოსო) რთველიაშვილს (ასაკი და მამის სახელი უცნობია). 1980-იან წლებში ბატონი სოსო სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობდა და სწორედ ამ პერიოდში გავიცანით ერთმანეთი. მან ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე და ჩვენ დავმეგობრდით კიდეც. ამჟამად მე ვიმყოფები საბერძნეთში და საქართველო ძალიან მენატრება. ძალიან მინდა, ვიპოვო ჩემი მეგობარი და აღვადგინო მასთან ურთიერთობა. სამწუხაროდ მასზე მწირი ინფორმაცია მაქვს და, ყველაფერი, რაც ჩემთვის ცნობილია, წერილში წერია.

**ჟურნალისტის შენიშვნა:** წერილი „თბილისელების“ რედაქციაში მოვიდა. რესპონდენტის დიდი თხოვნით, ვაქვეყნებთ ამ წერილს. ვთხოვ ჩემი რუბრიკის მკითხველს, ყურადღებით წაიკითხოს ისტორია და, თუკი რაიმე იცის დაკარგული იოსების შესახებ, გვაცნობოს.



„ვეძებ იოსებ რთველიაშვილს, რომელიც 80-იან წლებშიც და შემდგომშიც მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში; მე კი იმ პერიოდში ვმუშაობდი ზემო იმერეთის ერთ-ერთ სოფელში, მეკურდღლეობის ფერმაში. ბატონი სოსო ორჯერ ზოოვეტინსტიტუტში ვნახე, ერთხელ კი ფერმაშიც გვეწვია. მან თავი კეთილსინდისიერებითა და ყურადღებიანობით დამამახსოვრა. ვიცი, რომ მეძებდა – მითხრეს, გკითხულობდნენო, ჩვენ კი შენი მისამართი არ ვუთხარით. მან თავისი ტელეფონის ნომერი დატოვა, მაგრამ, ჩვენ ის გადავაგდეთო. ამ და სხვა მიზეზების გამო, მე დავკარგე ეს ადამიანი. შემდგომ კი საცხოვრებელი მისამართიც შევიცვალე და ასე დავკარგეთ ერთმანეთი... ვიცი, რომ სოსო თბილისში ცხოვრობს და ინტუიცია მკარნახობს, რომ ის კარგადაა. ამჟამად მე საბერძნეთში ვცხოვრობ და მენატრება ყველა და ყველაფერი და ამ ყველაში სოსოს მონატრებაც შედის. ახლა ჩვენ ორივე ისეთ ასაკში ვართ, ვფიქრობ, საეჭვო იმაში, რომ მე მას ვეძებ, არაფერია. იმედია, მისიანებსაც და ჩემს ნათესავებსაც ამ ძებნით ეჭვის საბაბს არ მივცემ. უბრალოდ, მინდა, ვიპოვო და მოვიკითხო ის ადამიანი, ვინც ჩემზე ასეთი კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იოსები ყველას დიდი ყურადღებით ექცეოდა. საბედნიეროდ, გამიმართლა და ამჟამად წარმატებულ ადამიანად ვითვლები. ძალიან მინდა, ვიპოვო იოსები და მას მადლიერების ნიშნად მადლობა გადავუხადო. დიდი იმედი მაქვს, რომ სოსო ან თქვენი რუბრიკის რომელიმე მკითხველი, ვინც მას იცნობს, წაიკითხავს ამ წერილს. ჩემთვის ნებისმიერი ინფორმაცია მნიშვნელოვანი იქნება“.

***თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ, ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

საკუთარ თავთანაც კი არ ვაღიარებდი, არათუ მეგობრებთან. მერე ინიციატივა ჩემმა ყველაზე ახლო მეგობარმა აიღო ხელში და კატეგორიულად გამომიცხადა: თუ შენ გინდა, რომ სულში გაფურთხებდნენ, მე არ დავუშვებ ამას, შენს გასაკეთებელს მე გავაკეთებ და თქვენს ურთიერთობას დავასრულებო. საკუთარი თავის ფასს გასწავლი და მერე ასე ველარავინ მოგექცევაო. მე წინააღმდეგობას ვუწევდი – არ გაბედო და

## მტყობა, სიყვარული მართლა აბრმავებს, თორემ, ჩემ ცხვირწინ ისეთ რაღაცებს სჩადიოდა, როგორ ვერ ვამჩნევდი?!

ჩემს საქმეში არ ჩაერიო, გიკრძალავ-მეთქი. ძალიან სერიოზულად ვეჩხუბე, ფეხებიც კი ვუბაკუნე. ისტერიკა მქონდა, – წადი ჩემი სახლიდან-მეთქი, ვუყვიროდი. სხვათა შორის, დედაჩემიც არ იწონებდა მის საქციელს.

**– პატიების მომხრე იყო?**

– დიახ. ხალხი რას იტყვისო. ყველას ხომ ვერ ავუხსნი, რაც მოხდა. წესიერ კაცს ვერასდროს იპოვი, ბოლოს მაინც ყველა ღალატობს ცოლს და, მაშინ, სულ მარტო უნდა იყოო. აპატიე, შეიძლება, თვითონაც ნანობსო და მეც დავუჯერე. დავურეკე და ვთხოვე, შევრიგდეთ-მეთქი.

**– ფიქრობთ, რომ არ ნანობდა?**

– რა თქმა უნდა, საერთოდ არ ნანობდა. მაშინ, ჩემს ზარს კი არ დაელოდებოდა, თვითონ დარეკავდა, მუხლებზე დაეცემოდა და ისე მთხოვდა პატიებას. მაგრამ, ასე კი არ მოიქცა. დაელოდა, სანამ მე არ დავრეკე, იმიტომ, რომ ზუსტად იცოდა – დავურეკავდი! ანუ, ისე გამოვიდა, რომ ის უკეთესად მიცნობდა, შესწავლილი ვყავდი. მოკლედ, შევრიგდით. ჩვენი ურთიერთობაც გავაოფიციალურეთ, თუმცა, ერთი წელიც ვერ გასტანა ჩვენმა ოჯახურმა იდილიამ. ეტყობა, მეც მთლად ბოლომდე ველარ ვენდობოდი იმ ამბის შემდეგ. გრძნობა მაინც მქონდა და ახლაც მაქვს, მაგრამ, ეჭვმა თავისი საქმე გააკეთა – ბოლოს იქამდე მივედი, რომ მის ყოველ ნაბიჯს ვამოწმებდი. როცა რაღაცას დაჟინებით ეძებ, პოულობ, ჰოდა, მეც ვიპოვე სასიყვარულო მესიჯები. კაცები იმდენად არიან დარწმუნებულები, რომ ყოველთვის ყველაფერი ეპატიებათ, კვალის წაშლასაც არ ცდილობენ, სიფრთხილის გამოჩენაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

**– მოუწყვეთ ისტერიკა?**

– ვერა. ისეთი განადგურებული ვიყავი, რომ საამისოდ ძალა არ აღმომაჩნდა. ვიჯექი და ვტიროდი, ის კი დამცინოდა – სულელი ხარო; რაღაც უაზრობა მოიგონე და არაფრისგან ტრაგედია შექმენი. ეტყობა, ჩხუბისა და ნერვიულობის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლიაო.

**– ანუ, ამჯერად აღარ აღიარა...**

– არაფრით. ის კი არა, იქით შემომიტია. სულ წავალ-მეთქი, დავემუქრე. წადი, თუ წინ და უკან სირბილი გსიამოვნებს, რა მენაღვლება. ზუსტად ვიცი, ორ-სამ დღეში უკანვე მოირბენ და, რადგან ჩანთების ჩალაგება-ამოლაგება არ გეზარება, კი ბატონოო. მერე გაიხურა კარი და წავიდა. უცებ გამოვფხიზლდი და ერთბაშად სიმართლე დავინახე: მივხვდი, რომ ამ ადამიანს ფეხებზე ვეკიდე, არაფერს არ წარმოვადგენდი მისთვის, მე კი უთავმოყვარეოდ განვაგრძობდი მასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას... წამოვედი. დღემდე არ დაურეკავს – დარწმუნებულია, რომ რამდენიმე დღეში მე დავურეკავ და შევეხვეწები, უკან მიმიღოს, მაგრამ, ეს აღარ მოხდება. უკვე საშინლად მძულს. მან მე ღირსება დამაკარგვინა. შეიძლება, ხელი მეც შევუწყე, მაგრამ, მე გამართლება მაინც მაქვს – მიყვარდა!

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**მშვენიერი ქმარი მყავდა – მზრუნველი, ყურადღებიანი, ოჯახის მოყვარული. ყველგან ერთად დავდიოდით, თავისუფალ დროს ისე ვანაწილებდით, რომ ორივეს სიამოვნება მიგვეღო ამისგან. ახლა რადიკალურად არის შეცვლილი. ყველაფერში დამნაშავე მისი ახალი მეგობარია. აზროვნება საერთოდ შეუცვალა და ათქმევინა, რომ კაცს აქვს უფლება კვირაში სამი დღე საკუთარი სიამოვნებისთვის იცხოვროს. ყველაფერში ბაძავს. მანქანაც კი მისნაირი იყიდა. მთელი დღე იმაზე ლაპარაკობს, რომ მაგარი ძმაკაცი ჰყავს. დავიღალე. ბოლო წვეთი იყო ის, რომ კინოშიც მასთან ერთად წავიდა. არ ვიცი, რა ვიფიქრო და როგორ მოვუარო ამ პრობლემას.**

**გამოხმაურება:** შესაძლოა, თქვენმა მეუღლემ იმ ადამიანში დაინახა ყველა ის ღირსება და თვისება, რომელიც უნდა, თავადაც ჰქონდეს. კომპლექსი ხშირად არის მსგავსი საქციელის მიზეზი. საკუთარი თავით უმაყოფილო იმ იდეალთან ურთიერთობით ახდენს კომპენსაციას. ჩხუბით პრობლემას ვერ მოაგვარებთ. შეეცადეთ, აამაღლოთ მისი თვითშეფასების კრიტერიუმი. ტაქტიანად მიუთითეთ იმ ადამიანის ნაკლზე, რომელიც განსაკუთრებული ჰგონია. ნელ-ნელა ეს შედეგს გამოიღებს.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**„ახალი ტალღის” კონკურსისთვის მზადება უკვე დაიწყო. უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ბრენდონ სტოუნი, იგივე ბესიკ შპეტიშვილი, ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული. მომღერალი და კომპოზიტორი დიდი ხანია, გერმანიაში ცხოვრობს, თუმცა ევროპის ბევრ ქვეყანაში უწევს ჩასვლა, კონცერტის გამართვა, დამწყებ მომღერლებთან მუშაობა და არაერთი კონკურსის ჟიურის წევრობა. ის თავის სამშობლოში იშვიათი სტუმარია. სხვა ქართველი ემიგრანტებისგან განსხვავებით, ბრენდონს არც ქართულად ლაპარაკი დავიწყებია და არც ქართული ტრადიციები. გერმანიაში, ამერიკაში, რუსეთში, უკრაინასა თუ სხვა ქვეყნებში, ის კონცერტის დაწყებამდე, სცენიდან ხმამაღლა, სიამაყით აცხადებს, რომ ქართველია. ბრენდონი, სულ ორი დღით ჩამოვიდა საქართველოში, რათა იურმალას საერთაშორისო კონკურსის, „ახალი ტალღისთვის“, ქართველი მომღერლის არჩევაში მიეღო მონაწილეობა. ამ კონკურსზე ის წლების წინ, თავად ცდიდა ბედს. იქ კი ორგანიზატორებმა შეამჩნიეს და შემდეგ სამუშაოდაც მიიწვიეს, როგორც საუნდპროდიუსერი. მოკლედ, ისიც და თბილისში ჩამოსული დანარჩენი რუსი სტუმრებიც აღიარებენ, რომ იურმალაში, ჩვენი თანამემამულის გამოსვლას მთელი პასუხისმგებლობით ელიან. წუხან, რომ გასულ წელს, ამის საშუალება, უბრალოდ არ მიეცათ.**

# რას აძალებდნენ ვალერი მელაძე და ბრენდონ სტოუნი რუს სტუმრებს ქართულ რესტორანში და რის მერე გაიღვიძა მათში ქართულმა გენეტიკამ

**ბრენდონ სტოუნი:** როცა საქართველოში ჩამოვდივარ, დამიჯერეთ, გული სხვანაირად ძგერს, უფრო მეტად განვიცდი ამ მიწაზე ფეხის დადგმას და ვგრძნობ, რომ აქ არის ჩემი ფესვები, გენები და ის, რაც ყველაზე ძვირფასია ჩემთვის. ყველა ქვეყანაში იციან, რომ მე ქართველი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს სამშობლოში იშვიათად ჩამოვდივარ. თბილისში ვარ დაბადებული, გაზრდილი და ეს ქალაქი ჩემთვის განსაკუთრებულად მშობლიური, ლამაზი და საყვარელია. ადრე, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ უცხო მხარეში მომიწევდა ცხოვრება და მუშაობა. ვერ წარმომედგინა, თბილისის გარდა, სხვაგან თუ გავძლებდი, მაგრამ ახლა, ფაქტობრივად, დედამიწაზე არ ვცხოვრობ, სულ თვითმფრინავში ვზივარ და ხან რომელ ქვეყანაში ამოვყოფ თავს და ხან რომელში.

**– ამბობენ, საქართველოში ჩამოსვლას და „ახალი ტალღისთვის“ ქართველი კონკურსანტების მოსმენას იგორ კრუტოი აპირებდა, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრა და შენ გამოგაგზავნა მის შემცვლელად ჟიურიში. ეს ასეა?**

– *(იცინის).* იგორ კრუტოის ვერავინ შეცვლის, მაგრამ ასე გამოვიდა. მას საქმეები გამოუჩნდა. უკვე შვიდი წელია, ამ კონკურსში ვარ ჩართული. კრუტოის მართლაც ძალიან უნდოდა საქართველოში ჩამოსვლა, ემზადებოდა ამისთვის, მაგრამ ბოლო წამს შეიცვალა გეგმები და მომიწია მის მაგივრად გამოფრენა. მინდოდა, იგორს თავად მოესმინა და ენახა ის, რაც აქ ხდებოდა, მაგრამ, რომ ჩავალ, მოვუყვები და დამიჯერებს *(იცინის).* ქართველი კი ვარ, მაგრამ ობიექტური და არა სუბიექტური, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი თანამემამულე მღერის.



**ქართველი კი ვარ, მაგრამ ობიექტური ვარ და არა სუბიექტური, მიუხედავად იმისა,რომ ჩემი თანამემამულე მღერის**

**– როგორ მოგეწონა ქართველი კონკურსანტები? შენი აზრით, გვაქვს საამაყოდ საქმე ქართველებს მუსიკალურობის კუთხით და რას იტყვი სალომე ქათამაძესა და ნინი ცნობილაძეზე, რომლებიც ამ კონკურსისთვის შეირჩნენ?**

– არ დაგიმალავთ, კარგად არ ვიცნობ ქართულ ესტრადას და დამწყებ მომღერლებს მით უმეტეს, მაგრამ ახლა შოკში ვარ. ოცდაათივე კონკურსანტი მაგარი აღმოჩნდა. კარგად იმღერეს, მაგრამ ჩემი აზრით, მათი ერთადერთი ნაკლი იყო, რომ ვერ წარმოაჩინეს ინდივიდუალიზმი. კონკურსანტები კარგად „აკოპირებდნენ“ უცხოურ სიმღერებს და ამის ფონზე, ინდივიდუალურობას კარგავდნენ. სხვა მხრივ, „ვსო ოქეი“. დამიჯერეთ, მეამაყება რომ ქართველი ვარ. არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა, რომ 30 კონკურსანტიდან, 30-ივე მაგარი ყოფილიყო. ეს ქართველებმა შევძელით და ჟიურის რუსი წევრები გაოცებულები დავტოვეთ. არასდროს ეპარებოდათ ეჭვი ჩვენს გენეტიკაში, მაგრამ თუ ასეთი მუსიკალური დონე იყო საქართველოში, ამას არც ვალერი მელაძე, არც რევზინი და არც დანარჩენები მოელოდნენ. 2007 წელს თავად ვიღებდი ესპანეთის სახელით მონაწილეობას და ვიცი, როგორი დონის, სირთულის, კრიტერიუმისა და გემოვნების კონკურსიცაა. რევზინმა სწორედ მაშინ შემამჩნია და მოვეწონე, როგორც მომღერალი, კომპოზიტორი და პროდიუსერი. ამიტომ, დამტოვა იქ სამუშაოდ, როგორც საუნდპროდიუსერი და იწყება თუ არა „ახალი ტალღა”, მეც იქ ვარ. ძალიან მინდოდა, შარშან ქართველიც მეხილა ამ კონკურსზე, თუმცა არ გამოვიდა. წელს კი, დანარჩენებს საკმაოდ ძლიერი კონკურენტები ეყოლებათ სალომეს და ნინის სახით. ზუსტად ვიცი, ჟიურის წევრებს მოხიბლავენ თავისი შესაძლებლობებით და არ არის გამორიცხული, გრანპრიც დაიმსახუროს რომელიმემ. თუმცა, კონკურსი კონკურსია და იქ რა მოხდება, არავინ იცის. მოდი, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. ასე ჯობია. ძალიან მინდოდა, მიშა სულუხია ყოფილიყო მესამე კონკურსანტი, მისი სიმღერის დროს დარბაზი ფეხზე იდგა, მაგარი ბიჭია, მაგრამ ორსაათიანი ბჭობის შემდეგ, ჟიურიმ გადაწყვიტა, რომ ცოტა კიდევ იმეცადინოს და მეორე წელს აუცილებლად სცადოს ბედი „ახალ ტალღაში“. ორსაათიანი ბჭობა გვქონდა ჟიურის წევრებს, ვინ აგვერჩია. დამიჯერეთ, ამდენი დრო არც ერთ ქვეყანაში არ მოგვდომებია. ვერ ვხვდებოდით, ვინ შეგვერჩია საბოლოოდ კონკურსისთვის – ყველა ისეთი ძლიერი იყო. ვუთხარი კიდეც მელაძეს, რევზინს და რუმიანცევს, ამდენი წელია, არ მომისმენია ქართველების სიმღერა და ახლა ძალიან ვამაყობ, ქართველი რომ ვარ-მეთქი. ვალერი მელაძემ კი გადმომხედა და მითხრა: მეცო *(იცინის).* ყველა აღიარებდა, ძალიან დავიღალეთ, მაგრამ სასიამოვნო დაღლა იყოო.

**– დამღლელი დღის შემდეგ, ქართული ღვინო და კერძები არ დააგემოვნეთ და განიტვირთეთ?**

– კი, როგორ არა. რესტორან „სენატში“ დავსხედით და ქართული კერძები რომ დაახვავეს მაგიდაზე, თვალები გაგვიფართოვდა *(იცინის).* ვხუმრობდით, დღეს ორმაგად უნდა მივირთვათო. პირადად მე, ძალიან მომენატრა ქართული საჭმელი. მაგიდაზე წითელი და თეთრი ღვინო მოგვართვეს და ჭაჭაც, მაგრამ, სტუმრებმა, ძირითადად ჭაჭას მიანიჭეს უპირატესობა. მე თეთრ ღვინოს ვსვამდი, ვალერი წითელს და დანარჩენებს ვაძალებდით – რომ ისხამთ ამ ჭაჭას და ყელს იხუხავთ, გასინჯეთ, რა მაგარი ღვინოა *(იცინის).*

**– ეტყობა, არ მონატრებიათ კარგად ჩვენი ღვინო.**

– არა, რას ამბობთ, აღიარებენ, რომ მაგარია. ჭაჭით დაიწყეს და ჩემი და ვალერის დაჟინებით, ბოლოს ღვინით ჩაანაცვლეს. ასე რომ, რუსები ქართველებმა ბოლოს მაინც დავიყოლიეთ. სამწუხაროა, რომ სულ ორი დღით ვიყავით საქართველოში და ვერ მოვასწარით სტუმრებისთვის ბევრი რამის ჩვენება. საქართველო მაინც ჩემი ქვეყანაა და მე ასე თუ ისე, ვიცნობ მის ღირსშესანიშნაობებს. მინდოდა, ეს მათთვისას მეჩვენებინა. თუმცა, ეს ორი დღეც საკმაოდ წარმატებული და შოკისმომგვრელი იყო მათთვის ისეთი ნამღერი მოისმინეს. რესტორანში სულ ამაზე ლაპარაკობდნენ, ქართველები მაგრები ხართ, ეს ბევრჯერ დაამტკიცეთ „ახალ ტალღაზე“ და ახლაც არ გაუწბილებენ არჩეული კონკურსანტები იმედს თქვენს თანამემამულეებსო.

**ორსაათიანი ბჭობა გვქონდა ჟიურის წევრებს, ვინ აგვერჩია. დამიჯერეთ, ამდენი დრო არც ერთ ქვეყანაში არ მოგვდომებია**

**– ევროპაში საკმაოდ წარმატებული ხარ, ხშირად მართავ კონცერტებს. საქართველოშიც ხომ არ გაქვს უახლოეს მომავალში კონცერტი დაგეგმილი?**

– საქველმოქმედო კონცერტი მაქვს დაგეგმილი 5 ივნისს ბათუმში. მინდა, ამით დავეხმარო ბავშვებს, ვისაც ეს სჭირდება და ამას სიამოვნებით გავაკეთებ. ორი წლის წინ, ბათუმში რომ კონცერტი გავმართე, იმდენი ხალხი მოვიდა, ნამდვილად არ ველოდი. გაოცებას ვერ ვმალავდი, დარბაზი სავსე იყო. მაშინაც საქველმოქმედო კონცერტი გახლდათ და საკმაოდ ბევრი ბილეთი გაიყიდა. საქართველოში ისე კარგად მიმიღეს, რომ ყველა ქვეყანას გადაუჯოკრეს. ოცი წელია, აქედან წავედი, თუმცა ბევრი ნათესავი, ახლობელი და მეგობარი მყავს აქ. თბილისში რომ ჩამოვდივარ, მაინც სასტუმროში ვჩერდები, არ მინდა, ვინმე ზედმეტად შევაწუხო. ამ ბოლო ჩამოსვლაზე, სხვა ჟიურის წევრებთან ერთად, სასტუმრო „რედისონში“ რომ ვცხოვრობდი, დავფიქრდი და ბინის ყიდვა გადავწყვიტე. მინდა, ჩემს ლამაზ თბილისში ჩემი პატარა კუთხე მეც მქონდეს.

**ნონა დათეშიძე**

# თბილისის რომელ ბაღს უწოდებდნენ „იასეს ბაღს“ და სად იმართებოდა მეცხრამეტე საუკუნის თბილისში ყაბახი

*თბილისის შუაგულში მდებარე ბაღს თბილისელები დღემდე ძველი სახელით – ალექსანდრეს ბაღად მოიხსენიებენ, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ბაღი ორ ნაწილად არის გაყოფილი და თითოეულს სხვადასხვა სახელი აქვს (9 აპრილის სახელობის და გიორგი ლეონიძის სახელობის ბაღები), საბჭოთა დროს კი მას, სულაც, „კომუნარების ბაღს” უწოდებდნენ. ძველი ფოტოების დახმარებით, შევეცდებით, აღვადგინოთ ბაღის დაარსებისა და მისი შემდგომი არსებობის პერიოდები.*

## ალექსანდრეს ბაღი

ბაღის ქვედა ბაქანზე ძველად ყაბახი (სპორტული ასპარეზი) იმართებოდა. ყაბახი ამ



ალექსანდრეს ბაღი მეცხრამეტე საუკუნეში

ადგილზე თბილისის ტურნეფორისეულ თბილისის 1701 წლის ნახატზეა ნაჩვენები; ამასვე მიუ-



ლადიძის წყლები ალექსანდრეს ბაღში (1911 წელი)

თითებს ვახუშტი ბაგრატიონიც 1735 წლის გეგმაზე. ამ ადგილზე კვლავ ყაბახია მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიც – აქ სხვადასხვა სახის ასპარეზობა იმართებოდა ხოლმე. ერთმანეთს ცვლიდნენ ცხენოსნები, მოჭიდავეები, ყოჩები, აქლემები, მამლები და სხვა.

ძველი თბილისის მცოდნე და მოტრფიალე იოსებ გრიშაშვილი ასე აღწერდა ყოჩების ჭიდაობას: „ყველაზე ძლიერ გავრცელებული იყო ყოჩების ჭიდაობა. ჭიდაობის მოყვარულნი დაყოჩებულ ერკემალს სახლში ზრდიდნენ, განსაკუთრებული მზრუნველობით ექცეოდნენ, პურზედ ინახავდნენ და ჯაჭვითა ჰყავდათ დაბმული, რომ უბრალოდ არავის დასტაკებოდა. ყოჩაობის დროს კი ქერით ათრობდნენ, ყელზედ ფერადმძივებიან საყელოს უკეთებდნენ, ქოჩორს ენდროთი ულებავდნენ და უკან გადატანილ რქის წვერებს კოპწიად გადაუხერხავდნენ... ჭიდაობის გათავების შემდეგ, ყველანი „ჩასხდებოდნენ” მტკვრის პირას ჩარხებთან და იმართებოდა მეგობრული ქეიფი”.

შემდგომ ამ ადგილს თბილისელები „იასეს ბაღს“ უწოდებდნენ, რადგან, ქართლის მაჰმადიანი მეფე იასე სადღაც იმ ტერიტორიაზეა დაკრძალული. ბაღის დაარსება მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკის ინიციატივით დაიწყო, მას ჰყავდა ქართველი მეუღლე, გვარად ორბელიანი და თვითონაც კარგი კაცი იყო, რომელსაც უყვარდა ქართველები. ბარიატინსკის სახელს ატარებდა დღევანდელი ჭანტურიას ქუჩა, რადგან, მისი სახლი ამავე ქუჩაზე მდებარეობდა. საბჭოთა დროს ამ ქუჩას ჯორჯიაშვილის ქუჩა ერქვა. დღევანდელი ბაღის ზედა ბაქანზე, ქაშუეთის ეკლესიასა და ჭანტურიას ქუჩას შორის, გვიან საუკუნეებში ქართული სასაფლაო იყო. დაახლოებით ამჟამინდელი თაბუკაშვილის ქუჩის სწვრივად გაფანტული იყო აგურის მცირე საწარმოები – აგურხანები. ისინი მოშალეს კავკასიის მხარის მთავარმმართებელ ერმოლოვის განკარგულებით: ისეთი ორმოები გაჩნდა, რომ საფრთხეს უქმნიან არა მარტო ცხენოსნებს, არამედ, ფეხით მავალთაცო.



ალექსანდრეს ბაღში მოსეირნე გიმნაზიელები (1900-იანი წლები)

მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში ძველი ყაბახის ტერიტორიაზე მოაწყვეს სამხედრო პლაცი („ალექსანდრეს პლაცი”), 1859 წელს კი საფუძველი ჩაეყარა ფერდობებზე გაშლილ ბაღს. თბილისის პირველი საზოგადოებრივი ბაღი საზეიმოდ გაიხსნა 1865 წელს და ეწოდა „ალექსანდრეს ბაღი“, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მეორის პატივსაცემად. ცნობილია, რომ იმპერატორი თბილისში იყო ჩამოსული და ამ ბაღის ტერიტორიაზე ერთი ხის ნერგი დარგო, რის შემდეგაც ბაღს მისი სახელი ეწოდა. ბაღი დააპროექტა არქიტექტორმა ოტო სიმონსონმა, რუსეთში გადმოსახლებული შვედი ოჯახის შთამომავალმა, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსმა, რომელიც 1858-1903 წლებში თბილისში მოღვაწეობდა.

ალექსანდრეს ბაღი რეგულარული დაგეგმარების იყო და თბილისის იმდროინდელი პრესა მას პირველ „ევროპული ყაიდის” ბაღს უწოდებდა. სიმონსონმავე დააპროექტა ამ ბაღისთვის საგამოფენო პავილიონები, მებაღის სახლი, კაფე-რესტორანი, შადრევნები, მათ შორის – ბაღის ცენტრალურ ნაწილში მდებარე შადრევანი, რომელიც დღემდეა შემორჩენილი და ერთ-ერთი ყველაზე ძველი შადრევანია თბილისში. შადრევანს წყალი მტკვრიდან, წყალსაქაჩების საშუალებით მიეწოდებოდა, ხოლო ბაღის წყლით უზრუნველყოფა ვერეს ხეობიდან ხდებოდა ეგრეთ წოდებული „ყორღანოვის წყალსაქაჩის“ დახმარებით. ცნობილი ფაქტია, რომ თბილისური ბომონდი ხშირად



ალექსანდრეს ბაღი (1900-იანი წლები)



შადრევანი 9 აპრილის სახელობის ბაღში (თანამედროვე ხედი)

დადიოდა სასეირნოდ ამ ბაღში და ამიტომ, იმ დროის თბილისის პრესტიჟული ადგილი იყო. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ბაღის ნაწილი გაიჩეხა და აშენდა სამხედრო მუზეუმი, მაშინდელი მაღალი წრის საზოგადოება განაწყენდა და ბომონდმა მუშტაიდის ბაღში გადაინაცვლა. ალექსანდრეს ბაღის მოსაწყობად მოწვეული იყო ბოტანიკოსი, მებაღე ჰენრიხ კარლ შარერი, რომელიც იქვე ცხოვრობდა, მებაღის სახლში. მისი დარგული ხეების უმეტესობა ბაღში დღესაც არის შემორჩენილი. ბაღის ქვედა ნაწილში, იმ ადგილას, სადაც ამჟამად გიორგი ლეონიძის ძეგლი დგას, იდგა ეკლესია – ალექსანდრე ნეველის საყდარი, რომელიც გასაბჭოების შემდგომ წლებში ბოლშევიკებმა დაანგრიეს. ეს ტაძარი, რომლის

**(გაგრძელება 31-ე გვერდზე)**



იდეალური ვარიანტია, როდესაც შვიდი მოძღვარი სცხებს ზეთს, მაგრამ, შეიძლება, ეს საიდუმლო ერთმა სასულიერო პირმაც აღასრულოს

**როგორც ეკლესიაში დადგენილი შვიდი საიდუმლო, ზეთისცხების საიდუმლოც წმიდა წერილიდან იღებს სათავეს, კერძოდ კი – იაკობ მოციქულის ეპისტოლედან. აი, რა წერია იაკობის ეპისტოლეს მეხუთე თავის მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე მუხლებში: „თუ იყოს თქვენ შორის ვინმე ავად, მოუხმონ ეკლესიის ხუცესს, ილოცონ მასზე, სცხონ ზეთი უფლის სახელით და რწმენის ლოცვა იხსნის ავადმყოფს. უფალი წამოაყენებს მას და, თუ რამე ცოდვა ჩაუდენია, მიეტევება“. ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსრულებით ადამიანს ენიჭება მადლი, რომელიც განწმენდს და სულიერი, ფიზიკური სნეულებებისგან განკურნავს. რაც მთავარია, ის აძლიერებს მორწმუნეს ეკლესიურ ცხოვრებაში, მატებს უფლის რწმენას. თუკი ადამიანი აღსარებებში სრულად და გულწრფელად ვერ აღიარებს თავის ცოდვებს, ვნებები მძლავრობენ მასზე და სულთან ერთად მისი სხეულიც ზიანდება. სწორედ ცოდვის დასაძლევად, რწმენაში გასაძლიერებლად და ფიზიკური კურნების მისაღებად არის დადგენილი ეკლესიაში ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსრულება. ძველად ზეთისა და წყლის კურთხევისთვის ერთი და იგივე ლოცვები იკითხებოდა – წყალი იკურთხებოდა ისევე, როგორც ზეთი. რა თქმა უნდა, შეიძლება, სნეულებზე ზეთისცხების საიდუმლო წელიწადის ნებისმიერ დროს შესრულდეს, თუკი ამას ავადმყოფის მდგომარეობა მოითხოვს; მაგრამ, რაც შეეხება საყოველთაო შვიდგზის ზეთისცხებას, კურთხევანში წერია, რომ შვიდგზის ზეთისცხების საყოველთაოდ აღსრულების დღედ დიდმარხვის პერიოდი, კერძოდ, ვნების შვიდეულის დიდი ხუთშაბათი ან დიდი შაბათი იყო დადგენილი. რადგან დღეს ძალიან ბევრი ქრისტიანი მონაწილეობს ამ საიდუმლოში, ამიტომ, სხვადასხვა ეკლესიაში სხვადასხვა დროს ტარდება შვიდგზის ზეთისცხების საიდუმლო, რათა მორწმუნეებმა მოახერხონ დიდი მარხვის განმავლობაში მასში მონაწილეობა. ამ საიდუმლოს შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი).**

# რატომ უნდა იცხოს ადამიანმა შვიდგზის ზეთი და რატომ აღესრულება ეს საიდუმლო სხვადასხვა ეკლესიაში განსხვავებულ დროს

**– მამაო, სანამ უშუალოდ ზეთისცხების საიდუმლოზე ვისაუბრებდეთ, მინდა, ერთ საკითხს შევეხო: როგორც ამ საიდუმლოს, ასევე, ნათლობისა და ქორწინების საიდუმლოების აღსრულების დროს, მათში მონაწილე ადამიანები აუცილებლად ანთებენ სანთლებს, რომლებიც, საიდუმლოს დასრულების შემდეგ, ხშირად სახლში მიაქვთ. რას განასახიერებენ ეს სანთლები?**

– სანთელი წარმოადგენს ლოცვის სიმბოლოსაც, ღმერთმსახურების კუთვნილებასაც და საეკლესიო შესაწირავსაც. ის ზედმიწევნით პასუხობს ეკლესიაში ახალი აღთქმის სულიერ განწყობას. სანთელი წმიდათაწმიდა სიმბოლოა ღვთიური დიდებისა, რადგანაც, სახარებასა და საეკლესიო საგალობლებში ღმერთი მოხსენიებულია, როგორც „მარადიული ნათელი“, „დაუღამებელი ნათელი“, „ანგელოზები და წმიდანები“ – როგორც „ლამპარმნათები სამყაროისა“, „იგი იყო სანთელი აღნთებული და საჩინო“. „მერმეცა ეტყოდა იესო და ჰრქუა მათ: მე ვარ ნათელი სოფლისა. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისა“. ქრისტემ დაადგინა სიკვდილი და მარადიული სიბნელის სამყარო – ჯოჯოხეთი. სანთელი, როგორც ღმერთმსახურების წმიდა კუთვნილება, გამოხატავს ამ უზენაესი გამარჯვებით გამოწვეულ საეკლესიო სიხარულსა და ზეიმს. ანთებული სანთელი, როგორც ხილული იდუმალება, ასახიერებს ღვთიურ მადლს, მარადიულ სულიერ ნათელს. სანთელი ადის ღმერთამდე ქებათქებად მისი ძლიერებისა, სამადლობლად – მისი მოწყალებისა, ცოცხალთა და მიცვალებულთა ცხონებისთვის და მაცხოვრისადმი ჩვენი მარადიული დამოკიდებულების უმორჩილეს აღიარებად. ხატის წინ დანთებული სანთელი არის ლოცვის ხილული ნიშანი, რომელიც აერთიანებს ქმნილებას შემოქმედთან. ხოლო, რაც შეეხება სხვადასხვა საიდუმლოს აღსრულების დროს დანთებულ სანთლებს, მათი მნიშვნელობა ასეთია: ნათლობის საიდუმლოს აღსრულების დროს ემბაზზე დამაგრებული სამი სანთელი სიმბოლურად გამოხატავს წმიდა სამებას და მიანიშნებს იმაზე, რომ ნათლობის საიდუმლო სრულდება წმიდა სამების სახელით. ამავდროულად, იმასაც შეგახსენებთ, რომ ნათლობის საიდუმლოს აღსრულებისას მოქმედებს ყოვლადწმიდა სამების მადლი, ხოლო მოსანათლავს კი ანთებული სანთელი უჭირავს სადიდებლად ღვთაებრივი ნათლისა. ქორწინების საიდუმლოს აღსრულებისას კი წყვილს ანთებულ სანთლებს აწვდიან როგორც ცოლქმრული ჩაუქრობელი სიყვარულის ნიშანსა და გამოხატულებას. ამავე დროს, ჯვრისწერის სანთლები ქორწინებით შეერთებულთა თანაცხოვრების სიწმიდეზეც მიანიშნებს, ანუ, ჯვრისწერის დროს ანთებული სანთლებით წყვილი გამოხატავს სურვილს, იცხოვრონ ერთად, ეკლესიის კურთხევით, უბიწოდ და სუფთად. ზეთის კურთხევისას საიდუმლოს აღსრულებაში ანთებული სანთელი კი მაგრდება ზეთის ჩამოსასხმელ ჭურჭელზე, რაც სიმბოლურად საიდუმლოს დროს სულიწმიდის ნიჭების ზემოქმედებაზე მიანიშნებს, როდესაც ავადმყოფის სახელზე აღესრულება ზეთის კურთხევის საიდუმლო, მისთვის მლოცველთ, ანთებული სანთლები უჭირავთ უფლისადმი რწმენისა და იმედის გამოსახატავად, სასოებისა, რომ სნეულს მოეფინება ღვთის მადლი, რომლის ძალითაც სულიერ და ფიზიკურ კურნებას მიიღებს. როდესაც ადამიანი გახდება ცუდად, მისმა ახლობლებმა უნდა მოუხმონ ნებისმიერ მოძღვარს, რომელიც მასთან მიბრძანდება, წაუკითხავს ზეთისცხების ლოცვებს და ავადმყოფი სარწმუნოებით განიკურნება. არა მხოლოდ ზეთისცხება, არამედ, რწმენის ლოცვა გადაარჩენს მორწმუნეს. როგორც ვიცით, შვიდგზის ზეთისცხების საიდუმლო დიდმარხვაში აღესრულა, თუმცა, შეიძლება, ეს სხვა დროსაც აღსრულდეს. რადგან პრაქტიკაში ეს საიდუმლო იშვიათად აღესრულება, ამიტომ, ეკლესიამ განაჩინა, რომ დიდმარხვაში, როდესაც ქრისტიანები არიან სინანულში, მარხულობენ, ეკლესიაში ერთიანი ლოცვით მიიღონ ზეთისცხებაში მონაწილეობა. იდეალური ვარიანტია, როდესაც შვიდი მოძღვარი სცხებს ზეთს, მაგრამ, შეიძლება, ეს საიდუმლო ერთმა სასულიერო პირმაც აღასრულოს. ჯერ კიდევ მეოთხე-მეხუთე საუკუნეებში, როდესაც მორწმუნე ავად ხდებოდა, კვირეულის შვიდი დღის განმავლობაში შვიდი მოძღვარი მიდიოდა მასთან, უკითხავდა ლოცვებს, სცხებდა ზეთს. ახლა, შეიძლება, შვიდივე მოძღვარი ერთ დღეს შეიკრიბოს და სცხონ ღვინოში გარეული ზეთი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ზეთის კურთხევა არის საიდუმლო, რომელშიც სხეულის ნაწილთა ნაკურთხის ზეთით ცხების დროს მოიწვევის სნეულზე მადლი ღვთისა, განმკურნებელი სულიერ და ხორციელ უძლურებათა“.

**– როგორც ცნობილია, შვიდგზის ზეთისცხების საიდუმლოში მონაწილეობის უფლება ყველას არ აქვს.**

– ბევრი ქრისტიანი დიდ საიდუმლოებებში მაგიურად, გაუცნობიერებლად, ლოცვის გარეშე იღებს მონაწილეობას, რაც, შეიძლება, მისთვის სავალალო აღმოჩნდეს. ყველას არ ვურჩევთ ამ საიდუმლოში მონაწილეობის მიღებას. ვინც მარხულობენ, აღსარებას ამბობენ და ეზიარებიან, მათ უნდა მიიღონ ზეთისცხების საიდუმლოში მონაწილეობა, რადგან, ეს, როგორც ევქარისტიული კანონი, დამოკიდებულია სინანულის საიდუმლოზე, აღსარებაზე. ზეთისცხების საიდუმლოში მონაწილეობის უფლება აქვს იმ ქრისტიანს, რომელიც მარხულობს და გააჩნია სინანული. დღეს ასეთი შეხედულება, სწავლება არსებობს, რომ, თითქოს, ადამიანს დავიწყებული ცოდვები ამ დროს ეპატიება. ეს არ არის ეკლესიური სწავლება, ეს ხალხური გადმოცემაა. როგორ შეიძლება, ადამიანს რაღაც დაავიწყდეს და ის ეპატიოს?! თუ ქრისტიანმა გააზრებულად არ აღიარა თავისი ცოდვები, მას შენდობა არ ექნება. მინდა, ყველას ვუთხრა: როდესაც ისინი ამა თუ იმ საიდუმლოში იღებენ მონაწილეობას, მოემზადონ სათანადოდ, ჰყავდეთ მოძღვარი, თქვან აღსარება და შემდეგ მიიღონ ლოცვა-კურთხევა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა საიდუმლო ერთმანეთისგან გამომდინარეობს, რადგან, თუ ნათელღებული არ ხარ, მაშინ სინანულში ვერ იქნები, თუ სინანულში არ ხარ, ზიარებას ვერ მიიღებ, თუ სინანული და ზიარება არ გაქვს მიღებული, მაშინ, ბუნებრივია, ვერც ზეთისცხების საიდუმლოში მიიღებ მონაწილეობას და, რაც მთავარია, ადამიანს ცხონებაზე პრეტენზია ვეღარ ექნება. ყველა ეს საიდუმლო დადგენილია ცხონებისთვის, განახლებისთვის, უფალთან ჩვენი შეერთებისთვის.

**– შვიდგზის ზეთისცხების დროს, მოძღვრები მრევლს შვიდ ადგილას სცხებენ ღვინოგარეულ ზეთს, თუმცა, მანამდე იკითხება სახარებიდან შვიდი ადგილი, რომელიც მაცხოვრის ამქვეყნიურ მოღვაწეობაზე მოგვითხრობს. ადამიანების გარკვეული ნაწილი მხოლოდ ზეთისცხებაში იღებს მონაწილეობას და არ უსმენს იმ საკითხავებს, რაც ამ საიდუმლოს აღსრულების დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ იკითხება.**

– სასურველია, მოვისმინოთ ყველა წარმოთქმული ლოცვა, რადგან, ეს შემთხვევით არ არის დადგენილი. წარმოიდგინეთ, შვიდი ადგილი იკითხება სახარებიდან, შვიდი საქმე წმიდათა მოციქულთა, რომლებიც ამოკრებილია წმიდა მამების მიერ და ეხება განკურნებას, სულის სიძლიერეს. ყველა წაკითხული სახარების შემდეგ არის ჩამოლოცვა, სადაც მღვდელი ევედრება იმ დღის წმიდანებსა და ყველა უვერცხლო მკურნალს. და თუ შენ ამ ყველაფერში არ მიგიღია მონაწილეობა, მარტო მაგიურად ზეთისცხება არ არის საკმარისი...

**ნათია უტიაშვილი**

# სწავლანი მამათა ცხოვრებიდან

### მოწყალებისთვის

იყო ვინმე ბერი წმიდა და ღმერთშემოსილი, რომელიცა მრავლითა სათნოებითა ილუწიდა და რასაცა ხელითა მისითა მოირეწდა, ყოველსავე გლახაკთა მისცემდა მოწყალებად. დღესა ერთსა მოვიდეს სამნი ვიეთნიმე ტყუეყოფილნი და მან ნეტარმან ისტუმრნა კეთილად, და ამცნო მოწაფესა თვისსა, რათა ათი იგი დრაჰკანი, რომელი აქუნდა მოწყალებისათვის, მისცეს სამთა მათ ტყუეთა. ხოლო მოწაფემან მან ცხრაი დრაჰკანი მისცა მათ და ერთი დაიმჭირუა. და შემდგომად მცირედისა, მოვიდა ვინმე შუენიერი ხილვითა და მოართუა მამასა მას სულიერსა შესაწირავი ოთხმეოცდა ათი ოქროი; მაშინ გულისხმაჰყო წმიდამან ბერმან და ჰრქუა მოწაფესა თვისსა:

– იხილე, შვილო, საყუარელო, იხილე სახიერება ღუთისა სიტკბოებისა და სარწმუნო იქმენ მადლსა ზედა მოწყალებისასა. უკეთუ შენ ათივე იგი დრაჰკანი მიგეცა, ასიმცა მოევლინა ღმერთსა, გარნა ვინათგან შენ ცხრა მიეც, ღმრთმანცა ოთხმეოცდაათი ოქროი ჯერიჩინა მონიჭებად და კურთხეულ არს სახელი მისი წმიდა.

*„მანანა“*

### თუმცაღა წიგნი არა უწყოდა...

გარეჯის უდაბნოში მოღვაწეობდა ნეტარი ქრისტეფორე. მან მრავალი წელი დაყო მორჩილებაში: ფიჩხსა და წყალს ეზიდებოდა და სხვა ყოველსაც გულმოდგინედ აღასრულებდა. თუმცაღა, „წიგნი არა უწყოდა“, მაგრამ ამაოს არასოდეს იტყოდა, არამედ „ედემის მდინარესავით გადმოდიოდა ბაგეთაგან საღმრთო სიტყვები“.

სანატრელი ქრისტეფორე მოხუცებული იყო, მონაზვნად რომ შემოსეს და ამგვარად ცხოვრობდა: უდაბნოდან შვიდი ვერსის მანძილზე წყლით სავსე ჭური, ან ქოცო ედგა და იქ ორი სპილენძის კოკით წყალს ეზიდებოდა. დიდ სიცხეში ერთ კოკა წყალს ზედ გადაისხამდა, სველდებოდა სამოსელითურთ, ხოლო მეორე, სპილენძის კოკით, წყალს მაშინღა მიიტანდა და ჩააცლიდა ქოცოში. ქოცოზე მცირე ქოხი იდგა და ქოხზე წყლის დასალევი ჩარექა ეკიდა, რათა მგზავრს წყურვილი მოეკლა და ეს ჩარექა შორიდანვე მოჩანდა. სოფლად თუ ქალაქად მომავალნი ერთი დღის სავალზე სხვაგან ვერსად წააწყდებოდნენ წყალს, თუ ქრისტეფორე ბერის ქოცოსთან არ მივიდოდნენ. სიცხითა და მზით დამაშვრალნი და ღონემიხდილნი დიდის სასოებით სვამდნენ ამ წყალს, მადლობდნენ ღმერთს და მონას მისას ქრისტეფორე ბერს. იქვე, ქოცოსთან მცირე ბოსტანიც ჰქონდა გაშენებული ნეტარ ბერს და მგზავრნი მისგან მწვანილს იხმევდნენ, ვითარცა ზეციურ მანანას. ზაფხულის ყოველ დღეს ამგვარ საკვირველ მოღვაწეობაში იყო ღირსი მამა ქრისტეფორე, რომელმაც „თუმცაღა წიგნი არა უწყოდა“, მაგრამ აღასრულა სახარების სიტყვა, რომელსა გვამცნებს იესო უფალი ქრისტე ძე ღვთისა: რომელმან ასვას წყალი ერთი გრილი სახელითა ჩემითა, სასყიდელი არა წარუწყმდესო.

**სპირიდონ გრძელიშვილი „ცხოვრება ქრისტეფორესი“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: რატომ ხდება მიცვალებულის მოხსენიება გარდაცვალებიდან მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს?**

**პასუხი:** გარდაცვალებიდან მესამე დღეს მოხსენიებას საიდუმლო მნიშვნელობა აქვს, რომელიც სულის იმქვეყნიურ მდგომარეობას ეხება. ამ დღეს ლოცვის შედეგად მიცვალებულის სულს უმსუბუქდება ის მწუხარება, რომელსაც გარდაცვალების გამო განიცდის. გარდაცვალების შემდეგ ორი დღის განმავლობაში სული ანგელოზებთან ერთად მიწაზე იმყოფება, იქ, სადაც მას სურს. სული ზოგჯერ ტრიალებს იმ სახლის მახლობლად, სადაც ცხოვრობდა, ხოლო მესამე დღეს, უფლის ნებით, სული ზეცაში ადის ღვთის თაყვანსაცემად. ამის შემდეგ მას უჩვენებენ სამოთხის მშვენიერებას და წმიდანთა სავანეს. სულ ექვსი დღის განმავლობაში ათვალიერებს ამ ყველაფერს და ავიწყდება ის წუხილი, რომელიც სხეულთან გაყრის გამო განიცადა – ხოლო მეცხრე დღეს ანგელოზებს ის კვლავ უფალთან მიჰყავთ. ამის შემდეგ კი, სული ჯოჯოხეთში ჩაჰყავთ და ოცდაათი დღის განმავლობაში მოატარებენ იქაურობას. მიცვალებულის გამო გლოვა ორმოცი დღის განმავლობაში უძველესი დროიდან მოდის. რიცხვი ორმოცი მნიშვნელოვანია და ხშირად გვხვდება წმიდა წერილში. მაგალითად, მოსე ორმოცი დღე და ღამე მარხულობდა, იესო ქრისტემ ორმოცი დღე-ღამე გაატარა ნათლისღების შემდეგ უდაბნოში, აღდგომის შემდეგ კი ორმოცი დღის განმავლობაში ასწავლიდა მაცხოვარი მოციქულებს.



როგორც უფალმა სძლია ეშმაკს, მას შემდეგ, სულ ორმოცი დღის განმავლობაში მარხვასა და ლოცვაში გაატარა, ისე წმიდა ეკლესია ორმოცი დღის განმავლობაში ლოცულობს, მოწყალებას გასცემს და უსისხლო მსხვერპლს სწირავს გარდაცვლილის სულისთვის, გამოითხოვს ღვთის მადლს, რათა ის დამკვიდრდეს ცათა სასუფეველში. ხოლო მეორმოცე დღეს სული უფლის სამსჯავროზე წარდგება.

**კითხვა: უნდა დავეხმაროთ თუ არა მათხოვრებს, როდესაც ისინი მოწყალებას ტაძარში ყოფნის დროს, წირვის ან ლოცვის მსვლელობისას გვთხოვენ?**

**პასუხი:** როდესაც მათხოვრები ეკლესიის შესასვლელთან დგანან, ეს დასაშვებია და მათ უნდა დაეხმაროთ უფლის სახელით. მაგრამ, მათ არ უნდა ითხოვონ მოწყალება წირვა-ლოცვის დროს, რათა მრევლი არ მოაცდინონ ლოცვას. ეს ტაძრის შინაგანაწესის დარღვევაა.

**კითხვა: როდესაც ოჯახში უთანხმოება დაისადგურებს, არ არის ურთიერთგაგება, როგორ უნდა მოიქცნენ ოჯახის წევრები ჰარმონიის დასამყარებლად?**

**პასუხი:** როდესაც ოჯახი ღვთის სიყვარულით არ იქმნება და ოჯახის წევრთა მიზანი არ არის მარადიულ ცხოვრებაზე ფიქრი, ასეთ ოჯახში მუდმივად თავს იჩენს ყოფითი პრობლემები და ის მოკლებულია სიმშვიდეს. ოჯახის წევრებმა უნდა იცხოვრონ ეკლესიურად, გაიღონ მოწყალება, თქვან აღსარება, მიიღონ ზიარება, მიუტევონ ერთმანეთს და სიმშვიდე და კეთილდღეობაც არ დააxანებს.

# მამათა შეგონებანი

**თეოფანე დაყუდებული:** ლოცვების დაზეპირება ლოცვით მოღვაწეობის ერთ-ერთი ხერხია, თქვენ კი გეგონათ, როგორც კი დაიზეპირებდით სიტყვებს, უმალ გულიდან ამოგივიდოდათ ლოცვა? ახლა ხედავთ, რომ მოლოდინმა არ გაამართლა, თუმცა ამაში დამნაშავე ლოცვების ზეპირობა კი არ არის, არამედ ის ხერხი, რომელსაც იყენებს ის, ვინც იზეპირებს. ლოცვების დაზეპირება საჭიროა არა იმდენად მეხსიერებით, რამდენადაც გულითა და გონებით ლოცვის სულით უნდა აღივსო გაიაზრო მისი შინაარსი, შეიგრძნო და შეითვისო იგი ისე, რომ როცა შეუდგები ზეპირად ლოცვას, აზრი და გონება წინ უძღოდეს სიტყვებს. როგორც ხედავთ, აქაც ყურადღების დაძაბვა გმართებთ. გულს ძალა დაატანეთ, რომ შესატყვისი გრძნობები აღიძრას. სწორედ ასეთი ლოცვა იქნება უკეთესი საშუალება მლოცველის სულის აღზრდისთვის. დაზეპირებული ლოცვა გარკვეულწილად უკვე არის შინაგანი ლოცვა. იგი უფრო ახლოსაა გულისმიერ ლოცვასთან. ზეპირად ლოცვისას ეცადეთ, გონება გულში ჩაიტიოთ, როგორც რაიმე ცარიელ ჭურჭელში. თუ ამას შეძლებთ, მაშინ განურთველი ლოცვის ჩვევასაც შეიძენთ.

**ანტონ ჭყონდიდელი:** თუ სიმდაბლეს ყოვლად კეთილად არ რაცხ და არ მიიღებ, – უკურნებელ საფრთხეში შევარდები. ანუ სიმდაბლე ყოვლად კეთილად უნდა შერაცხო და მიიღო; და თუ სიმდაბლეს არ მიიღებ და ბოროტად შერაცხ, შენი ქრისტეც ბოროტად შეგირაცხია, ამისთვის, რომ სიმდაბლე მისი ნაყოფი არ არის და თუ ნაყოფს ბოროტად შერაცხ, შენგან ისიც ბოროტად შერაცხილი იქმნება, თქმისაებრ: „ხე ნაყოფთაგან საცნაურ არს“. მიხედე კეთილად განსჯით თქმულის სიტყვის ძალას: სიმდაბლის განგდებით და შეურაცხებით ქრისტე შენგან შეურაცხად განგდებული შეიქმნა. სიმდაბლის განგდებამ რადგან ამის მსგავსი მოუგონებელი საფრთხე გეამთხვია, ვალი გაქუს, რომ სიმდაბლე შეიტკბო და ამპარტავნება მოიძაგო.

**ნიკოლოზ სერბი:** მოვალეობის მორალი – მსახურისა და მონის მორალია. სიყვარულის მორალი ადამიანის მორალია. სიტყვა „მოვალეობა“ სიყვარულისთვის შეურაცხმყოფელია; სიყვარული სჩუქნის, მოვალეობა კი ავალდებულებს. სიყვარული თვისი არსით მთელ სამყაროს სწვდება, ამიტომ გვეჩვენება, რომ იგი უგუნური და განუსჯელია. მოვალეობა თავისი არსით მოვლენებითა და საგნებით შემოსაზღვრულია, ამიტომ გვეჩვენება, რომ იგი გონივრულია.

**ოპტინელი ბერი:** მარხვა არა მარტო ავითარებს განსაკუთრებულ მგრძნობელობას და არა მხოლოდ ერთი მძლავრი საშუალებათაგანია ვნებებთან ბრძოლაში, იგი, ლოცვის მსგავსად, ახალ განმყოფ ზღუდეს აღმართავს შენს სულიერ ცხოვრებასა და საერო ყოფას შორის. მარხვა იწყება საკვების შეზღუდვით, ხოლო მაღალ საფეხურებზე იგი ლოცვასა და ღვთის ჭვრეტასთან ერთობაში აღწევს უმაღლესს – უვნებობას.

# ვინ არის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჰოკეისტი მსოფლიოს ყველაზე პოპულარულ ლიგაში – ნჰლ-ში

*დიდი ხანია, სპორტი ბიზნესად იქცა, გამონაკლისი არც ჰოკეია. განსაკუთრებით კი – ნაციონალური ჰოკეის ლიგა, იგივე ნჰლ, რომლის მოთამაშეები ზღაპრულ კონტრაქტებსა და მილიონობით დოლარზე გათვლილ ხელშეკრულებებს აწერენ ხელს. გთავაზობთ 2012-2013 წლების სეზონის ყველაზე მაღალშემოსავლიანი ჰოკეისტების ტოპ-ათეულს ყველაზე პრესტიჟული და პოპულარული ჰოკეის ლიგიდან.*

## ჯო ტორნტონი (კანადა) – 8 მილიონი დოლარი



ის ნაციონალური ჰოკეის ლიგის ერთ-ერთი ყველაზე გაბარიტული და საიმედო მცველია, რომელიც, პრაქტიკულად, ყველა ორთაბრძოლაში გამარჯვებული გამოდის. საიმედოობასთან ერთად, ტორნტონი შედეგიანობითაც გამოირჩევა და სეზონის განმავლობაში 60-მდე რეზულტატურ გადაცემას აკეთებს. „სან ხოსე შარკსის" ვარსკვლავი 2010 წელს კანადის ნაკრებთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონი გახდა; იგი, ასევე, არის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, ტორნტონი, 1997 წლის დრაფტის პირველი ნომერი გახლდათ.

## სტივენ სტემკოსი (კანადა) – 8 მილიონი დოლარი



„ტამპა ბეი ლაითნინგის" კანადელი ჰოკეისტი, 23 წლის სტივენ სტემკოსი, ლიგის ყველაზე პერსპექტიულ თავდამსხმელად და ყველაზე მაღალშემოსავლიან ახალგაზრდა მოთამაშედ ითვლება. კანადის ნაკრების წევრი სტემკოსი ჭაბუკთა შორის, პრაქტიკულად, ყველა პრესტიჟული ტურნირის გამარჯვებული გახდა და ამჟამად ტიტულების მოპოვებას კანადის ნაკრებთან ერთად აპირებს. სოჭის 2014 წლის ოლიმპიადისთვის კანადელები იმედოვნებენ, რომ სტემკოსი საუკეთესო სპორტულ ფორმაში იქნება.

## ზდენო ჰარა (სლოვაკეთი) – 8,5 მილიონი დოლარი



სლოვაკი გიგანტი – ზდენო ჰარა, რომლის მეტსახელებია „ცხოველი" და „დიდი ჰარა," სავარაუდოდ, ყველაზე ცნობილი დამცველია მსოფლიო ჰოკეიში. „ბოსტონ ბრიუინზის" კაპიტანი და შეუცვლელი მოთამაშე 1997 წლიდან ასპარეზობს ლიგაში და ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ და შედეგიან მოთამაშედ ითვლება, რომელიც ერთ სეზონში 50-მდე ქულას აგროვებს. ჰარა 2011 წლის სტენლის თასის გამარჯვებულია ბოსტონურ კლუბთან ერთად.

## სიდნი კროსბი (კანადა) – 9 მილიონი დოლარი



კროსბი „პიტსბურგ პინგვინების" ქომაგების კერპი და სათაყვანებელი მოთამაშეა, რომელსაც ბოლო პერიოდში ნაკლები შედეგები აქვს, რაც ხშირი ტრავმების ბრალია. „პინგვინების" კაპიტანი კროსბი ჯერ მხოლოდ 25 წლისაა, რაც ჰოკეისთვის არცთუ ბევრია და, პიტსბურგში იმედოვნებენ, რომ ლიგის ყოფილი ბომბარდირი კვლავ დაიბრუნებს ჩვეულ ფორმას. საგულისხმოა, რომ 2010 წლის ოლიმპიური თამაშების ფინალში, სწორედ სიდნი კროსბიმ გაუტანა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს გამარჯვებისა და ოქროს მედლების მომტანი გოლი.

## ევგენი მალკინი (რუსეთი) – 9 მილიონი დოლარი



„პიტსბურგ პინგვინების" კიდევ ერთი ვარსკვლავი, რომელიც, კროსბისგან განსხვავებით, ნაკლებად ტრავმირდება და სტაბილურობით გამოირჩევა, მაგნიტოგორსკში დაიბადა. ევგენი მალკინი რუსეთის ნაკრების წევრი და 2006 და 2010 წლების ოლიმპიური თამაშების მონაწილეა. 2008-2009 წლების სეზონში მალკინმა კლუბთან ერთად, სტენლის თასი მოიგო, რამდენიმე სეზონით ადრე კი ის ლიგის საუკეთესო ახალწვეულად დასახელდა. მალკინი, ოვეჩკინთან და ბრიზგალოვთან ერთად, რუსეთის მთავარ იმედად ითვლება 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე.

## ალექსანდრ ოვეჩკინი (რუსეთი) – 9 მილიონი დოლარი



ოვეჩკინი პირველი ჰოკეისტია ნაციონალურ ლიგაში, რომლის კონტრაქტი 100 მილიონ დოლარს აღემატებოდა. 2004 წელს „ვაშინგტონ ქეპიტელსთან" გაფორმებული კონტრაქტი 13 სრულ სეზონზე და 124 მილიონ დოლარზე იყო გათვლილი. ოვეჩკინის დებიუტი ეროვნულ ნაკრებში 17 წლის ასაკში შედგა, რაც, ასევე, რეკორდია რუსული ჰოკეისთვის. მას 6 მსოფლიო ჩემპიონატსა და 2 ოლიმპიურ თამაშებში აქვს მონაწილეობა მიღებული. ოვეჩკინს ჰოკეის გარეშეც იცნობენ რუსეთში – ცნობილია, რომ მას რომანები ჰქონდა ჟანა ფრისკესთან, „მის რუსეთთან" – ვიქტორია ლოპირიოვასთან, „ბლექ აიდ ფისის" სოლისტ ფერჯისთან, ამჟამად კი ის ჩოგბურთელ მარია კირილენკოს ხვდება. ასევე ცნობილია ოვეჩკინის გატაცება – იგი ცნობილი ჰოკეისტების ყვანჯების კოლექციას აგროვებს და მის კოლექციაშია სიდნი კროსბის, მარიო ლემიეს, ზდენო ჰარასა და სხვათა ყვანჯები.

## კრისტიან ერჰოფი (გერმანია) – 10 მილიონი დოლარი



მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი კრისტიან ერჰოფის ხელფასი ოვეჩკინისა და კროსბის ხელფასს აღემატება, ის ნაკლებად მოიაზრება ნჰლ-ის ვარსკვლავად. „ბაფალო სეიბრზის" დამცველი 2001 წლიდან ასპარეზობს ლიგაში და საიმედოობითა და სტაბილურობით გამოირჩევა. 30 წლის ერჰოფი 3 ოლიმპიური თამაშისა და 4 მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეა. მის მთავარ ღირსებად დაყენებული დარტყმა, შეტევაში ჩართვა და შედეგიანი გადაცემების გაკეთება ითვლება.

## ვინსენტ ლეკავალიე (კანადა) – 10 მილიონი დოლარი



„ტამპა ბეი ლაითნინგის" კაპიტანი და შეუცვლელი მოთამაშე, 32 წლის ვინსენტ ლეკავალიე, ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელია. „ტამპას" რიგებში ლეკავალიეს 1 000-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული და მისი კონტრაქტი 2016 წლამდეა გაფორმებული. გოლფისა და ტაიგერ ვუდსის თაყვანისმცემელი ლეკავალიე უცოლოა და ლიგის ვარსკვლავებს შორის ყველაზე სასურველ სასიძოდ ითვლება.

## ილია ბრიზგალოვი (რუსეთი) – 10 მილიონი დოლარი

რუსი ილია ბრიზგალოვი ნჰლ-ის ჯერჯერობით ყველაზე მაღალანაზღაურებადი გოლკიპერია, თუმცა, მომავალი სეზონიდან მისი ხელფასის შემცირება იგეგმება – სავარაუდოდ, ციფრი 6,5 მილიონ ამერიკულ დოლარამდე დაეცემა. „ფილადელფია ფლაიერზის" კარის დამცველი ბრიზგალოვი 2001 წლიდან ასპარეზობს ნჰლ-ში და ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ჰოკეის გოლკიპერად ითვლება. ის არის „მშრალი სერიის" რეკორდის მფლობელი ნჰლ-ის ახალწვეულთა შორის – მას 249 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვია.

## ბრედ რიჩარდსი (კანადა) – 12 მილიონი დოლარი

კანადელი ბრედ რიჩარდსი მსოფლიოს ყველაზე მდიდარი კლუბის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჰოკეისტია. „ნიუ-იორკ რეინჯერსის" ცენტრალური თავდამსხმელი შედეგიანობით გამოირჩევა, ცნობისთვის, 2010 წელს, 80 მატჩში, მან 91 ქულის მოხვეჭა მოახერხა, რაც ფენომენალური შედეგია თანამედროვე ლიგაში. ბრედ რიჩარდსი, თავისი ვარსკვლავური სტატუსის მიუხედავად, არ ითვლება წამყვან მოთამაშედ კანადის ნაკრებში, თუმცა, მისი ნახვა სოჭის 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებზე რეალობას მოკლებული არ იქნება.

# რონალდო ახალ ამპლუაში

ერთ დროს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, „რეალის", „ბარსელონასა" და ბრაზილიის ნაკრების ლეგენდარული ფორვარდი – რონალდო, თავის ქომაგებს ახალ ამპლუაში წარუდგება. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფეხბურთელი კომენტატორის როლს მოირგებს და ივნისში ბრაზილიაში გასამართ კონფედერაციის თასის მატჩებს ერთ-ერთ ბრაზილიურ ტელეარხზე გაუძღვება. რონალდოსთვის კომენტატორობა ახალი პროფესია იქნება და, ბრაზილიაში ვარაუდობენ, რომ, თუ ლეგენდარულ „კიჟას" ეს საქმე კარგად გამოუვა, 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პერიოდში მის ნახვას კომენტატორად თავის ტელეარხზე არაერთი მსოფლიოში ცნობილი სამაუწყებლო კომპანია ისურვებს.



# ბალოტელის ახალი გერლფრენდი



მსოფლიოს მოქმედი ფეხბურთელებიდან ყველაზე სკანდალურმა, „მილანის" და იტალიის ნაკრების ფორვარდმა, მარიო ბალოტელიმ, საზოგადოებას თავისი ახალი გერლფრენდი წარუდგინა: მოცეკვავემ და მოდელმა ფანი რობერტმა ეპატაჟის მოყვარულ მარიოსთან ერთად, ჟურნალ „ვენიტი ფეირის" იტალიური გამოცემისთვის მოწყობილ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. მარიოს თქმით, მას დიდი ხანია, უნდოდა ფანის გაცნობა, მაგრამ, ვერ ახერხებდა – რამდენჯერმე მანჩესტერიდანაც კი სცადა დაკავშირება, სანამ „სიტის" ღირსებას იცავდა, თუმცა, უშედეგოდ, საბოლოოდ კი, ამ წლის დასაწყისში, მეგობრების დახმარებით გაიცნო ბრიუსელში. ბალოტელის თქმით, ფანი ის ქალია, რომელსაც ის მთელი ცხოვრების განმავლობაში ეძებდა.

# „კობრა-ფართი“ ინდოეთში

არცთუ სასიამოვნო ინციდენტი მოხდა ინდოეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩის მსვლელობის დროს კალკუტაში: კლუბების – „მოჰუნ ბაგანისა" და „პეილან ეროუზის" მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე, საფეხბურთო მოედნისა და გასახდელების მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე შხამიანი კობრა გამოჩნდა. საბედნიეროდ, არც ერთი ფეხბურთელი და არავინ მატჩის მომსახურე პერსონალიდან არ დაშავებულა და დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა მოახერხეს გველების განეიტრალება. ამ ფაქტის მიუხედავად, კალკუტის სტადიონს დისკვალიფიკაცია არ ემუქრება, რადგან, გველების გამოჩენა ინდოეთის სტადიონებზე ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა.

# იაგრის 1 000-შედეგიანი გადაცემა

ნაციონალური ჰოკეის ლიგის ლეგენდარულმა ჩეხმა ვარსკვლავმა, 41 წლის იარომირ იაგრმა კარიერაში მეათასე შედეგიანი გადაცემის გაკეთება მოახერხა – „დალასის" თავდამსხმელმა „მინესოტასთან" მატჩში თანაგუნდელ ჯეიმი ბენის გოლი გაატანინა. ამ ფენომენალური შედეგის მიუხედავად, იაგრი მაინც ჩამორჩება რეკორდსმენების ტოპ-ათეულს – ის ჯერჯერობით მეთორმეტეა ასისტენტებს შორის და სულ მცირედით ჩამორჩება მეთერთმეტე და მეათე ადგილებზე მყოფ ჯო საკიკსა და მარიო ლემიეს – შესაბამისად, 16 და 33-შედეგიანი პასით. იმის გათვალისწინებით, რომ იაგრი, ასაკის მიუხედავად, ჯერ არ ჩქარობს კარიერის დასრულებას, შესაძლოა, ამ სეზონის ბოლომდე ის ტოპ-ათეულს მიუახლოვდეს.

# „რედინგის" მფლობელის ცოლი

ინგლისური კლუბის – „რედინგის" რუსი მფლობელის, მულტიმილიონერ ანტონ ზინგარევიჩის მეუღლე, „ვიქტორია სიქრეტის" ყოფილი მოდელი კატია ზინგარევიჩი, სპორტული კლუბების მფლობელთა ცოლებს შორის ყველაზე სექსუალურ მეუღლედ დასახელდა. 23 წლის კატია ზინგარევიჩი უკონკურენციო რომ არის, ამას მისი ბოლო დროის რამდენიმე ცხელ-ცხელი ფოტოსესია მოწმობს, სადაც გრძელფეხება რუსი ლამაზმანი რეკლამას უკეთებს სხვადასხვა ბრენდის ქალის თეთრეულს. ცნობისთვის, „რედინგის" მფლობელი ანტონ ზინგარევიჩი საკმაოდ შეძლებული ადამიანია, თუმცა, როგორც ჩანს არ უყვარს ფულის ხარჯვა ახალი ფეხბურთელების შეძენაში, მიუხედავად იმისა, რომ მის კლუბს არცთუ კარგი დრო უდგას და, შესაძლოა, სეზონის ბოლოს პრემიერლიგიდან გავარდეს.



# პრინცის მელისა

„მილანის" განელი ვარსკვლავის – კევინ პრინც ბოატენგის მომხიბლავმა მეგობარმა გოგომ, მელისა სატამ, ახალ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. იტალიელმა ლამაზმანმა ავსტრალიურ ჟურნალ „სპორტისთვის" ბიკინიში იპოზირა. ამბობენ, რომ ახლო მომავალში პრინცი და მელისა თავიანთ ურთიერთობას ოფიციალურ სახეს მისცემენ და დაქორწინდებიან. სხვათა შორის, იტალიელი ჟურნალისტების ცნობით, ქორწილი, შესაძლოა არც კი შედგება, თუ დადასტურდება ის ცნობა, რომ მელისამ პრინცს კრიშტიანუ რონალდუსთან უღალატა, თუმცა, თავად ფეხბურთელიც და მელისაც ამ ცნობას ჭორს უწოდებენ და კრიშტიანუს ბედნიერებას უსურვებენ ირინა შეიკთან ერთად. მელისა სატა რომ სკანდალური ლამაზმანია, ის ფაქტიც მოწმობს, რომ ის 5 წლის განმავლობაში იტალიელ ექსფეხბურთელს კრისტიან ვიერის ხვდებოდა, რომელიც განთქმული იყო მოდელებთან რომანებით.





# არმსტრონგს ციხე ემუქრება

სკანდალებით განთქმულ ლეგენდარულ ველომრბოლელს, ლენს არმსტრონგს, ახალი უსიამოვნება შეემთხვა: დოპინგის მოხმარების აღიარების შემდგომ გაირკვა, რომ ესპანეთში ცხოვრების პერიოდში არმსტრონგი აკრძალული პრეპარატებით ვაჭრობით იყო დაკავებული, რაც ესპანური კანონმდებლობით აკრძალულია და ამჟამად საქმის მოკვლევით სამართალდამცავი სტრუქტურები არიან დაკავებულნი. თუ დადასტურდება, რომ არმსტრონგი დოპინგით ვაჭრობდა, მას ორწლიანი სასჯელი და 400 ათასი ევროს ჯარიმის გადახდა დაეკისრება. როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც ოპრა უინფრის გადაცემაში ველომრბოლელმა საჯაროდ მოინანია დოპინგის მოხმარება, მის ცხოვრებაში ცუდი პერიოდი დადგა.

# აწონვა ტრუსების გარეშე

არგენტინელი მოკრივე ფაკუნდო სიმალი ხანგრძლივი დისკვალიფიკაციისგან ტრუსების გახდამ იხსნა. მსოფლიო კრივის სერიის ერთ-ერთ შეხვედრამდე, სადაც სიმალის მეტოქე ყაზახი ეხსან რუზბახანი უნდა ყოფილიყო, აღმოჩნდა, რომ მექსიკელის წონა დაშვებულს 500 გრამით აღემატებოდა, რაც საკმარისია იმისთვის, რომ მოკრივეს დისკვალიფიკაცია მიუსაჯონ. სიმალიმ სიმართლის დამტკიცება ხელახალი აწონვით გადაწყვიტა და დარბაზიდან ყველა მანდილოსნის გასვლა მოითხოვა, რის შემდეგაც ტრუსები გაიხადა და შიშველი დადგა სასწორზე. ხელახალმა აწონვამ აჩვენა, რომ ამჯერად სიმალის წონა 450 გრამით აღემატებოდა რაც კრივის კანონებით დასაშვებია.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## სოდის უნიკალური სამკურნალო თვისებები

სოდას განსაკუთრებული სამკურნალო თვისებები აქვს. საკვები სოდა არა მხოლოდ კუჭის წვის დროს ან ჭურჭლის გაპრიალებაში დაგეხმარებათ, მას ღირსეული ადგილი უკავია საოჯახო აფთიაქში:

**კარიესის პლოფილაქტიკა:** მჟავები, რომლებიც პირის ღრუში ბაქტერიების შედეგად წარმოიქმნება, შლის კბილის ემალს. ამ მჟავების ნეიტრალიზება შეიძლება, თუ დღეში რამდენჯერმე გამოივლებთ პირში სოდიან წყალს. ამის გაკეთება შეიძლება სხვაგვარადაც: დაასველეთ კბილის ჯაგრისი წყლით, დააყარეთ ცოტა სოდა და გაიხეხეთ კბილები. ის გაგიპრიალებთ კბილებს ემალის დაუზიანებლად.

**ფეხზე უსიამოვნო სუნის მოსაშორებლად:** აბაზანის მისაღებად განკუთვნილ წყალში ჩამატებული სოდა ანეიტრალებს ბაქტერიების მიერ გამოყოფილ მჟავებს, რომლებიც უსიამოვნო სუნს იწვევს. ის ასევე დაგეხმარებათ იღლიის სუნის მოსაშორებლად.

**მწერის ნაკბენის დროს:** ნუ დაიფხანთ კოღოსა და სხვა სისხლისმწოველთა ნაკბენებს. გააკეთეთ ფაფისმაგვარი ნაზავი წყლისა და სოდისგან და წაისვით ნაკბენ ადგილზე. ასევე დაგეხმარებათ ჩუტყვავილას მიერ გამოწვეული ქავილისას და ჭინჭრით დასუსხვის შემთხვევაში.

**ცისტიტის დროს:** ტკივილის წარმომქმნელი ბაქტერიები ბინადრობენ შარდის ბუშტში. თუ თქვენი შარდის ბუშტი ინფექციის მსხვერპლი გახდა, ჭამის შემდეგ მიიღეთ სოდისა და წყლისაგან მიღებული შუშხუნა კოქტეილი.

**გამოჟელვის დროს:** სოდის საფენები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ბავშვების კანის მდგომარეობას, ამცირებს ქავილს და აჩქარებს კანის შეხორცებას.

**მზით დამწვრობის დროს:** აბაზანის მიღებისას წყალში ჩაყარეთ ცოტაოდენი სოდა. ის დაარბილებს წყალს და დაამშვიდებს გაღიზიანებულ კანს.

**ყელის ტკივილის დროს:** გახსენით 0,5 ჩაის კოვზი სოდა ერთ ჭიქა წყალში და გამოივლეთ ყელში ყოველ 4 საათში ერთხელ. ის ანეიტრალებს ტკივილის გამომწვევ მჟავეებს. თუ ამ ხსნარს პირის ღრუში დღეში რამდენჯერმე გამოივლებთ, მოგიხსნით პირის ღრუს ლორწოვანის ანთებას.

**გაციების დროს:** სასარგებლოა ინჰალაცია. ამისთვის აიღეთ მომცრო ზომის ჩაიდანი. აადუღეთ მასში 1 ჭიქა წყალი და 1 ჩაის კოვზი სოდა. მაგარი ქაღალდისგან გააკეთეთ მილი, ჩამოაცვით ჩაიდნის ცხვირს და ისუნთქეთ ორთქლი 10-15 წუთის განმავლობაში. ეს ინჰალაცია დაგეხმარებათ ცხვირიდან სველი გამონადენის მოსაშორებლად.

**ბლანტი სისველის ამოსახველებლად** დღეში ორჯერ, ჭამის წინ, დალიეთ 0,5 ჭიქა წყალი, რომელშიც გახსნილი იქნება 0,5 ჩაის კოვზი სოდა და მწიკვი მარილი.

**შაკიკის დროს:** ყოველდღე მიიღეთ ანადუღარი წყლისა და სოდის ნაზავი. პირველი დღე: სადილამდე 30 წუთით ადრე დალიეთ 1 ჭიქა ხსნარი (0,5 ჩაის კოვზი სოდა+წყალი). მეორე დღე: 2 ჭიქა ხსნარი და ასე შემდეგ 7 დღის განმავლობაში (7 ჭიქამდე). შემდეგ შეამცირეთ დოზა პირიქით (6, 5, ...1).

**სიგარეტისთვის თავის დასანებებლად:** გამოივლეთ პირში სოდის ნაზავი. კერძოდ, 1 სუფრის კოვზი სოდა გახსენით 200 მილილიტრ წყალში.

## რომელი ვიტამინი ახანგრძლივებს სიცოცხლეს

ვიტამინი A, ანუ რეტინოლი ახანგრძლივებს სიცოცხლეს, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, მონაწილეობს ზრდის პროცესში, დაზიანებისგან იცავს კანსა და ლორწოვან გარსს.

ამ ვიტამინის არასაკმარისი რაოდენობისას ორგანიზმში, შესაძლოა, წარმოიშვას კანის სიმშრალე და გაჩნდეს წვრილი გამონაყარი, თმის ცვენა, მხედველობის გაუარესება. ასევე, ამ ვიტამინის დეფიციტის შედეგია თეთრი ბუშტუკები, რომლებიც ზოგჯერ თვალის რქოვან გარსზე წარმოიქმნება. ისინი რომ გაქრეს, აუცილებელია A ვიტამინის რეგულარულად მიღება.

რეტინოლი ძალიან ეფექტურია ალერგიის მკურნალობის დროს. მცენარეთა ყვავილობის პერიოდში, ალერგიული შეტევის დასაწყისში თუ მიიღებთ 150 მილიგრამ A ვიტამინს, შეტევა მოგეხსნებათ.

რეტინოლის დეფიციტი ხშირად აღინიშნება ორგანიზმში. A ვიტამინის უკმარისობა ზრდის უბედური შემთხვევების ალბათობას რეაქციის შენელებისა და ყურადღების დაქვეითების გამო.

იმისთვის, რომ გქონდეთ კარგი რეაქცია და დიდი ხნით შეინარჩუნოთ ჯანმრთელობა, აუცილებლად უნდა მიიღოთ ეს ვიტამინი.

A ვიტამინს დიდი რაოდენობით შეიცავს: სალათის ფურცლები, სტაფილო, კომბოსტო, ღვიძლი, თირკმელები, თევზი, თევზის ქონი, კარაქი, კვერცხის გული, ნაღები და რძე. ამიტომ, ხშირად მიირთვით ეს პროდუქტები.

## თუ გოგრის რბილობს თაფლთან ერთად შეჭამთ, კუჭ-ნაწლავის პრობლემები დიდხანს არ შეგაწუხებთ

ხალხურ მედიცინაში გოგრას უხსოვარი დროიდან იყენებდნენ. მისი თესლი სხვადასხვა პარაზიტის, კერძოდ, მრგვალი, ლენტისებური ჭიების წინააღმდეგ უებარი საშუალებაა. თუ გოგრის რბილობს თაფლთან ერთად შეჭამთ, კუჭ-ნაწლავის პრობლემები დიდხანს არ შეგაწუხებთ.

კუჭ-ნაწლავისთვის, ასევე, კარგია თეთრ ღვინოში გარეული გოგრის წვენი. გარდა ამისა, გოგრის დანაყილი თესლის ნახარში გამოიყენება ღვიძლის დაავადებების სამკურნალოდ და კარგი შარდმდენი საშუალებაცაა. თუ ღვიძლის ანტიტოქსიკური ფუნქცია დარღვეულია, გოგრის ნაყოფის ჭამით მას აუცილებლად აღიდგენთ.

გოგრის ფაფის საფენები კი უმცირეს დროში და ძალიან ეფექტურად შველის სხვადასხვა ანთებით პროცესს, ასევე, ეგზემასა და დამწვრობას.

გოგრა გემრიელი და სასარგებლო პროდუქტია და მისი მოხარშული ან შემწვარი რბილობი გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ფუნქციის გასაძლიერებლად; ღვიძლის, თირკმელების დაავადებების, კოლიტის, კუჭის შეკრულობის დროს და, ასევე, როგორც შარდმდენი საშუალება. გოგრა ხელს უწყობს, აგრეთვე, ორგანიზმიდან მარილების გამოყოფას.

გოგრის თესლიდან კი, ხალხურ მედიცინაში არსებული რეცეპტით წამლის დამზადება შეგიძლიათ, კერძოდ: 300 გრამ ხმელ თესლს გააცალეთ ჩენჩო, ჩაყარეთ სანაყში, დაასხით სამი კოვზი ანადუღარი წყალი და კარგად ჩანაყეთ. მიღებული ფაფისებური მასა გადაიტანეთ ჭიქაში, შეურიეთ 100 გრამი ნატურალური თაფლი. წამოწექით და უზმოზე ნელ-ნელა მიირთვით ეს გემრიელი წამალი. დაახლოებით 3 საათის შემდეგ კი, შეგიძლიათ, საკვები მიიღოთ.

## რა უწყობს ხელს პანკრეატიტის დაავადების განვითარებას და როგორ ვუმკურნალოთ მას

ალკოჰოლური სასმელების დიდი რაოდენობით მოხმარება და გარემოს მავნე ფაქტორების ზემოქმედება პანკრეატიტის დაავადების განვითარებას უწყობს ხელს. ყოველდღიურად ორასი გრამი ალკოჰოლის ან ორი ლიტრი ლუდის დალევაც კი კუჭქვეშა ჯირკვლის ჰისტოლოგიურ ცვლილებებს იწვევს. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს გენეტიკურ ფაქტორსაც.

მწვავე პანკრეატიტი მწვავე ანთებითი პროცესია, რომელიც ჯირკვლის ქსოვილის თვითმონელებითაა განპირობებული. ის ვლინდება ჯირკვლისა და ირგვლივ მდებარე ქსოვილის შეშუპებით, მძიმე ფორმის დროს

კი პარენქიმის ნეკროზით, სისხლჩაქცევებითა და პერიპანკრეასული ქსოვილის ნეკროზით.

მწვავე პანკრეატიტს მკვეთრი, უეცარი ტკივილი ახასიათებს, რასაც ღებინებაც ახლავს თან. ტკივილი შეიძლება იყოს შეტევითი ან მუდმივი ხასიათის. ამ დროს არ არის გამორიცხული, გამოვლინდეს სიყვითლე და ციანოზი.

პანკრეასი საჭმლის მომნელებელი სისტემის ჯირკვალია, რომელიც პანკრეასის წვენს გამოიმუშავებს და, იმავდროულად, ენდოკრინულ ფუნქციასაც ასრულებს. კუჭქვეშა ჯირკვლის პარენქიმის დიდი ნაწილი საკვების მონელებისთვის აუცილებელ ფერმენტებს გამოიმუშავებს.

პანკრეატიტი კუჭქვეშა ჯირკვლის ანთებად-დისტროფიული დაავადებაა. ის პანკრეასის სადინარების გამავლობის დარღვევით, პარენქიმის სკლეროზით, ჯირკვლისა და ენდოკრინული ფუნქციის დარღვევით ხასიათდება.

ქრონიკული პანკრეატიტი ანთებითი დაავადებაა. ის სხვადასხვა სახის ფუნქციური უკმარისობით ვლინდება და შემდეგ ხანგრძლივად პროგრესირებს. ახასიათებს მარცხენა ფერდქვეშ ტკივილი, რაც ხშირ შემთხვევაში ბეჭებისკენ გადაეცემა. ხშირად კი ეს ტკივილი ჭარბი რაოდენობით ცხიმიანი საკვების, ზედმეტი დოზით ალკოჰოლის მიღების დროს ვლინდება ან მშიერ კუჭზე საჭმლის მიღებიდან რამდენიმე საათში იჩენს თავს.

პანკრეატიტის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის კარგია მინერალური წყლის სმა. აუცილებელია, ასევე, სწორი რეჟიმის დაცვა, კვების მოწესრიგება, ალკოჰოლისგან თავის შეკავება.

## თალგამი ძალიან სასარგებლო ბოსტნეულია

თალგამი შეიცავს ბევრ ისეთ ორგანულ მჟავას, მინერალურ მარილს, ვიტამინებს, ფერმენტებს, რომლებიც ნივთიერებათა ცვლას აწესრიგებს. ასევე, თალგამს ორგანიზმიდან გამოაქვს ჭარბი ქოლესტერინი, ამიტომ, ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის ის შეუცვლელი ბოსტნეულია.

თალგამში დიდი რაოდენობითაა კალციუმის, კალიუმის, გოგირდისა და მაგნიუმის მარილები და ვიტამინები. ამიტომ, შაქრიანი დიაბეტის დროს მისი მიღება აუცილებელია.

თალგამის ახალგამოწურულ წვენს შარდმდენი, ნაღველმდენი და ბაქტერიოციდული მოქმედება აქვს. ის აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. მისი კომპრესი შველის ნიკრისის ქარსა და რადიკულიტს; ასევე, ასტიმულირებს კუჭის წვენის გამოყოფას და აუმჯობესებს მადას.

ზედა სასუნთქი გზების კატარის დროს თალგამი ნამდვილი წამალია. თანაბარი რაოდენობით თალგამის წვენი და თაფლი ბრონქიტისა და ხველის დროს შეუცვლელია. დალიეთ დღეში 3-4-ჯერ, თითო სადილის კოვზი. მას ამოსახველებელი ეფექტი აქვს.

თუ ნაღვლკენჭოვანი დაავადება გაწუხებთ, დილით, ჭამის შემდეგ, დალიეთ 100 გრამი ახალგამოწურული თალგამის წვენი. შეგიძლიათ, მას დაუმატოთ 50 გრამი ახალგამოწურული ჭარხლის წვენიც.

რევმატიზმის დროს კი 100 გრამი თალგამის წვენი, 2 სადილის კოვზი თაფლი, 1 სადილის კოვზი არაყი და ერთი მწიკვი მარილი ერთმანეთში კარგად აურიეთ და დაიზილეთ მტკივნეული ადგილები ამ ნარევით. ასე პრობლემას მალე დაძლევთ.

ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადების დროს მიიღეთ თაფლისა და თალგამის ნარევი. კერძოდ, 1 ჩაის ჭიქა თალგამის წვენი და 2 სადილის კოვზი თაფლი კარგად აურიეთ, დადგით გრილ ადგილას და მიიღეთ დღეში სამჯერ, ჭამის წინ ან ჭამის დროს, თითო სუფრის კოვზი.

# ექიმის რჩევები

**კითხვა**: **შეიძლება თუ არა, კბილების გათეთრებამ შემდგომში კბილის დაზიანება გამოიწვიოს?**

**პასუხი**: სწორად შერჩეული მეთოდი და პროფესიულად ჩატარებული პროცედურა კბილის ქსოვილის სტრუქტურისთვის მავნე არ არის.

**კითხვა**: **როგორ შეიძლება ვუმკურნალო პარადონტოზს სახლის პირობებში?**

**პასუხი**: პაროდონტოზის თვითმკურნალობა შეუძლებელია. პარადონტოზის მკურნალობა კომპლექსურია და პაციენტის ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით ტარდება. მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი სასურველი შედეგის მიღება.

**კითხვა**: **ვარ 29 წლის, ბოლო 3-4 თვეა, დამეწყო მკერდის ტკივილი – მენსტრუაციიდან მეათე დღეს მეწყება და შემდეგ ციკლამდე გრძელდება. რა შეიძლება იყოს მიზეზი და ვის მივმართო?**

**პასუხი**: მიზეზი შეიძლება იყოს სარძევე ჯირკვალში მიმდინარე ციკლური ცვლილებები (მასტოპათია). შეგიძლიათ, მიმართოთ მამოლოგს.

**კითხვა**: **მაინტერესებს, არის თუ არა შესაძლებელი, გოგონას საქალწულე აპკი საერთოდ არ ჰქონდეს ან დაშვებულზე უფრო მოშორებით ჰქონდეს?**

**პასუხი**: საქალწულე აპკი საშოს ლორწოვანის ნაოჭია, რომელიც საშოს შესავალთან, მცირე სასირცხო ბაგეებიდან 2-3 სანტიმეტრით ღრმად მდებარეობს. ეს ნაწილი ყველა ქალს სხვადასხვაგვარი აქვს. თავისებურია მისი ზომა, ფორმა, სისქე, სისხლძარღვებითა და ნერვებით მომარაგება. შესაბამისად, დეფლორაციაც სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. ზოგიერთი გოგონა საქალწულე აპკის გარეშე იბადება (ამას აპლაზია ეწოდება), ზოგიერთს კი აპკი იმდენად განუვითარებელი აქვს, რომ მხოლოდ გინეკოლოგიური გამოკვლევის შედეგად თუ აღმოაჩენენ.

**კითხვა**: **როგორ შეიძლება ჰაიმორიტის დადგენა და რომელ ექიმს უნდა მივმართო?**

**პასუხი**: ჰაიმორიტის დიაგნოზს სვამენ ავადმყოფის ჩივილების, კლინიკური, რენტგენოგრაფიული, რინოსკოპიული მონაცემების საფუძველზე. შესაძლოა, საჭირო გახდეს კომპიუტერულ-ტომოგრაფიული გამოკვლევა. უნდა მიმართოთ ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს.

**კითხვა**: **კუჭის წყლული განკურნებადია?**

**პასუხი**: თუ მკურნალობას კვალიფიციური გასტროენტეროლოგი ნიშნავს და ის კომპლექსურია (დიეტა+სწორად შერჩეული პრეპარატები), წყლულის შეხორცება შესაძლებელია.

**კითხვა**: **რას ნიშნავს თირკმელში „ბერტინის სვეტი" და საჭიროებს თუ არა მკურნალობას?**

**პასუხი**: ბერტინის სვეტი თირკმლის ქერქული შრის წანაზარდია, რომელიც ტვინოვან შრეში ეშვება და მოიცავს თირკმლის პირამიდებს. ეს არის სვეტის ფორმის მქონე შემაერთებელქსოვილოვანი წარმონაქმნი, რომელშიც არტერია და ვენა გადის. მას არანაირი მკურნალობა არ სჭირდება, რადგან, ანატომიური ნორმის ერთ-ერთი ვარიანტია.

**კითხვა**: **რისი ანალიზია კოაგულოგრამა?**

**პასუხი**: კოაგულოგრამა სისხლის ლაბორატორიული გამოკვლევაა, რომლის დახმარებითაც ირკვევა, როგორია სისხლის შედედების უნარი – ჰემოსტაზი.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**



**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# როგორ მიუხვდა კანდიდ ჩარკვიანი ბერიას ფარულ ზრახვებს ცენტრალურ კომიტეტში მისვლისთანავე

„განცდილი და ნააზრევი," – ასე უწოდა კანდიდ ჩარკვიანმა თავისი ცხოვრების ფურცლებს, რომელიც ექსკლუზიურად გადმოგვცა მისმა შვილმა, გელა ჩარკვიანმა. კანდიდ ჩარკვიანის სახელი, სტალინისა და ბერიას სახელებთან ერთად, ქუხდა 30-50 წლებში. სწორედ ამ პიროვნებას უკავშირდება ქვეყნისთვის ბევრი კარგი და სასარგებლო საქმე, რომელთა გატანა მას დიდი ძალისხმევისა და რისკის ფასად უჯდებოდა. სწორედ მისი წყალობით აშენდა ქალაქი რუსთავი, რომელიც მალარიის ბუდედ ითვლებოდა და ადამიანებს იქ ცხოვრება ვერ წარმოედგინათ; მისი ინიციატივით გამოიცა „ქართულ სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი": *„... ამაზე არავინ ზრუნავდა... შეიძლება, ენათმეცნიერები კიდევაც ფიქრობდნენ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის გამოცემის აუცილებლობაზე, მაგრამ, ყველა თავისი მეცნიერული ინტერესებით იყო გართული და ამ დიდი საქმის წამოწყებას ვერავინ ბედავდა... 1945 წლის მაისში ვთხოვე სიმონ ჯანაშიას, ცკ-ში მოსულიყო არნოლდ ჩიქობავასთან ერთად... ორივე მეცნიერი განმარტებითი ლექსიკონის გამოცემის წინადადებას დიდი ინტერესითა და სიხარულით შეხვდა... ლექსიკონი, შერჩეული შრიფტით, სპეციალურ ქაღალდზე დაიბეჭდა. მისი ყველა ტომი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული..."* მან შემოიღო სკოლებში 11-წლიანი სწავლება, მან გააშენიანა თბილისის ზღვა და ვაკის პარკი: *„...ომამდე ვაკე თითქმის დაუსახლებელი ადგილი იყო. დღევანდელი ილია ჭავჭავაძის პროსპექტის განაშენიანება მხოლოდ იწყებოდა... მე უკვე მქონდა გადაწყვეტილი, როგორც კი შესაძლებლობა გვექნებოდა, ვაკეში პარკის გაშენება დაგვეწყო... მართალია გვიჭირდა, მაგრამ, პარკის გაშენება უნდა დაგვეწყო... პარკის ფარგლებში კუს ტბა და მისი შემოგარენიც უნდა მოქცეულიყო, მაგრამ, ტბა პატარა იყო და უნდა გვეფიქრა მისი დონის ამაღლებაზე. ადრე გამეგონა, რომ არსებობდა მცირე გვირაბით ვარაზის ხევის ჩამონადენის ტბაში გადმოგდების პროექტი. ადგილზე დავათვალიერე და დავრწმუნდი, რომ ეს ბევრს არაფერს მოგვცემდა, მაგრამ, სულ არარაობას აჯობებდა..."*



კანდიდ ჩარკვიანი – 1924 წელი



ნესტორ ჩარკვიანი – მამა



თამარი, კანდიდი, ირაკლი და ნანა თოიძე



თამარი და კანდიდი

მან აჩუქა თბილისს მეტროპოლიტენი: *„...თბილისში მეტროპოლიტენის აგება ჩვენი ოცნება იყო, მაგრამ, სანამ ქვეყანა ომისაგან მიყენებულ ჭრილობებს არ მოიშუშებდა, ამ საკითხის დასმა შეუძლებლად მიგვაჩნდა... თან, მაშინ თბილისის მოსახლეობა 600 ათასსაც არ აღწევდა და მრავალმილიონიან ლენინგრადს და მილიონს მიღწეულ კიევს ვერ მივბაძავდით... „საჭიროდ იქნეს ცნობილი, აშენდეს ქალაქ თბილისში მეტროპოლიტენი, რომლის პირველი რიგის სიგრძე 7, 5 კილომეტრია..." რაკი დადგენილება მივიღეთ, აღარ დავახანეთ და მეტროპოლიტენის მშენებლობაზე დაწყებისთვის მზადებას შევუდექით... 1953 წლის გაზაფხულზე მშენებლობა მოულოდნელად შეაჩერეს. აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა ბერიამ, რომელსაც ჩვენი მეტროპოლიტენი სტალინისაგან ბოძებულად მიაჩნდა. იყო წინადადება, გაყვანილი შახტები და დაწყებული გვირაბები ამოევსოთ, მაგრამ, ამ ნაბიჯზე ველარ წავიდნენ..."*



თამარ ჯაოშვილი (მეუღლე) და გელა

ახლა კი გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ეპიზოდს „ცეკას" პირველი მდივნის ცხოვრებიდან:

„...1924 წლის ივნისში ქუთაისის პირველი სოციალურ-ჰუმანიტარული ტექნიკუმის კურსი დავამთავრე... მე-18 წელიწადში ვიყავი, თუმცა, სკოლაში ხუთიანზე ნაკლები ნიშანი იშვიათად მქონია, უმაღლეს სასწავლებელში შესვლაზე ოცნებაც არ შემეძლო. დედისა და ორი უფროსი დის ხანგრძლივმა ავადმყოფობამ და გარდაცვალებამ ჩვენი ღარიბი ოჯახი სულ უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა. ის დახმარებას მოითხოვდა და, სხვა გზა არ იყო – სამსახური უნდა დამეწყო, მაგრამ, სად?.. იმავე წლის სექტემბერში შევხვდი თბილისიდან შვებულებით ჩამოსულ შორეულ ნათესავს – მიხეილ ასათიანს. ის კომუნისტი იყო... ჩემი მდგომარეობა რომ გაიგო, მაშინვე შემომთავაზა, თბილისში გავყოლოდი: ბინად ჩემთან იქნები, სამუშაოს შოვნაში დაგეხმარები, შემდეგ კი შენზე იქნება დამოკიდებული, როგორ გაიკვლევ გზასო. სიხარულით ცას ვეწიე. 1924 წლის 20 ოქტომბერს პატარა გაცვეთილი ჩემოდნით, რომელშიც ღარიბულ თეთრეულთან ერთად საშუალო სკოლის ატესტატი და გულმოდგინედ დალუქული პაკეტით კომკავშირული პირადი საქმე მედო, თბილისს ვეწვიე. თბილისში პირველად ვიყავი, მისამართზე მისვლა გამიჭირდებოდა. ამიტომ, ხელგაშლილობა გამოვიჩინე, ჩემი მცირე თანხიდან რამდენიმე აბაზით ეტლი დავიქირავე და მიხეილ ასათიანის ბინაზე მატერიალურად უზრუნველყოფილი კაცივით მივგრიალდი. მიშამ უმცროს ძმასავით მიმიღო და შემიკედლა. უკვე ციოდა. ჩვენებურ წუღებში ფეხები მეყინებოდა. მიშას თვალს ეს არ გამოჰპარვია, წამიყვანა და „სკოროხოდის" მაგარი, ყელიანი ფეხსაცმელი მიყიდა. ცოტა ხანში ამინდი გაუარესდა, ბლუზით სიარული ჭირდა. – წავიდეთ ბაზარში, – მითხრა მიშამ, იქნებ, ამერიკული პალტო გიყიდო. მაშინ საბჭოთა კავშირში კიდევ შემოდიოდა ამერიკული საქველმოქმედო საზოგადოებისგან შეგროვილი ნახმარი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. არ ვიცი, რა წესით, მაგრამ, ეს საქონელი იყიდებოდა, ცხადია, დაბალ ფასებში. იმასაც ირწმუნებოდნენ, რომ ზოგ მყიდველს ბედი გაუღიმებდა და შეძენილი პალტოს, პიჯაკის ან შარვლის ჯიბეში ოქროს საათს ან დოლარებს იპოვიდა. ბაზარში ჩემი სარგო პალტო შევარჩიეთ და ვიყიდეთ. არც საათი, არც დოლარები მის ჯიბეში არ აღმოჩენილა, მაგრამ, ის ჩემთვის მაინც ძვირფასი იყო, რადგან, კარგად მათბობდა და გარეგნულადაც ლამაზად გამოიყურებოდა. სამუშაოზე მოწყობა გაძნელდა... შრომის ბირჟა აღრიცხვაზე არ აგიყვანდა, თუ პროფკავშირის წევრი არ იყავი, პროფკავშირში კი არ მიგიღებდნენ თუ არ მუშაობდი. მაგრამ, აქ გამონაკლისები გვშველოდა... ორი თვის შემდეგ მიშას დაწესებულებაში ადგილი გაუთავისუფლდა და უფროსებთან შეთანხმებით იქ დამნიშნა... მუხრანის ვიწრო ქუჩაზე, რომელიც შემდეგ ბარათაშვილის განიერმა მაგისტრალმა შეცვალა, ქალაქის მილიციის ერთ-ერთი განყოფილება იყო მოთავსებული. იქ შედგა ჩემი შრომითი ნათლობა. რაიონის მილიციის უფროსმა, შემდგომში საკმაოდ ცნობილმა იურისტმა ვარდენ კაკაბაძემ, ერთ, ნახევრად ბნელ ოთახში შემიყვანა და მითხრა: „აი, ახლა აქ იმუშავებო". ოთახის კართან მიკრულ ფირნიშზე ეწერა: „სამისამართო მაგიდა"... მას შემდეგ, რაც საკუთარ ფეხზე დავდექი, ერთხანს ცხოვრების უვნებელ სიამეთა ცდუნებამ გამიტაცა და ჩვეული გზით ცოდნის შევსებისთვის ზრუნვა შევასუსტე. შევიკერე კარგი კოსტიუმი, ფეხსაცმელი და ახალგაცნობილ ამხანაგებთან ერთად საღამოს საათებს რუსთაველის პროსპექტზე სეირნობას, კინოებში „ბოევიკების" ნახვასა და კლუბებში სხვადასხვა გასართობზე სიარულს ვანდომებდი. ეს იყო, რომ ღვინის სმა



ტრიბუნაზე მარშალ ტოლბუხინთან



კანდიდ ჩარკვიანი მეუღლესთან და თავის სამ ვაჟთან ერთად

არ დამიწყია. წიგნებს ახლა ნაკლები გულმოდგინებით ვკითხულობდი. სამაგიეროდ, დიდად გამიტაცა თეატრმა... 1925 წლის ზამთარში პირველად შევდგი ფეხი ოპერის თეატრში... ვნახე ქალაქში არსებული მუზეუმები, ვესწრებოდი ხელოვანთა გასტროლებს... თბილისში უფრო აქტიურად ჩავები კომკავშირულ მუშაობაში, ვხელმძღვანელობდი და ვაფორმებდი კედლის გაზეთს, ვმეცადინეობდი პოლიტწრეში და, ბოლოს, წიგნის მეოხებით, კვლავ დავუბრუნდი თვითგანვითარებით მუშაობას. თბილისში ამის საშუალება განუსაზღვრელი იყო... 19 წელი მისრულდებოდა და მიმაჩნდა, რომ პარტიის პოლიტიკაში ვერკვეოდი... მეთოთხმეტე ყრილობის სტენოგრამამ გამიხსნა პარტიული ლიტერატურის კითხვის გემოვნება. აღფრთოვანებული ვიყავი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების ფორმითა და შინაგანი ლოგიკით...


კანდიდის დედა – ლუბა ასათიანი-ჩარკვიანი

... ცენტრალურ კომიტეტში მისვლისთანავე მწვავედ ვიგრძენი დროის სუსხი. ბერიას მიერ წამოწყებული დაპატიმრებები ჩემთვის, ჯერ კი-


კანდიდი და თამარ ჯაოშვილი, შვილიშვილ ირაკლისთან ერთად

დევ რიგითი კომუნისტისთვის, ცნობილი იყო, მაგრამ, არც მათ მასშტაბებზე, არც კონკრეტულ მიზეზებზე წარმოდგენა არა მქონდა, მით უმეტეს, არ მოველოდი თუ რეპრესიების ტალღა ჩემ ახლოს გაივლიდა...

რამდენიმე სიტყვა ბერიასთან ჩემი ურთიერთობის სიძნელეებზე: პირველ ხანებში ის ნდობით მეპყრობოდა, ცენტრალური კომიტეტის ბიურო ჩემს შეტანილ პროექტებს მცირე შესწორებებით იღებდა, მაგრამ, არ გასულა დიდი დრო და შევამჩნიე, რომ ბერია ტყუილუბრალოდ მიხირდებოდა... 1938 წლის 31 აგვისტოს პარტიამ ახალი და მეტად მძიმე მოვალეობები დამაკისრა: საკავშირო კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს რეკომენდაციით, საქართველოს კპ (ბ) ცკ პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ამირჩია. ამ დღიდან ჩემი მუშაობის ხასიათი ძირეულად იცვლებოდა... პირველი მდივნის პოსტზე 13 წელიწადი და 7 თვე დავყავი. აქედან 9 წელიწადი სამამულო ომზე და ქვეყნის მეურნეობის აღდგენის პერიოდზე მოდიოდა...

...ომამდელ წლებში ცენტრალურ კომიტეტს ძლიერ აფიქრებდა საქართველოს კინემატოგრაფიის მდგომარეობა... ახლო წლებში უნდა შექმნილიყო ორი მონუმენტური ფილმი – „ფიცი" და „გიორგი სააკაძე". ორივე მიხეილ ჭიაურელს უნდა დაედგა... ომის წლებში ასეთი გრანდიოზული ფილმის გადაღება ადვილი არ იყო. ეს სტალინის ხელშეწყობით მოხერხდა... მიხეილ ჭიაურელი სტალინმა უფრო ადრე გაიცნო, ვიდრე მე ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნად ამირჩევდნენ. 1939-1940 წლებში მას სტალინის აგარაკზე რამდენიმეჯერ შევხვდი. შემდეგ კი, სტალინის დავალებით, მის სახლში ის მეც მიმიყვანია... დროდადრო სტალინთან სტუმრობამ ჭიაურელს, ეტყობა, დისტანციის გრძნობა მოუდუნა. 1940 წელს, არ მახსოვს, რომელ თვეში, სტალინის დაცვის თანამშრომელმა დამირეკა და გადმომცა, რომ ჭიაურელს ერთი ასეთი სტუმრობისას სტალინის საყოველთაოდ ცნობილი რუხი მაუდის სალდათური ქუდი წაუღია: ამხანაგმა სტალინმა დილით ქუდი თავის ადგილას ვერ ნახა. ვეძებეთ, მაგრამ ვერსად აღმოვაჩინეთ. ერთადერთი სტუმარი, რომელსაც შეეძლო, ქუდი სუვენირად წაეღო, მიხეილ ჭიაურელი იყო. დაუყოვნებლივ მოვიკითხეთ და ქუდი დავიბრუნეთ,


კანდიდ ჩარკვიანი მეუღლესთან ერთად

მაგრამ ამ ფაქტის შესახებ თქვენ მაინც უნდა იცოდეთო... ჭიაურელი სასწრაფოდ მოვძებნე და ცენტრალურ კომიტეტში დავიბარე. – შევცდი, წამოვიღე, არ მეგონა, თუ ამდენი ამბავი ატყდებოდაო, – გულუბრყვილოდ განაცხადა შეცბუნებულმა მიშამ. მე განვუმარტე ჩვენს სახელო-


ოჯახი

ვან რეჟისორს, რომ სტალინთან სტუმრობის პატივი სრულებითაც არ იძლევა მასთან გაშინაურების უფლებას, ხოლო, მის გარდერობში ხელის ფათური – დიდი კადნიერებაა. ღვინომ მიქნა, ცოტა მეტი დავლიე. ალბათ, მაპატიებს ამხანაგი სტალინიო, – თავს იმართლებდა და იიმედებდა მიხეილი. ჩვენი რეჟისორის იმედი გამართლდა – სტალინი ამ შემთხვევას მხოლოდ სიცილით იხსენებდა..."

**ეკა პატარაია**

# თბილისის რომელ ბაღს უწოდებდნენ „იასეს ბაღს" და სად იმართებოდა მეცხრამეტე საუკუნის თბილისში ყაბახი

**(23-ე გვერდიდან)**

არქიტექტურა ძალიან ლამაზი გახლდათ, 1888 წელს იმპერატორის ოჯახის სარკინიგზო კატასტროფაში გადარჩენის აღსანიშნავად დაიდგა.

ბაღი ორ ნაწილად ტრამვაის გაყვანის დროს გაიყო. მეფის დროს ამ ქუჩას „საპიორნაია" ერქვა, საბჭოთა პერიოდში ბორის ძნელაძის სახელს ატარებდა, ახლა კი რეზო თაბუკაშვილის ქუჩა ჰქვია. მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში


ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი (1900-იანი წლები)

ზედა და ქვედა ტერასების შემაერთებელი ფართო კიბე გააუქმეს, რის გამოც ამჟამინდელი თაბუკაშვილის ქუჩა საკოლმეურნეო მოედნამდე გაგრძელდა, რამაც რუსთაველის გამზირი ნაწილობრივ განტვირთა საქალაქო ტრანსპორტისგან. რევოლუციის პერიოდში ალექსანდრეს ბაღი არაერთი სისხლიანი შეტაკების ადგილი გახდა. 1918 წლის 10 თებერვალს ბოლშევიკებმა, სტეფანე შაუმიანის ხელმძღვანელობით, ბაღში დიდი მანიფესტაცია გამართეს, მაგრამ, ამიერკავკასიის სეიმმა, სახალხო გვარდიის დახმარებით, ტყვიამფრქვევებითა და შაშხანებით ისინი დაარბია. რამდენიმე ადამიანი შეეწირა ამ მოვლენებს და ამის აღსანიშნავად ბაღის ქვედა ნაწილში დაიდგა „ხსოვნის კედელი", რომლის ნაშთები დღემდეა შემორჩენილი. ალექსანდრეს ბაღში რამდენიმე ცნობილი ბოლშევიკია დასაფლავებული: ბორის ძნელაძე, ლუკიანე თაბუკაშვილი, საშა ობოლაძე, რომელთა საფლავები ამჟამადაც იქ მდებარეობს, თუმცა, საფლავის ქვისა და რაიმე მინიშნების გარეშე. ალექსანდრეს ბაღში, ასევე, რამდენიმე ქანდაკება და ბიუსტი დგას. 1903 წლის 19 მარტს გაიხსნა ნიკოლოზ გოგოლის ქანდაკება, რომელიც მოქანდაკე ფელიქს ხოდოროვიჩს ეკუთვნოდა და 90-იანი წლების დასაწყისში, თბილისის ომის დროს განადგურდა და დაიკარგა, ახლა კი მის ადგილას ანატოლი სობჩაკის ძეგლი დგას. ამ ბაღში, ასევე, იდგა ბორის ძნელაძის ძეგლი, იქ კი, სადაც ახლა ლადო გუდიაშვილის ქანდაკება დგას, იდგა ლადო კეცხოველის ქანდაკება. დღემდეა შემორჩენილი ეგნატე ნინოშვილის ბიუსტი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძველია თბილისში. გოგლა ლეონიძის ძეგლი კი ყველაზე გვიან, 1992 წელს დაიდგა. ჯერჯერობით ბოლო ქანდაკება, რომელიც ბაღში 2001 წელს


გოგლა ლეონიძის ძეგლი ალექსანდრეს ბაღში (თანამედროვე ხედი)

დაიდგა, არის ცნობილი უნგრელი მხატვრის, „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციების ავტორის – მიხაი ზიჩის ქანდაკება.

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ფრაგმენტები წიგნიდან: თ. კვირკველია, „ძველთბილისური დასახელებანი" (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1985 წელი).**



**სანამ ადამიანი საკუთარ თავზე არ გამოსცდის ამა თუ იმ მოვლენას, სხვისი მონაყოლი ზღაპარი ჰგონია. ეს ბუნებრივია და, განსაკუთრებით იმ თემას ეხება, რასაც ეზოთერიკოსები ფენომენალურ მოვლენას უწოდებენ. ასევე, დღევანდელი ყოფის ფონზე, შესაძლოა, ერთი ადამიანის კეთილდღეობა ისე შეშურდეს მეორეს, რომ შურის გამო გათვალოს კიდეც, ამით კი მის წარუმატებლობას დაუდოს სათავე. როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ქეთი ამბობს, ჩვენ გარშემო უამრავი ბოროტი ადამიანია და სწორედ მათი წყალობით შემოდის ჩვენს საცხოვრებელში შავი და ბოროტი ენერგია. სახლში ეს ენერგია შურიან და ღვარძლიან სტუმრებს შემოაქვთ და ასე გროვდება.**

# როგორ დავიცვათ სახლი შურიანი ადამიანის თვალისგან და რატომ არის საშიში მზის ჩასვლის შემდეგ ხალხური გადმოცემების გაუთვალისწინებლობა

**ქეთი**: არსებობს ფაქტები, რომელსაც ადამიანი ყურადღებას არ აქცევს, ხოლო, როცა დრო გადის, მერე უფიქრდება და ხვდება, რომ უბრალოდ არაფერი ხდება. ის, რაც ცრურწმენადაა მიჩნეული, მეც ბევრჯერ არ გამითვალისწინებია და მათ შედეგს დღესაც ვიმკი. ჯობია, კარგად დაფიქრდეთ, დაუჯეროთ უფროსი თაობის წარმომადგენელთა რჩევებს და გააანალიზოთ ყოველი სიტყვა, ქმედება, სანამ ნაბიჯს გადადგამდეთ. ასე, არც დაზარალდებით და არც სავალალო შედეგს მოიმკით.

**– კონკრეტულად, რომელ ცრურწმენას გულისხმობთ და რაზე უნდა გავამახვილოთ განსაკუთრებული ყურადღება ყოველდღიურ ცხოვრებაში?**

– საერთოდ, სანამ საკუთარ თავზე არ იწვნევ, მანამდე შედეგზე არ ფიქრობ. დღესაც, უფროსი თაობის წარმომადგენლებს ეხვდები და მათგანაც ბევრ საინტერესო ინფორმაციას ვიღებ ამ სფეროში. ამჯერად, რამდენიმე წესს გაგანდობთ, რომელიც საკმაოდ მარტივია, მაგრამ დიდ ზეგავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითად, ბევრმა დიასახლისმა იცის ღამით სამზარეულოს მაგიდაზე დანის დატოვება. ეს სახიფათოა, რადგან, ამან შეიძლება ოჯახური კონფლიქტი და ოჯახის წევრებს შორის გაუგებრობა გამოიწვიოს. თუ გსურთ, ბედი არ დაითარსოთ, არასდროს აჩუქოთ სხვას მარგალიტის ან გიშრის სამკაულები. ასევე, მზის ჩასვლის შემდეგ ბავშვი თავს ზემოთ არ ასწიოთ, თორემ დაბალი გაიზრდება. ასევე, მზის ჩასვლის შემდეგ, არც თმა მოიჭრათ, არც ფრჩხილი, არც ღილი დააკეროთ და არც გაკეროთ რამე. ასეთ დროს, არც ფულის გასესხება და დათვლა ვარგა, უბარაქობა იცის. ახლა, ბევრი იწყებს სახლის მშენებლობას და მინდა, ერთი ძველი ეზოთერული ოქროს წესი გაგანდოთ. კერძოდ, სახლის მშენებლობისას, საძირკველში აუცილებლად ჩაყარეთ ხურდა ფული და მატყლი.

**– სახლის საძირკველში ჩატანებული ხურდა და მატყლი რისთვისაა საჭირო?**

– იმისთვის, რომ სახლში მუდმივად ბარაქა და სითბო ტრიალებდეს. სახლის საძირკველში ჩატანებული ფული ბარაქას უზრუნველყოფს, მატყლი კი ოჯახურ სიტკბოებასა და სიყვარულზე აგებს პასუხს.

**– გამიგია, თუ ქალიშვილი მამაკაც ოჯახის წევრს ჰგავს, მას ბედნიერი მომავალი ელისო. ეს თუ შეესაბამება სიმართლეს?**

– დიახ, ეს სრული სიმართლეა. თუ ქალიშვილი მამას, ბაბუას ან ბიძას ჰგავს, ის ნამდვილად ბედნიერი იქნება, პირად ცხოვრებაში ან კარიერაში, ან ორივეში ერთად. მაგრამ რომელიმეში რომ დიდი წარმატება გარდაუვალია, ამის ბევრი ფაქტი არსებობს. თავადაც შეგიძლიათ, დააკვირდეთ ახლობლებს და დასკვნას აუცილებლად გამოიტანთ, მიხვდებით, რომ მართალს ვამბობ. ასევე, ანალოგიურად, თუ ვაჟიშვილი დაემსგავსა დედას, ბებიას ან დეიდას, ისიც ბედნიერი იქნება მომავალში.

**– ისიც გამიგია, თითქოს, სახლში ნეგატიური ენერგია შეუძლია შურიანმა ადამიანმა შემოიტანოსო. ამაზე რას გვეტყვით?**

– ეს, ნამდვილად ასეა. ყველასთან მიდის სტუმრად მეგობარი, მეზობელი თუ ნათესავი. ამ დროს, შესაძლოა, სტუმარმა ბოროტი

> **არსებობს ფაქტები, რასაც ადამიანი ყურადღებას არ აქცევს: დრო გადის და მერე უფიქრდება – ხვდება, რომ უბრალოდ არაფერი ხდება**

ენერგია შურის გამო იმ დოზით გადმოაფრქვიოს თქვენს საცხოვრებელში, რომ უნებლიეთ უიღბლობის მსხვერპლი გახდეთ. ამიტომ, სახლის დაცვა ასეთი შურიანი ადამიანების თვალისგან კარიდან უნდა დაიწყოს. სახლის კარზე დაამაგრეთ ნალი. სასურველია, თუ მასში ეკლიან მცენარეს ჩაარჭობთ. ასე, დაცვა ორმაგდება, რადგან ეკალი კარგად ებრძვის ავ თვალს და მას კარის შიგნით, სახლში არ უშვებს. ასევე, კარგია თუ ქოთნის ეკლიან ყვავილს შემოსასვლელში დადგამთ. სხვათა შორის, ჩვენი წინაპრები, სახლის კარის საკეტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ანტიკვარულ და ძველ ავეჯს თუ დააკვირდებით, ნახავთ, რომ თითოეულ უჯრას თუ კარს ლამაზი და საგულდაგულოდ დასაკეტი გასაღები უკეთდება. უმჯობესია, გასაღებების აცმა ვერცხლისფერ ჯაჭვზე დაკიდოთ და არასდროს დადოთ მაგიდაზე. ასევე, ეცადეთ, გასაღების აცმა შურიანი ადამიანების მზერას მოარიდოთ. ასე, გაქურდვისგან იქნებით დაცული. ძალიან კარგია, სახლში ძაღლის, კატის ან ჩიტის ყოლა. ყველაზე კარგი და წარმატების მომტანია აკვარიუმში მოცურავე თევზები, განსაკუთრებით კი ოქროსფერი. ოქროსფერი თევზი სიმდიდრის ერთგვარ თილისმად მოიაზრება ეზოთერიკაში. ზოგადად, ცხოველის ბეწვი უარყოფით ენერგიას ანეიტრალებს ბინაში. ამ მხრივ კარგია მუქბეწვიანი ძაღლი ან კატა. ასეთ ცხოველებს სახლის ენერგეტიკის დაცვა და შენარჩუნება უკეთ შეუძლიათ. თუ ალისფერი შეფერილობის ჩიტს იყოლიებთ გალიაში, სიყვარულში წარმატება და ფინანსური კეთილდღეობა გელით. გეტყვით იმასაც, რომ თუ ბევრი სარკე გაქვთ სახლში, მაშინ თქვენი გათვალვა რთული იქნება. თუ გუნება-განწყობა გაგიფუჭდათ, დადექით დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში სარკის წინ და მიაშტერდით საკუთარ სილუეტს. ნახეთ, დარდი და ტკივილი, მალევე გაგივლით. საერთოდ, სარკემ რომ სახლში ფული მოიზიდოს, ჯობია, სასტუმრო ოთახის მაგიდის გასწვრივ დაკიდოთ. თუ სარკე გაგიტყდათ, ნუ ჩავარდებით პანიკაში, არ დაიჯეროთ, რომ ეს ცუდის მომასწავებელია და აუცილებლად ახლობელი ადამიანის სიკვდილს ნიშნავს. უბრალოდ, აიღეთ იასამნისფერი ან წითელი სანთელი, აანთეთ და სარკის ნატეხები მის ალზე შემოატარეთ. შემდეგ კი მიწაში ჩაფალით. ბევრი ამბობს, სარკის გატეხა სიკვდილს გვამცნობსო, მაგრამ ეს არ არის მართალი. შესაძლოა, დამთხვევები იყოს, მაგრამ თუ იმ წესს გამოიყენებთ, რომელზეც ზემოთ გესაუბრეთ, მაშინ მშვიდად იყავით, ნურც ცუდზე იდარდებთ და ნურც ინერვიულებთ. უბრალოდ, კარგად გააანალიზეთ, რას აკეთებთ ცხოვრებაში არასწორად, გამოასწორეთ ის და ყველაფერი დალაგდება. მაგრამ, თუ ადამიანი ურწმუნოა, არც წინაპრის გაფრთხილებას აქცევს ყურადღებას და იმის იმედით ცხოვრობს, ყველაფერი თავად მოგვარდებაო, მაშინ ვერაფერს გეტყვით. სახლი ჩვენი ციხესიმაგრეა და ის შიგნიდან უნდა დაიცვათ. მასში მომხდარ მოვლენებზე ოჯახის თითოეული წევრი აგებს პასუხს.

**ნონა დათეშიძე**

## ინდივიდუალური სრულყოფილება

გაზაფხული ფანტაზიებს აღვიძებს და აღვივებს. ეს პერიოდი შესანიშნავ საშუალებებს აძლევს თითოეულ ჩვენგანს: სულ ცოტა მონდომება და – ფეხს შედგამთ სრულყოფილებაში. მართალია, ეს ინდივიდუალურად თქვენი სრულყოფილება იქნება, მაგრამ, სწორედ ამაშია ყველაზე დიდი პოზიტივი. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ დიზაინერის მიერ შექმნილი ნივთი ხართ – სასაცილო ამაში არაფერია. რით არის დიზაინერის შექმნილი ნივთები ძვირფასი? – თავისი განსხვავებულობით, ორიგინალურობით – ხშირ შემთხვევაში, ისინი ხომ არღვევენ ყველანაირ სტანდარტებს. ორიგინალობისა და ინდივიდუალიზმის ჭეშმარიტი შემფასებლები მზად არიან, მათში დიდი თანხა გადაიხადონ. ქალიც შეიძლება, იყოს ისეთი, რომ არ ჰგავდეს არავის – იყოს ეფექტური, ერთადერთი და განუმეორებელი. ნუ იქნებით ორიენტირებული იმაზე, ვინც ამ ინდივიდუალობას ვერ დაინახავს. სტანდარტები იშვიათად არის საინტერესო, ინდივიდუალიზმი კი ყოველთვის ყურადღების ცენტრშია.

ცელულიტი არ არის ტრაგედია. ტრაგედია ის არის, ამის მეტი ვერაფერი დაინახო. თუ საკუთარ თავში რამე არ მოგწონთ, ამ კონკრეტული ნაკლის გამოსწორებაზე იმუშავეთ: კარგი მაკიაჟით, მოხდენილი ტანისამოსითა და ლამაზი სიარულით ბევრი პატარა ნაკლის დაფარვა და კომპენსირება შეიძლება. მამაკაცები არც ისეთი ყურადღებიანები არიან, როგორც ქალებს ჰგონიათ. თავად დაინახეთ და შეიგრძენით ის, რაც მართლაც ლამაზი გაქვთ და, რაც მთავარია, გაეცით სითბო – ის ბუმერანგივით დაგიბრუნდებათ უკან.

## ეჭვი, როგორც განაჩენი

შეიძლება, თქვენ სულაც არ ხართ დამნაშავე იმაში, რომ ეჭვმა მაგრად ჩაგავლოთ კლანჭები. სამწუხაროდ, ეს ნეგატიური შეგრძნება საკმაოდ ძლიერია, ზოგჯერ უკონტროლოც და შედეგებიც საკმაოდ მძიმე აქვს. ჯერ ერთი, ეჭვი ბადებს ბრაზსა და აგრესიას. ექიმები ამბობენ, რომ ამით საფრთხის ქვეშ დგება ფილტვები, ღვიძლი და თირკმელები. ეჭვი არის სევდის, დეპრესიის, ხანგრძლივი ნერვიულობის წყარო, რაც დამატებით პრობლემებს უქმნის გულ-სისხლძარღვთა სისტემას. ანუ, პირდაპირ შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ეჭვი აავადებს გულს. ისევე, როგორც შეყვარებულ მდგომარეობაში, ეჭვიანობის დროსაც, დიდი რაოდენობით გამოიყოფა ენდორფინი, მაგრამ, ეს, სამწუხაროდ, იწვევს შფოთვას და არა სიხარულს. წარმოიდგინეთ ცხოვრება მუდმივ შფოთვაში. მოწყენილი და ეჭვით შეპყრობილი ადამიანი უსუსურია ვირუსების წინაშეც – ის ადვილად ხდება ავად. ექიმი მხოლოდ ვირუსებს მკურნალობს. მის გამომწვევ მიზეზს – ეჭვს კი – ვერა.

დაფიქრდით, ღირს ის ადამიანი იმად, რომ მთელი ცხოვრება იტანჯოთ? დაიზიანოთ ჯანმრთელობა, ნაადრევად დაბერდეთ და დაგავიწყდეთ, რა არის სიხარული? წარმოგიდგენიათ, როგორი საშინელია, არ გიხაროდეთ არაფერი, იძინებდეთ და იღვიძებდეთ, მხოლოდ ეჭვის გავლენის ქვეშ?! ეს ტკივილიც არის და მოურჩენელი სენიც – მუდმივად ავად ხართ და წამალიც არ გშველით. ამიტომ, გათავისუფლდით ეჭვისგან და ნუ აქცევთ მას თქვენი ცხოვრების განაჩენად!

## არავითარი სიმორცხვე!

ქალი უნდა იყოს რეალიზებული. ეს მისთვის აუცილებელია. რეალიზებული ქალი გახსნილი და თავისუფალია, შესაბამისად, ძალიან საინტერესო. მამაკაცებს მოსწონთ ამ ტიპის ქალბატონები. უპირველესად, დაივიწყეთ თეორიები იმის შესახებ, რომ აუცილებელია, გაიკრათ ანჯელინა ჯოლის ფოტოსურათი მაცივარზე, რათა ყოველთვის გახსოვდეთ, რა მნიშვნელობა აქვს ვიზუალს. ჭარბი წონა არ არის ტრაგედია. ხოლო თუ ტრაგედიად აქცევთ, ამით მხოლოდ იმას მოიგებთ, რომ დეპრესიასა და არასრულფასოვნების კომპლექსს აიკიდებთ.

აკრძალვებს არასოდეს მოაქვს პოზიტიური შედეგი. ნუ აჰყვებით არაფრისმომცემ, არცთუ ჭკვიანურ სტერეოტიპებს. მონიკა ბელუჩი, ანჯელინა ჯოლი და შერონ სთოუნი თქვენი პიროვნების შეფასების კრიტერიუმი ვერ იქნება. მათ თავისი ცხოვრება აქვთ და არავინ იცის, რა პრობლემებით დატვირთული. ზოგჯერ სრულიად საკმარისია ინდივიდუალური, პატარა დეტალი, რომ შედგე. ამიტომ, ეძებეთ და იპოვეთ საკუთარი თავი: საყვარელ საქმეში, კარგად მორგებულ სტილსა და ხასიათში. გააკეთეთ ის, რაც თქვენს სულს გაუხარდება; რაც მართლაც მოგგვრით სიამოვნებას. ნუ დახარჯავთ თავისუფალ დროს უსარგებლოდ, ან იმ ადამიანზე, რომელიც ამას არც დაინახავს და არც დააფასებს. წარმატება ნელ-ნელა მოდის, მაგრამ მოდის!

აღმოაჩინეთ ფარული ნიჭი, რომელიც თქვენშია და შეაქეთ საკუთარი თავი მიღწეულისთვის. ხშირად გაიღიმეთ და უთხარით კომპლიმენტი საკუთარ თავს. ასეთი საქციელით გაააქტიურებთ სეროტონინს, ბედნიერების, სიხარულის ჰორმონს. კარგი განწყობა კი ყველას ალამაზებს. როცა ადამიანისგან პოზიტიური ენერგია მოდის, ის სწრაფად ექცევა ყურადღების ცენტრში. თავადაც ნახავთ, როგორ შეიცვლება თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ.

## მოუსმინე ხმას

ამერიკაში ძალიან პოპულარულია „ხმის ფსიქოლოგია“. ლილიან გლასი ამ მიმდევრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ლილიანის ტრაქტატი „გაიცანი მამაკაცი მისი საუბრის მანერით“ დიდი პოპულარობით სარგებლობს. აი, რამდენიმე პუნქტი ამ ტრაქტატიდან. გაეცანით, იქნებ თქვენც გამოგადგეთ.

* როცა მამაკაცი საუბრობს სწრაფად და უხვსიტყვიანია, ეს იმის მაჩვენებელია, რომ რეალობაში საკუთარი ემოციებისა და საქციელის გაკონტროლება უჭირს. არასაიმედოა და არასტაბილური.

* სპეციალურად „დამუშავებული“ სექსუალური ინტონაციით საუბრობს? – ნუ ენდობით მას. ასეთი ტონი იმის მაჩვენებელია, რომ მამაკაცს ფარული ზრახვები და კონკრეტული მიზანი აქვს.

* როცა მამაკაცი მკვეთრად და გარკვევით გამოთქვამს სიტყვებს თანაბარი ხმით – სტაბილურია, მაგრამ მოსაწყენი. უყვარს ჭკუის დარიგება და შენიშვნის მიცემა ყველა წვრილმანზე.

* მთრთოლავი, მოკანკალე ხმით საუბრობენ დაკომპლექსებული ადამიანები. მათ მუდამ რაღაცის შიში აქვთ: ვერ იღებენ გადაწყვეტილებას. მათი წყენინებაც ძალიან იოლია. ბუტიებიც არიან.

* ემოციური, ხმამაღალი შეძახილებით საუბრობენ ემოციური მამაკაცები. ისინი სწრაფად ხდებიან აგრესიულები და ფეთქებადი ხასიათი აქვთ. მათგან ყველაფერია მოსალოდნელი.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# დენზელ ვაშინგტონის „გენეტიკური მაკიაჟი" და ოსკაროსანი როლები

***„ოსკარის" ორგზის ლაურეატი და 2013 წლის დაჯილდოებაზე „მამაკაცის საუკეთესო როლის" ნომინანტი ფილმისთვის „ეკიპაჟი", რომელმაც მაყურებელში და კრიტიკოსებში დიდი მოწონება დაიმსახურა. საუბარია დენზელ ვაშინგტონზე – ჰოლივუდის სუპერვარსკვლავსა და მილიონობით კინომოყვარულთათვის საყვარელ მსახიობზე, რომლის შესახებაც ამ ნომერში მოგითხრობთ.***

* დენზელ ჰეის ვაშინგტონი დაიბადა 1954 წლის 28 დეკემბერს ქალაქ მაუნთ-ვერნონში, ნიუ-იორკის შტატში. სახელი დენზელი მას მამის, ორმოცდაათიანელთა მღვდლის პატივსაცემად დაარქვეს. დენზელი შუათანა შვილი იყო და ბავშვობაში დედას ეხმარებოდა, რომელსაც საკუთარი სილამაზის სალონი ჰქონდა. სკოლის დამთავრების შემდეგ დენზელი ნიუ-იორკის ფორდჰემის უნივერსიტეტში მოეწყო, სადაც თავდაპირველად სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა, შემდგომ ბიოლოგიურზე, ჟურნალისტიკურზე, ბოლოს კი თეატრალური აირჩია. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1977 წელს, დენზელი სან-ფრანცისკოში გაემგზავრა კონსერვატორიაში სასწავლებლად, თუმცა, იქიდან მალე დაბრუნდა და ნიუ-იორკში სატელევიზიო ფილმებში დაიწყო მონაწილეობის მიღება.



* დენზელის მშობლები: დედა – ჰარლემელი ლენის ვაშინგტონი, სილამაზის სალონის მფლობელი; მამა – რევერენდ დენზელ ჰეის ვაშინგტონი, ორმოცდაათიანელთა ეკლესიის მსახური იყო. 1968 წელს ისინი დაშორდნენ და მას შემდეგ დენზელი დედასთან ერთად ცხოვრობდა.

* დენზელის თქმით, სტუდენტობის პერიოდში ის დიდ დროს ატარებდა ნიუ-იორკის ქუჩის ბანდებში, თუმცა, საბოლოოდ, კრიმინალის ცხოვრებას მსახიობობა არჩია. ვაშინგტონის თქმით, მის სამ ყველაზე ახლო მეგობარს, საერთო ჯამში 40 წელი ჰქონდა გატარებული ციხეში.

* 1977 წელს დენზელმა პირველი როლი ითამაშა სპორტულ დრამაში „ვილმა", 1981 წელს კი პირველი მთავარი როლი შეასრულა კომედიაში „ზუსტი ასლი". საყოველთაო სიყვარული და აღიარება დენზელ ვაშინგტონს მოუტანა სერიალმა „სენტ ელსვერიმ", რომლის ტრანსლირება ტელევიზიით 1982-1988 წლებში ხდებოდა და სადაც ვაშინგტონი მთავარ პერსონაჟს – ექიმ ფილიპ ჩანდლერს ასახიერებდა.

* 1983 წლის 25 ივნისს დენზელ ვაშინგტონი პაულეტა პირსონზე დაქორწინდა, რომელიც 1977 წელს თავისი პირველი ფილმის „ვილმას" გადასაღებ მოედანზე გაიცნო. წყვილს ოთხი შვილი ჰყავს: ჯონ დევიდი – ამერიკული ფეხბურთის პროფესიონალი მოთამაშე; კატია – იელის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და ტყუპები, ოლივია და მალკოლმი.

* დენზელ ვაშინგტონმა შვილს სახელი მალკოლმი აფროამერიკელების უფლებადამცველის, რელიგიური ლიდერის – მალკოლმ იქსის პატივსაცემად დაარქვა, რომელიც სპაიკ ლის 1992 წელს ეკრანებზე გამოსულ ფილმში – „მალკოლმ იქსში" განასახიერა.

* 1995 წელს დენზელ ვაშინგტონი ჟურნალმა „ემფაირმა" კინოისტორიაში 100 ყველაზე სექსუალურ მსახიობ მამაკაცს შორის მოიხსენია. დენზელს რეიტინგში 70-ე პოზიცია ერგო.

* ნორმან ჯუისონის ფილმ „ქარიშხალში" დენზელ ვაშინგტონმა ცნობილი მოკრივე რუბინ კარტერი – „ქარიშხალი" განასახიერა. როლში უკეთესად შესასვლელად მსახიობი ერთი წლის განმავლობაში ვარჯიშობდა კრივის ცნობილ მწვრთნელთან, ტერი კლეიბონთან.

* ჟურნალ „ნიუსვიკის" ერთ-ერთ ნომერში განთავსებული იყო სამეცნიერო სტატია, სადაც საუბარი იყო მამაკაცის ბიოლოგიურ მომხიბვლელობაზე. სამაგალითო მამაკაცად მეცნიერებს დენზელ ვაშინგტონი ჰყავდათ მოხსენიებული.

* 1995 წელს ფილმ „სისხლიანი ნაპირის" გადაღებების დროს დენზელ ვაშინგტონს კონფლიქტი მოუვიდა ფილმის სცენარის ავტორთან კვენტინ ტარანტინოსთან, რაც, გავრცელებული ინფორმაციით, ჩხუბში გადაიზარდა. ყველაფერი კი რასობრივი დისკრიმინაციის კადრების გამო მოხდა, რომელთა ჩამატებას კვენტინი სცენარში აპირებდა, რაც მთავარი როლის შემსრულებელ ვაშინგტონს არ მოეწონა.

* რიდლი სკოტის ფილმ „განგსტერში" დენზელ ვაშინგტონის ჰონორარმა 20 მილიონი დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ თანხა მსახიობს გადაღებების დაწყებამდე გადაერიცხა.

* დენზელ ვაშინგტონი პირველი აფროამერიკელი კინომსახიობია, რომელსაც „ოსკარის" ორი ჯილდო აქვს მიღებული. 1990 წელს მან პირველი „ოსკარი" მიიღო ფილმისთვის „დიდება", ხოლო მეორედ 2002 წელს, ფილმისთვის – „სავარჯიშო დღე".

* ანტუან ფუკუას ბლოკბასტერში „სავარჯიშო დღე" ვაშინგტონმა „ოსკარის" ჯილდო მიილო თავის კარიერაში პირველი უარყოფითი როლის შესრულებისთვის.

* დენზელ ვაშინგტონის სიმაღლე 184 სანტიმეტრია.

* დენზელ ვაშინგტონის თქმით, მისი ოცნებაა, ერთ გადასაღებ მოედანზე მოხვდეს ალ პაჩინოსთან და რობერტ დე ნიროსთან ერთად, რეჟისორი კი მარტინ სკორსეზე იყოს.

* დენზელ ვაშინგტონმა თავის დროზე უარი თქვა ისეთ ფილმებში თამაშზე, როგორიცაა: დევიდ ფინჩერის „შვიდი" და სტივენ სპილბერგის „ამისტადი", „ბლეიდი", „მაიკლ კლეიტონი".

* დენზელ ვაშინგტონი აქტიურადაა ჩართული საქველმოქმედო საქმიანობაში. ის არის რამდენიმე ორგანიზაციის წევრი, მათ შორის „ნელსონ მანდელას სახელობის ბავშვთა ფონდი" და შიდსით დაავადებულთა ჰოსპისის – „გეზერინგ ფლეისის" დამფინანსებელი.

* „მე ვამაყობ, რომ შავი ვარ – ეს ჩემი ფესვებია, ერთგვარი გენეტიკური მაკიაჟი", – განაცხადა დენზელ ვაშინგტონმა.

* ტომ ჰენკსის თქმით, დენზელ ვაშინგტონთან ერთად თამაში ფილმში „ფილადელფია" ნამდვილი სიამოვნება იყო. „თითქოს სკოლაში დავდიოდი, რადგან, მისგან გაცილებით მეტი ვისწავლე, ვიდრე სამსახიობო სასწავლებელში".

* დენზელ ვაშინგტონი მორწმუნე ორმოცდაათიანელია. 1995 წელს შემოწირულობის სახით მან 2,5 მილიონი დოლარი გადასცა ლოს-ანჯელესში მშენებარე ორმოცდაათიანელთა ეკლესიას.

* კოლუმბიის რევოლუციურმა ძალებმა დენზელ ვაშინგტონი რეჟისორებთან – ოლივერ სტოუნთან და მაიკლ მურთან ერთად, იმ მესამე პიროვნებად დაასახელეს, რომელთანაც ისინი გამართავდნენ მოლაპარაკებებს დაკავებული მძევლების გათავისუფლების ოპერაციაში.

* დენზელ ვაშინგტონი ამერიკული ფეხბურთის დიდი მოყვარულია და მშობლიური ქალაქის – ნიუ-იორკის კლუბ „ნიუ-იორკ იანკის" ქომაგობს.



* დენზელ ვაშინგტონს არ უყვარს, როდესაც მის ფოტოს ჟურნალების გარეკანზე ათავსებენ.

* „როდესაც დავბერდები, მინდა გავხდე კლინტ ისტვუდი", – განაცხადა დენზელ ვაშინგტონმა.

* დენზელ ვაშინგტონის თქმით, მას არ უნახავს ჯეიმს კამერონის ბლოკბასტერი „ავატარი".

* ახლო მომავალში კინოეკრანებზე გამოვა ახალი მძაფრსიუჟეტიანი ფილმი დენზელ ვაშინგტონის მონაწილეობით – „ორი თოფი", სადაც მას პარტნიორობას მარკ უოლბერგი გაუწევს.

**უშანგი რუხაძე**

# რატომ იკლავდნენ თავს „ენკავედეს“ თანამშრომლები



„ერთ დღეს საბჭოთა გაზეთები აცხადებდნენ, რომ „მოსკოვის მეორე პროცესზე“ დამნაშავეების სიკვდილით დასჯა სისრულეში იქნა მოყვანილი. „ენკავედეს“ პოლიტიკური სამმართველოს სამდივნოდან ერთ-ერთმა გამომძიებელმა, რომელიც მსჯავრდებულების დაკითხვაში მონაწილეობდა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მის მიერ დატოვებულ იქნა წერილი, რომელსაც თანამშრომლებისგან მალავდნენ. ეს ბადებდა ეჭვს, რომ მოკლული „სინდისმა შეაწუხა“.

არ გასულა ორი თვე, რომ გორკის სამმართველოდან პოგრებინსკმა მოიკლა თავი. მან მოსკოვის „პირველ პროცესზე“ პირადად დააპატიმრა მარქსიზმ-ლენინიზმის სკოლის პედაგოგები და აიძულა ისინი, ელიარებინათ, რომ ვითომ საპირველმაისო დემონსტრაციის დროს სტალინის მოკვლას აპირებდნენ. სიკვდილის წინ პოგრებინსკმა სტალინისთვის გადასაცემად წერილი დატოვა. სანამ კრემლში მოხვდებოდა, მანამდე წერილმა „ენკავედეს“ რამდენიმე „წონიანი“ თანამშრომლის ხელში გაიარა. პოგრებინსკი მასში წერდა: „ერთი ხელით პატიოსან ადამიანებს სასჯელი გამოვუტანე, მეორე ხელით კი იძულებული ვიყავი, დავმორჩილებოდი პარტიულ დისციპლინას...“ თავის მოკვლა მოუწია, აგრეთვე, უკრაინის „ენკავედეს“ პოლიტიკური სამმართველოს უფროსს, კოზელსკოვს, რომელსაც 4 წლის ვაჟი გარდაეცვალა. ბავშვი მძიმედ იყო ავად. შვილისთვის საუკეთესო ექიმები შეარჩია, რომელთა მონახვა მხოლოდ საბჭოთა კავშირში თუ შეიძლებოდა. მიუხედავად ექიმების დროულად ჩარევისა, ბავშვის გადარჩენა მაინც ვერ მოხერხდა. ამის შემყურე მამამ თავი მოიკლა. დატოვებულ წერილში ის წერდა, რომ მისი შვილი ღმერთმა მამის ცოდვების გამო დასაჯა – უდანაშაულო ადამიანების გადასახლებისა და დაჭერისათვის. თუმცა, პარტიული თვალსაზრისით, კოზელსკოვის წერილი სხვაგვარად ახსნეს – თითქოს მას ფსიქიკა ჰქონდა დარღვეული და რაღაც მისტიკურისკენ მიისწრაფოდა. უკრაინის „ენკავედემ“ მას ღირსეული პანაშვიდები მოუწყო, მის ოჯახს კი პენსია დაუნიშნეს...

...ზინოვიევისა და კამენევის მისამართით სტალინმა ბრძანება გასცა, რომ აღიარებით ჩვენებაში ასეთი დამატება შეეტანათ: ისინი არ გამორიცხავდნენ საშუალებას, რომ მათ „ოგუპუს“ ხელთ უჭირავს მათ მიერ მომზადებული ანტისახელმწიფოებრივი განაჩენის გამოტანის გეგმა, რომლის მიხედვითაც მათ მთავარ ამოცანად მიაჩნდათ, ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ გაენადგურებინათ ყველა შესაძლო კვალი. ამიტომ გადაწყდა, „ოგუპუს“ თავმჯდომარედ ბაკაევი დანიშნულიყო. მის მოვალეობაში შედიოდა იმ პირების ფიზიკური განადგურება, ვინც სტალინსა და კიროვზე ტერორისტულ აქტს განახორციელებდა. „ენკავედეს“ თანამშრომლებმა იცოდნენ, რომ ზინოვიევსა და კამენევს არავინ მოუკლავთ და არც აპირებდნენ... ყველამ კარგად იცოდა, რომ არავინ ისე არ უკეთებდა ორგანიზებას სასამართლო სპექტაკლებს, როგორც სტალინი. ამდენად, „ენკავედეს“ უნდა გაეთვალისწინებინა, რომ თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ან თუნდაც მხარდამჭერების განადგურების შემდეგ, სტალინი „ენკავედეს“ ყველა გამომძიებელსაც გაანადგურებდა.

1936 წელს სტალინის ფავორიტი ეჟოვი შინაგან საქმეთა კომისრად იაგოდას ადგილას დაინიშნა. ეჟოვმა „ცეკადან“ მოიყვანა თავისი ხალხი, რომლებიც ხელმძღვანელი პირის მოადგილეების ადგილებზე იქნენ დანიშნულნი მოსკოვსა და პერიფერიებში. ეჟოვი სტალინის გეგმის შესრულებაზე უკვე მოსკოვის „მეორე პროცესის“ დროს გადავიდა. ანადგურებდნენ არა მხოლოდ „ენკავედეს“ იმ თანამშრომლებს, ვინც სტალინური სიბინძურის საიდუმლოს შესახებ იცოდა, არამედ მათაც, ვისაც შეიძლებოდა, ეს გაეგოთ. ყველაფერი კი ასე ხდებოდა: 1937 წლის მარტის ერთ-ერთ საღამოს ეჟოვმა თავი მოუყარა თავის მოადგილეებს – იაგოდას დროს ამ მოვალეობის შემსრულებლებს. მათ შეატყობინა, რომ „ცეკას“ მითითებით, თითოეულ მათგანს ევალება რუსეთის ერთ-ერთ მხარეში გამგზავრება პოლიტიკური ნდობის შესამოწმებლად. ეჟოვმა მანდატები „ცეკას“ ბლანკებით შეცვალა და ბრძანა, დანიშნულების ადგილას დროულად წასულიყვნენ. მხოლოდ ოთხ მათგანს არ მიუღია ასეთი ბრძანება. ესენი იყვნენ: სლუცკი, ფრინოვსკი, სტალინის პირადი დაცვა პაუკერი და რედენსი.

მეორე დილით, ყველამ, ვინც ყალბი მანდატი მიიღო, მოსკოვი დატოვა. მათგან არც ერთმა არ მიაღწია დანიშნულების ადგილამდე. ყველა ჩუმად ჩამოიყვანეს ვაგონებიდან მოსკოვის პირველივე სადგურზე და მანქანებით გადაიყვანეს მოსკოვის მახლობლად მდებარე ციხეში. გავიდა რამდენიმე კვირა, სანამ „ენკავედეს“ სხვა თანამშრომლებისთვის ცნობილი გახდებოდა თავიანთი უფროსების ამ უცნაური გაუჩინარების შესახებ. ამასობაში ეჟოვმა „ენკავედეს“ დაცვა და ზოგიერთი თანამშრომელი მოსკოვსა თუ ქალაქგარეთ დანიშნული სხვა მაღალჩინოსნებით შეცვალა. ახალ ხელმძღვანელებს შორის ბევრი ქართველი აღმოჩნდა. ეჟოვი ამ ყველაფერს უფრო ენერგიულად შეუდგა. წავიდა გამომძიებლების მასობრივი დაჭერები. მათ აპატიმრებდნენ დღისით, ღამით, ოჯახებში, სამუშაოზე. ერთ დღეს, როცა ოპერატიული ჯგუფი ერთ-ერთი მათგანის სახლში შეიჭრა, მსხვერპლმა დაიყვირა: „თქვენ ვერ შეძლებთ ჩემს აყვანას!“ შემდეგ გავიდა აივანზე და მეთორმეტე სართულიდან გადახტა. ფეილიქს გურსკი, საგარეო საქმეთა სამმართველოს თანამშრომელი, რომელიც რამდენიმე კვირის შემდეგ „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით დაჯილდოვდა სამუშაოს მაღალი დონის შესრულებისთვის, თავისი კაბინეტის ფანჯრიდან, მეცხრე სართულიდან გადმოხტა. ესპანეთსა და საფრანგეთში მყოფი შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლები შემაშფოთებელ ისტორიებს ყვებოდნენ იმის შესახებ, თუ როგორ ეჭრებოდნენ სახლში შეიარაღებული ოპერატიული სამსახურის მუშაკები „ენკავედეს“ თანამშრომლების ოჯახებს. როგორც კი კარზე ზარს მისცემდნენ, შიგნიდან სროლის ხმა ისმოდა. როგორც ჩანს, მსხვერპლი თავისი ხელით იხლიდა შუბლში ტყვიას.

ერთი ასეთი ისტორიაც არის ცნობილი: „ენკავედეს“ თანამშრომლების გარკვეული ჯგუფის ლიკვიდაციის შემდეგ ოთხი მათგანის უპატრონოდ დარჩენილმა ბავშვებმა ერთ-ერთი თანამშრომლის სახლიდან იარაღი მოიპარეს და მოსკოვის მახლობლად ტყეში გაეშურნენ თვითმკვლელობის მიზნით. იარაღის გასროლისა და ბავშვების ყვირილის ხმაზე ვიღაც რკინიგზის თანამშრომელი მივარდნილა. მან შეძლო 14 წლის ბიჭისთვის იარაღი ხელიდან გამოეგლიჯა. ორი მოზარდი მიწაზე იწვა – როგორც გაირკვა ისინი დაჭრილები იყვნენ. იქვე წერილი ეგდო – „ხალხის კერპს – ამხანაგ სტალინს!“. მასში ბავშვები „ძვირფას სტალინს“ სთხოვდნენ, მოენახა და დაესაჯა ისინი, ვინც მათი მამები დახოცა. „ჩვენი მშობლები პატიოსანი კომუნისტები იყვნენ, – ეწერა წერილში, – ქვეყნის მტრებმა, დამპალმა ტროცკისტებმა, ვერ შეძლეს, ეს მათთვის ეპატიებინათ...“ საიდან იცოდნენ ბავშვებმა, ვინ იყვნენ ტროცკისტები?! სტალინის სამდივნომ ათეული ასეთი წერილი მიიღო. ისინი სწრაფად გაეშურნენ „ენკავედეში“ მოთხოვნით – პატარა ნაძირლები მოსკოვიდან გაექროთ. აქ არ უნდა ყოფილიყო მათი ცრემლების ადგილი! უცხოელ ჟურნალისტებსა და სტუმრებს არ უნდა ენახათ ქუჩაში მასობრივად და უპატრონოდ დაყრილი ბავშვები.

უფრო ცუდ მდგომარეობაში იყვნენ გოგონები. ერთ-ერთი მათგანის ბედი შპიგელგლასისგან გახდა ცნობილი: შემოდგომაზე მოულოდნელად დააპატიმრეს წითელი არმიის შტაბის უფროსი ალექსანდრ კარინი და მისი ცოლი, ორივეს ესროლეს. ამ თანამდებობამდე კარინი „ენკავედეს“ შინაგან სამმართველოში საქმეთა მმართველად მუშაობდა. ის შპიგელგლასს უცხოეთში საიდუმლო და სახიფათო დავალებების შესრულებაში ეხმარებოდა. ისინი ოჯახებით მეგობრობდნენ. კარინის ერთადერთი, 13 წლის გოგონა შპიგელგლასის გოგონების საუკეთესო მეგობარი იყო. მამის დაპატიმრების შემდეგ გოგონა ქუჩაში აღმოჩნდა, ხოლო მათი ბინა ეჟოვის ხალხიდან ერთ-ერთმა მათგანმა დაიკავა. გოგონა შპიგელგლასთან მივიდა. ის ყვებოდა: „მე ეს გოგონა ჩემს შვილებზე არანაკლებ მიყვარს. ის ჩემთან თავისი მწუხარებით მოვიდა, როგორც მშობელ მამასთან. მაგრამ, შემეძლო გარისკვა და ჩემთან დატოვება? ენა არ მომიბრუნდა, მეთქვა, რომ წასულიყო. მე და ჩემი ცოლი შევეცადეთ, დაგვემშვიდებინა და დასაძინებლად დავაწვინეთ. ღამით ის საწოლიდან რამდენჯერმე წამოხტა ყვირილით, ვერ გაერკვია, სად იყო და რა ხდებოდა მის თავს. დილით, ეჟოვის მდივანთან, შაპიროსთან მივედი და მოვუყევი, რა მდგომარეობაშიც აღმოვჩნდი. „რაღაც გზა უნდა მოიძებნოს, – მითხრა მან, – ყოველ შემთხვევაში, შენ არ გიღირს მისი შენთან გაჩერება. ჩემი რჩევა იქნება: შეეცადე, მისგან გათავისუფლდე!..“

„შაპიროს რჩევა, – განაგრძობდა შპიგელგლასი, – პირდაპირ, ბრძანებასავით იყო – ბავშვი ქუჩაში გამეგდო. ჩემმა ცოლმა შემახსენა, რომ კარინს სარატოვში ვიღაც ნათესავები ჰყავდა. გოგონას ფული მივეცი და ბილეთი ვუყიდე, რომ გამგზავრებულიყო. მრცხვენოდა საკუთარი ქალიშვილებისთვის თვალებში ჩახედვის. ჩემი ცოლი ტიროდა. ვცდილობდი, სახლში რაც შეიძლებოდა ნაკლებად ვყოფილიყავი...

... ორი თვის შემდეგ გოგონა მოსკოვში დაბრუნდა და ჩვენთან მოვიდა. გავოცდი, ისე იყო შეცვლილი. ფერმკრთალი, გამხდარი, სევდიანი თვალებით. არანაირი ბავშვური კვალი მას არ ეტყობოდა. „პროკურატურაში განცხადება შევიტანე, – თქვა მან, – თხოვნით, დამეხმარონ, რომ ადამიანებმა, რომლებიც ჩვენს ბინაში ცხოვრობენ, ჩემი ტანსაცმელი დამიბრუნონ. ჩვენს პიონერულ ბანაკში ვიყავი, – განაგრძობდა გოგონა, – და იქ მივიღე მიმართვა პროკურატურისთვის, რომ ვითომ პიონერებმა თავის რიგებში ორი წლის წინ მიმიღეს, მაგრამ პიონერხელმძღვანელი მოითხოვდა, პიონერულ შეკრებებზე გამოვსულიყავი და მეთქვა, რომ მე ვამართლებ ჩემი მშობლების სიკვდილით დასჯას. კიდეც გამოვედი და ვთქვი, რომ თუ ისინი შპიონები იყვნენ, მაშინ სწორია, რომ მათ ესროლეს. საქმე ისაა, რომ ისინი ჩემგან მოითხოვდნენ, მეღიარებინა თითქოს ჩემი მშობლები მართლა შპიონები და ქვეყნის მტრები იყვნენ. მე ვთქვი, რომ ყველაფერი ტყუილია! ისინი პატიოსანი ადამიანები იყვნენ და, ვინც მათ ესროლა, სწორედ ისინი არიან სამშობლოს მტრები!“ – გაბრაზებით დაამთავრა გოგონამ. ის უარზე იყო საჭმელზე და არ მოისურვა, აელო ფული...“

**ლევ ფელდბინის წიგნის „სტალინის დანაშაულთა საიდუმლო ისტორია“ მიხედვით მოამზადა**
**გიორგი კვესიტაძემ**

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-6**

8-9 აპრილი, **ორშაბათი-სამშაბათი** 19.00 - **„პირველი სიყვარული"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

10-11 აპრილი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 19.45 - **„ფსიქოზი 4:48".** (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი კიტა როყვა. მონაწილეობს: ბესო ზანგური; პრემიერა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

11 აპრილი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ვგავართ ჩვენ ახლა ლტოლვილებს?!** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი ალეკი ბლაითი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, თემიკო ჭიჭინაძე, ქეთევან სვანიძე, ედმონდ მინაშვილი, ლაშა ოყრეშიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

9 აპრილი, **სამშაბათი** 20.00 - **„სევილიელი დალაქი"** - თოჯინების საოპერო თეატრი „აწკალა" - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მალხაზ გაბუნია, ზაალ კაკაბაძე, თეონა მალალაშვილი, ელენე ფირცხალავა, გიორგი მებაღიშვილი, მარიამ ავალიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9 აპრილი, **სამშაბათი** 20.00 - **„ქალები"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ.;***

10 აპრილი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

10 აპრილი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ზვავი"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), რეჟისორი დავით ჩხარტიშვილი. მონაწილეობენ: თამარ სხირტლაძე, ლეო ანთაძე, მაია ფაჩუაშვილი, თემურ კილაძე, როლანდ ოქროპირიძე, თეონა ქოქრაშვილი, ლილე ფილფანი, აკაკი მესაბლიშვილი, ზაზა სალია; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;***

11 აპრილი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„რევიზორი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: დავით დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნატა ბერეჟიანი, ონისე ონიანი, როლანდ ოქროპირიძე, ავთანდილ მიქაძე, ზურა ბერიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ.;***

11 აპრილი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„გუშინდელნი"** - (თეატრი სხვენში) - სოხუმის დრამატული თეატრის სპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: ნუგზარ ჩიქოვანი, ლორინა პაპუაშვილი-ელერდაშვილი, ქეთი ჩაჩუა, ვანო დუგლაძე, ჯიბო კვანტრიშვილი, პაატა კიკვაძე, მერაბ ბრეკაშვილი, ჯულიეტა პაკელიანი, თეონა გურამიშვილი, ნუგზარ წერედიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

12 აპრილი, **პარასკევი** 20.00 - **„როგორც გენებოთ"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკოლოზ თავაძე, მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

12 აპრილი, **პარასკევი** 20.00 - **„კრეპის უკანასკნელი ფირი"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი ნიკოლოზ ლუარსაბიშვილი. მონაწილეობს: მარლენ ეგუტია; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ.;***

13 აპრილი, **შაბათი** 20.00 - **„აგნუს დეი" - „მოცარტი და სალიერი" და „ეგვიპტის ღამეები"**-ს მიხედვით (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი დავით ჩხარტიშვილი. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, გაგა შიშინაშვილი, შაკო მირიანაშვილი, ჯანო იზორია, დათო ბელთაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

14 აპრილი, **კვირა** 20.00 - **„შერეული ემოციები"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ქეთი ცხაკაია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

9 აპრილი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45წთ.;***

10 აპრილი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

11 აპრილი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ვიზიტი ფსიქოლოგთან"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი),რეჟისორები: ეკა შარიქაძე, მაია დობორჯგინიძე, თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: მაია ხორნაული, გიორგი ჯიქია, ნათია კვაშალი, შაკო მირიანაშვილი, სალომე ჭულუხაძე, გიორგი მარშანია, მარიამ ნადირაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

12 აპრილი, **პარასკევი** 19.00 - **„თაფლობის თვე"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 12 ლარი), რეჟისორი მაია დობორჯგინიძე. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ.;***

13 აპრილი, **შაბათი** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

14 აპრილი, **კვირა** 19.00 - **„სათამაშო პისტოლეტი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 12 ლარი), რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი. მონაწილეობენ: ანი ალადაშვილი, გიორგი აბაშიძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20წთ.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

11 აპრილი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„პანთეონი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: მამუკა მაზავრიშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, შალვა ბახტაძე, ნელი ბადალაშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

12 აპრილი, **პარასკევი** 19.00 - **„შავი კეტები"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თამარ ტყემალაძე, ანა მატუაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, სალომე წურწუმია, მამუკა მაზავრიშვილი, იმედა ნატროშვილი, კოტე მჟავია, ვასო შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

13 აპრილი, **შაბათი** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

14 აპრილი, **კვირა** 19.00 - **„გასროლა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი გიორგი ქანთარია. მონაწილეობენ: თამარ ბეჟუაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, გვანცა კანდელაკი, კახა ჯოხაძე, ჯაბა ჯაფარიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი.***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**ალმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

11-12 აპრილი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 20.00 - **„გაყრა".** (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: გიორგი ყველაშვილი, ლაშა რამიშვილი, ცისია მეტრეველი, ნინო მითაიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი, გოგა მოძმანაშვილი, ბუბა გოგორიშვილი, მარინა ჯოხაძე, შორენა კურტანიძე. ვოდევილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

13-14 აპრილი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„აპრძალული თამაშები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი მანანა ბერიკაშვილი. მონაწილეობენ: ნანა ბუთხუზი, ანა ალექსიშვილი, გიორგი ვარდოსანიძე, თორნიკე გოგრიჭიანი, კახა კინწურაშვილი, ალექსანდრე დავითაშვილი, დევი ბიბილეიშვილი, გიორგი მახარაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი.***

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი
**ჭავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.**

12 აპრილი, **პარასკევი** 20.00 - **„ევრიდიკე"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორები: ოთარ ეგაძე, მილენა ეგიაზაროვა. მონაწილეობენ: ანდრია ვაჭრიძე, მერაბ ჩხეიძე, ლევან მამნიაშვილი, დავით გიგოლაშვილი, თათია გაბედავა, ანი თალაკვაძე, სალომე მიქაძე, ზურა გაბუნია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

13 აპრილი, **შაბათი** 20.00 - **„ოპერა მაფიოზო".** (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი გაბრიელ გოშაძე. მონაწილეობენ: დავით გიგოლაშვილი, მამუკა ლორია, ზაზა ასანიშვილი, ვასილ ოდიშვილი, მაკა ძაგანია, თამთა ცინცაძე, სოსო მჭედლიშვილი. კომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.***

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**



## ორშაბათი 8 აპრილი

06.30 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებანი" 07.30 ""ჩვენი დილა" (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.15 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "ოთხგანზომილებიანი ატლასი" 17.00 დ/ფ "უხილავი სამყარო" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"დავქორწინდეთ"** 21.00 ტ/სერ **"როსელა"** 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 "კომენტატორი" 00.00 "საფარი" 00.30 მხ/ფ **"შემოჭრა"** (ნ. კიდმანი) 02.30 ტ/სერ **"ნაფიცი მსაჯულები"** (ტიტ.).

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"დაუვიწყარი"** 4 სერ. 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 13.00 სერ. "24 – 6" 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 მხ/ფ**"მომხიბვლელობის კანონი"** (პ.ბროსნანი) 00.15 მხ/ფ**"წაიკითხე და დაწვი"** (ჯ.კლუნი) (ტიტ.) 02.00 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ყველაზე ჭკვიანი 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ძალა"** 22.00 "საქართველოს ვარსკვლავი" 00.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 11.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ-შოუ - "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 "ყოველდღიური აბები" 22.20, 2.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ).

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.45 მხ/ფ **"ლომა – დავიწყებული მეგობარი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 ეთნოგრაფია 10.55 კვირიაკე 12.10 დოკ/ფ "წინაპართა ნაკვალევზე" 13.05 კონცერტი -ანს."სახიობა" 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი **"ბამბაზიის სამოთხე"** 17.40 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"ნინო"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 სალვთისმეტყველო საუბრები 22.25 დოკ/ფ "უგვირგვინო მეფე" 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სალვთისმსახურო წელიწადი 23.35 "9 აპრილი" (თ. გამყრელიძის გამოსვლა) 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 დოკ/ფ "შორია გურჯისტანამდე" 01.30 დოკ/ფ "პირველად იყო სიმღერა".

## სამშაბათი 9 აპრილი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) 15.00 ტ/სერ **"როსელა"** 17.00 დ/ფ "თანამედროვე იარაღი" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"დავქორწინდეთ"** 21.00 ტ/სერ **"როსელა"** 22.00 დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" 22.40 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. განმეორებითი მეოთხედფინალი: (პ/რ) შესვენებისას: "ვიქტორინა" 00.30 მხ/ფ **"და ყველაფერი განათდა"** 02.40 ტ/სერ **"ნაფიცი მსაჯულები"** (ტიტ.).

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"დაუვიწყარი"** 5 სერ. 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 13.00 სერ. "24 – 6" 14.40 დოკ/ფ "9 აპრილი" 15.00 დოკ/ფ 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"აკრძალული სიყვარული"** 1 სერ. 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 ახალი საზავშვო ხმა 00.15 ქ.მხ/ფ**"კიდევ ერთი ქართული ისტორია"** 01.55 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ვანის შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ძალა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.40 ჩემპიონთა ლიგა. 00.50 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 0.55 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.30, 1.20 თოქ-შოუ - "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 სპექტაკლი **"ბამბაზიის სამოთხე"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.45 ქრისტიანული სწავლება 11.00 "9 აპრილი" (თ. გამყრელიძის გამოსვლა) 10.20 სალვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"ნინო"** 13.35 კონცერტი - ჯემალ სეფაშვილი I ნაწ. 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 16.00 სალვთისმსახურო წელიწადი 16.20 მხ/ფ **"დღე უკანასკნელი,დღე პირველი"** 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დოკ/ფ "ჩემი ქვეყანა" 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ჩვენი ფონდი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "საქართველოს ისტორია" 23.50 ფოტოგალერეა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.40 კარაბადინი.

გაგრძელება 44-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ: 293-22-53, 255-50-00.**

**8 – 14 აპრილი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 - **„რუდსების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.30 - **„კომა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„ანუ გაიღიმეთ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.30, 17.30, 20.00, 22.30 - **„ოზი: დიდებული და ძლევამოსილი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.30, 17.10, 19.45, 22.30 - **„ჯეკი გიგანტების გამანადგურებელი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.15, 14.15, 16.15, 18.15, 20.15 - **„კომა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.15 - **„რუდსების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.15, 14.15, 16.15, 18.15 - **„რუდსების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.15, 22.15 - **„კომა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 14.00, 16.00, 18.00 - **„კომა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.30 - **„მე და შენ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „საქართველო"**
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00, 14.00 - **„დედამიწიდან გაქცევა"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00, 18.00 - **„ჯეკი გიგანტების გამანადგურებელი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

20.00, 22.00 - **„კომა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 5 - 8 ლარი).



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

# ცხოვრების რომელ პერიოდში უშვებს ადამიანი საბედისწერო შეცდომებს და რა საფეხურებს გავდივართ წლების მატებასთან ერთად

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

***ადამიანი დაბადებისთანავე – თავისი ცხოვრების ათვლის წერტილიდან იწყებს განვითარებას. ანუ, ის მთელი ცხოვრების განმავლობაში ასტროლოგიური კუთხით, განვითარების 12 პერიოდს გადის. თითოეული პერიოდი განსხვავებულია და მას ადამიანის ცხოვრებაში გარკვეული როლი აკისრია.***

7 წლამდე ადამიანში მოჭარბებულია ენერგია, ცნობისმოყვარეობა, მოუთმენლობა. **ვერძივით**, ანუ ზოდიაქოს პირველივე ნიშანივით მოუთმენელი და ენერგიით სავსეა. ამ დროს ხდება ჩვენში მთავარი ნიჭისა და ემოციის ჩამოყალიბება. ასევე, ვითარდება ნებისყოფა, რომელიც განვითარების შემდგომ ეტაპებზე გვეხმარება.

8 წლიდან 14 წლამდე ადამიანში ხდება ურთიერთობების გადაფასება, ემოციების მართვის სწავლა, სმენისა და მეხსიერების განვითარება, ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბება, ურთიერთობათა ენერგოვიბრაციების უკეთ აღქმა. ანუ ის, რაც **კუროს** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს ახასიათებს.

15 წლიდან 21 წლამდე ადამიანი **ტყუპების** ზოდიაქოს ნიშანს გადის და ამიტომ მეტად უჩნდება დამოუკიდებლობის, ლოგიკური აზროვნებისა და საპირისპირო სქესთან ურთიერთობების დარეგულირების სურვილი. ამ დროს ხდება მაქსიმალური ინფორმაციის მიღება და ათვისება. ადამიანი მეტად მიდრეკილია ჭორაობისკენ და არ აწუხებს უპასუხისმგებლობა.

22 წლიდან 28 წლამდე ადამიანი აკეთებს საკუთარი თავის ანალიზს, მეტად ფიქრობს მომავალზე, ხშირად უჩნდება სურვილი, ყველაფერს თავი დაანებოს და ცხოვრება სუფთა ფურცლიდან დაიწყოს. ამ დროს ხშირია დეპრესიები. ეს, ასტროლოგიურად, **კირჩხიბის** ზოდიაქოს ნიშნის გავლის წლებია და მეტად კრიტიკული.

29 წლიდან 36 წლამდე ადამიანი გაივლის **ლომის** ზოდიაქოს ნიშანში და ამ დროს ცდილობს, საკუთარი ენერგია სწორად მართოს, საქმეში გამოიყენოს დაგროვილი გამოცდილება, შეიქმნას უზრუნველი მომავალი, განავითაროს ცნობიერება. სწორედ ამ წლებში ხდება კოსმიური კანონზომიერებების სწორად მართვა. ადამიანი მეტად მგრძნობიარე ხდება და, არ არის გამორიცხული, საბედისწერო შეცდომები დაუშვას.

37 წლიდან 43 წლამდე პერიოდში ხდება კარმული პროგრამის კორექცია, ანუ ის, რაც ჩვენი მისიაა დედამიწაზე. ამ დროს ჩვენ **ქალწულის** ზოდიაქოში ვართ. ადამიანს შეუძლია პრობლემების დიპლომატიურად გადაწყვეტა, ცხოვრებისეული ცვლილებების აუღელვებლად დაგეგმვა და დაგროვილი ენერგიის სწორი ხარჯვა-გაცემა-გადანაწილება.

44 წლიდან 49 წლამდე ადამიანს შესწევს უნარი, შემოქმედებითად დაიხარჯოს, აქტიურად იშრომოს და მიიღოს ის, რასაც იმსახურებს. ადვილად შეიძლება ჰარმონიისა და სიმშვიდის მიღწევა როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე კარიერაში. ამ პერიოდში ადამიანი ასტროლოგიურად **სასწორის** ზოდიაქოს ნიშანს გადის.

50 წლიდან 57 წლამდე კარმულად ძალიან რთული პერიოდია. არ არის გამორიცხული, სწორედ ამ დროს გაგიჩნდეთ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარების სურვილი, რაც თქვენს მომავალზე დამღუპველად აისახება. ამ პერიოდში თქვენ **მორიელის** ზოდიაქოს ნიშანს გადიხართ. გაძლიერებულია ინტუიცია და ნუ დატოვებთ მას ყურადღების გარეშე, უსმინეთ, რას გკარნახობთ. გეძლევათ შანსი, თავად აირჩიოთ ის, რაც შემდგომში თქვენსავე ცხოვრებაზე იმოქმედებს დადებითად. არ შეცდეთ არჩევანში.

58 წლიდან 65 წლამდე ადამიანი **მშვილდოსნის** ზოდიაქოს ნიშანს გადის და ამიტომ ინფორმაციულად მეტად დატვირთულია. მეტად აქვს მოთხოვნილება, მაქსიმალურად დაიხარჯოს შრომაში და შეასრულოს ისეთი სამუშაოც კი, რაც მისი ორგანიზმისთვის ცოტა რთული ასატანია.

66 წლიდან 72 წლამდე, ასტროლოგიურად ადამიანი **თხის რქის** ზოდიაქოს ნიშანს გადის. უმჯობესია, ცხოვრებას რეალურად შეხედოთ და ისე იმოქმედოთ. ეს ემოციურად ცოტა დატვირთული პერიოდია, ამიტომ ეცადეთ, სწორად მართოთ საკუთარი ემოცია. არ არის გამორიცხული, სწორედ ამ დროს გაგიჩნდეთ სურვილი, განმარტოვდეთ და გადააფასოთ წარსული, მაგრამ ამისთვის დროს ტყუილად ნუ დახარჯავთ. ჯობია, ეს დრო ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობასა და დასვენებას მოახმაროთ.

73 წლიდან 80 წლამდე ასტროლოგიურად ჩვენ **მერწყულის** ზოდიაქოს ნიშანს გავდივართ და ამ დროს ჩვენში მეტად ვითარდება ამ ზოდიაქოს ნიშან-თვისებები. ამ დროს, როგორც არასდროს, ადამიანს მართებს საკუთარი კარმული მისიის შესრულება დედამიწაზე. აუცილებელია ახლობლებთან მჭიდრო კონტაქტი და მათთვის სიყვარულისა და გამოცდილების გაზიარება. ასე მეტ სიამოვნებას მიიღებთ ცხოვრებისგან და თქვენს კარმულ მისიასაც შეასრულებთ.

81 წლიდან ადამიანი **თევზების** ზოდიაქოს ნიშნის გავლენის ქვეშაა და ადვილად გრძნობს კოსმიურ ძალებთან კავშირს. მისთვის აუცილებელია სიმშვიდე და ოჯახის წევრების მხარდაჭერა.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი ძმა დაიბადა 1998 წლის 30 დეკემბერს, დილის 6 საათზე. რომელი პროფესიაა მისთვის მისაღები ასტროლოგიური კუთხით?**

**პასუხი**: პროფესიებიდან ძალიან კარგია: ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი ან საქმიანობა, მედიცინა, პროფესიონალური დიპლომატია, პოლიტიკა, იურისპრუდენცია, საკანონმდებლო საქმიანობა, სამართალდამცავი ორგანოები, ტექნიკა-მექანიკის სფერო, საბანკო-ეკონომიკური, სავაჭრო-კომერციული საქმიანობა.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1996 წლის 8 ოქტომბერს, დილის საათებში. რომელი პროფესიები იქნება მისთვის სამომავლოდ მისაღები და წარმატებების მომტანი? ასევე, მაინტერესებს, უცხოეთის რომელი ქვეყანაა შედარებით კარგი ჩემი შვილისთვის და რა არის მისი კარმულ-კოსმიური მისია?**

**პასუხი**: მისი კარმული მისია უკავშირდება უცხოეთს. იქ დაგროვილი ცოდნა, კაპიტალი და გამოცდილება დაეხმარება სამშობლოში წარმატებების მიღწევაში. გარდა ამისა, მან უნდა გამოავლინოს ორგანიზებულობა, დისციპლინა, შეუპოვრობა, მიზანსწრაფვა, მოთმინება, შრომისუნარიანობა, ნებისყოფა, პრაქტიკულობა; ფულის ხარჯვაში უნდა იყოს მოწესრიგებული და საქმეს მეტი სერიოზულობით მიუდგეს. გარემოებები უნდა შეაფასოს საღი აზროვნებით და ყველაფერი კარგად გააანალიზოს. დაეყრდნოს ცოდნის ბაზას, ოპტიმიზმს, კომუნიკაბელურობას – ეს თვისებები ხელს შეუწყობს წინსვლაში. პროფესიებიდან მისთვის კარგი და წარმატებების მომტანია: პოლიტიკის ფართო სპექტრი, პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, იურისპრუდენცია, პედაგოგიკა, ტურიზმის ბიზნესი ან შემოქმედება, მედიცინის ფართო სპექტრი, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, კომერციული, საფინანსო სფერო, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, სოციოლოგია; ქვეყნებიდან კი მისთვის მეტად კარგია: გერმანია, იაპონია, ხორვატია, ინდოეთის დასავლეთი მხარე, ლიტვა, საბერძნეთი, კუნძული კრეტა, ამერიკის შეერთებული შტატებიდან – ვირჯინიის შტატი, შვეიცარიის ჩრდილოეთი ნაწილი, თურქეთის დასავლეთი მხარე, ბელორუსია, ავსტრალია, საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, სლოვენია, სერბეთი, ესპანეთი, პორტუგალია.

**კითხვა: დავიბადე 1991 წლის 15 ივნისს. რომელი დარგია ჩემთვის წარმატების მომტანი?**

**პასუხი**: თქვენთვის წარმატების მომტანია: კომპიუტერული ტექნოლოგიები, პროგრამული აუდიტი, ვიდეო, მობილური სისტემები, სოციოლოგია, ასტროლოგია, ასტრონომია, ავიაციის ბიზნესი ან შემოქმედება, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, საკონსტრუქტორო, საგანმანათლებლო საქმე, დიზაინი, არქიტექტურა, საინჟინრო საქმიანობა, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი; მედიცინიდან – პედიატრია, ფსიქოლოგია; საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმიანობა.

**კითხვა: ჩემი გოგონა დაიბადა 2001 წლის 15 დეკემბერს. რომელი ასტროლოგიური მინერალების ტარება მოუტანს მას ცხოვრებაში იღბალსა და წარმატებას?**

**პასუხი**: მისთვის მისაღები და კარგია: აქატი, ონიქსი, მალაქიტი, აკვამარინი, საფირონი, ძოწი და ცირკონი. ამ ქვებისგან დამზადებული სამკაულების ტარება მას წარმატებების მიღწევაში დაეხმარება.

# ხორცის „მედალიონები“








**საჭირო ინგრედიენტები:** 500-600 გრამი ღორის ხორცის ფილე, 2 სადილის კოვზი ორცხობილა (საფანელი), ზეთი – შესაწვავად, 1 სადილის კოვზი ლიმონის ცედრა, 1 ცალი კვერცხი, მარილი, პილპილი, ცოტა ოხრახუში.

**მომზადების წესი:** ფილე დაჭერით მსხვილ, სქელ ნაჭრებად, შეკარით ჩვეულებრივი თეთრი ძაფით, ისე, რომ მედალიონების ფორმა მიიღოს. შებრაწეთ ზეთში ყველა მხრიდან (3 წუთის განმავლობაში), მოაყარეთ მარილი და პილპილი და ჩააწყვეთ გამოსაცხობ ტაფაში. ერთმანეთში აურიეთ საფანელი, კვერცხი, ლიმონის ცედრა, ცოტა დაკეპილი ოხრახუში და კარგად ათქვიფეთ. ეს ნარევი წაუსვით ხორცს და გამოაცხვეთ აირღუმელში 5-8 წუთის განმავლობაში. უნდა დაიბრაწოს.

მიირთვით ჩაშუშულ ბოსტნეულთან ერთად. ძალიან უხდება პიურეც.

# რიზოტო ბრინჯით







**საჭირო ინგრედიენტები:** 1 თავი ხახვი, 1 ცალი წითელი ბულგარული წიწაკა, 300 გრამი ქამა სოკო, 200 გრამი ბრინჯი, 3 ჭიქა სოკოს ბულიონი (კუბიკის), 100 გრამი ყველი, 1 კონა ოხრახუში, 1 კონა მწვანე ხახვი, ცოტა ზეთი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხახვი დაჭერით რგოლებად და მოშუშეთ ცოტა ზეთში. წიწაკა დაჭერით წვრილ კუბიკებად, ჩაუმატეთ ხახვს და მოშუშეთ ერთად, ბოლოს ჩაუმატეთ სოკოც და ყველაფერი ერთად 5 წუთის განმავლობაში ხრაკეთ სოკოს დარბილებამდე. ცალკე, ღრმა ტაფაში, მაღალ ცეცხლზე მოშუშეთ ბრინჯი მშრალად (2-3 წუთი), დაუკელით ცეცხლს და ფრთხილი მორევით დაასხით ბრინჯს ბულიონი. უყავით ცოტა მარილი და ხარშეთ დაბალ ცეცხლზე, სანამ ბრინჯი მთელ სითხეს შეიწოვს.

უკვე მოხარშულ ბრინჯს ჩაუმატეთ ბოსტნეული, კარგად ამოურიეთ. ჩაუმატეთ გახეხილი ყველი, მარილი, პილპილი, მწვანილი, კიდევ 2 წუთი შუშეთ და კერძი მზად არის.

# მაკარონი „პრიმავერა“





**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი მაკარონი („ბაფთები“), 100 გრამი დაკონსერვებული მწვანე ბარდა, 100 გრამი ქამა სოკო, ნახევარი წითელი ბულგარული წიწაკა, ნახევარი – მწვანე წიწაკა. ნახევარი თავი ხახვი, 2 სადილის კოვზი ცხიმიანი არაჟანი, ზეთი, 100 გრამი შებოლილი ქათმის მკერდის ნაჭერი. რომელიმე ხმელი სუნელი (თქვენი გემოვნებით).

**მომზადების წესი:** ძალიან წვრილად დაჭერით ხახვი, მოშუშეთ ზეთში. დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ბულგარული წიწაკა, მწვანე ბარდა, სოკო, 2 სავსე სადილის კოვზი არაჟანი და ყველაფერი კარგად ჩაშუშეთ სრულ მომზადებამდე. მოხარშეთ მაკარონი მარილწყალში, გადაწურეთ, გადაავლეთ ცივი წყალი და დაწრიტეთ. შეურიეთ ბოსტნეული და სულ ბოლოს – კუბიკებად დაჭრილი შებოლილი ქათმის ფილე. შეგიძლიათ, დაუმატოთ სუნელიც.

## გურმანთა მეგზური



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# არყისა და ხაჭოს მაჭკატები

**საჭირო ინგრედიენტები:** 100 მილილიტრი წყალი, 1,5 ჭიქა პურის ფქვილი, 2 სადილის კოვზი არაყი, 1 ჩაის კოვზი მარილი, 150 გრამი მაგარი ყველი, 100 გრამი ხაჭო, თითო კონა კამა და ოხრახუში, ზეთი – შესაწვავად.

**მომზადების წესი:** ფქვილი, წყალი, მარილი და არაყი აურიეთ და მოზილეთ ელასტიკური ცომი. შესაძლოა, ოდნავ მეტი ან ნაკლები წყალი დასჭირდეს და, ამიტომ, ნელ-ნელა დაამატეთ. ცალკე თასში ერთმანეთს შეურიეთ გახეხილი ყველი, ხაჭო და დაკეპილი მწვანილი. ცომი გააბრტყელეთ თხელ, მოგრძო ნაჭრებად. ზედ მოათავსეთ გულსართი, შეუკარით კიდეები და გადაახვიეთ. შემდეგ გააბრტყელეთ და გაცხელებულ ზეთში შეწვით.



# სააღდგომო ნამცხვარი



**საჭირო ინგრედიენტები:** 120 მილილიტრი რძე, 45 გრამი ახალი საფუარი, 150 გრამი შაქარი, 500 გრამი ფქვილი, 200 გრამი დარბილებული კარაქი, 5 ცალი კვერცხი, 1 მწიკვი მარილი, 50 გრამი ქიშმიში, 100 გრამი ფორთოხლისა და ლიმონის ცუკატი, 1 კვერცხის გული, 2 სადილის კოვზი ნუში.

**მომზადების წესი:** ფორმაში ჩააფინეთ ქაღალდი და წაუსვით კარაქი. თბილ რძეში გახსენით საფუარი და დაუმატეთ 2 სადილის კოვზი შაქარი, შეაზილეთ 100 გრამი ფქვილი, გადააფარეთ ტილო და დადგით თბილ ადგილას, რომ აფუვდეს. კვერცხი, შაქარი და მარილი კარგად ათქვიფეთ და დაუმატეთ კარაქი. აფუებულ ცომს შეაზილეთ ჯერ დარჩენილი ფქვილი, შემდეგ ათქვეფილი კვერცხიანი მასა და ბოლოს – ქიშმიში და ცუკატი. ცომი ზილეთ 30 წუთის განმავლობაში, ჩადეთ თასში და დადგით თბილ ადგილას, რომ აფუვდეს. ცომი რომ ამოვა, მოათავსეთ ფორმაში და კიდევ დადგით ასაფუებლად, შემდეგ წაუსვით ცოტა წყალში ათქვეფილი კვერცხის გული, მოაყარეთ ნუში და გამოაცხვეთ საშუალოდ გახურებულ ღუმელში.

# წვნიანი შებოლილი ძეხვით

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ლიტრი ქათმის ბულიონი, 300 გრამი მოხარშული და შებოლილი ძეხვი, 1 ფინჯანი წვრილი თეთრი ლობიო, 1 ძირი ნიახური, 1 ცალი საშუალო ზომის სტაფილო, 1/4 საშუალო ზომის კომბოსტოს ერთი მეოთხედი, 1 თავი ხახვი, 3-4 კბილი ნიორი, 1 პატარა კონა ოხრახუში, 1 პატარა კონა კამა, 3 სადილის კოვზი ზეთი, 1 ჩაის კოვზი პაპრიკა, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ლობიო 1 საათით ჩაალბეთ ცივ წყალში, შემდეგ ჩაყარეთ ცხელ ბულიონში და ხარშეთ 40 წუთის განმავლობაში. დაჭრილი ხახვი მოშუშეთ წვრილ, მოგრძო ნაჭრებად დაჭრილ ძეხვთან ერთად და ჩაუმატეთ ბულიონს. იმავე ტაფაზე, რომელზეც ხახვი იშუშებოდა, მოშუშეთ დაჭრილი სტაფილო და ნიახური, ბოლოს დაუმატეთ დაკეპილი ნიორი და წვნიანს შეურიეთ. როცა წამოდუღდება, დაამატეთ თხლად დაჭრილი კომბოსტო, მარილი, პილპილი, პაპრიკა და ადუღეთ ლობიოს სრულ მოხარშვამდე. სუფრაზე მიიტანეთ წვრილად დაჭრილ მწვანილთან ერთად.



## ვერძი

საქმეში აქტიური გახდებით და გაიზრდება შეხვედრების რაოდენობა. ადვილად დაიყოლიებთ გარშემო მყოფებს. შეძლებთ, ადვილად მოაგვაროთ როგორც საკუთარი, ასევე, ახლობლების პრობლემები. გააკონტროლეთ ემოციები. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას იყავით მეტად მომთმენი.

## კურო

ეცადეთ უარი თქვათ ყველა ცდუნებაზე, რათა თავი აარიდოთ ხიფათს. გაიზრდება ხარჯების რაოდენობა, რის გამოც დაფიქრდებით შემოსავლების გაზრდაზე. სასიყვარულო ურთიერთობაში სჯობს ჩამოყალიბდეთ და ისე იმოქმედოთ. მიუხედავად ბევრი საქმისა, ეცადეთ დრო დასვენებისთვისაც გამონახოთ და აღიდგინოთ ძალები. არ გირჩევთ მოგზაურობას.

## ტყუპები

გაიზრდება თქვენი ინტერესის არეალი, რაც ხელს შეუწყობს ახალ ნაცნობობას. დიდ დროს წაგართმევთ სამსახურებრივი მოვალეობები. კარგია ახალი სამსახურის ძიება, რადგან ის მატერიალურად დაგაკმაყოფილებთ. მხიარული განწყობით თქვენდამი სასიკეთოდ განაწყობთ გარშემო მყოფებს. სასიყვარულო სფერო კი გაგახარებთ თავისი სტაბილურობითა და სიმშვიდით.

## კირჩხიბი

პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში, შესაძლებელია, კამათი საბედისწერო აღმოჩნდეს. ამიტომ, გააკონტროლეთ ყოველი სიტყვა და საქციელი. გადაღლის შემთხვევაში, მოსალოდნელია ჯანმრთელობის გაუარესება, ამიტომ, მეტი დრო გამონახეთ დასასვენებლად და ძალების აღსადგენად.

## ლომი

მოჭარბებული ენერგია, ჯობია, ცოდნის გაღრმავებაზე დახარჯოთ. ეს სამომავლოდ წარმატებასა და წინსვლაში დაგეხმარებათ. შემოსავალზე ზრუნვა სასიკეთოდ წაადგება თქვენს საქმეს. ახალი რომანტიკული გატაცება მეტ ხალისს შეგმატებთ და ენთუზიაზმით შეუდგებით ახალ საქმიანობას. გადაადგილებები და შეხვედრები მალევე გამოიღებს ნაყოფს და ენერგიით აგავსებთ, მაგრამ, პერიოდულად შეისვენეთ.

## ქალწული

ხელსაყრელი დროა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეებისთვის. მოგინდებათ სახლის ინტერიერის შეცვლა. საყვარელი ადამიანის, მეგობრებისა და ახლობლების წრეში გატარებული დრო გაგახალისებთ. მოგზაურობა დაგეხმარებათ ახალი, სასიკეთო კავშირების დამყარებაში.

## სასწორი

სასიკეთოდ წარიმართება კარიერასთან დაკავშირებული საკითხები. ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ სტაბილური იქნება, მაგრამ, უნდა იზრუნოთ ავტორიტეტის შენარჩუნებაზე. საყვარელ ადამიანთან იყავით მეტად გულახდილი, რათა მისგან მიიღოთ თქვენთვის აუცილებელი ინფორმაცია. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

## ღრიანკალი

მიუხედავად დაქვეითებული ენერგეტიკისა, მშვენიერ განწყობაზე იქნებით. ამ პერიოდში შეგიძლიათ, გამოასწოროთ ადრე დაშვებული შეცდომები და საფუძველი ჩაუყაროთ ახალ ცხოვრებას. სასიყვარულო ურთიერთობა კიდევ უფრო გაძლიერდება, რაც მეტად რომანტიკულს გაგხდით. კარგია მეგობრების წრეში ყოფნა და მხიარულება. ნუ მოადუნებთ ყურადღებას.

## მშვილდოსანი

გაიზრდება შეხვედრებისა და გადაადგილებების რაოდენობა. საქმეში იყავით მეტად თავდაჯერებული და მშვიდი. ეცადეთ, სასიყვარულო და პირად ურთიერთობებში ყველა კამათი მშვიდად მოაგვაროთ. გადაადგილებებისა და მოგზაურობისას კი ახალი წინადადებები მოგხიბლავთ და თვითრეალიზაციის სურვილს გაგიღვიძებთ.

## თხის რქა

ნუ ჩაერევით სამსახურში სხვების კონფლიქტურ სიტუაციაში. ეცადეთ, დამოუკიდებლად იმოქმედოთ, რათა გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა. გაგიადვილდებათ წინააღმდეგობების გადალახვა, თუ დაუჯერებთ ინტუიციას და იმოქმედებთ წინდახედულად. კარგია ცოდნის მიღება. პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში ეცადეთ, მეტად რომანტიკული იყოთ.

## მერწყული

საინტერესო და შემოქმედებითი დროა. თქვენი წარმატება დამოკიდებული იქნება თქვენსავე განწყობაზე, ამიტომ, დაიმუხტეთ მხოლოდ დადებითი ემოციებით. დამატებითი სამუშაო და ახალი კავშირები საინტერესო აღმოჩნდება. სასიყვარულო ურთიერთობების იდეალიზაცია თქვენში დამატებით სტიმულად გადაიქცევა და გიბიძგებთ შემოსავლების ზრდისკენ. კარგია გადაადგილებები და ხშირი დასვენება.

## თევზები

ნუ გადადებთ საქმეებს სხვა დროისთვის – ასე დროს უქმად დაკარგავთ და მიზანსაც ვერ მიაღწევთ. სასიყვარულო ურთიერთობაში კამათის შემთხვევაში, თავი ხელში აიყვანეთ, რათა საბოლოოდ არ დასვათ წერტილი. შესაძლოა, ოცნება აიხდინოთ, რაც სრულიად შეცვლის თქვენს მომავალ ცხოვრებას. მოგზაურობა კი ენერგიით აგავსებთ და გაგახალისებთ.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 10 აპრილი, 9 სთ: 36 წთ.**

### ორშაბათი

მოერიდეთ ავანტიურულ მოქმედებებს, აკონტროლეთ ემოციები. მაღალია მოტყუებისა და ქურდობის ალბათობა. ეცადეთ, მშვიდად გადაწყვიტოთ პრობლემები მოლაპარაკებების გზით. ატარეთ მწვანე, ფირუზისფერი, ლურჯი, ვერცხლისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან – მარგალიტი, ამეთვისტო, გიაცინტი, ალექსანდრიტი ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მოგზაურობა, იურიდიული საქმეების მოგვარება, კაპიტალდაბანდება, კონტრაქტის დადება, შემოქმედებითი მუშაობა, საზოგადოების წინაშე გამოსვლა. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

მოტყუებისა და პროვოკაციების დღეა. იყავით ფრთხილად და ნუ აჩქარდებით საქმეში. მოერიდეთ აგრესიის გამოვლენას, კრიტიკას, მერყეობას და ცვალებადობას საქმეში. მაღალია ცდუნებათა ალბათობა. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ტოპაზი, ფირუზი ან გიშერი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ თმის შეჭრას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, აზარტულ თამაშებს, მცენარეების დარგვას და გადარგვას, სტომატოლოგიურ პროცედურებს. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები, ცხვირი, თვალები.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

ამ დღეს ახალმთვარეობაა. შეინიშნება კოსმიური, სასიკეთო ენერგიების ნაკლებობა, რაც მეტად განაპირობებს ტრავმების, ავარიების, კონფლიქტების, აგრესიის, დეპრესიის, ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობას. ეცადეთ მშვიდად განვლოთ დღე. არ ჩარიოთ სხვები თქვენს საქმეებში. აკონტროლეთ ემოცია, მეტი დრო დაუთმეთ ახლობლებს. მიიღეთ მეტი სითხე. მოერიდეთ მცენარეების დარგვა-გადარგვას, სასიყვარულო კავშირებს, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, ხელშეკრულების დადებას, თმის შეჭრას. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, გიშერი, სარდიონი, წითელი იასპი ან ლაზურიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტურია დღის პირველი ნახევარი

კარგია ფინანსური საკითხების გადაწყვეტა, მცენარეების დარგვა-გადარგვა, დიზაინთან და ხელოვნებასთან კონტაქტი, დიპლომატიური მოქმედება. ატარეთ ლიმონისფერი, ყავისფერი, მწვანე, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, მარჯანი ან ამეთვისტო. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, ახალი ნაცნობობა, შემოქმედებითი მუშაობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, გართობა, მოგზაურობა, ვაჭრობა, სამეცნიერო კვლევა, საოჯახო ურთიერთობები, დიეტის დაცვა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღეა

ნუ იზარმაცებთ. აკონტროლეთ მადა. კარგია კონტაქტი ბუნებასთან, ხელოვნებასთან. აკონტროლეთ ხასიათში ეჭვიანობა, აგრესია და სიჯიუტე. ატარეთ ლიმონისფერი, ყავისფერი, ცისფერი, მწვანე ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი აქატი, მალაქიტი, ყვითელი იასპი, მარგალიტი, ან ონიქსი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა, გართობა, მოგზაურობა, ვაჭრობა, შემოქმედებითი მუშაობა, უძრავი ქონების შეძენა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.***

### შაბათი

ეცადეთ დაიცვათ თქვენი პოზიციები. ატარეთ ლიმონისფერი, ყავისფერი, მწვანე, ლურჯი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, კრემისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ტოპაზი, ზურმუხტი ან ალექსანდრიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს. კარგია ხელოვნებასთან კონტაქტი, ახალი ნაცნობობა, სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონებისა და სამშენებლო მასალების შეძენა, კოსმეტიკური პროცედურები, გართობა, ვაჭრობა, მოგზაურობა, ახალი ნაცნობობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, ფილტვები, ბრონქები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღეა

მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას. ატარეთ ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი, იასამნისფერი, ცისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, ჟადეიტი, ციტრონი ან საფირონი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია კონტაქტები, მოლაპარაკებები, ინფორმაციის გაცვლა, სავაჭრო გარიგებები, მშენებლობა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

37-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 10 აპრილი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ "**როსელა**" **17.00** დ/ფ "სახელგან-თქმული თვითმფრინავები" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**დავქორწინდეთ**" **21.00** ტ/სერ "**როსელა**" **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. განმეორებითი მეოთხედფინალი: (პ/რ) შესვენებისას: "ვიქტორინა" **00.30** მხ/ფ "**პოსეიდონი**" (კ. რასელი) **02.30** ტ/სერ "**ნაფიცი მსაჯულები**" (ტიტ.).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" 6 სერ. **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **13.00** სერ. "24 – 6" **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" 2 სერ. **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ფულთან თამაში **23.00** მხ/ფ "**კასანდრას ოცნება**" (კ.ფარელი) **01.15** მხ/ფ "**კეთილი ჯონი**" (ა.საიფრედი) (ტიტ.) **03.00** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **22.00** ნანუკას შოუ. **22.40** ჩემპიონთა ლიგა. **00.50** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 5.35, 6.00** ახალი ამბების კოლაჟი **7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ+ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მალვიძარა(დილის პროგრამა) **11.30, 22.00, 1.20** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15, 4.00** თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0.30** თოქ- შოუ "სუბიექტური აზრი" **20.00** ამბები მოკლედ **20.05, 1.40** თოქ-შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.25** მხ/ფ "**დღე უკანასკნელი, დღე პირველი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** დროის ჩანაწერები **13.25** ქრისტიანული სწავლება **13.40** კონცერტი - ჯემალ სეფაშვილი II ნაწ. **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** მხ/ფ "**მობიდიკი**" I სერია **16.55** კვირიაკე **18.05** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ერთი ოჯახის ისტორია" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ამისტადი**" I ნაწ.

## ხუთშაბათი 11 აპრილი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ "**როსელა**" **17.00** დ/ფ "ანტიკური მსოფლიო" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**დავქორწინ-დეთ**" **21.00** ტ/სერ "**როსელა**" **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **00.00** მხ/ფ "**ინტიმური ლექსიკონი**" (ჯ.ალბა) **02.20** ტ/სერ "**ნაფიცი მსაჯულები**" (ტიტ.).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" 7 სერ. **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **13.00** სერ. "24 – 6" **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **15.35** რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" 3 სერ. **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** მხ/ფ "**მდევარი მოჩვენება**" (კ.ლამბერი) **00.15** მხ/ფ "**წლის მამაკაცი**" (ქ.უოქენი) **02.25** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგ-ვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 5.35, 6.00** ახალი ამბების კოლაჟი **7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ+ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მალვიძარა(დილის პროგრამა) **11.30, 22.00, 1.20** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15, 4.00** თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0.30** თოქ- შოუ "სუბიექტური აზრი" **20.00** ამბები მოკლედ **20.05, 1.40** თოქ–შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ "**ამისტადი**" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "ერთი ოჯახის ისტორია" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის**" **13.30** კონცერტი - ნიჭიერთა აოწლედი რომში **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** მხ/ფ "**მობიდიკი**" II-III სერია **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** ქრისტი-ანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **22.00** სიახლენი **22.20** შაბათის სახარების განმარტება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზ-მო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "კვარითიდან ქართველთა გოლგოთამდე" II ნაწ. **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ამისტადი**" II ნაწ.

## პარასკევი 12 აპრილი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ "**როსელა**" **17.00** დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**დავქორწინდეთ**" **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ზ. ანჟაფარიძე **22.00** "აქცენტები" **23.30** "წითელი ზონა" **00.30** ქართ. მხ/ფ "**ფიროსმანი**" **02.20** ტ/სერ "**ნაფიცი მსაჯულები**" (ტიტ.).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" 8 სერ. **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **13.00** სერ. "24 – 6" **14.40** ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" 4 სერ. **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) **00.15** მხ/ფ "**შავი ორქიდეა**" (ს.იოჰანსონი) **02.10** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ეკი ვოკი (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 5.35, 6.00** ახალი ამბების კოლაჟი **7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55,**

14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მალვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 0.55 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ- შოუ "სუბიექტური აზრი" 19.30, 1.20 თოქ – შოუ - "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მხ/ფ "**ამისტადი**" II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.45 შაბათის სახარების განმარტება 11.10 დოკ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" II ნაწ. 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" 13.30 კონცერტი - ალიოშა იურინიჩი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება - გ. სარია 16.20 მხ/ფ "**მობიდიკი**" IV სერია 17.00 დოკ/ფ "იელოვას მოწმეები" 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**თვალი პატიოსანი**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 22.20 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ირაო.

## შაბათი 13 აპრილი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 საბავშვო ან/ფილმი: " როგორ მივირთვათ შემწვარი ჭიაყელები" 11.00 "ეთნოგრაფიული ნარკვევები" 11.30 საბ. ტ/სერ "პირველყოფილი" 12.00, 16.00, 20.00, 02.10 "მოამბე" 12.30 "AGVA-GEORGIA" 13.00 ქართ. მხ/ფ "**კეთილი ადამიანები**" 14.30 მხ/ფ "**პიკის საათი – 3**" 16.30 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.00 დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" – კოკო შანელი 18.00 "ეტალონი" 19.00 "გურმანია" 21.00 "ევროვიზიის დღიური" 21.30 დ/ფ "დიზაინი" 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ოკუპაცია 23.00 "ახალი ქართული კინო" 23.20 დ/ფ "სიცოცხლის ფასი" 00.10 მხ/ფ "**კარგი გერმანელი**" (ჯ.კლუნი) 02.30 ტ/სერ "**ნაფიცი მსაჯულები**" (ტიტ.).

08.00 ან/ფ "სალადინი" 09.00 მხ/ფ"**უიმბილდონი**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან.ფ. "ავატარი" 12.00 ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" 13.00 იუმორინა 14.20 მხ/ფ"**რა იქნებოდა**" 16.00 სერ. "**ტრიფიდების დღე**" 3 სერ. 17.50 სერ. "**თილისმა**" 18.50 სერ. "**აკრძალული სიყვარული**" 5 სერ. 21.00 სერ. "**მარტოსული**" 22.00 ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ "**შურისძიება**" (ქ.ქოსნერი) 02.10 მხ/ფ "**უცნაური შეხვედრა**" (ს.ქერელი) 03.50 მუსიკა.

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.30 სერ. "**კლუბი**" (ს2) 10.30 შერეკილები 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 13.30 ქართ. მხ/ფ "**რა გაცინებს**" 15.30 სერ. "**სიყვარული და საიდუმლო**" 16.30 "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) 19.00 ყველაზე ჭკვიანი 2. 20.05 სერ."**ერთგულების ძალა**" 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.00 რა? სად? როდის? 00.00 პოკერის ტურნირი 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.00, 04.30 მხ/ფ.

7.00, 0.00, 1.00, 3.00, 5.00, 5.55 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 16.35, 17.25, 18.45, 19.10, 21.40, 0.30, 4.30, 5.25, 6.20 უცხოეთის ამბები 8.30 კვირის არგუმენტები (გამ) 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30, 13.05, 14.05, 16.05, 17.05 ყოველდღიური აბები (გამ) 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 20.10, 1.30 სტუდია მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 2.00 "პრეს-პრესი" 23.00, 3.30 "ჩვენ" - თამარ ჩიქოვანთან ერთად.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**თვალი პატიოსანი**" 13.35 ქრისტიანული სწავლება 13.45 დოკ/ფ "ლელოს შემობრუნება" 14.30 საღვთისმსახურო წელიწადი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.10 ოპერა- "**სერალიდან მოტაცება**" 17.30 თბილისის ტაძრები 18.10 ფოტ-ოგალერეა 18.15 ქრისტიანული ხელოვნება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 "კარაბადინი" 22.25 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზ-მო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.30 მხ/ფ "**კატინი**".

## კვირა 14 აპრილი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 საბ/ფ "**სკუბი დუ**" 10.00 "ეტალონი" 11.00 "ჩვენი ექსპრესი" 11.30 საბ. ტ/სერ "**პირველყოფილი**" 12.00, 16.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სპექტაკლის დრო" – ვ. ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი: "თავო ჩემო" ბედი არ გიწერია" 15.20 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" 16.30 "ჩვენი ეზო" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.55 **ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი: "ზესტაფონი – "დინამო" (პ/რ) 20.00 მხ/ფ "**ქალღების სიყვარული სავალ-დებულოა**" 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ოკუპაცია 23.00 "აღმოაჩინე საქართველო" 23.30 "უცნობი მუსიკა" 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ "**სექსი დიდ ქალაქში**" (ს.ჟ. პარკერი).

07.35 ან/ფ "სალადინი" 08.35 მხ/ფ "**სახლში მარტო დარ-ჩენილი - 2**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" 13.00 იუმორინა (გ/ჩ) 14.20 ქ.მხ/ფ "**ვერის უბნის მელოდიები**" 16.00 სერ. "**ტრიფი-დების დღე**" 4 სერ. 17.40 იმედის გმირები 18.00 კონცერტი: "მაკარევიჩი თბილისში" 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 რომ გადახვალ" გააჩერე 23.30 იმედიატორი 01.00 დოკ/ფ "ფიდელის ძიებაში" 02.00 მუსიკა.

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.30 სერ. "**კლუბი**" 10.30 შიშის ფაქტორი 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 15.30 სერ. "**სიყვარული და საიდუმლო**" 16.30 პროფილი (გ/ჩ) 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 21.00 P.S. 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი (ს2) 01.00 ტოპ გოგო (გ/ჩ) 02.00, 04.30 მხ/ფ.

7.00, 23.00, 0.00, 1.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 22.00, 0.25, 2.30, 3.30, 4.30, 5.30, 6.30 უცხოეთის ამბები 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 13.00 პრეს-პრესი (გამ.) 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ.) 17.05 მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00, 1.30 დისკუსია - სტუდია "რე" 20.10, 23.25 ღია კარის დღე 21.00 ახალი ამბები 9 საათზე.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**ვინ შეკაზმავს ცხენს**" 13.25 ქრისტიანული ხელოვნება 13.55 დიდი მარხვა 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 ერთსულოვნების სალონი 16.45 ეპოქის სახელები 17.10 დოკ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.20 დროის ჩანაწერები 19.30 მხ/ფ "**კაცია ადამიანი**?!" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.10 პატრიარქის ქადაგება 00.35 მხ/ფ "**ბრწყინვალე გონება**".

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ხუტურიძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ხუტა.**

შალვა **ხუტურიძე** მეფე ლაშა-გიორგისთან დაახლოებული პირი ყოფილა. ის მეფის ვაზირის მანდატურთუხუცესის მეორე მოადგილე – მესტუმრე იყო. თანამდებობა მესტუმრე დიდ და საპატიო პოსტად ითვლებოდა. მესტუმრე შალვა, როგორც ისტორიულ წყაროებში ჩანს, წარგზავნილი იყო იერუსალიმში, შეწირულობათა ჩასატანად. როგორც ირკვევა, მას ლაშა-გიორგის აღაპები განუწესებია.

საქართველოში 30 **ხუტურიძე** ცხოვრობს: ახმეტაში – 21, თბილისში – 5, თელავში – 4.

### ზირაქიშვილი-ზირაქაშვილი-ზირაქიძე

**ზირაქიშვილი** ეპონიმური გვარ-სახელია. მას საფუძვლად დაედო წინაპრის საკუთარი სახელი – **ზირაქი**. ამავე ფუძითაა ნაწარმოები გვარი **ზირაქაძე. ზირაქაშვილები** 1683 წელს ქსნის ერისთავების მკვიდრი ყმები და გორის ვაჭრები იყვნენ. გიორგი მეფემ ისინი მამულებით უწყალობა დავით ქსნის ერისთავს.

მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს **ზირაქიშვილი** მოწმედ მოიხსენიება, მასზედ, რომ ლუარსაბ სადაღაშვილმა ნაზარა ფირალიშვილს მის საზღვრამდე სახლ-კარი მიჰყიდა.

მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში, ქართული ტრადიციის მიხედვით, **ზირაქაშვილები ზირაქიშვილებად** ჩაწერეს.

დღეს გვხვდება როგორც **ზირაქაშვილები**, ასევე **ზირაქიშვილები** და **ზირაქაძეები**.

საქართველოში 901 **ზირაქაშვილი** ცხოვრობს: გურჯაანში – 513, საგარეჯოში – 160, თბილისში – 139. არიან სხვაგანაც.

328 **ზირაქიშვილი**: თბილისში – 192, გურჯაანში – 52, დედოფლისწყაროში – 22. არიან სხვაგანაც.

### ეპიტაშვილი-ებიტაშვილი

**ეპიტაშვილის** ადრინდელი გვარი **ებიტაშვილი** იყო. **ებიტა** მამაკაცის უძველესი ქართული სახელია. ის ბევრ ისტორიულ საბუთში გვხვდება. „ელიზბარ ქსნის ერისთავმა პაპუნა გარაყანიძეს უწყალობა სოფელი თემი, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც ებიტას და როინს ეკუთვნოდათ".

1963 წელს **ებიტა** იყო მოწმე პაპუნა ფავნელიშვილის მიერ ნიქოზის ეკლესიისთვის ბოძებული საქრისტიანო გლეხისა და გასამყრელო ხარის შეწირულობის წიგნისა.

მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ისტორიულ დოკუმენტებში მოიხსენიება ვერეში მცხოვრები გიორგი **ებიტაშვილი.**

**ებიტაშვილები** ცხოვრობდნენ შიდა ქართლში, კერძოდ, კასპსა და დუშეთის მხარეში. იქიდან რამდენიმე კომლი გარე კახეთში, კერძოდ – ნორიოში და, კახეთში, კერძოდ – თელავში გადასულა, სადაც ზოგი ისევ **ებიტაშვილად** ჩაწერილა, ზოგი კი **ეპიტაშვილად**.

საქართველოში 696 **ეპიტაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 322, გარდაბანში – 300, გორში – 21. არიან სხვაგანაც.

249 **ებიტაშვილი**: დუშეთში – 49, თელავში – 43, თბილისში – 38. არიან სხვაგანაც.

### ნებიერიძე

გვარის ფუძეა უძველესი საკუთარი სახელი **ნებიერი**, რომელიც მოიხსენიება ტბეთის სულთა მატიანეში. ამავე ძირისაა გვარი **ნებიერაშვილი.**

**ნებიერიძე** სოციალურ ნიადაგზე წარმოშობილ გვარებს მიეკუთვნება. **ნებიერ** გლეხთა კატეგორია საქართველოში მეთექვსმეტე საუკუნეში მომრავლდა. **ნებიერი**, ანუ წყალობის ყმა, ისეთი კატეგორიაა, რომელიც, ფეოდალთა შეთანხმების საფუძველზე, ინარჩუნებდა გარკვეულ შეუვალობასა და უფლებებს.

**ნებიერიძეები** სამცხის თემიდან არიან წარმოშობით.

1846-1847 წლებში, სტეფანე **ნებიერიძე**, ხელმწიფის მიერ გამოცემული რესკრიპტით, ახალციხელ მოქალაქეებთან ერთად, რომლებსაც დიდი მამულები ჰქონდათ შეძენილი, ჩაირიცხა ფეოდალთა კასტაში აზნაურის წოდებით.

იონა **ნებიერიძემ** კი, ღერბიან ქაღალდზე დაწერილი ცნობა მისი აზნაურული წოდების შესახებ პირველად მიიღო 1853 წელს და წარუდგინა ქუთაისის გუბერნატორ იზუმოვსკის, რომ, როგორც აზნაურს, ჩინის მისაღებად ეს დრო ნამსახურეობაში ჩათვლოდა.




საქართველოში 2 470 **ნებიერიძე** ცხოვრობს: ზესტაფონში – 1 240, თბილისში – 640, გორში – 154. არიან სხვაგანაც.

### ქემერტელიძე

ზოგიერთი გვარის წარმოშობა სადაურობაზე მიგვანიშნებს. **ქემერტელიძეს** წარმოშობაც დასახლებულ პუნქტს უკავშირდება. კერძოდ, სოფელი **ქემერტი** ცხინვალის რაიონში მდებარეობს.

საქართველოში 333 **ქემერტელიძე** ცხოვრობს: საჩხერეში – 225, ჭიათურაში – 48, თბილისში – 42. არიან სხვაგანაც.

### ძაგნიძე-ძაგანისძე

**ძაგნიძე** და **ძაგანისძე** ერთი და იგივე გვარია და კახეთის უძველეს მთავართა საგვარეულოს მიეკუთვნება. ამ გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ძაგანი. ძაგან, ძაგანა** ერთ-ერთი უძველესი საკუთარი სახელია. ის მოიხსენიება ჯერ კიდევ 1240 წლის საბუთებში.

ვახუშტი ბატონიშვილი „ქართლის ცხოვრებაში" მთავართა გვარების შესახებ წერდა: „ხოლო გუარნი მთავართა მათ ძუალთანი ესენი არიან: ქობულისძე, დინაური, კრულმანელი, ბალუშა, რომელი იყო ლიპარტისძე, მარუშისძე, ბაკურასძე, აბულეკი, ვარდანისძე, გამრეკელი, **ძაგანისძე**, ასათისძე და სხვა". „ხელისუფალნი და ერისთავნი თამარის მეფობის ხანაში ესენი ყოფილან: კახაბერ კახაბერისძე – რაჭისა, დარათო შარვაშისძე – აფხაზთა, ამუნელისძე – ცხუმისა, ბედიელი – ოდიშისა, ლიხთიმერ-ამერთა, რატი სურამელი – ლიხთიმერ-ამერთა, ბაკურ **ძაგნისძე** – კახეთის, გრიგოლ ახათისძე – ჰერეთის, ბაიცო ჯაყელი – სამცხის და სპარალისი სხუათა ერისთავთა".

დღეს, ყოფილ მთავართა და ერისთავთა შთამომავალი **ძაგნიძეების** უმრავლესობა ცხოვრობს: ვანში, ქუთაისში, თბილისში.

საქართველოში 987 **ძაგნიძე** ცხოვრობს: ვანში – 491, თბილისში – 162. არიან სხვაგანაც.

### ვადაჭკორია-ვადაჩკორია

გვარი ორი კომპონენტისგან შედგება: **ვადა+ჯკორ+ია,** სადაც **ია** სუფიქსია. **ჯკორი** მეგრულად ყმას, მონას ნიშნავს, **ვადა** კი ისტორიულ საბუთებში გვხვდება როგორც უძველესი სახელი.

**ვადაჭკორია** და **ვადაჩკორია** ერთი და იგივე გვარია.

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 1 000 გვარს შორის **ვადაჭკორიას** 856-ე ადგილი უჭირავს.

საქართველოში 1 202 **ვადაჭკორია** ცხოვრობს: თბილისში – 349, ლანჩხუთში – 265, ბათუმში – 183. არიან სხვაგანაც.

52 **ვადაჩკორია**: თბილისში – 29, ქობულეთში – 13, გარდაბანში – 2. არიან სხვაგანაც.

### მთვრალაშვილი

გადმოცემის თანახმად, გვარი **მთვრალაშვილი** კერვალიშვილების გვარიდან იღებს სათავეს.

ვინმე პეტრე კერვალიშვილი, წარმოშობით რაჭველი, მეფე ერეკლესთან მზარეულად მსახურობდა. კარგი და კეთილი კაცი ყოფილა და ერეკლეს ძალიან ჰყვარებია. პეტრეს 12 წელი შვილი არ ჰყოლია და ერთ მშვენიერ დღეს ვაჟი შესძენია. ღვინოს არ ეტანებოდა, მაგრამ, იმ დღეს სიხარულისგან გათამამებულა, დაულევია და მთვრალს ჩასძინებია. როცა მეფეს მზარეული მოუკითხავს, უთქვამთ, მთვრალია და სძინავსო. ერეკლეს მეორე დღეს დაუბარებია პეტრე, მასაც მოკრძალებით უთქვამს, ვაჟი შემეძინა და ამის გამო დავთვერიო. მაშინ მეფეს უბრძანებია, ბავშვს გვარად **მთვრალაშვილი** მიეცით და გაათავისუფლეთ ყველა ბეგარისგან, მამული კი სოფელ პატარძეულში მიეცითო.

გვარის შეცვლის გამო კერვალიშვილები ძალიან გაბრაზებულან და სიონის ეკლესიაში პეტრე შეუჩვენებიათ.

მიუხედავად ამ ისტორიისა, **მთვრალაშვილები** შემდგომ კმაყოფილები იყვნენ, რადგან მათთვის გვარი თვით მეფე ერეკლეს მიუცია.

მას შემდეგ **მთვრალაშვილებს** რაჭაში არ დაედგომებოდათ და სხვაგან გადასახლებულან. სავარაუდოდ, ამ გვარის წარმომადგენლები ონის რაიონის სოფელ სიორიდან უნდა იყვნენ პირვანდელი წარმოშობით.

**მთვრალაშვილი** მცირერიცხოვანი გვარია.

საქართველოში 103 **მთვრალაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 90, საგარეჯოში – 9, ოზურგეთში – 4.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# დიეტა „ცისარტყელა“ – მათთვის, ვისაც მკერდი აწუხებს

*ძალიან ხშირად, 30-დან 60 წლამდე ქალბატონებს მკერდის პრობლემები აწუხებთ, რაც, ძირითადად, მკერდში სიმძიმის, წვის ან ტკივილის შეგრძნებით გამოიხატება. რა თქმა უნდა, მაშინვე უნდა მიმართოთ მამოლოგს და, თუ მასტოპათია დაგიდგინდათ (მასტოპათია მხოლოდ მეძუძურ დედებს არ ემართებათ, ამ შემაწუხებელ, მაგრამ, ეგრეთ წოდებულ კეთილთვისებიან პრობლემას, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ასაკოვან ქალბატონებშიც ვხვდებით), გარდა ექიმის მიერ დანიშნული კონკრეტული მკურნალობისა, აუცილებლად უნდა მიხედოთ კვების რაციონს. პირველ ყოვლისა, უნდა გამორიცხოთ (ან, უკიდურეს შემთხვევაში, მინიმუმამდე დაიყვანოთ) შოკოლადი და ყავა, ამის პარალელურად კი გადახვიდეთ ხილის, ბოსტნეულისა და ზღვის პროდუქტების დიეტაზე, რადგან, იმისთვის, რომ კეთილთვისებიანი მასტოპათია ავთვისებიან დაავადებაში არ გადაიზარდოს, აუცილებელია ზედმეტი კილოგრამების მოშორება და, ამასთან, ორგანიზმის მომარაგება A, E და B ჯგუფის ვიტამინებით.*

*იმ მიზნით, რომ დიეტა არ იყოს მოსაწყენი, დიეტოლოგებმა ის „გააფერადეს“, ანუ, ყოველ დღეს ერთი ძირითადი ფერი მიაკუთვნეს და, რადგან კვირაში 7 დღეა, და, შესაბამისად, შვიდმა ფერმა მოიყარა თავი, დიეტას „ცისარტყელა“ უწოდეს.*

## ორშაბათი – თეთრი ფურცელი

ჯერ კიდევ ჩვენი ბებიების ბებიები ამბობდნენ, რომ მკერდისთვის კომბოსტოზე სასარგებლო საკვები არ არსებობს. თეთრი ფერის ბოსტნეული – ეს არის ვიტამინებისა და უჯრედისის საბადო. ასევე, შეგიძლიათ, ამ დღის რაციონი შეავსოთ რძემჟავა პროდუქტებით (რომლებიც ხელს უშლის უჯრედების ზედმეტად ზრდას) და



სასარგებლო ლაქტობაქტერიებით (რომელსაც წესრიგში მოჰყავს საკვების გადამუშავების პრობლემა).

ძირითადი პროდუქტები: თეთრი კომბოსტო, ყაბაყი, თალგამი, თეთრი ბოლოკი, ხაჭო, იოგურტი და ასე შემდეგ.

ბოსტნეულისგან, თქვენი ფანტაზიით, მოამზადეთ ცოცხალი სალათები, შეაზავეთ ცოტაოდენი მარილითა და ზეთით (ან არაჟნით) და მოაყარეთ დაჭრილი მწვანილი.

დღის განმავლობაში უნდა მიირთვათ (ჯამურად) 1 კილოგრამამდე საკვები.

წყალი – დღეში 2 ლიტრამდე.

## სამშაბათი – წითელი დღე

წითელი ფერის პროდუქტები შეიცავს ძლიერი ანტიოქსიდანტების კომპლექსს, რომელიც იცავს უჯრედებს კიბოში გადაზრდისგან. მათში დიდი რაოდენობითაა ლიკოპინი და C ვიტამინი, რაც ხელს უწყობს იმუნიტეტის გაძლიერებას. ორგანიზმისთვის აუცილებელ ნივთიერება სელენს კი შეიცავს ზღვის პროდუქტები.

ძირითადი პროდუქტები: პომიდორი, წითელი ბულგარული წიწაკა, შტოში, ასკილი, კრევეტები.

ფარშირებული პომიდორი შეგიძლიათ მიირთვათ საუზმეზეც, სადილზეც და ვახშამზეც, მთავარია, სწორად შეარჩიოთ ფარში.

**საუზმე** – პომიდორი კრევეტების ფარშით: 250 გრამ პატარა, დაკონსერვებულ კრევეტებს დაუმატეთ 100 გრამი მოხარშული ბრინჯი, დაჭრილი ხახვი, ოხრახუში, მარილი და შავი პილპილი. მოასხით არაჟანი, ამ მასით ამოავსეთ პომიდვრები და გამოაცხვეთ აირღუმელში.

**სადილი** – პომიდორი წიწიბურისა და კვერცხის ფარშით: მოხარშეთ 200 გრამი წიწიბურა და ამოავსეთ პომიდვრები, თითოეულ პომიდორს ზემოდან დაადეთ უმი კვერცხის გული, მოასხით გამდნარი კარაქი (ძალიან ცოტა) და გამოაცხვეთ აირღუმელში.

**ვახშამი** – პატარა ქილა მწვანე ბარდა (დაკონსერვებული), წვრილად დაჭრილი 1 ცალი მოხარშული სტაფილო, მსხვილ სახეხზე გახეხილი 1 ცალი დიდი წითელი ვაშლი (გათლილი), 2 ცალი მოხარშული კვერცხის ცილა და 2 ცალი მომცრო ზომის კიტრის მწნილი (წვრილად დაჭრილი), ცოტა მაიონეზი ან იოგურტი, მარილი და პილპილი შეურიეთ ერთმანეთს და ამ მასით ამოავსეთ პომიდვრები (ამჯერად აღარ გამოაცხოთ, ისე მიირთვით).

თითო კვებაზე იმყოფინეთ 2-3 პომიდორი (ზომის გათვალისწინებით).

წყალი – დღეში 2 ლიტრი.

## ოთხშაბათი – მწვანე სამეფო

ისევ კომბოსტო, ოღონდ, ამჯერად – ლამინარია. ეს უკანასკნელიც უზარმაზარი რაოდენობით შეიცავს იოდს, რაც აუცილებელია ფარისებრი ჯირკვლის ნორმალური ფუნქციონირებისთვის და ეხმარება ორგანიზმს ჰორმონების გაკონტროლებაში. კომბოსტო და სალათის ფოთოლი შეიცავს გლუკოზინოლატებს, რომელიც არა მარტო აქრობს ანთებით პროცესს, არამედ, ამცირებს მკერდის კიბოს განვითარების რისკს.

ძირითადი პროდუქტები: ბროკოლი, ბრიუსელური კომბოსტო, ისპანახი, ყველანაირი სალათა, ლამინარია.

მრავალფეროვნებისთვის, შეგიძლიათ, პიცის ცომს შეაზილოთ 130 უცხიმო ხაჭო, ცოტა მარილი, 3 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 კვერცხი და 250 გრამი ფქვილი. ცოტა ხანს გააჩერეთ, რომ ცომი ამოვიდეს. ამასობაში ბროკოლი დაშალეთ პატარა „თაიგულებად“, მსხვილი ღერები დაჭერით რგოლებად და 3 წუთი ხარშეთ მარილიან წყალში, შემდეგ კი საწურზე გადმოიღეთ, გადაავლეთ ცივი წყალი და აცადეთ, დაიწრიტოს.

**მოამზადეთ სოუსი:** 150 გრამ არაჟანში კარგად გათქვიფეთ 1 ცალი კვერცხი, ცოტა მარილი, შავი პილპილი და ნახევარი ჩაის კოვზი გახეხილი მუსკატის კაკალი.

ცომი გააბრტყელეთ, გადაუსვით სოუსი, ზემოდან დააწყვეთ ჯერ ბროკოლი, შემდეგ კი 200 გრამი გახეხილი მაგარი ყველი (გახეხვამდე გამდინარე ცივი წყლით მოაშორეთ ზედმეტი მარილი) და გამოაცხვეთ 180 გრადუსამდე გაცხელებულ აირღუმელში (სანამ ყველი გადნება).

წყალი – დღეში 2 ლიტრამდე.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ძალიან ბევრი კოსმეტიკური საშუალების შემადგენლობაში შედის სხვადასხვა ხილის ექსტრაქტი. მაინტერესებს, თუ შეიძლება, სახლის პირობებში, მაგალითად, ტონიკის დამზადება ვაშლით.**

**პასუხი**: რა თქმა უნდა, შეიძლება. ვაშლი დიდი რაოდენობით შეიცავს A და C ვიტამინებს (ასევე, სხვა ვიტამინებსაც) და უამრავ მიკროელემენტს, რაც ძალიან სასარგებლოა როგორც, ზოგადად, ორგანიზმის ჯანმრთელობისთვის, ისე კანისთვის. ტონიკი შეგიძლიათ დაამზადოთ შემდეგნაირად: ოდნავ სქლად გათალეთ 4 ცალი ვაშლი (ყვითელი და მწვანე), ქერქი მსხვილად დააქუცმაცეთ, ჩაყარეთ მინის ქილაში და დაასხით მდუღარე წყალი ისე, რომ ნათალი მთლიანად დაიფაროს. დაახურეთ თავსახური და ორი დღე-ღამით მოათავსეთ ბნელ, გრილ ადგილას. შემდეგ გადაწურეთ, სითხე ჩაასხით შუშის ბოთლში და თავდახურული შეინახეთ მაცივარში (არა საყინულეში).

მიღებული სითხით სახე გაიწმინდეთ დღეში ორჯერ – დილას და საღამოს, დოლბანდის ტამპონით.

იმავე მეთოდით შეგიძლიათ დაამზადოთ ტონიკი სხვა ხილისგანაც.

**კითხვა: სხეულის რომელ მონაკვეთებზე დავიპკურო სუნამო?**

**პასუხი**: როგორც კოკო შანელი ამბობდა: „დაიპკურეთ სუნამო იმ ადგილას, სადაც გინდათ, რომ გაკოცონ“. ზოგადად კი, შეარჩიეთ პულსაციის ზონები: მაჯებზე (შიდა მხრიდან) ყელზე, ყურის უკან და დეკოლტეზე. პულსაციის წყალობით, სურნელი ხდება მოძრავი და დღის განმავლობაში თქვენ შეიგრძნობთ მის ყველა ნიუანსს. მაგრამ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ მისი კონცენტრაციის დონე, ანუ, მძაფრი სურნელის მქონე სუნამო ოდნავ უნდა მიიპკუროთ, რადგან, როცა ქალისგან ძლიერი არომატი იგრძნობა, ეს გამაღიზიანებელია გარშემო მყოფთათვის და, საერთოდაც, კარგ ტონად არ ითვლება.

**კითხვა: რა არის ფიშიკიური?**

**პასუხი**: ასე ჰქვია ტერფების პილინგს. მას აკეთებენ საოცარი ჯიშის თევზები, რომლებსაც ჰქვიათ გარა რუფა. ისინი ცხოვრობენ თურქეთში არსებულ ცხელ წყაროებში. მათ არ აქვთ კბილები და ტუჩებით „ისრუტავენ“ გარქოვანებულ კანს, რის შედეგადაც ტერფი ხდება გლუვი და ნაზი.



ამ თევზის ნერწყვი შეიცავს ფერმენტებს, რომლებიც აჩქარებს კანზე ნახეთქების შეხორცებას. მაგრამ, პროცედურა უნდა ჩაიტაროთ იქ, სადაც ხშირად ცვლიან წყალს აკვარიუმში.

სხვათა შორის, ამ პროცედურას იტარებენ ფსორიაზით დაავადებულებიც.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# როგორ გადაარჩინა სიკვდილს მიწაში დამარხული ჩვილი ქართველმა ჯიბგირმა

*პუბლიკაციის გმირების ვინაობა შევცვალეთ. მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.*

ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა კაცი რკინის ღობეზე გადაძვრა და ორსართულიანი სახლისკენ წავიდა, რომელიც წყნეთის ხშირ ფიჭვნარში მდებარეობდა. მან ხელით მოსინჯა ქამარში გარჭობილი მაყუჩიანი პისტოლეტი და ორლესული ხანჯალი, შემდეგ ოფლი მოიწმინდა და ჩაილაპარაკა: „ეტყობა, ღრმად სძინავს. ბოლოს მოვუღებ და სამუდამოდ დავაძინებ“.

მამაკაცმა გზის გაგრძელება დააპირა, მაგრამ ამ დროს სახლის კარი გაიღო და იქიდან ოცდახუთიოდე წლის ახალგაზრდა გამოვიდა. ხელში ნიჩაბთან ერთად პატარა ყუთი ეჭირა. რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ ყუთი მიწაზე დადო და თხრა დაიწყო. ორმო რომ მზად იყო, ყუთი შიგ ჩაფლო და ის იყო მიწა უნდა მიეყარა, ეზოში შეპარული კაცი მიეპარა მას და ხანჯალი გულში ჩასცა. შემდეგ უკანვე ამოაძრო და მუცელში ჩაარტყა. ახალგაზრდა მიწაზე დაეცა. თავდამსხმელმა

> **მიწაზე დაცემულ ახალგაზრდას ორი ჭრილობა ჰქონდა – გულში და მუცელში**

კი მიწადაუყრელი ყუთი ორმოდან ამოიღო, გახსნა და გაოგნდა – იქ ჩვილი იწვა და სუნთქავდა. მან ყუთი ორმოში ჩააგდო და მიწა მიაყარა, ჩვილი კი ჩაიხუტა და ლამის წყვდიადში გაუჩინარდა. თავდამსხმელი, ოთარ შიუკაშვილი იყო, მეტსახელად „ცალთვალა“. მისი მსხვერპლი კი მილიციის ლეიტენანტი ჯემალ კობერიძე გახლდათ. მან სამიოდე თვის წინ ცალთვალას ძმა მოკლა, რომელიც მილიციას ეჭვმიტანილის სტატუსით ჰყავდა დაკავებული. კობერიძემ ცალთვალას ძმა აწამა და, როცა შემოაკვდა, მეხუთე სართულიდან გადმოაგდო.

„შენს ძმას გაქცევა უნდოდა და გადახტა, მიწას დაასკდა და მოკვდა“, – ასეთი პასუხით გამოისტუმრეს ცალთვალა მილიციიდან და უფლება მისცეს, ძმა თუთიის კუბოთი დაესაფლავებინა...

### 18 წლის შემდეგ

– შეგიძლია, ჩაიცვა, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, – თქვა ექიმმა და ხელების დასაბანად ონკანისკენ გაემართა.

პოდპოლკოვნიკმა, რომელსაც გულთან და მუცელზე უზარმაზარი იარები ჰქონდა, მაისური გადაიცვა და ექიმს ჰკითხა:

– ესე იგი, ყველაფერი რიგზეა, ექიმო?

– რიგზეა, ამხანაგო ჯემალ, რიგზე, თვრამეტი წელიწადი გავიდა იმ ტრაგიკული ღამიდან და შენი შემოწმების შემდეგ, ყოველთვის განცვიფრებული ვარ, როგორ გადარჩი. ორივე ჭრილობა სასიკვდილო იყო და ღმერთმა გადაგარჩინა.

– ღმერთმა არა... ხელი ჩაიქნია კობერიძემ, – ღმერთი არ არსებობს. უბრალოდ, ძლიერი ორგანიზმი მაქვს და სულ ესაა.

– მაინც, ვინ გაგიმეტა ასე უმოწყალოდ? – საუბრის თემა შეცვალა ექიმმა.

– ყოველთვის უამრავი მტერი მყავდა. პატიოსან კაცს მტერს რა გამოულევს. როგორც ეტყობა, ერთ-ერთმა გადაწყვიტა ჩემი მოშორება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

კობერიძემ ფორმა ჩაიცვა. ექიმს გამოემშვიდობა და მანქანაში ჩაჯდა, სადაც მას 17 წლის ქალიშვილი ელოდებოდა.

ჯემალ კობერიძე მილიციაში ოდიოზური ფიგურა იყო. მას არა მხოლოდ ბოროტმოქმედები კოლეგებიც უფრთხოდნენ, მოუსყიდავი ადამიანის სახელი ჰქონდა გავარდნილი, სინამდვილეში კი მექრთამე იყო და იმაშიც კი იღებდა ფულს, რომ პატიმარი არ ეწამებინა.

სიკვდილს გადარჩენილ კობერიძეს რამდენიმე კაცზე ჰქონდა ეჭვი, რომელთა შორის ცალთვალაც იყო, თუმცა ცალთვალამ რუსეთში გადახვეწა მოასწრო. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ, კობერიძე მოსკოვში გაგზავნეს სასწავლებლად და ოთხი წლის შემდეგ თბილისში დაბრუნებულ კაპიტანს ძებნა აღარ გაუგრძელებია.

### „ცალთვალა“

ოთარ შიუკაშვილი ქურდი იყო. კობერიძეზე თავდასხმიდან ერთ თვეში მან სახლ-კარი გაყიდა და როსტოვში გადასახლდა. ცალთვალა ჯიბგირი იყო, თუმცა მისი საქმიანობა მილიციის ყურამდე არასოდეს მისულა და ის მხოლოდ ვიწრო წრეში იყო ცნობილი. გადარჩენილ ბავშვს მან რომანი დაარქვა და გვარად სიმონოვი მისცა. თავადაც სიმონოვად გადაიკეთა გვარი და როსტოვის გარეუბანში დასახლდა. ცალთვალა ჯიბგირობით ირჩენდა თავს და ეს პროფესია რომანსაც შეასწავლა. 12 წლის რომან სიმონოვი როსტოვის შავ სამყაროში პერსპექტიულ ჯიბგირად ითვლებოდა და დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მილიცია მას ფაქტზე ვერ იჭერდა. რომანი 16 წლის რომ შესრულდა, ყაჩაღობა დაიწყო და ერთ-ერთი საქმის დროს ადამიანი შემოაკვდა. ის სისასტიკით გამოირჩეოდა და მსხვერპლი უთოთი აწამა. რომანი დააპატიმრეს, თუმცა მან ბადრაგს ყელი გამოსჭრა და გაიქცა. იმავე საღამოს რომანი შინ დაბრუნდა.

– ფული მომეცი, მოხუცო, უნდა დავიმალო, ორი ტრუპი ავიკიდე, – უთხრა რომანმა ცალთვალას, რომელიც ზიზღით მისჩერებოდა მკვლელს.

– რას ერჩოდი, რატომ კლავდი? – ჰკითხა ცალთვალამ.

– შენ მამაჩემი ხარ თუ იმათი მამა? – კითხვა შეუბრუნა რომანმა და მოულოდნელად ყელში წვდა. ძლიერად მოუჭირა თითები და ხროტინი დააწყებინა.

– მამაშენივით სასტიკი და დაუნდობელი ხარ, – თქვა ცალთვალამ, – შემდეგ კარადიდან ზეწრის ნაგლეჯი გამოიღო და ცხვირსახოციც მოაყოლა, რომელზეც წითელი ძაფით იყო ამოქარგული ინიციალი „თ.კ.“

– რას ბოდავ, მოხუცო, ვინ მამაჩემზე ლაპარაკობ, აბა, შენ ვინ გდიხარ?

ცალთვალამ რომანს ყველაფერი მოუყვა და ბოლოს უთხრა:

– როდესაც გავიგე, რომ კობერიძე გადარჩა, ხელი მოგკიდე და იქიდან გადმოვიხვეწე.

– დედაჩემი ვინღაა?

– ალბათ, ამ ცხვირსახოცის პატრონი.

– რა იცი, იქნებ, არც კობერიძეა მამაჩემი? – დაეჭვდა რომანი.

– ისაა, – გაეცინა ცალთვალას, – ჯერ ერთი, ძალიან ჰგავხარ. მთავარი კი ისაა, რომ მასავით სასტიკი ხარ. გენები ძლიერი რამაა.

რომანმა შეშლილივით გადაიხარხარა. შემდეგ თავის აღმზრდელს მოულოდნელად მოუქნია უზარმაზარი ხანჯალი და წიწილასავით წააცალა თავი. ბოლოს ფული მოძებნა, ტანსაცმელი გამოიცვალა, სახლს ცეცხლი წაუკიდა და წავიდა.



### შეყვარებულები

ნატა კობერიძე სიხარულით მეცხრე ცაზე იყო, რადგან შეყვარებული ჰყავდა. სამი თვის წინ მან ახალგაზრდა, ახოვანი რუსი ყმაწვილი გაიცნო და შეუყვარდა, რომელიც შემთხვევით მუშტაიდის ბაღში გაიცნო. ყმაწვილს პეტია ერქვა და გოგონას ისე შეუყვარდა, მის გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო. პეტია და ნატა ინტიმურადაც დაახლოვდნენ და გოგონა დაფეხმძიმდა. ნატამ დედ-მამას ვერ გაუბედა ამის თქმა და მამიდამისის, თინიკოს წინ აქვითინდა:

– მამიდა, ფეხმძიმედ ვარ, პეტია კი ორი კვირაა, არ გამოჩენილა. ნეტავი, ხომ არ მიმატოვა?

თინიკო 39 წლის შინაბერა იყო და მშვენიერი გარეგნობის მიუხედავად, ოჯახი არასოდეს შეუქმნია.

– ამაზე თავის დროზე უნდა გეფიქრა, – უთხრა ქალმა, – ნუ გეშინია, რამეს მოვიფიქრებთ. ტირილით კი საქმეს ვერ უშველი.

## მრავალი ადამიანის სადისტური მკვლელობებისთვის გასამართლებული 19 წლის რომანი ნოვოჩერკასკის ციხეში დახვრიტეს

თინიკომ ძმისშვილს ცხვირსახოციით მოწმინდა ცრემლები, რომელზეც წითელი ძაფით იყო ამოქარგული ინიციალები „თ.კ.“

გოგონა ფეხმძიმობის მეოთხე თვეზე იყო და აბორტის გაკეთება აღარ შეიძლებოდა. მამიდამისმა ეს ამბავი თავის ძმას, ჯემალს შეატყობინა, რომელიც მიტკალივით გაფითრდა, თუმცა, თავი მოთოკა და თინიკოს უთხრა:

– ნამდვილად ღვთის რისხვა ტრიალებს ჩვენს თავს!

– კარგი ერთი, – თავი გააქნია თინიკომ, – ღმერთი არ არსებობს.

– არსებობს, – კოპები შეიკრა ჯემალმა და მაგიდაზე ცხვირსახოცი და ზეწრის ნახევი დადო.

– ამით ხომ ჩვენი ბავშვი დავმარხეთ?! – იყვირა თინიკომ, – აქ საიდან გაჩნდა?

– ამ დილას გამომიგზავნა ვილაც უცნობმა. როგორც ჩანს, ჩვენი ბავშვიც იმან გადაარჩინა, ვინც მე დამესხა თავს. ახლა კი ჩემს დაშანტაჟებას ცდილობს.

– მაინც, რას ითხოვს?

– ამ წერილში წერია, რომ თუ 20 ათასს არ გადავუხდი, მაშინ ჩვენს საიდუმლოს გაახმაურებს.

– უნდა გადაუხადო, სხვა გზა არ არის.

### სისხლიანი ქორწილი

ჯემალმა ინკოგნიტო შანტაჟისტს 20 ათასი მანეთი დათქმულ ადგილზე მიუტანა და ქვის ქვეშ ამოდო. ორი კვირის შემდეგ, უკვე ფეხმძიმობის მეხუთე თვეზე მყოფ ნატას მისმა შეყვარებულმა დაურეკა.

– საყვარელო, ბოდიში, რომ ასე მოულოდნელად მომიწია შენი დატოვება, მაგრამ გადაუდებელი საქმეები მქონდა რუსეთში. ახლა აქ ვარ და მოუთმენლად ველოდები შენთან შეხვედრას.

გახარებული ნატა იმავე დღეს შეხვდა პეტიას და ახალგაზრდებმა დაქორწინება გადაწყვიტეს.

სამი დღის შემდეგ პეტია კობერიძეების ოჯახში მივიდა ნატას ხელის სათხოვნელად. ჯემალმა ზღაპრული სუფრა გაშალა მომავალი სასიძოს გასაცნობად.

პეტიამ ჯემალსა და თინიკოზე უცნაური შთაბეჭდილება დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ ყმაწვილი საკმაოდ კულტურული ჩანდა, და-ძმას ის თვალში არ მოუვიდა. თუმცა, ეს აშკარად არ გამოუხატავთ. იმ საღამოს გადაწყდა, რომ ნატა და პეტია ორ კვირაში დაქორწინდებოდნენ.

რომან სიმონოვზე, იგივე პეტიაზე, საკავშირო ძებნა იყო გამოცხადებული. მას წვერ-ულვაში ჰქონდა მოშვებული და სათვალით დადიოდა. მას შემდეგ, რაც ჯემალს 20 ათასი გამოსძალა, რომანმა საბურთალოზე იქირავა ბინა. იქ ცხოვრობდა, პარალელურად კი, ძარცვაგლეჯას განაგრძობდა. ერთ-ერთი ინჟინრის დაყაჩაღებისას კი, მორიგი სასტიკი მკვლელობა ჩაიდინა. მართალია, რომანმა გაქცევა მოასწრო, მაგრამ მას „კაგებე“ დააჯდა კუდზე.

მაისის ბოლო შაბათ დღეს რომანმა და ნატამ მმაჩის ბიუროში მოაწერეს ხელი და კობერიძეების ოჯახში დაბრუნდნენ. საქორწილო სუფრაზე ჯემალს მხოლოდ ახლობლები ჰყავდა დაპატიჟებული, მაგიდასთან 30 ადამიანი იჯდა.

საღამოს 8 საათზე, როდესაც ქეიფმა ზენიტს მიაღწია, კობერიძეების ბინაში უშიშროების ოპერჯგუფი შეიჭრა და პეტიას დაპატიმრება სცადა.

პეტიამ, იგივე რომანმა, სინამდვილეში კი და-ძმა კობერიძეების შვილმა, პიჯაკის ჯიბიდან ორი ცალი პისტოლეტი ამოაცურა და უშიშროების თანამშრომლებს ცეცხლი გაუხსნა. ურთიერთსროლისას დაილუპნენ ნატა, თინიკო და ჯემალ კობერიძეები, უშიშროების სამი თანამშრომელი კი მძიმედ დაიჭრა. თავად რომანი მხოლოდ მხარში იყო დაჭრილი და უშიშროების იზოლატორში გადაიყვანეს.

რომან სიმონოვი როსტოვში გაასამართლეს და ნოვოჩერკასკის ციხეში დახვრიტეს.

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

**8 აპრილი**

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 563 (646) – ლეგენდის მიხედვით, ამ დღეს დაიბადა უფლისწული გაუმატა (ბუდა).

1974 – ეკრანებზე გამოვიდა ელდარ რიაზანოვის ფილმი „იტალიელთა არაჩვეულებრივი თავგადასავალი რუსეთში“.

1995 – ნიკოლას კეიჯის და პატრიცია არკეტის ქორწილი.

**9 აპრილი**

1682 – რობერ დე ლასალმა საფრანგეთის დროშა აღმართა მისისიპის შესართავთან და ეს მიწები, ლუიზიანას სახელწოდებით, საფრანგეთის ტერიტორიად გამოცხადდა.

1865 – დასრულდა ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომი.

1930 – პუბლიკას პირველად წარუდგინეს ვიდეოტელეფონი.

1966 – ვატიკანმა გააუქმა აკრძალული წიგნების ინდექსი.

1991 – აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა.

**10 აპრილი**

1710 – ინგლისში ძალაში შევიდა კანონი საავტორო უფლებების შესახებ (პირველად მსოფლიოში).

1849 – ამერიკელმა უოლტერ ჰანთმა დააპატენტა საკინძე („ბულავკა“).

1925 – ქალაქ ცარიცინს ეწოდა სტალინგრადი.

**11 აპრილი**

1909 – დაარსდა ქალაქი თელ-ავივი.

1961 – იერუსალიმში დაიწყო ცნობილი ნაცისტი დამნაშავის ადოლფ აიხმანის სასამართლო პროცესი.

1984 – საბჭოთა კავშირის ლიდერი გახდა კონსტანტინე ჩერნენკო.

**12 აპრილი**

1606 – ინგლისის მეფის, ჯეიმს პირველის ბრძანებით, მიიღეს დიდი ბრიტანეთის დროშა, რომელიც ინგლისისა და შოტლანდიის დროშების კომბინაციაა.

1914 – ლონდონში შედგა პრემიერა ბერნარდ შოუს პიესისა „პიგმალიონი“.

1961 – ადამიანის პირველი გაფრენა კოსმოსში.

1992 – პარიზის გარეუბანში გაიხსნა პირველი ევროდისნეილენდი.

1995 – გაეშვა დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ინტერნეტ საძიებო სისტემა YAHOO!

**13 აპრილი**

1204 – მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე რაინდებმა მუსლიმანთა წინააღმდეგ გალაშქრების მაგივრად აიღეს და გაძარცვეს კონსტანტინოპოლი.

1934 – არქტიკაში დასრულდა ოპერაცია ჩელუსკინელთა გადასარჩენად.

**14 აპრილი**

1865 – ვაშინგტონის თეატრში სასიკვდილოდ დაჭრეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი.

1927 – შვედეთში გამოვიდა პირველი ავტომობილი „ვოლვო“.

1956 – ჩარლზ გინსბერგმა, ჩარლზ ანდერსენმა და რეი დოლბიმ წარმოადგინეს თავიანთი გამოგონება – პირველი ვიდეომაგნიტოფონი.

1970 – ავარიულად შეწყდა ამერიკული კოსმოსური ხომალდის „აპოლონ 13-ის“ ფრენა მთვარისკენ – აფეთქდა ჟანგბადის რეზერვუარი. ეკიპაჟი დიდი გაჭირვებით დააბრუნეს დედამიწაზე.

# რძალმა ქმრის ღალატის დასამალად დედამთილი თონეში დაწვა



უბედური შემთხვევა, რომლის შედეგადაც 61 წლის ნანული მ-ძის ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა, სოფელ გურბეთში მოხდა. ქალბატონმა, რომელიც პურის ცხობის დროს ცხელ თონეში ჩავარდა, სხეულის მძიმე დამწვრობა მიიღო. ექიმების მცდელობის მიუხედავად მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა და ის რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

სისხლის სამართლის საქმე უბედურ შემთხვევად დაკვალიფიცირდა. დაიკითხნენ მოწმეები, რომლებიც ტრაგიკულ შემთხვევას შეესწრნენ: გარდაცვლილის ოჯახის წევრები – რძალი, 36 წლის ნინო მ-ძე და არასრულწლოვანი შვილიშვილი. მათ დაკითხვის დროს სამართალდამცველებთან ინციდენტის დეტალების შესახებ ისაუბრეს.

ამონაწერი ნინო მ-ძის ჩვენებიდან: „სახლში მხოლოდ მე, ჩემი გერი და დედამთილი ვიყავით. როცა ნანულიმ პურის ცხობა დაიწყო, მეც ეზოში გავედი. სახლის სარდაფი მქონდა დასალაგებელი და ათი წუთის შემდეგ ჩემს დედამთილს ვუთხარი, თუ არ გჭირდება ჩემი დახმარება, სარდაფს დავალაგებ-მეთქი და სარდაფში ჩავედი, რომელიც თონიდან მოშორებითაა. იმ დროს ბავშვი ეზოში თამაშობდა. ათი-თხუთმეტი წუთი იქნებოდა გასული, თეონას ტირილი გავიგე. სარდაფის კართან იდგა და მეძახდა. როცა სარდაფიდან ამოვედი, ბავშვმა მითხრა, ბებია თონეში იწვისო, თონისკენ გავიქეცი. რომ ჩავიხედე, დავინახე, ჩემს დედამთილს მთელ ტანზე ცეცხლი ეკიდა. ვცადე თონიდან მისი ამოყვანა, თუმცა, მარტომ ვერ შევძელი. ქუჩაში გავიქეცი კივილით, მაგრამ, სანამ მეზობლები დამეხმარნენ და ჩემი დედამთილი თონიდან ამოვიყვანეთ, ის თითქმის მთლიანად დამწვარი იყო.”

დაახლოებით იგივე ჩვენება მისცა გამოძიებას ნანული მ-ძის შვილიშვილმა, 11 წლის თეონამ, რომლის დაკითხვაც მოგვიანებით, მასწავლებლისა და ფსიქოლოგის დახმარებით ჩატარდა. ფსიქოლოგის განცხადებით, ბავშვი მძიმე ფსიქოლოგიური სტრესის მდგომარეობაში იყო. მან განაცხადა, რომ დაინახა, როგორ იწვოდა ბებია თონეში და დასაძახებლად სარდაფში ჩასულ დედინაცვალთან გაიქცა. ბავშვის ჩვენება ძალიან მწირი ინფორმაციის შემცველი იყო. სპეციალისტის განცხადებით მისი შოკური მდგომარეობიდან გამომდინარე, გოგონას დაკითხვის გაგრძელება შეუძლებელი იყო.

როგორც წინასწარი მოკვლევით გახდა ცნობილი, ნანული მ-ძის ოჯახი სოფელში ფინანსურად ძლიერ და კარგ ოჯახად ითვლებოდა. პატარა მეურნეობის გარდა, ნანული მ-ძეს სახლთან მაღაზია ჰქონდა გახსნილი და ამ შემოსავლით 40 წლის ვაჟსა და მის ცოლ-შვილსაც ინახავდა. მას ქალიშვილი იმავე სოფელში ჰყავდა გათხოვილი და მისი ოჯახის დამხმარეც იყო. ხუთი წლის წინ ნანული მ-ძის ოჯახში ტრაგედია მოხდა: მისი მეუღლე და რძალი ავტოკატასტროფაში მოყვნენ – მანქანა, რომელშიც რძალ-მამამთილი ისხდნენ, მდინარეში გადავარდა და წყლის დინებამ გაიტაცა. ქალის გვამის პოვნა რამდენიმე დღეში შეძლეს, მამაკაცის ცხედარს კი ვერ მიაგნეს. ამ ტრაგიკული ისტორიიდან ორი წლის შემდეგ ნანული მ-ძის ვაჟმა ცოლად ნინო მ-ძე შეირთო. ოჯახმა თითქოს თავიდან დაიწყო ცხოვრება, მაგრამ, გადატანილი უბედურების კვალი ყველაფერში ჩანდა – ობლად დარჩენილი გოგონა ფსქოლოგიურად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ნანული მ-ძის ვაჟი კი ალკოჰოლს მიეძალა, რის გამოც ოჯახს პრობლემები არ ელეოდა. ნანული მ-ძე ცდილობდა, რომ შვილი ნორმალურ ცხოვრებას დაბრუნებოდა და ყველაფერში ხელს უწყობდა, რომ ახალშერთულ ცოლთან ერთად ცხოვრება თავიდან დაეწყო.

ნანული მ-ძის ტრაგიკული გარდაცვალებიდან დაახლოებით ერთი თვე იქნებოდა გასული, როცა სამართალდამცველებს გარდაცვლილის ქალიშვილმა – ნონა მ-ძემ მიმართა და განაცხადა, რომ დედამისის სიკვდილი, რომელიც უბედურ შემთხვევად ჩათვალეს, რეალურად მძიმე დანაშაული იყო, რომელიც მისმა რძალმა, ნინო მ-ძემ ჩაიდინა. ნონა მ-ძემ განაცხადა, რომ რძალმა დედამთილი განზრახ ჩააგდო თონეში და სარდაფში ამის შემდეგ ჩავიდა მკვლელობის კვალის დასაფარად. ნონა მ-ძის მტკიცებით, ამას ადასტურებდა მცირეწლოვანი ძმისშვილის ნაამბობი, რომელიც დედინაცვლის მიერ იყო დაშინებული და მანამდე ვერაფერს ამბობდა.

ამონაწერი ნონა მ-ძის ჩვენებიდან: „დედაჩემი ახალი დასაფლავებული იყო, პირველად რომ გამიჩნდა ეჭვი ჩემს რძალზე. ეს ეჭვი ჩემმა მეზობელმა გამიღვივა, რომელმაც ჩუმად გამანდო: შენი რძალი ჩვენს თანასოფლელ კაცთან ერთად სოფლის განაპირას, მიტოვებულ სასადილოში ნახესო. იმ მამაკაცის ვინაობაც მითხრა, რამაც დედაჩემის სიტყვები გამახსენა. დედამ გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე თქვა ჩემთან საუბარში: ვაჟა ჭ-შვილს სახლში ბომბი უნდა შევუგდოო. ისე თქვა ეს სიტყვები, გაოცებული დავრჩი. მანამდე არასდროს გამეგონა, დედას ვინმეზე ასეთი რამ ეთქვა. როცა ჩავეძიე, მითხრა: ახლა არაფერი მკითხო, ჯერ დავადგენ ყველაფერს და მერე გეტყვიო. ნამდვილად არ მიფიქრია, რომ ეს ამბავი ჩემს რძალთან – ნინოსთან იქნებოდა დაკავშირებული, მაგრამ, როდესაც მეზობელმაც სწორედ ვაჟა დამისახელა, ეს ორი ისტორია ერთმანეთს დავუკავშირე. იმ დღეებში ჩემი ძმისშვილი – თეონა მოვიყვანე სახლში. ბავშვი დედის სიკვდილის შემდეგ გულჩათხრობილი გახდა, მაგრამ, გამზრდელი ბებიის გარდაცვალება ისე განიცადა, თითქოს სულ დამუნჯდა.

> **ბავშვის ტირილი გავიგე, სარდაფის კართან იდგა და ყვიროდა – ბებია თონეში იწვისო**

როგორც კი თეონას ბებია ვუხსენე, ტირილი დაიწყო, მერე კი მოულოდნელად მითხრა, მე ვიცი ბებია ვინც მოკლაო. ელდა მეცა, ბავშვს ჩავეძიე – მითხარი, რა იცი-მეთქი, მაგრამ, ხმა ველარ ამოვაღებინე. ორი დღის შემდეგ ისევ ვთხოვე, რომ ჩემთან წამოსულიყო, მაგრამ უარი თქვა. ჩემთან მოსვლა ყოველთვის ძალიან უყვარდა, გამიკვირდა. მერე ნინოზე ჩამოვუგდე საუბარი, რაზეც თეონას ისეთი რეაქცია ჰქონდა, მივხვდი, ბავშვი რაღაც საიდუმლოს მალავდა. ამის შესახებ ჩემს ძმას ვუთხარი, რომელმაც ბავშვს გამოჰკითხა, რა იცოდა მომხდარის შესახებ. თეონამ მამას დაუმალა, მაგრამ, ბოლოს მე მიამბო, რაც თავისი თვალით დაინახა: დავინახე, როგორ ჩააგდო ნინომ ბებია თონეში და მერე სარდაფში ჩავიდაო. როგორც ბავშვმა მიამბო, ნინო დამუქრებია: თუ ვინმეს რამეს ეტყვი, შენც ბებიაშენის ბედი მოგელისო.“

ნონა მ-ძის ამ ჩვენების შემდეგ, სამართალდამცველებმა პატარა გოგონაც დაკითხეს, რომელმაც დეტალურად უამბო მომხდარის შესახებ და არც ის დამალა, რომ პირველად დედინაცვლის მიერ დაშინებულმა არ თქვა სიმართლე. აღმოჩენილი ახალი გარემოებების შესაბამისად, სამართალდამცველებმა ძიება სხვა მიმართულებით განაგრძეს – გადამოწმდა ნინო მ-ძის წრე და დადგინდა, რომ ახალგაზრდა ქალს მალულად ჰქონდა ინტიმური ურთიერთობა თანასოფლელ მამაკაცთან, რომელიც მისი მეუღლის მეგობარი იყო. როგორც ვაჟა ჭ-შვილმა სამართალდამცველებთან განაცხადა, მისთვის ნინო მ-ძისგან გახდა ცნობილი, რომ ნანული მ-ძემ მათი ურთიერთობის შესახებ შეიტყო და რძალს დაემუქრა, ყველაფერს ვეტყვი შენს ქმარსო. როგორც დადგინდა, ქალმა დედამთილი სიცოცხლეს გამოასალმა, რომ მისი დაფარული სასიყვარულო კავშირი არ გამჟღავნებულიყო. „ერთ დღეს მე და ნინო ჩვენი შეხვედრის ადგილიდან ვბრუნდებოდით, მოულოდნელად, გზაში ნანულის გადავეყარეთ. ვცადეთ თავი აგვერიდებინა მისთვის, მაგრამ, ისეთ ადგილას გვნახა ერთად, რაც არ უნდა ეთქვა ნინოს, დედამთილს ვერ მოატყუებდა,“ – განუცხადა ვაჟა ჭ-შვილმა გამოძიებას.

მოპოვებული მტკიცებულებების შემდეგ სამართალდამცველებმა დედამთილის განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს ნინო მ-ძე. ის თავიდან უარყოფდა ჩადენილ დანაშაულს, თუმცა, შემდეგ ყველაფერი აღიარა. როგორც თავად განაცხადა, დედამთილი, რომელიც მას ემუქრებოდა, რომ ქმართან გაამხელდა მის რომანს, თავიდან ამ გზით მოიშორა.

ამონაწერი ნინო მ-ძის ჩვენებიდან: „დედამთილთან კარგი ურთიერთობა არასდროს მქონია, მაგრამ, ბოლო დროს ურთიერთობა ძალიან დაგვეძაბა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ნანულიმ იმ ადამიანთან ერთად დამინახა, ვისაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში მალულად ვხვდებოდი. ჩვენი ურთიერთობის უარყოფას აზრი არ ჰქონდა – ნანულის ველარ დავაჯერებდი, რომ ვაჟასთან არაფერი მაკავშირებდა. ერთ დღეს მითხრა: ამ ამბავს ჩემს შვილს მხოლოდ იმიტომ არ ვეუბნები, რომ ოჯახში მკვლელობა მოხდება, მაგრამ, მოვა დრო და აუცილებლად ვეტყვიო. იმ დღის მერე ველარ მოვისვენე, დარწმუნებული ვიყავი, დედამთილი არ მაპატიებდა მისი შვილის ღალატს და მისი მოკვლა გადავწყვიტე. ათასი რამ მოვიფიქრე ნანულის თავიდან მოსაშორებლად, მაგრამ, ყველაზე რეალურად მაინც მისი თონეში ჩაგდება ჩავთვალე. ის პურს ხშირად აცხობდა. თან, მაღალი თონე გვქონდა: სულ წუწუნებდა, ასეთი მაღალი თონე შემიწირავსო და ეს იდეაც მისი სიტყვებიდან გამიჩნდა. მკვლელობის დილას ძალიან ვიჩხუბეთ. ჩემი მეუღლე სახლში არ იყო და ნანულიმ მითხრა, ჩემი ოჯახის შერცხვენას არ გაპატიებო. გადავწყვიტე, იმ დღესვე სისრულეში მომეყვანა ჩემი ჩანაფიქრი. ბავშვი ქუჩაში გავუშვი სათამაშოდ. ნანულის ეგონა, სარდაფს ვალაგებდი. როცა თონე გაახურა, ზურგიდან მივეპარე და ხელი ვკარი. თონეში ჩავარდნილს ტანსაცმელზე ცეცხლი მაშინვე წაეკიდა, მე თონეს თუნუქის სახურავი დავახურე, როცა მივხვდი, რომ ნანული ვერ გადარჩებოდა, სახურავი მოვხსენი, იქაურობა მივატოვე და სარდაფში ჩავედი. რამდენიმე წუთში თეონა მომადგა ტირილით, მე მეზობლებს დავუძახე და გამწარებული რძლის როლი შევასრულე.” გამოძიების დროს ნინო მ-მ არასრულწლოვან გოგონაზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობაც აღიარა: „თეონას საქციელით მივხვდი, რომ მან ყველაფერი დაინახა. როცა ვკითხე, აღიარა კიდეც. ვუთხარი, თუ ამის შესახებ ვინმე გაიგებს, შენც მოგკლავ-მეთქი, თეონა ისე შეშინდა, საერთოდ აღარ მეკარებოდა,“ – განაცხადა ნინო მ-ძემ გამოძიებასთან, რაც არასრულწლოვანმა გოგონამაც დაადასტურა სასამართლო სხდომაზე.

სასამართლომ ნინო მ-ძე დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის განზრახ მკვლელობის მუხლით, რომელიც განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში იყო ჩადენილი და 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
მევლუდ მელაძე

**კითხვა: მყავს ავტომობილი „გოლფ 3". ავამუშავებ თუ არა ძრავას ისმის არასასურველი, წრიპინის ხმა. თუ ცოტა ხანს დაველოდები, ან მაღალ ბრუნებს მივცემ და მერე გაზს ფეხს ავუშვებ, ხმა, ხშირ შემთხვევაში, წყდება. თუ ასე არ ხდება, მიწევს იგივე რამდენჯერმე გავიმეორო. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** ამ გაუმართაობის მიზეზი შეიძლება ორი იყოს: ძრავას რომელიმე ღვედი ან „როლიკი", რომელიც ღვედზეა მიმაგრებული. ეს არის ღვედის დამჭიმი ან მისი ბრუნვაში მომყვანი „როლიკები." უპირველესად, ღვედი, რომლისგანაც ხმა ისმის, უნდა დააჭიმინოთ. შესაძლოა, ის მოსუსტებული იყოს და ამიტომ წრიპინებს. თუ ამანაც არ უშველა, მთლიანად შეცვალეთ ღვედი. თუ ესეც არ შველის, ხსნით ღვედს და მასთან დაკავშირებულ ყველა „როლიკს" ხელით სინჯავთ. ხელით გასინჯვის დროს, „როლიკი" არ იწრიპინებს, მაგრამ მას ექნება ეგრეთ წოდებული ლუფტი. ხელით ეს ძალიან იოლად ისინჯება – ტრიალისას, ხელშივე შეიგრძნობთ მის უსაფთაო, არაგლუვ ბრუნვას.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> მიხაილ შუმახერი

**კითხვა: საიმედოა თუ არა დიაგნოსტიკური აპარატის, ეგრეთ წოდებული, კომპიუტერის მიერ დასმული დიაგნოზი? ავტომობილს რაღაც გაუმართაობა სჭირს, კომპიუტერმა კონკრეტული დაზიანება აჩვენა, შევცვალე და მისი მდგომარეობა არ გამოსწორდა. რა ვქნა ამ დროს?**

**პასუხი:** ამა თუ იმ დაზიანების შემთხვევაში სწორი დიაგნოზის გამოცნობა მაინც ჭირს. კომპიუტერს შეუძლია, ის პრობლემა „დაინახოს", რომელიც უშუალოდ ელექტროსისტემასთან არის დაკავშირებული და ის მარტივად გასარკვევია. თუ ჩვენმა ავტომობილმა ეგრეთ წოდებული „ჩეკი" აანთო – „ჩეკ ენჯინი", წითელი ნათურა, რომელზეც ძრავაა დახატული, ან პირდაპირ წერია ინგლისურად – „ჩეკ", მაშინ კომპიუტერი პრობლემას „უპრობლემოდ" აღმოაჩენს. თუ „ჩეკი" არ აანთო, სწორედ მაშინ რთულდება დაზიანების გამოცნობა, რადგან კომპიუტერისთვის ყველაფერი მწყობრშია. პრობლემას კომპიუტერი ვერ აგვარებს, თუ მექანიკური დეტალებია დაზიანებული. მექანიკურ დეტალებს ის საერთოდ ვერ ხედავს. აზრიც არ აქვს კომპიუტერულ დიაგნოსტიკას იმ დროს, როცა ძრავას რაღაც ხმა აქვს, სავალი ნაწილი ახმაურდა და მით უმეტეს, არ ანთია „ჩეკი". შესაძლოა, ამ დროს ავტომობილმა მოუმატოს საწვავის წვას, მაგრამ ვერც ამ დროს წაიკითხოს კომპიუტერმა პრობლემის აზრი. სენსორი, რომელიც კომპიუტერს ინფორმაციას აწვდის, მცდარ ინფორმაციას გადასცემს. თუმცა, ის მცდარია თუ არა, ამას კომპიუტერი, რა თქმა უნდა, ვერ არჩევს. ამიტომ გირჩევთ, რა ტიპის პრობლემაც არ უნდა გქონდეთ, კარგი ხელოსანი მოიძიოთ და მას მიმართოთ.

**კითხვა: ვერაფრით ვიშოვე ჩემი ავტომობილის ამორტიზატორები. მითხრეს, ხელოსანს დაატენინეო. საიმედოა დატენილი ამორტიზატორები? როგორ მოვიქცე, ხომ არ ჯობია, რომელიმე უცხოური საიტიდან გამოვიწერო?**

**პასუხი:** ნებისმიერი ტიპის ამორტიზატორის აღდგენაა შესაძლებელი, თუმცა ძალიან ცოტა ხელოსანს შეუძლია საქართველოში ამის კარგად გაკეთება. თუმცა, თავიდანვე უნდა იცოდეთ, ნებისმიერი აღდგენილი ამორტიზატორი ვერასდროს იმუშავებს ისე, როგორც ორიგინალი. კატასტროფაა, თუ ერთი ამორტიზატორი აღდგენილია და მეორე ორიგინალი, ისინი ერთმანეთთან შესაბამისობაში ვერანაირად ვერ მოვლენ. დატენილი ამორტიზატორი, მით უმეტეს, თუ ჩქარა სიარული გვიყვარს, დამატებით საფრთხეს ქმნის. თუ მაინც გიწევთ ამორტიზატორის აღდგენა, უმჯობესია, ორი წინა, ან ორი უკანა ერთდროულად აღადგინოთ. ერთნაირი მაინც ვერ იქნება, მაგრამ შედარებით უკეთ მოერგება ერთმანეთს, ვიდრე დატენილი და ორიგინალი. ამ დროს ავტომობილი უფრო კარგი სამართავი იქნება. არ გაგიკვირდეთ, თუ აღდგენილი ამორტიზატორის შემთხვევაში, ავტომობილი საერთოდ სხვანაირად იქცევა. ის უფრო ხისტია, ან შეიძლება, უფრო რბილიც – სხვანაირად უხვევს. ეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ხელოსანი აღადგენს მას. საერთოდ, რისკის გაწევას, გირჩევთ, თუნდაც იაფიანი, დაბალი ხარისხის, მაგრამ მაინც ქარხნული ამორტიზატორი შეიძინოთ. ამ დეტალში, როგორც მინიმუმ, ის ქარხნული სტანდარტებია გათვალისწინებული, რომელიც კონკრეტულ მოდელს სჭირდება. ძალიან ბევრი გათვლაა საჭირო იმისთვის ამორტიზატორი რომ ზუსტად მოერგოს ავტომობილს, – ზამბარების, ავტომობილის სიმძიმის და სხვა გასათვალისწინებელი ფაქტორებიდან გამომდინარე. მწარმოებელი დაიცავს ქარხულ პარამეტრებს, რასაც ვერც ერთი ძალიან მაგარი ხელოსანიც კი ვერ დაიცავს ამორტიზატორის დატენისას. რაც შეეხება გამოწერას, თუ ამის საშუალება და დრო გაქვთ, ნებისმიერ შემთხვევაში, უმჯობესია, ორიგინალი ნაწილის გამოწერა.

**კითხვა: საჭიროა თუ არა ზაფხულში ავტომობილიდან ანტიფრიზის გამოშვება და წყლით შევსება?**

**პასუხი:** არანაირად არ არის საჭირო. ანტიფრიზი თავისი დანიშნულების შესრულებას ზაფხულშიც განაგრძობს. თუ ზამთარში ყინვისგან იცავდა სისტემას, ახლა ის იმისთვისაა საჭირო, ავტომობილმა უფრო მაღალ ტემპერატურას გაუძლოს და იოლად მოახერხოს გაგრილება.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „სუბარუ", რომელსაც მაღალი ხარისხის ბენზინი, „სუპერი" სჭირდება. იქნებ რეკლამის გარეშე მითხრათ, ბენზინის რომელ შემომტან კომპანიას აქვს ყველაზე მაღალი ხარისხის „სუპერი"?**

**პასუხი:** სპორტსმენები მუდმივად მაღალი ხარისხის საწვავის ძიებაში ვართ. თუ სხვა ავტომობილებზე ცუდი ხარისხის ბენზინი გარკვეული პერიოდის შემდეგ იჩენს თავს, სპორტულ რეჟიმში, მან შესაძლოა, რამდენიმე წუთში დაგვიწვას ძრავა. ამიტომ, სულ ეს პრობლემა გვაქვს. საკმაოდ კარგი იყო „ეკოს" მაღალი ოქტანობის საწვავი, 100-ს რომ ვუწოდებდით. მაგრამ, გარკვეული პრობლემების გამო, ამ ხარისხის ბენზინი აღარ აქვთ. ანუ, მის მიმართ პირიქით გაჩნდა პრეტენზია, რადგან დაბალი ოქტანობის ძრავაში ასხამდნენ, რაც არ შეიძლებოდა. ამის გამო ბევრს ძრავა დაეწვა. აქ „ეკოს" ბენზინი არაფერ შუაშია. რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, საუკეთესოა „რომპეტროლის" „სუპერი". ბევრი ძიების შემდეგ, მან თვითონ მოგვაგნო და დღეს შეჯიბრებებზე მხოლოდ მაღალი ოქტანობის „სუპერს" ვასხამთ. ნამდვილი „სუპერი" ზუსტად ვიცი, რომ „რომპეტროლს" აქვს.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო

ჭადრაკის კოეფიციენტების დამდგენი პროფესორი

ქალის საზღვაო სამოსი

შენობის ნაწილი

მექანიკის ნაწილი

მაღაზია (......) პარი

გეომეტრიული ფორმა

ჩაქ (...)

რაჭის ცენტრი

ქალაქი ტაჯიკეთში

ტალინს ერქვა ძველად

მაგნიტურის

ტატნობი

(.....) დურბინი

მექა და (...)

თბილისის უბნის ნათლია მდინარე

ჩვენი ტბა

ორმაგი

აზიის ქვეყანა

რთული არჩევანი

ორთოგრაფიული ნიშანი

პრიზი

დენი დე....

ქურციკი

კომფორტული ხომალდი

თავბრუ

ესპან. ქალაქი

კერპი

გერმან. რომანტიკოსი

ლოგარითმის წილადი ნაწილი

(......) ხაჩატურიანი

ზნე, ხასიათი

ქალაქი შვეიცარიაში

გაიძვერა კარიკატურისტი

ნაკლი, ზადი

ესპან. გუნდი

ნასრედინი

რესურსი

ცხრილის ნაწილი

იაპონელი

სოფელი რაჭაში

ძაღლის ჯიში

ქალის ევროპული სახელი

ფეხბურთში ინიშნება

აზერბაიჯანის ძველი და ახალი ლიდერი

ბოშათა საკრავი

ძირძველი თვე

ნარწერა ტრაილერებზე

ფანჯრის ნაწილი

არომატული სპირტი, ბენზოლისგან ნაწარმოები

ვერცხლის ქვეყანა

ვიტამინი

ვივიენი

იანის „კოლეგა“

წვერის სალებავი

მგლების ერთობლიობა

რბილი ლითონი

ცომი რძეში

თუთიყუში

განმ. ჩხვლეტა ფარიკაობაში

ქურქელი

ესტონელი (...) ვესკი

ქერმის ჩირი

მძლეოსნობის დისციპლინა

სიდიდე

შამილის სახელმწიფო თავისი არსით

ქვ. ბერძენი მომღერალი

ჩუქის მეგობარი

მზის სხივი

სასმელი

70-80-იანი წლების იტალიელი ფეხბურთელი

რევოლუციონერი ერნესტო...

ვენების გაგანიერება

„გაზაფხული (......) ლენ“

მატარებლის ნაწილი

წმინდა ხარი

ფიროსმანი

ევროპის სახელმწიფო

ალმოს. ეშმაკი

ციმბირ. მდინარ.

ფინეთის ტბა

ბატონი თომასი

ვრცელი ხედი

სასტოლისთვის მისართმევი

....დე მოპასანი

„(...) მარია!“

ანანიაშვილი

კომენტატორის შეძახილი

ბავშვის სიარული

(...)-დიეგო

ბაზილიოს დაქალი

სიკვდილამდე

ალმოს. ლექსი

...და მახვილი

განყოფილება

აკაკის ძიძის სოფელი

ჭადრაკში

დასაკრავი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | |
| | | | | 1 | 1 | | 3 | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | |
| | | | 1 | 1 | 1 | 3 | 8 | 2 | 2 | 5 | | | | 1 | | | | | 1 | 2 | | 3 | 3 | 1 | 1 | 3 | | | |
| | | 3 | 1 | 7 | 10 | 7 | 1 | 8 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 12 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 5 | | | |
| | 2 | 4 | 3 | 2 | 2 | 4 | 2 | 3 | 3 | 3 | 17 | 14 | 13 | 1 | 12 | 11 | 11 | 10 | 11 | 13 | 2 | 9 | 10 | 2 | 10 | 2 | 3 | 2 | |
| 24 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 1 | 11 | 1 | 2 | 13 | 4 | 1 | 1 | 1 | 24 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 28 |
| | | 3 | 4 | 4 | 3 |
| | | 1 | 6 | 6 | 1 |
| | | | | 1 | 1 |
| | | | 1 | 1 | 1 |
| | | | 1 | 3 | 1 |
| | | 1 | 7 | 4 | 1 |
| | | 1 | 10 | 3 | 1 |
| | | 1 | 12 | 2 | 1 |
| | | 1 | 15 | 2 | 1 |
| | 1 | 1 | 17 | 2 | 1 |
| | 1 | 1 | 6 | 16 | 1 |
| | | 1 | 8 | 15 | 1 |
| | | 1 | 7 | 16 | 1 |
| | | 1 | 6 | 17 | 1 |
| | | 1 | 2 | 17 | 1 |
| | 1 | 2 | 1 | 18 | 1 |
| | 1 | 2 | 2 | 16 | 1 |
| | 1 | 5 | 3 | 8 | 1 |
| | 1 | 3 | 3 | 7 | 1 |
| 1 | 2 | 2 | 2 | 4 | 1 |
| 1 | 2 | 3 | 2 | 3 | 1 |
| 1 | 1 | 4 | 2 | 2 | 1 |
| | 1 | 2 | 2 | 2 | 1 |
| | | 12 | 7 | 2 | 4 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | 5 | 4 | 8 | | 7 | 3 | |
| 8 | | | 3 | | 1 | 2 | | 4 |
| | 9 | | 6 | 7 | 2 | 5 | 8 | |
| | | 9 | | 1 | 5 | | 2 | 8 |
| 2 | 8 | 7 | | 4 | | 1 | | 3 |
| | 1 | | 8 | 2 | 3 | 6 | 7 | |
| 6 | | 8 | 5 | | 7 | | 1 | 2 |
| | 3 | | 2 | | 8 | 9 | | 5 |
| 9 | 5 | 2 | | 3 | 4 | | 6 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | | 7 | | 4 | | 6 |
| 2 | | 4 | 9 | | | | | |
| | 6 | | | | 4 | | | 5 |
| 8 | | 1 | 6 | | | | 5 | |
| | | | 5 | | 8 | 1 | | |
| | | 2 | | 9 | | | | 8 |
| | 8 | | 2 | | 3 | 5 | | |
| 6 | | | | | | 8 | | 3 |
| | | 5 | | | 6 | | 1 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1.შუაზე გაყოფილი კვერცხის ფორმით დაიწყეთ კაცის თავის ხატვა



2. მიახატეთ კისერი და გაავლეთ სამი პარალელური ხაზი თანაბარი დაშორებებით




3. მონიშნეთ ყურების ადგილები და თვალების ადგილას ფანქრით ჩაწერეთ რიცხვები ხუთამდე, მიახატეთ საყელოც



4. შემდეგ მიახატეთ წარბები, თმა, თვალის ჭრილი და ცხვირი



5. მიახატეთ ტუჩები და ზედმეტი ხაზები წაშალეთ

6. მიახატეთ თვალები და სახის ნაკვთები





7. გააფერადეთ



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება





# იპოვე ნახატზე ფოტოები





# რა გზით უნდა იაროს კვატამ, რომ ყველა სოკო დაკრიფოს



# ბულბული

## (იგავ-არაკი)

ფანჯარასთან ბულბულის გალია ეკიდა. ღამურა მიფრინდა და ბულბულს ჰკითხა: დღისით რომ დუმხარ და ღამით გალობ, ეს რას ნიშნავსო.

– დღისით რომ ვიგალობე, დამატყვევეს. ამის შემდეგ კი ჭკუა ვისწავლე და ღამღამობით ვგალობო.

– ჭკუის კოლოფო, სანამ გალიაში ამოჰყოფდი თავს, მანამ უნდა გაფრთხილებულიყავი, თორემ ახლა გინდ გიმღერია და გინდ არაო, – უპასუხა ღამურამ.

გასაჭირში სინანული გვიანღა არისო, – ამბობს არაკი.

# რიცხვრებუსი

1,,, 0,,, 10,,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| ხილი / თევზის საჭერი | | საბრძოლო მანქანა / ჯავშნიანი ცხოველი | | |
| | | | | |
| | | | რიცხვი | |

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა**: **ხშირად გამიგია, რომ ძაღლს ყურებს გაავების მიზნით აჭრიან. მაინტერესებს, ეს მართალია თუ არა?**

**პასუხი**: ეს მართალი არ არის. საერთოდ, ევროპული სტანდარტებით, ყურის კუპირება აკრძალულია. თუმცა, თუ პატრონს მაინცდამაინც სურს, თავის ძაღლს ყურები დააჭრას, აკეთებს კიდეც, მაგრამ ეს არანაირად არ არის დაკავშირებული ძაღლის სიავესთან. ასე რომ, ამ მიზნით, ნუ გააკეთებთ ამას.

**კითხვა**: **ძაღლებს ფრჩხილები სწრაფად ეზრდებათ?**

**პასუხი**: გააჩნია რა შემთხვევაში. ძაღლები, რომლებიც ოთახის პირობებში ცხოვრობენ, მათ უფრო სწრაფად ეზრდებათ ფრჩხილები. არის შემთხვევა, როცა ფრჩხილების გადაგვარება ხდება, გააჩნია როგორ გაიზრდება. ძაღლები, რომლებიც ეზოს პირობებში არიან, ფრჩხილის დაჭრა არ სჭირდებათ, თვითონვე ეცვითებათ სეირნობის დროს.

**კითხვა**: **მაინტერესებს, როცა ძაღლი გვაბრაზებს თავისი ქცევით, შეიძლება თუ არა მისი დასჯა? თუ შეიძლება, როგორ?**

**პასუხი**: გააჩნია ძაღლის კატეგორიას და მის ფსიქიკას. ზოგი ძაღლი დასჯას, როგორც სირცხვილს ისე აღიქვამს და ემორჩილება პატრონის შემდგომ ბრძანებებს. ზოგი კი აგრესიასა და იერიშზე გადადის. აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, რომ ძაღლმა დატუქსვისას აგრესია არ გამოხატოს. რაც შეეხება ცხოველის ცემას, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ეს აუცილებლად გაითვალისწინეთ და არ დაივიწყოთ.

**კითხვა**: **მაინტერესებს, ძაღლებში ფიქსირდება თუ არა ონკოლოგიური დაავადებები და რა გამოვლინება აქვს ამ დაავადებას?**

**პასუხი**: სამწუხაროდ, ონკოლოგიური დაავადებები ძაღლებშიც ფიქსირდება, თან სხვადასხვა სახის, ისევე, როგორც ადამიანებში. დედალ ძაღლებში ძირითადად ძუძუს სიმსივნეა გავრცელებული, ხოლო მამლებში, შეიძლება სათესლე ჯირკვლის სიმსივნე ან კანის სიმსივნე დაფიქსირდეს და ასე შემდეგ. დიაგნოზი, თუ რა სახის სიმსივნესთან გვაქვს საქმე, იგივენაირად ისმევა როგორც ადამიანებში.

**კითხვა**: **შევამჩნიე, რომ ჩემს ძაღლს ბეწვის ცვენა დაეწყო. მაინტერესებს, რამდენად ნორმალურია ეს ამ პერიოდში?**

**პასუხი**: ბეწვის ცვენა შეიძლება იყოს ბუნებრივი, რომელიც წელიწადში ორჯერ ხდება, ასევე, – არასწორი კვებით, გადასუქებით, უხარისხო საკვებით გამოწვეული... ასე რომ, მსგავსი პრობლემის დროს აუცილებლად უნდა დაუკავშირდეთ ვეტერინარს, გაასინჯოთ ძაღლი და დათვალიერების შემდეგ სწორ დიაგნოზსაც შეიტყობთ: თუ რატომ სცვივა თქვენს ძაღლს ბეწვი და რასთან არის ეს დაკავშირებული.

**კითხვა**: **მყავს 7 თვის მინიატურული პუდელი, რომელიც ჯერ მხოლოდ ერთხელ გავკრიჭეთ. მაინტერესებს, რამდენ ხანში ერთხელ არის რეკომენდებული მისი გაკრეჭვა?**

**პასუხი**: ეს ინდივიდუალურია, რაც პატრონზეა დამოკიდებული. მაგალითად, თუ თქვენი პუდელი მოგწონთ მოგრძო ხუჭუჭი თმით, ამ შემთხვევაში შეიძლება 6 თვეში ერთხელ გაკრიჭოთ.



**რუბრიკას უძღვება ლექსო ამირანაშვილი**

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
>
> **ჯეიმს დუგლასი**

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ უპირატესობას დაბალ ბეწვს ანიჭებთ, მაშინ გაცილებით მოკლე პერიოდში გაკრიჭეთ. არსებობს სხვადასხვა ფორმის ვარცხნილობა – არის ბალანის როგორც მთლიანი აღება, რომელიც მხოლოდ ერთ სანტიმეტრზე რჩება, ასევე, საშუალო. ეს იმით განისაზღვრება, თუ როგორ ვარცხნილობას ანიჭებთ უპირატესობას თქვენი ძაღლისთვის.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



**რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე**

> **ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**
>
> **გოეთე**

**კითხვა**: **როგორ დავრგო ავოკადო?**

**პასუხი**: ავოკადო არის ტროპიკული მცენარე, რომელსაც დიდი ყურადღება და მოვლა სჭირდება. ამიტომ, თუ მას დათესავთ, ეცადეთ, რომ დიდხანს არ ამყოფოთ წყალში, რადგან, შესაძლოა, მისი თესლი მალე დალპეს. გირჩევთ, ავოკადოს თესლი წყალში ამყოფოთ 2-3 დღე და შემდეგ ჩათესოთ ნიადაგში. მას არ უყვარს უწყლობა, როცა აღმოცენების პირასაა, ასევე, არ დადგად ის მზიან ადგილას. გაითვალისწინეთ, რომ ავოკადოს არასდროს მისცეთ აზოტიანი სასუქები. როდესაც ის იქნება 4-5 ფოთლის ფაზაში, მაშინ გადარგეთ ფრთხილად, რომ ფესვები არ მოსწყდეს. ასევე, არასდროს შეაჭრათ ან არ მოაცალოთ ფოთლები. ასეთი ქმედებით, გამორიცხული არაა, რომ ის დაავადდეს. 2-4 თვიდან ავოკადო უკვე კარგი მოსავლელია, რადგან, ამ ასაკში იწყებს დამოუკიდებლად ცხოვრებას – ის განმარტოებით იზრდება და აღარ სჭირდება დიდი ყურადღება. ეს მცენარე საქართველოში ოთახის პირობებში ნაყოფს არ ისხამს, მაგრამ, სათბურებში შესაძლებელია, ნაყოფი გამოიღოს.

**კითხვა**: **როგორ გავზარდო პაო-პაო და რა ესაჭიროება მას?**

**პასუხი**: ეს მცენარე სუბტროპიკულია და მისი ძირითადი სამშობლო აზიის ქვეყნებია. ის არ საჭიროებს დიდ ყურადღებას და არ არის პრეტენზიული. პაო-პაოს ნაყოფი ძალიან მარგებელია. ის საკვებადვარგისია და მისგან აკეთებენ სალათებს. მცენარე არც ძალიან დიდი ზომის იზრდება და ამიტომ, მას რგავენ როგორც ქოთნებში, ისე ეზოებში. პაო-პაო ქოთანშიც კარგად გრძნობს თავს და მსხმოიარობაც კარგი აქვს. ყოველ ადრე გაზაფხულზე მიეცით მას დამატებითი საკვები. პაო-პაო კარგად იტანს ფორმირებასაც, ასე რომ, ის იოლი მოსავლელია და კარგი და გემრიელი ნაყოფიც აქვს, რომელიც ძალიან მდიდარია ვიტამინებით.

**კითხვა**: **ჩემმა ივან და მარიებმა საერთოდ მოიწყინეს. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი**: ეს მცენარე ორი სახისაა: ზამთრის და გაზაფხულის, რომელიც უძლებს სიცხეებს და ასეთ პირობებში კარგად გრძნობს თავს, მაგრამ, ზამთრის სიცივეს ვერ იტანს. ორივე სახეობას ერთნაირი მოვლა სჭირდება, ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ არ უნდა მიაწოდოთ არანაირი სასუქი. მცენარე არ გადარგოთ ხშირად და არ შეაცალოთ დაუყვავილებელი კოკრები, სანამ თვითონვე არ გახმება და არ მოძვრება. ეს ყვავილი თავისივე თესლით ამოდის და არ სჭირდება განსაკუთრებული მოვლა.

**კითხვა**: **ჩემს პალმას ფოთლები უხმება. როგორ გადავარჩინო?**

**პასუხი**: პალმა ტროპიკული მცენარეა და ის დიდ ყურადღებას მოითხოვს. მას არ უყვარს, როდესაც აქვს ტემპერატურის დიდი ცვალებადობა. როდესაც პალმას გადამეტებულად რწყავთ, ან, პირიქით საერთოდ არ მიეწოდება წყალი, ის აუცილებლად მოიწყენს. პალმა, ასევე, ცუდად გრძნობს თავს მაშინ, როცა მისი ნიადაგი არ არის გაჯერებული დამატებითი საკვები ნივთიერებებით. პალმას წელიწადში ორჯერ ესაჭიროება სასუქები. გარდა ამისა, გაითვალისწინეთ, რომ მცენარე ყოველ სამ წელიწადში ერთხელ უნდა გადაირგოს და მას სჭირდება მოზრდილი განიერი ქოთანი. თუ პალმას ფესვებში წყალი დააკლდა, მას გაუხმება ფოთლები ან ფოთლის ბოლოები. მისთვის, ასევე, აუცილებელია ცხელ დღეებში ზემოდან დანამვა. როცა ის ინტენსიურ ზრდაშია, ფოთლები უხმება და ნუ შეშინდებით – ეს ისე, ფოთლებს იცვლის. თუ პალმას ინტენსიურად უხმება ყველა ფოთოლი, ამოიღეთ ნიადაგიდან და დააკვირდით, ფესვის ბოლოები არ ჰქონდეს გაშავებული. თუ ასეა, გადაუჭერით გაშავებული ადგილები და დააყარეთ ნახშირი, რათა მოხდეს მცენარის განახლება. როდესაც ტემპერატურა დაეცემა პლუს 8-10 გრადუსამდე, ის შეიტანეთ თბილ ადგილას, რომ არ მოიყინოს.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

**მატილდა მიურატისა და ლევან მესროფაშვილის ოჯახში უკვე სამი უსაყვარლესი ბავშვი იზრდება, რომლებიც თავისუფლად საუბრობენ როგორც ქართულად, ისე ფრანგულად. ამ მშვენიერ ოჯახში დიდ ყურადღებას აქცევენ ორივე ქვეყნის მნიშვნელოვან და საინტერესო ტრადიციებს. უკვე დიდი ხანია, მატილდა ჯერ მუყაოსგან, ახლა კი უკვე ქაღალდებისგან და მავთულებისგან ამზადებს ეკოლოგიურად სუფთა, ძალიან ლამაზ სათამაშოებს, სხვადასხვა ნივთს, როგორც საკუთარი შვილებისთვის, ისე – გასაყიდად.**

# როგორ ყიდულობენ მატილდა მიურატის ხელნაკეთ ნივთებს საქართველოში უცხოელები და რატომ არ უნდა მას საფრანგეთში დაბრუნება

**მატილდა მიურატი**: მიყვარს ეს საქმე, ტექნიკა და რომ არ გავაკეთო, არ შემიძლია. ახლა მავთულებით დავიწყე სხვადასხვა ნივთის გაკეთება და ძალიან მომწონს; ქაღალდებისგანაც ხომ ვაკეთებ. ახალი გამოფენისთვის ვემზადები, სადაც გამოიფინება ქაღალდისგან დამზადებული ცხოველები, ასევე, მავთულის ნივთებიც. თითქმის ყველაფერს ვაკეთებ. იმ ტექნოლოგიით, რომელსაც მე ვიყენებ, საფრანგეთში ბევრი მუშაობს, საქართველოში კი ჯერ არ მინახავს. ამიტომაც, ვფიქრობ, საინტერესო იქნება. სახლში ხომ კიდებენ ცხოველების ფიტულების თავებს, ასეთებსაც ვაკეთებ, ოღონდ, ქაღალდებისგან. სხვადასხვა ზომის არის, მაგრამ, ალბათ, უფრო პატარებს გავაკეთებ. „შერატონში" ყოველ წელს ტარდება ახალი წლის ბაზრობა და იქ მაქვს ჩემი მაგიდა. კარგი გამოფენაა, ყოველთვის ბევრი ხალხია. გაზაფხულზეც ტარდება ისეთივე გამოფენა, ოღონდ „რედისონში" და იქაც მქონდა ჩემი მაგიდა. ბოლოს მავთულისა და ქაღალდის ნამუშევრები მქონდა გამოფენილი. ჩემი შვილები უკვე მეხმარებიან. პატარა, რომელიც ჯერ მხოლოდ 2 წლის არის, იღებს ქაღალდებს, წებოს უსვამს და აწებებს.

**ლევან მესროფაშვილი**: სამივე ბავშვი ჩართულია საქმეში, მე უშუალოდ სამუშაო პროცესს ვუყურებ. ამ ყველაფრით უფრო უცხოელები ინტერესდებიან. ეს ნამუშევრები ეკოლოგიურად სუფთაა, პლასტმასისგან, რეზინისგან განსხვავებით, არ იწვევს გარემოს დაბინძურებას. ევროპაში ამას დიდ ყურადღებას აქცევენ – ცდილობენ, ყველაფერი ეკოლოგიურად სუფთა იყოს და გარემო არ დააბინძუროს. ეს ერთგვარი აქციაც არის. ვნახოთ, მატილდა ამ საქმეს რამდენად სერიოზულად განავითარებს – ეს მისი არჩევანია, მაგრამ, ის ფაქტი, რომ თვითონ მოსწონს და ბავშვებსაც უხარიათ, უკვე ძალიან კარგია.

**– შენ არ ეხმარები მეუღლეს?**

– არ მაქვს მაგის დრო, სამაგიეროდ, ბავშვებს მუსიკაში და ენებში ვამეცადინებ. ინსტრუმენტალისტი ვარ, ბევრ ინსტრუმენტზე ვუკრავ, ვმღერი კიდეც. ადრე ჯგუფიც მქონდა, მაგრამ, განათლებას მივაქციე დიდი ყურადღება, ვუკრავდით: ჯაზ-როკს, ფანქს, ბლუზს, სოულს, რომელიც საქართველოში არ არის კომერციული; თან, დიდი ხანია, ბანკში ვმუშაობ და, ამიტომ, მუსიკის განხრით საკუთარ თავს ვერ ვხედავდი. თუმცა, ჩემი ყველაზე დიდი გატაცება მაინც მუსიკაა. სამივე ბავშვს აქვს მუსიკალური ნიჭი და, ვცდილობ, ამ კუთხით განვავითარო.

**მატილდა**: ძალიან მიყვარს სიმღერა. ბავშვები კარგად მღერიან, ლევანი ამეცადინებს. სახლში ყოველდღე ცოცხალი კონცერტები გვაქვს.

**ლევანი**: საღამოს ფარდებს ავწევთ ხოლმე, ზოგჯერ კარიც ღია გვაქვს და, მუსიკის ხმა რომ ისმის, ხალხს ბარი ჰგონია, ღამის კლუბი და შემოდიან ხოლმე.

**მატილდა**: სულ უფასო კონცერტები მაქვს, ცოცხალი შესრულებით. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მეუღლე მყავს. ფილარმონიაში წასვლაც აღარ გვჭირდება: ჩემი შვილები ხან ქართულად მღერიან, ხან – ფრანგულად. ორივე ენაზე თავისუფლად ლაპარაკობენ, მღერიან და ძალიან მიხარია.

**– ასეთ ახალგაზრდებს უკვე სამი შვილი გყავთ.**

– ახალგაზრდა უნდა იყო, რომ გაზარდო ბავშვები, რადგან, ამას ძალიან დიდი ენერგია უნდა. სულ მიკვირს, ამას როგორ ახერხებს ცოტა ასაკში შესული ხალხი, რომლებსაც პატარა ბავშვები ჰყავთ. რამდენიმე წელიწადში დიდები იქნებიან და ჩვენც გვექნება იმის დრო, რომ გავერთოთ.

**– ახერხებთ ცოლ-ქმარი სადმე ერთად წასვლას?**

**ლევანი**: როგორ არა, ჩვენთან, აგარაკზე. ზაფხულიდან ბავშვებთან ერთად ვაპირებთ ველოტურების მოწყობას – ბავშვებს უნდა შეუყვარდეთ ბუნება.



**ლევანი: „საღამოს ფარდებს ავწევთ ხოლმე, ზოგჯერ კარიც ღია გვაქვს და, მუსიკის ხმა რომ ისმის, ხალხს ბარი ჰგონია, ღამის კლუბი და შემოდიან ხოლმე"**

**მატილდა**: მთელი ჩემი ბავშვობა სულ ასეთ ტურებს მიწყობდა დედა – მივდიოდით ხოლმე ველოსიპედით. სპორტია და ძალიან კარგია. როდესაც საქართველოში ჩამოვედით ოჯახით, მშობლებთან ერთად განვაგრძობდით ჯანსაღი წესით ცხოვრებას. უბრალოდ, ველოსიპედებით ნაკლებად დავდიოდით, რადგან, დედას ეშინოდა, სამეგრელოში ცუდ გზებზე მანქანა არ დამჯახებოდა და ამიტომაც ამიკრძალა ველოსიპედით სიარული. ბავშვობიდან სულ მასწავლიდნენ ხელსაქმეს: ფარდებს, ტახტის გადასაფარებლებს მე ვკერავ ხოლმე დედასთან ერთად. ჩემი მშობლები მკაცრებიც იყვნენ, მაგრამ, ბევრი რამის უფლება მქონდა, არ ვიყავი შეზღუდული. ყველაზე კარგი პერიოდი, რაც კი დღემდე მახსოვს, ეს არის სამეგრელოში გატარებული წლები. დღეს, იმის გამო, რომ კომპიუტერია, ტელევიზორია, რა თქმა უნდა, აქედან ბევრ კარგ რამეს იგებ, მაგრამ, ბევრი რამ დაიკარგა. როცა ზუგდიდში ჩამოვედით, არც დენი იყო და არც საერთოდ არაფერი. სამაგიეროდ, მეგობრები ვიყავით ერთად, ხშირი კონტაქტი გვქონდა. ერთად ვთამაშობდით ფეხბურთს, კარტს, ახლოს ვიყავით ერთმანეთთან. დღეს ეს ყველაფერი იკარგება. ხშირად ვთამაშობდით ასეთ თამაშს: ვითომ კაფე გვქონდა, მშობლები მოდიოდნენ, ყავას ვუდუღებდით, ფულს ვახდევინებდით და მერე იმ ფულით ან სხვა რაღაცას ვაკეთებდით, ან კანფეტებს ვყიდულობდით – ჩვენი ბიზნესი გვქონდა. მაშინდელ მეგობრებთან დღემდე კარგი ურთიერთობა მაქვს. ყველაზე საინტერესო ის იყო, რასაც საფრანგეთში ვერ ნახავ: სხვადასხვა ასაკის ბავშვები ერთმანეთთან დაძმებივით ახლოს ვიყავით, დიდი ოჯახივით. არ ვნანობ, რომ ჩემმა მშობლებმა ჩამომიყვანეს ზუგდიდში, სადაც არ იყო არც შუქი, არც გაზი, არც წყალი და, საერთოდ არაფერი. ამ ყველაფრით ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. ალბათ, საფრანგეთში რომ დავრჩენილიყავი, არ ვიქნებოდი ისეთი ადამიანი, როგორიც ახლა ვარ. ვხედავდი, რა ხდებოდა სამეგრელოში, ბევრი ლტოლვილი ჩამოდიოდა. რადგან სახლ-კარი არ ჰქონდათ, ამიტომ, სკოლებში ცხოვრობდნენ და ორი-სამი თვე ვერ წავედით სკოლაში. დედაჩემს ჰქონდა საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომლის დახმარებით საფრანგეთიდან კონტეინერებით ჩამოდიოდა ტანსაცმელი, სხვა საჭირო ნივთები და მეგობრებთან ერთად ვარიგებდი; ვნახულობდი, ხალხი როგორ პირობებში ცხოვრობდა, რა ჰქონდათ გამოვლილი და ამან ჩემს პიროვნებაზე დიდად იმოქმედა.

**ლევანი**: მატილდას დღემდე არ უყვარს საკუთარი ვინაობის აფიშირება ბავშვებსაც ვუშლით ასეთ რაღაცეებს. ცოტა ხნის წინ სტუმრები გვყავდა, ჩემს სიმამრს მიმართავდნენ: „პრინც", „პრინც". უფროს ბიჭს გაუკვირდა, მოვიდა და მკითხა: პაპა პრინციაო? ავუხსენით, რაში იყო საქმე. რამდენიმე კვირის წინ ნაპოლეონის ნივთების გამოფენა იყო და ჩვენ მთელი ოჯახით მიგვიწვიეს, რადგან, მიურატების ნივთებიც იყო გამოფენილი. ტელევიზორშიც იყო და ბავშვებმა გაიგეს. დემეტრე ცოტათი აღიქვამს ყველაფერს. თინათინსაც, ზოგჯერ, სკოლაში რომ ეტყვიან, მასწავლებლები – ლამაზი პრინცესა ხარო, ის პასუხობს: ნუ მეძახით ასე, მამიკო მიშლისო.

**მატილდა**: მეც არ მიყვარს ასეთი რაღაცეები, მაგრამ, ბავშვებმა უნდა იცოდნენ ყველაფერი, დროთა განმავლობაში გაიგებენ. მე ყოველთვის ყველას ვეუბნებოდი, რომ სახელით მოემართათ, თუმცა, ჩემს მშობლებს უნდოდათ, რომ „პრინცესა" დაეძახათ.

**ლევანი**: ყველა მიურატი ძალიან უბრალო ადამიანია, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სასახლეში ცხოვრობს და მიმტანები, მძღოლები, მზარეულები ჰყავთ.

**მატილდა**: ჩვენს ოჯახებში ყოველთვის ასწავლიან, რომ არავინ განასხვავონ ერთმანეთისგან – ყველა ადამიანი თანასწორია. ჩვენ, ნათესავებს, ოჯახში ასეთი ტრადიცია გვაქვს: ყოველ წელს შვილებს ეუბნებიან: რა სათამაშოც არ გინდათ (ოღონდ, გაფუჭებული არ უნდა იყოს), შეავაგროვოთ, „წითელ ჯვარში" მივიტანოთ და სხვა ბავშვებს ვაჩუქოთო. პატარაობიდანვე უნდა მიხვდნენ, რომ სხვა ბავშვებს ეს ყველაფერი არ აქვთ და მათაც სჭირდებათ, უნდათ.

**ლევანი**: მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ვარ, ტრადიციულ, ღვინის ტექნოლოგების ოჯახში გაზრდილი, თუ ოფიციალური მიზეზი არ გვქონდა, შუადღეს ღვინოს არასდროს ვსვამდით, შეიძლება, საღამოს დაგველია. მიურატების ოჯახში კი მიღებულია, შუადღის სადილზე ორი-სამი ჭიქა საუკეთესო ღვინო ისმევა. რაც ამათი სიძე გავხდი, მეც მივეჩვიე ამ ტრადიციას.

> **მატილდა: „ის ტექნოლოგია, რომელსაც მე ვიყენებ, საფრანგეთში ბევრმა იცის, საქართველოში კი ჯერ არ მინახავს. ამიტომაც, ვფიქრობ, საინტერესო იქნება"**

**– არასდროს გიფიქრიათ საცხოვრებლად საფრანგეთში გადასვლაზე?**

**მატილდა**: არც ერთი წუთით არ მიფიქრია. აქ მყავს მეგობრები, ოჯახი, აქ ვარ გაზრდილი და, მიმაჩნია, რომ ქართველი ვარ, და არა ფრანგი. თან, იმ დონეზე ქართველად მივიჩნევ თავს, რომ ქართულად მესიზმრება. მახსოვს, პირველად რომ ვნახე სიზმარი ქართულად, იმ დროს ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ მეგულებოდა. ქართულად უფრო ხშირად ვსაუბრობ და უფრო მომწონს ქართულად ლაპარაკი. ნამდვილად, უფრო მეტად ქართველი ვარ, ვიდრე ფრანგი.

**ნათია უტიაშვილი**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28(550)-14(640)

– ოპერაციის წარმატებით განხორციელებას გილოცავთ, კოკი, – მითხრა შჩუკინმა, როდესაც რეიკიავიკიდან დავბრუნდი და მუხინმა მასთან მიმიყვანა.

– ვემსახურები საბჭოთა კავშირს! – გამოვეჯგიმე ვიქტორ იაკოვლევიჩს, მან კი მითხრა:

– ჰოდა, ბრწყინვალე სამსახურისთვის წითელი ვარსკვლავის ორდენით ჯილდოვდები, – ვიქტორ იაკოვლევიჩმა საკუთარი ხელით დამაბნია ორდენი მკერდზე (რომელიც ოთახიდან გამოსვლისთანავე მოვიხსენი) და დაამატა – ამ რანგის ადამიანს რომ ასე შევხებოდეთ, ჯერ არ ყოფილა და შენ პირველი მერცხალი ხარ.

სიმართლე რომ ვთქვა, რეიკიავიკული ოპერაციის წარმატებაში ლომის წილი ნეპმანს მიუძღვის, თუმცა, მეც ბევრი ვიშრომე. ამ სპეცოპერაციამ „კაგებე“ ახალ ეტაპზე გადაიყვანა და შემდეგ მართლაც მაღალ, მანამდე არნახულ დონეებზე გავდიოდით. ჩემი სიტყვები იმ პერიოდს ეხება, როდესაც მიკროელექტრონიკის სუპერტექნოლოგიები ჯერ კიდევ არ იყო დანერგილი სპეცსამსახურების პრაქტიკაში და სპეცოპერაციების ჩატარება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ნიჭსა და მახვილგონიერებაზე იყო დამოკიდებული. ამ კომპონენტში კი ჩვენს უპირველეს მეტოქეს – „ცეერუს“, აშკარად ვჯობნიდით.

საბჭოთა კავშირი რამდენიმე წლის დაშლილი იყო, როდესაც შჩუკინს სოჭში შევხვდი. საუბრის დროს მან თქვა:

– მტკნარი სიცრუე და სისულელეა ის, რასაც ახლა საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზად ასახელებენ.

– რა მიზეზზე საუბრობთ ვიქტორ იაკოვლევიჩ, რას გულისხმობთ?

– რას და, რომ წერენ და ტელევიზორში წამდაუწუმ გაჰკივიან, საბჭოეთი იმიტომ დაიშალა, რომ „კაგებემ“ ვერ ივარგა და მას „ცეერუმ“ აჯობაო. ვინ-ვინ და, მე ხომ კარგად ვიცი, რომ „ცეერუს“ ყველა კომპონენტში ვჯობნიდით. თვით ისეთ რამეშიც კი, რაც ამერიკელების უდიდეს მიღწევად ითვლება – თანამედროვე ელექტრონულ ტექნოლოგიებს ვგულისხმობ, – შჩუკინმა პაუზა გააკეთა, ღრმად ამოისუნთქა და განაგრძო, – ადამიანური რესურსები და გამოცდილება მათზე მეტი გვქონდა, ფულიც მათზე მეტი თუ არა, არანაკლები. მოკლედ, არაფრით ჩამოვუვარდებოდით, საბჭოთა კავშირი კი მაინც დაიშალა. ხშირად ვფიქრობ ამაზე, ყველაფერს ღრმად ვაანალიზებ, მაგრამ, მიზეზს მაინც ვერ ვპოულობ. მოკლედ რომ ვთქვა, ეს საკითხი ჩემთვის ამოუცნობი ფენომენია და სწორი პასუხი ამ კითხვაზე არ მაქვს.

– ამ კითხვას ყველაზე სწორ პასუხს ისტორია გასცემს, ისტორიას კი დრო სჭირდება და, როდესაც ეს დრო დადგება, სწორ პასუხსაც მაშინ მივიღებთ, – ვუთხარი შჩუკინს, რაზეც მან მიპასუხა:

– კი ბატონო, ვაცადოთ ისტორიას, მაგრამ, ჩვენი საქმე ვერ მოიცდის. ამიტომ, მოდი, საქმეზე გადავიდეთ.

– გადავიდეთ. მთელი გულისყურით გისმენთ, ვიქტორ იაკოვლევიჩ.

მე და შჩუკინი სასტუმრო „მოსკვას“ რესტორანში ვისხედით. მან მაგიდაზე შავ-თეთრი ფოტო დადო, რომელზეც ორმოციოდე წლის ქალი იყო აღბეჭდილი და მითხრა:

– ეს ალისა კოხია. „შტაზის“ ყოფილი თანამშრომელი. მიუხედავად იმისა, რომ სადისტია, საკმაოდ მაღალი ინტელექტითა და პროფესიონალიზმით გამოირჩევა. თანაც, როგორც ხედავ, საკმაოდ მომხიბვლელი გარეგნობა აქვს, ეს კი მას ორჯერ უფრო საშიშს ხდის.

– თქვენ ისე დამიხასიათეთ ეს კოხი, რომ სუპერმენი მამაკაცი მგონია, – ხუმრობით ვუთხარი შჩუკინს, მან კი სრული სერიოზულობით მომიგო:

– ეს ასეცაა, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ის არა სუპერმენი, არამედ, სუპერვუმენია.

– და მე რა უნდა გავაკეთო?

– ასე ნუღარ მელაპარაკები. ნუ გავიწყდება, რომ საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს. მე შენი უფროსი აღარ ვარ და შესაბამისად, ოფიციალურად ვეღარც დავალებებს მოგცემ. თუ რამე დამჭირდება, ან დახმარება უნდა გთხოვო, ან ფული უნდა გადაგიხადო.



– ამხანაგო გენერალო, ამდენი სიტყვა რატომ დახარჯეთ? – სიცილით ვკითხე შჩუკინს, – ქვეყანა კი დაიშალა, მაგრამ, ჩვენი ურთიერთობები ხომ დარჩა? ამიტომ, ყოველგვარი შესავლის გარეშე, პირდაპირ მითხარით, რა უნდა გავაკეთო?

– ალისა კოხი უნდა მოიტაცო და ათქმევინო, სად გადამალა ორმოცდაათი მილიონი დოლარის ღირებულების ასი ცალი ბრილიანტი, რომელიც „შტაზს“ „კაგებესთვის“ უნდა გადაეცა გერმანიის გაერთიანებამდე ორი კვირით ადრე, მაგრამ, ეს არ გააკეთა. ძვირფასი ქვები სწორედ ალისა კოხს ჰქონდა ჩაბარებული და გადმოცემის ოპერაციასაც სწორედ ის კურირებდა. თუმცა, ეს ქალი მოულოდნელად გაუჩინარდა და მის კვალს ვერსად მივაგენით. შემდეგ ჩვენც დავიშალეთ და კოხისთვის აღარავის სცხელოდა. ახლა კი ეს ქალი იაპონიაში გამოჩნდა – ის ტოკიოში ცხოვრობს, სადაც სილამაზის სალონი აქვს გახსნილი. თუკი შენ თანახმა იქნები, მაშინ, ტოკიოში უნდა გაემგზავრო, კოხს ინფორმაცია გამობერტყო, ძვირფასი ქვები დააბრუნებინო და გასამრჯელოდ მათი ღირებულების ერთი პროცენტი მიიღო, რაც 500 ათასი დოლარია.

– ხუთასი ათასი დოლარი ბევრი ხომ არ არის ასეთი იოლი საქმისთვის? – ვკითხე შჩუკინს, მან კი მითხრა:

– ჯერ ერთი, ეს საქმე სულაც არაა ადვილი შესასრულებელი. მერე კიდევ, განა არ ღირს ნახევარი მილიონის გადახდა, როცა ორმოცდაათ მილიონს გიბრუნებენ?

– თანახმა ვარ, – ვუთხარი შჩუკინს. სამი დღის შემდეგ კი, გრიმით გარეგნობაშეცვლილი და გერმანელი ბიზნესმენის საბუთებით, გერმანიის ქალაქ ფრანკფურტიდან იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გადავფრინდი, სასტუმროში დავბინავდი და ალისა კოხის სალონის საძებნელად გავემართე.

სალონს ადვილად მივაგენი. მისი მეპატრონეც მალევე, საკმაოდ ახლოს გავიცანი და, როგორც თანამემამულემ – თანამემამულე, თევზის რესტორანში დავპატიჟე სუშის საჭმელად.

– ამ სიშორეზე რა ქარმა გადმოგაგდოთ, ფრაუ გრეტა? – ვკითხე ალისა კოხს, რომელიც გრეტა მიულერად გამეცნო.

– თავგადასავლების სიყვარულმა და აღმოსავლეთის იდუმალებაში ჩაწვდომის სურვილმა, – მომიგო ქალმა და მკითხა:

– თქვენ?

– სუფთა კომერციულმა კონკრეტიკამ, – ვუთხარი კოხს, – მე სამოდელო ბიზნესი მაქვს და ევროპაში ტანწერწეტა აზიელი ქალების ჩაყვანა და ფუროორის მოხდენა მაქვს განზრახული. ჯერ აქ, იაპონიაში მოვიძიებ ჩემთვის სასურველ ქალებს, შემდეგ კი კორეაში, ჩინეთსა და ვიეტნამში ვაპირებ გამგზავრებას. რას იტყვით, როგორი იდეაა, გაამართლებს?

– ვფიქრობ, რომ კი, – სასიამოვნოდ გამიღიმა კოხმა, თან ლიქიორი მოსვა, ჭიქა მაგიდაზე დადგა და თევზის დაჭრას შეუდგა.

ლიქიორში დასაძინებელი ფხვნილი შეუმჩნევლად შევურიე და ისეთი დოზა ჩავყარე, რომელსაც ერთი საათის შემდეგ უნდა ემოქმედა. ჩემი გამოთვლით, კოხს ჩემს მანქანაში უნდა ჩასძინებოდა, როცა ჩვენ რესტორნიდან გამოვიდოდით, კონსპირაციულ ბინაში წავიყვანდი. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ვვარაუდობდი. თევზის რესტორანში ორმოცდაათიო-

დე წუთი დავყავით. რომ გამოვედით და მანქანისკენ მივემართებოდით, კოხმა მითხრა:

– ცოტა მოვდუნდი. თუ შეიძლება, უკანა სავარძელზე მოვთავსდები და ცოტას წავთვლემ.

„ბრომმა იმოქმედა და გეძინება“... – გავიფიქრე გუნებაში, ქალს კი ვუთხარი:

– რა თქმა უნდა, დაბრძანდით.

კოხი უკანა სავარძელზე დავსვი და მას იქვე ჩაეძინა. მე საჭეს მივუჯექი, მანქანა ადგილიდან დავძარი და კონსპირაციული ბინისკენ ავიღე გეზი. მაგრამ, ხუთასიოდე მეტრი რომ გავიარეთ, ალისამ კეფაზე მაყუჩიანი პისტოლეტი მომადო და ცივი ხმით მითხრა:

– არ გაგიმართლა, შენმა ბრომმა ვერაფერი დამაკლო. მე ამ ნივთიერების წინააღმდეგ იმუნიტეტი მაქვს გამომუშავებული და არ მაძინებს.

– რას ბრძანებთ, ფრაუ გრეტა, რაღაც გეშლებათ!

– მშვენივრად იცი, რომ გრეტა არ მქვია და თავს ნუ იკატუნებ. მითხარი, ვინ ხარ და ჩემგან რა გინდა, თორემ, ტვინს გაგასხმევინებ!

– ფრაუ გრეტა, აშკარად ვიღაცაში გეშლებით.

– ბრიყვო! ხომ გითხარი, ხუმრობა არ მიყვარს-მეთქი! „შტაზის“ საუკეთესო აგენტი ვიყავი და კაცებიც ვერ მიტოლდებოდნენ. ჩქარა, მითხარი, ვინ ხარ და ჩემგან რა გინდა, თორემ, აქვე მოგკლავ!

– ფრაუ გრეტა! – ვთქვი მე, მან კი პისტოლეტი უფრო მომაჭირა კეფაზე და მკითხა:

– შტაზელი ხარ?

კოხს ეტყობოდა, რომ სასხლეტისთვის თითის გამოკვრამდე ცოტაღა აკლდა, ამიტომ, სასწრაფო ზომები უნდა მიმეღო. მე მას ორი ელვისებური მოძრაობით მარჯვენა ხელის მტევანი მოვტეხე, პისტოლეტი ავართვი და ისეთი ვთხლიშე ყბაში, რომ იქვე გავთიშე. შემდეგ ხელბორკილები გავუკეთე, მანქანის უკანა სავარძლის ქვეშ ჩავაგდე და, სანამ გონს მოვიდოდა, კონსპირაციულ ბინაში მივიყვანე. მანქანა პირდაპირ სარდაფში შევაყენე, გამოფხიზლებულ კოხს, რომ არ ეყვირა, პირში ჩოგბურთის ბურთი ჩავჩარე, მერე მანქანიდან გადმოვათრიე, მოტეხილი მაჯით ძელზე დავკიდე და ვუთხარი:

– „კაგებედან“ ვარ და მაინტერესებს, სად წაიღე ჩვენი კუთვნილი ასი ცალი ბრილიანტი?

– კოხს ეტყობოდა, ჯოჯოხეთურ ტკივილს განიცდიდა და, რომ არა ჩოგბურთის ბურთი, მისი ყმუილი ცას მისწვდებოდა. ის თვალებით თავის სხეულზე მანიშნებდა, თან გველივით იკლაკნებოდა. მე მას კაბა შემოვახიე და წელზე შემორტყმული ასი ბრილიანტის თვალი დავინახე, რომლებიც ჯადოსნურად აციმციმდა... როგორც ჩანს, ალისა კოხი ყოველთვის თან ატარებდა გატაცებულ ბრილიანტებს და წამით არ იშორებდა მათ სხეულიდან. ამჯერად კი ის არა მარტო ძვირფას თვლებს, არამედ, საკუთარ სიცოცხლესაც უნდა შელეოდა. მე ჯერ ქვები მოვხსენი მას წელიდან და სპეციალურ ტომარაში მოვათავსე. შემდეგ, მისივე მაყუჩიანი პისტოლეტით კეფა გავუხვრიტე, რითაც წერტილი დავუსვი მის ტანჯვა-წამებას და იმავე საღამოს რუსული ტანკერით ჯერ ვლადივოსტოკში გავემგზავრე, იქიდან კი მოსკოვში ჩავედი და შჩუკინს ასივე ბრილიანტი უკლებლივ მივუტანე.

– ფულს ანგარიშზე ისურვებ თუ ნაღდის გადახდა გირჩევნია? მკითხა ვიქტორ იაკოვლევიჩმა, როდესაც ბრილიანტები ჩაიბარა.

– ანგარიშზე ჯობია. არ ღირს ამდენი ფულით ასე შორს სიარული, – ნახევრად ხუმრობით მივუგე შჩუკინს, რომელმაც ღიმილით მითხრა:

– ორმოცდაათმილიონიანი თვლები ტოკიოდან მოსკოვში ჩამომიტანე და ნახევარი მილიონი დოლარის ჩატანა გიჭირს მოსკოვიდან თბილისში?

– ორჯერ რატომ გავრისკო, რა იცით, რა ხდება? ასე უფრო საიმედოა.



– კეთილი, ასე იყოს. თანხა დღესვე დაჯდება ანგარიშზე. აბა, ნახვამდის, – მითხრა შჩუკინმა და წავიდა. მე კი ჯერ აეროპორტში გავემგზავრე, იქიდან კი თბილისში დავბრუნდი. მთელი გზა ტოკიოდან წამოღებულ ბრილიანტებზე ვფიქრობდი, რომლებიც „შტაზის“ სუპერვუმენმა „კაგებეს“ გასტაცა, თუმცა, მაინც არ შეარჩინეს...

– იცოდე, კოკი, „კაგებეს“ კუთვნილი ნებისმიერი ნივთი მის გამტაცებელს არ შერჩება, ამიტომ, არასდროს ეცადო უწყების გაძარცვა, – მასწავლიდნენ კოჯრის სპეცსკოლაში. თუმცა, ასეთი შეგონება ნამდვილად არ მჭირდებოდა, რადგან, ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული მქონდა, რომ ასეთი „ვირთხული საქციელი“ დამღუპველი იყო, მე კი დაღუპვას არ ვაპირებდი.

ხშირ შემთხვევაში ადამიანის დაღუპვის მიზეზი სიხარბეა, ანუ, ის, რომ უმეტესობა ცდუნებას ვერ უძლებს და ამით სხვასაც წირავს და საკუთარ თავსაც. ცდუნება, იგივე „ყვითელი ეშმაკი“, ზოგჯერ გაწონასწორებულ, პატიოსან ადამიანსაც უბინდავს გონებას, რომ აღარაფერი ვთქვათ ბუნებით ხარბებსა და ხელიდან წასულებზე.

– გახსოვდეს შვილო, ფულმა, ოქრო-ვერცხლმა და ბრჭყვიალა ქვებმა თვალი არასოდეს მოგჭრას და სული არ წაგიწყმიდოს, – ხშირად მიმეორებდა ხოლმე დედაჩემი.

მიუხედავად იმისა, რომ დედმამის გარდაცვალებიდან მრავალი ათეული წელი გავიდა, გუშინდელ დღესავით ნათლად მახსოვს ისინი და მათ საფლავზე ხშირად მივდივარ, საკუთარი ხელით ვასუფთავებ, ვუვლი და როგორი საოცარიც არ უნდა იყოს, იქ დღემდე მდუღარე ცრემლებს ვღვრი. ბევრს, ჩემი ცრემლი, ალბათ, სიბერის ნიშანი ეგონება და ეცინება, მაგრამ, სიბერე აქ არაფერ შუაშია. ჯერ ერთი, სულაც არ მიმაჩნია თავი ბებრად და ბევრ ჩემზე ორჯერ ახალგაზრდას დასტა-დასტად ამოვიდებ იღლიაში. მე ყოველთვის ასეთ დღეში ვვარდები დედ-მამისა და მერიკოს საფლავებზე და ასეთი რამ სულაც არ მიმაჩნია სისუსტედ. ასე იყო მაშინ, როცა თვრამეტი წლის ვიყავი, ასეა დღესაც და ასე იქნება მანამ, სანამ სული მედგება და ჩემთვის ძვირფასი ადამიანების საფლავზე მისვლა შემეძლება. ეს კი, ჩემი ღრმა რწმენით, კიდევ დიდხანს გაგრძელდება და სიყვარული შემაძლებინებს.

სიყვარული სისუსტეაო, რომ ამბობენ, აბსოლუტურად არ ვეთანხმები ამ აზრს და, მიმაჩნია, რომ, პირიქით, სიყვარული ის ძალაა, რომელიც შეუძლებელს შეგაძლებინებს და საკუთარ თავზე აგამაღლებს. სისუსტე კი მრუშობაა და ვინც სიყვარულს სისუსტეს უწოდებს, ის, უბრალოდ, ცნებებს ერთმანეთში ურევს...

ჯერ კიდევ სპეცსკოლაში მასწავლეს, რომ ყველაზე ადვილი მოსახელთებელი, „ყურებით დასაჭერი“ ადამიანები არიან არატრადიციული სექსის მიმდევრები და მრუშები. სწორედ ამიტომაა, რომ გადმობირებულ მოღალატეთა ნახევარზე მეტი ან მექალთანე და მეძავია, ან გეი და ლესბოსელი. მე არაერთხელ მქონია საქმე



ერდო ჯგუფი
-ლექტორი ბებიის დანატოვარ
5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში,
ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს
ნორმალური სამუშაო და თან ...
-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს
ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში,
მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს
კარგი სამსახური
და თან ...
მაკლერი:
-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ...
გადაგვიხადეთ 6%.
3 გამყიდველის და
3 მყიდველის მხრიდან.
მარიკა 599 24 28 31

ამ კატეგორიის ადამიანებთან და მათი გადმობირების თუ გამოყენების მცდელობა ყოველთვის წარმატებით დასრულებულა. ერთხელ შჩუკინმა კაბინეტში დამიბარა და მითხრა:

– მოემზადე, ზეგ ვაშინგტონში მიფრინავ!

– ვაშინგტონში რა უნდა გავაკეთო? – ვკითხე შჩუკინს, მან კი, ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა, სიმპათიური კაცის რამდენიმე ფოტო მაჩვენა (სხვათა შორის, ეს კაცი დღეს ცნობილი პოლიტიკოსია) და მითხრა:

– აი, ამის სეიფს შენი გასაღები უნდა მოარგო და საიდუმლო დოკუმენტების ფოტოასლები წამოიღო. მას სახელმწიფო დეპარტამენტში საკმაოდ მაღალი თანამდებობა უჭირავს და საიდუმლო ქაღალდებთან მუშაობის, ეგრეთ წოდებული „უმაღლესი დაშვება" აქვს.

ფოტოები ყურადღებით დავათვალიერე და ვიქტორ იაკოვლევიჩს ხუმრობით ვუთხარი:

– სიმპათიურია. ლამაზი ქალი რომ ვიყო, ამ დავალების შესრულება ბევრად გამიადვილდებოდა.

შჩუკინს ჩაეცინა და მომიგო:

– არადა, მას ლამაზი კაცები იტაცებს.

ვიქტორ იაკოვლევიჩის სიტყვებზე ოფლმა დამასხა და ვკითხე:

– რა ბრძანეთ?!

– ნუ გიკვირს. ჰომოსექსუალიზმი კაპიტალისტებში ახლა ძალიან მოდაშია. მათი მხარდამჭერი ლიგაც კი შექმნეს, რაღაც პროფკავშირების მსგავსი და ისინი საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე ინიშნებიან.

შჩუკინის პასუხით წყობიდან გამოვედი და ვუთხარი:

– ამხანაგო გენერალო, ქალებთან კიდევ ჰო, მაგრამ, ბოდიში და, მეტრაკესთან ნამდვილად ვერ გავაბამ რომანს.

– კოკი, ჩემო კარგო, შენ არც არავინ გავალდებულებს მასთან ჟიმაობას, შენი მომზადების პატრონს, იმედია, არ გაგიჭირდება სწორი გზის მოძებნა. მსუბუქი ფლირტი და – ის უკვე ტომარაში გეყოლება.

„პედერასტებიღა მაკლდნენ"... – გავიფიქრე გუნებაში, ხმამაღლა კი ვუთხარი:

– მოვიფიქრებ რამეს. ნება მიბოძეთ, წავიდე!

– წადი. აბა, შენ იცი.

შჩუკინის კაბინეტიდან გულდამძიმებული გამოვედი, რადგან, ცხოვრებაში პირველად უნდა მომეხიბლა პედერასტი და ამის გაკეთების არანაირი სურვილი არ მქონდა.

ბობი გუდვილი (პირობითად ასე მოვიხსენიოთ), მაშინ ჯერ კიდევ დამწყები პოლიტიკოსი, ხშირად დადიოდა ნახევრად ლეგალურ გეიბარში, სახელწოდებით „ცისფერი რაინდი" და ჩვენი გაცნობაც სწორედ იქ მოხდა. მე კლასიკურად ვიყავი გამოწყობილი – სმოკინგი მეცვა. ბობმა რომ შემნიშნა, ვიღაც მოკლეიუბკიანი აყლაყუდა „მეჩალიჩებოდა", ის საკმაოდ უხეშად გააგდო, ბარის დახლთან გვერდით მომიჯდა და მითხრა:

– ვერ ვიტან აბეზარ გოგონებს. ბანჯგვლიან ფეხებზე კაბას ამოიცვამენ, ფერუმარილს წაითხაპნიან ძვლიან სახეზე, თავი პირველი ლამაზმანი ჰგონიათ და, ფიქრობენ, რომ ისეთ მშვენიერებას უნდა შეუჩნდნენ, როგორიც შენ ხარ. რა გქვია, ჩემო სიცოცხლე?

გულის არევამდე ცოტა დამაკლდა, მაგრამ, თავს ძალა დავატანე, გუდვილს „მომხიბვლელად" გავუღიმე და ვუთხარი:

– ცისფერი რაინდი.

ბობი გუდვილმა მამათმავლის მიბნედილი მზერა მომაპყრო და მითხრა:

– ძალიან იდუმალი, მამაკაცური ხარ, ჩემო რაინდო. ნება მიბოძე, შამპანურზე დაგპატიჟო!

„შამპანური მართლაც რომ საუკეთესო ჰქონიათ. შეხედე ამ პედერასტებს, რა გემოვნება ჰქონიათ!" – გავიფიქრე გუნებაში, გუდვილს კი ვუთხარი:

– თქვენ გაგიმარჯოთ!

– თქვენობით ნუ მელაპარაკები, ჩემო ცისფერო რაინდო, უბრალოდ, ბობი დამიძახე, – მითხრა მოხიბლულმა და ჩემზე თხემით ტერფამდე შეყვარებულმა გუდვილმა, – მშვენიერი საღამოა და ჩემთან, სახლში ხომ არ გადავინაცვლოთ?

– რატომაც არა, – მივუგე გუდვილს და, მას მერე, რაც მან ფული გადაიხადა, „ცისფერი რაინდი" დავტოვეთ.

ბობი გუდვილს ერთი კვირა ვხვდებოდი, მაგრამ, ახლოს არ ვიკარებდი და ჩვენი „პლატონური სიყვარული" იმით დასრულდა, რომ მას საკუთარ საძინებელში ჩაეძინა, მე კი მის სეიფს გასაღები მოვარგე, საიდუმლო საბუთებს ფოტოები გადავუღე და წამოსვლის წინ ბარათი დავუტოვე, რომელშიც ეწერა: „ჩემო ძვირფასო და ერთგულო, შენი საიდუმლო სეიფის საიდუმლო შიგთავსი ჯიბეში მიდევს, მე კი უკვე ძალიან შორს ვარ. ნუ ინერვიულებ, მე თუ არა, ჩემი მეგობრები მოგაკითხავენ და მათაც ისევე ნაზად შეხვდი, როგორც მე. არ გაბედო ლაყბობა – ეს შენს ინტერესებშია. წერილი კი გაანადგურე. შენი ცისფერი რაინდი". გუდვილს ექვსი თვის მერე მიაკითხეს „კაგებეს" თანამშრომლებმა, მანამდე კი ყურადღებით აკვირდებოდნენ მას და, რომ დარწმუნდნენ, გაშიფრული არ იყო, მხოლოდ ამის მერე შედგა კონტაქტი... კონტაქტი მასთან სქესობრივადაც შედგა – „კაგებეს" სპეციალურად ამ საქმისთვის გაწვრთნილმა თანამშრომელმა მას უკულმართი მოთხოვნილებები დაუკმაყოფილა... გუდვილი დღესდღეობით, ალბათ, რუსეთის საგარეო დაზვერვის ძვირფასი ინფორმატორია და ეს ჩემი და „კაგებეს" დამსახურებაა... საერთოდ, თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ დღევანდელი რუსეთის გადმობირებულ აგენტთა 90 პროცენტზე მეტი „კაგებეს" ნამუშევარია და მთელი მსოფლიო ჩვენი სადაზვერვო ქსელითაა მოფენილი. ამ ქსელის შექმნა ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოციან წლებში დაიწყო ფელიქს ძერჟინსკიმ, ლავრენტი ბერიამ კი ახალ, მანამდე არნახულ სიმაღლეზე აიყვანა. ერთხელ, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის დროს შჩუკინმა მითხრა:



– ბერია დიადი მზვერავი და, საერთოდ, ნამდვილი გენიოსი იყო.

ჩვენი საუბარი მდინარის პირას, პოდმოსკოვიეში, მოწმეების გარეშე გაიმართა, სადაც სათევზაოდ ვიყავით ჩასულები, მაგრამ, ვიქტორ იაკოვლევიჩს მაინც თავშეკავებულად მივუგე:

– ამხანაგო გენერალო, ოფიციალური სამთავრობო აზრი ბერიას შესახებ რადიკალურად საწინააღმდეგოა.

– ეს აზრი ხრუშჩოვმა დაამკვიდრა, ის კი აბსოლუტური იდიოტი იყო.

– ხრუშჩოვი, დავუშვათ, იყო იდიოტი და გადააყენეს, მაგრამ, ახლანდელები?

– რა ახლანდელები? – თავი გააქნია შჩუკინმა, – მთელ პოლიტბიუროში ანდროპოვი ლამის ერთადერთია ვინც სახელმწიფოებრივად აზროვნებს. დანარჩენები კი მცონარები არიან და საქმეს ვერ უძლვებიან. ახალი სტალინი თუ არა, ახალი ბერია მაინც გვჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანგლოსაქსები გვაჯობებენ და კარგი დღე არ დაგვადგება.

– ანგლოსაქსებში ვის გულისხმობთ?

– შეერთებულ შტატებსა და ბრიტანეთს. ისინი ერთი მედლის ორი მხარეა – ერთ საქმეს აკეთებენ. გარწმუნებ, ძლევამოსილი „ცეერუ" მხოლოდ და მხოლოდ ბრიტანული დაზვერვა „მი 6-ის" ფილიალია და მისი მითითებებით მოქმედებს. ანუ, „ცეერუს" მოქმედებები ბრიტანეთის პოლიტიკურ ინტერესებზეა აგებული და ეს ინტერესი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის დანაწევრებაა, ამ შემთხვევაში – საბჭოეთის...

– ვერ შეძლებენ. ბოლო-ბოლო, ჩვენი ატომური სიძლიერის შეეშინდებათ.

– მართალი ხარ, ჩვენი თერმობირთვული პოტენციალია ერთადერთი შემაკავებელი ფაქტორი, მაგრამ, კრეტინი მმართველის ხელში, ამ ძალის მთლიანად მოსპობა თუ არა, მნიშვნელოვნად შესუსტება მაინცაა შესაძლებელი.

– ეგ როგორ?

– როგორ და, დიპლომატიური გზით. განა ტყუილად ლაპარაკობენ ამერიკელი დიპლომატები მშვიდობიან თანაარსებობასა და ბირთვულ-სარაკეტო შეიარაღების შემცირებაზე! საკმარისია, საბჭოთა სტრატეგიული შეიარაღება ევროპიდან გამოვიდეს, რომ იმავე წამს ანტისაბჭოთა ბლოკი შეიქმნება და მათ ადგილს უკვე „ნატოს" ბირთვული რაკეტები დაიკავებენ, რომლებიც საბჭოთა კავშირზე იქნება დამიზნებული.

– ეს არ მოხდება, – მტკიცედ ვუთხარი შჩუკინს. მან კი მიპასუხა:

– ღმერთმა ქნას...

ისე აგიხდეთ ყველა სიკეთე, როგორც შჩუკინის ვარაუდი გამართლდა: ამ საუბრის შემდეგ გავიდა წლები, მოვიდა მოღალატე, კრეტინი გორბაჩოვი და უზარმაზარი ქვეყანა მიწასთან გაასწორა... მაშინ კი, იმ თევზაობის დროს, შჩუკინმა ბერიას თემა განაგრძო და მითხრა:

– სხვათა შორის, ჩვენი უცხოელი აგენტების უმრავლესობა პირადად ლავრენტი ბერიას მითითებით გადმოიბირეს და ეს ქსელი დღემდე ძალიან გამართულად მუშაობს. მას რომ დასცლოდა და ვერაგულად არ მოეკლათ, დღევანდელი საბჭოთა კავშირი ბევრად ძლიერი იქნებო-

და ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით.

– ვიქტორ იაკოვლევიჩ, ჩვენი საუბარი რადიკალურად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის მთავრობის აზრს ამ საკითხში, – ვუთხარი შჩუკინს და ღიმილით დავამატე: ვინმე რომ გვისმენდეს, აუცილებლად ძალიან მკაცრად დაგვსჯიდნენ.

– აქ ვერავინ მოგვისმენს და იმიტომ დაგპატიჟე სათევზაოდ. ახლა კი მთავარი სათქმელი უნდა გითხრა და ყურადღებით მომისმინე.

მე, რა თქმა უნდა, ვხვდებოდი, რომ ჩვენი ნამდვილი მიზანი თევზაობა არ იყო და შჩუკინს ვუთხარი:

– გისმენთ, ამხანაგო გენერალო!

– ბერია ტყუილად არ მიხსენებია. ერთი თვის წინ გენერალი გრიგორიევი გარდაიცვალა. მას დღიურები დარჩა და ერთ-ერთ ჩანაწერში აღნიშნულია, რომ 1950-1952 წლებში განხორციელებული ოპერაცია „ნეონის“ კურატორია ვინმე „კოპერნიკი“. ეს სახელი პოლკოვნიკ ანდრეი შადრინის ფსევდონიმია. ის ჯერ კიდევ ორმოციანი წლების მიწურულიდან მოღვაწეობდა შეერთებულ შტატებში, სტალინის გარდაცვალებისა და ბერიას მკვლელობის შემდეგ კი მასთან კავშირი გაწყდა. მოკლედ, ვფიქრობ, ოპერაცია „ნეონი“ ძალიან სერიოზული რამ უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბერია მას პირად კურატორობას არ გაუწევდა. ამიტომ, შენ „კოპერნიკი“, იგივე შადრინი უნდა მოძებნო და მისგან გაარკვიო ყველაფერი, თუ, რა თქმა უნდა, ის ცოცხალია. ეს ყველაფერი ძალიან კონსპირაციულად უნდა მოხდეს – ამერიკაში სხვა დავალებით გაგგზავნი, შენი მთავარი მიზანი კი „ნეონის“ კურატორის პოვნაა.

ამერიკაში ერთი ძველი მოღალატის ლიკვიდაციის საბაბით გავემგზავრე და „კოპერნიკის“ ძებნას შევუდექი. ორ კვირაში მას ძალზე მძიმე ავადმყოფს მივაგენი და რის ვაი-ვაგლახით ვათქმევინე ოპერაცია „ნეონის“ შესახებ. მომაკვდავმა შადრინმა ეჭვის თვალით გადმომხედა და მითხრა:

– ახალგაზრდავ, მართალია, არგუმენტირებულად მელაპარაკებით, მაგრამ, „ნეონის“ შესახებ მაინც არაფრის თქმა არ მინდა – ვაითუ მოგზავნილი იყოთ?

– მოგზავნილი რომ ვიყო, სხვაგვარად ვიმოქმედებდი. სიმართლე მითხარით. მე თქვენი კოლეგა ვარ და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებმა დამავალეს თქვენთან დაკავშირება.

„კოპერნიკმა“ პაუზა გააკეთა და მითხრა:

– კარგი, ყველაფერს გეტყვით. ოპერაცია „ნეონი“ სამი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა და 1952 წლის დეკემბერში ყველაფერი მზად იყო. ის პირადად ლავრენტი პავლოვიჩმა მოიფიქრა და ჩვენ შევასრულეთ. სულ თორმეტნი ვიყავით. მათ შორის იყო გრიგორიევი. რადგან გრიგორიევიც გარდაცვლილია და დანარჩენებიც დაიხოცნენ, მე ერთადერთი ცოცხალი ადამიანი ვარ, ვინც „ნეონზე“ ყველაფერი იცის. „ნეონის“ მიზანი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ატომური შანტაჟი. ანუ, ჩვენ, თორმეტმა თავდადებულმა საბჭოთა პატრიოტმა, შეერთებულ შტატებში თხუთმეტი ატომური ბომბი შემოვიტანეთ, საიმედოდ დავამონტაჟეთ და, საჭიროების შემთხვევაში, ავამოქმედებდით კიდეც. ბერია ბრძენი იყო და იცოდა, რომ ამერიკას საბჭოთის განადგურება უნდოდა. ამიტომ, შეიქმნა თუ არა პირველი საბჭოთა ატომური ბომბი, მეორე უკვე ამერიკაში ჩამოვიტანეთ და, დავამონტაჟეთ. ამგვარად, სამი წლის განმავლობაში თხუთმეტი ბომბი დავამონტაჟეთ და რომ არა ბერიას მკვლელობა, ამ რაოდენობას კიდევ უფრო გავზრდიდით. თუმცა, ამერიკის შესაჩერებლად თხუთმეტიც საკმარისია. მათი ადგილსამყოფლებისა და ასამოქმედებელი კოდების ჩანაწერები მარჯვენა ბარძაყში მაქვს ჩაკერებული – ისინი მუდამ თან მქონდა. ახლა კი მათთან განშორების დრო მოვიდა და, შეგიძლიათ, სამალავიდან ამოიღოთ.



„კოპერნიკს“ გამაყუჩებელი ნემსი გავუკეთე და მიკროფირფიტა ბარძაყიდან ამოვუღე. შემდეგ, მისი გაღვიძება ვცადე, თუმცა, მას სამუდამოდ ჩასძინებოდა. მოსკოვში სასწრაფოდ დავბრუნდი და „ნეონის“ ჩანაწერებიანი ფირფიტა შჩუკინს მივუტანე, თან ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. მან კი მითხრა:

– ყოჩაღ, ბერია, ხომ ვამბობდი, გენიოსი იყო-მეთქი! მის ეშმაკობას საზღვარი არ ჰქონდა, უკვე მერამდენედ გააცურა ამერიკელები! ეს მძლავრი კოზირია მათ წინააღმდეგ და ჩვენს შანტაჟს ველარ შეძლებენ. „კოპერნიკი“ კი ღმერთმა აცხონოს. მოვა დრო და მას და მისი თერთმეტი მეგობრის ღვაწლს სათანადოდ დააფასებს ქვეყანა.

შჩუკინი იმავე საღამოს მივიდა ანდროპოვთან და ყველაფერი უამბო. იური ვლადიმიროვიჩი, თურმე, უზომოდ აღტაცებულა, „ნეონისთვის“ ახალი კურატორის სასწრაფოდ შერჩევა, ინსტრუქტაჟი და ამერიკაში გაგზავნის ბრძანება გაუცია. „ნეონის“ შესახებ ძალიან ცოტა ხალხმა ვიცოდით და თემაზე არ ვლაპარაკობდით, თან, გვეგონა, რომ ამერიკა მუშტში გვყავდა მოქცეული. თუმცა, „პერესტროიკის“ დროს „კაგებეს“ ეს საიდუმლო გორბაჩოვმა ამერიკელებს გადასცა, მათ კი ბომბები გაანეიტრალეს, ყველა კურატორი და მათი დამხმარეები დააპატიმრეს და სულ მალე საბჭოთაც დაიშალა...

– აი, ღალატიც ასეთი უნდა, – მითხრა შჩუკინმა, როდესაც საბჭოთა კავშირი ახალი დაშლილი იყო და ერთმანეთს მოსკოვში შევხვდით.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კ | | | ფ | | კ | ო | ნ | გ | ო | | | | | |
| ზ | უ | მ | ე | რ | ი | | | ა | | დ | | | | | |
| | პ | | | ი | | ჩ | ა | ნ | გ | ი | | | | | |
| გ | რ | ე | ნ | ა | დ | ა | | ტ | | ს | | | | | |
| | ი | ბ | ა | ლ | ო | დ | | ი | | ე | | | | | |
| კ | | ა | ტ | ო | ნ | ი | ა | | მ | ი | | | | | |
| ა | რ | ნ | ო | | ო | | გ | | ე | | | | | | |
| მ | | ი | | პ | რ | ა | ნ | ჭ | ი | ა | | ა | | კ | |
| ა | | | ფ | | ი | ლ | ი | ა | | მ | ა | ზ | ა | რ | ა |
| ს | რ | ო | ლ | ა | | ხ | | კ | ვ | ა | ლ | ი | | ა | |
| უ | | | ე | დ | გ | ა | რ | ი | | გ | ა | ზ | ო | ნ | ი |
| ტ | ო | ლ | მ | ა | | ნ | | | ს | ი | მ | ი | | ი | ო |
| რ | | | ი | ნ | ს | ა | ი | დ | ი | | დ | | მ | | ნ |
| ა | ჯ | ი | ნ | ა | კ | | ა | | რ | ი | ა | ზ | ა | ნ | ი |
| | ო | | გ | | ვ | ე | რ | დ | ი | | რ | უ | რ | უ | ა |
| ე | ნ | რ | ი | კ | ო | | დ | | ა | ნ | ი | ლ | ო | კ | |
| რ | | უ | | ო | | დ | ი | ა | | ი | | უ | | უ | |
| ა | ი | შ | ა | მ | | რ | | ს | კ | ე | ფ | ს | ი | ს | ი |
| ყ | | დ | რ | ა | გ | უ | ნ | ი | | პ | | ი | რ | ი | პ |
| ი | თ | ი | თ | | | ნ | | ა | რ | ს | ი | | ა | | ო |
| | რ | | ვ | ი | ნ | ჩ | ი | | ა | ი | ვ | ე | ნ | ი | ნ |
| კ | უ | ბ | ი | | ე | ი | ს | კ | ი | | ი | ნ | ი | ნ | ი |
| | ს | | ნ | ტ | ვ | | ლ | | ს | ა | კ | ე | | დ | |
| ფ | ო | თ | ი | | ა | რ | ი | კ | ა | | ო | რ | გ | ი | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 6 | 2 | 1 | 5 | 7 | 3 | 4 |
| 3 | 7 | 5 | 8 | 4 | 6 | 1 | 9 | 2 |
| 4 | 2 | 1 | 9 | 3 | 7 | 5 | 8 | 6 |
| 8 | 3 | 9 | 4 | 7 | 1 | 6 | 2 | 5 |
| 6 | 1 | 2 | 3 | 5 | 9 | 8 | 4 | 7 |
| 7 | 5 | 4 | 6 | 2 | 8 | 9 | 1 | 3 |
| 5 | 4 | 8 | 1 | 6 | 3 | 2 | 7 | 9 |
| 1 | 6 | 3 | 7 | 9 | 2 | 4 | 5 | 8 |
| 2 | 9 | 7 | 5 | 8 | 4 | 3 | 6 | 1 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 2 | 5 | 9 | 7 | 3 | 1 | 4 | 8 |
| 7 | 9 | 8 | 1 | 5 | 4 | 2 | 3 | 6 |
| 3 | 4 | 1 | 8 | 6 | 2 | 5 | 7 | 9 |
| 9 | 6 | 7 | 2 | 3 | 5 | 8 | 1 | 4 |
| 2 | 5 | 3 | 4 | 8 | 1 | 9 | 6 | 7 |
| 1 | 8 | 4 | 7 | 9 | 6 | 3 | 2 | 5 |
| 4 | 3 | 6 | 5 | 1 | 9 | 7 | 8 | 2 |
| 5 | 7 | 2 | 3 | 4 | 8 | 6 | 9 | 1 |
| 8 | 1 | 9 | 6 | 2 | 7 | 4 | 5 | 3 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. ყავის კანტატა. 2. ერთზე – ვარდებით გარშემორტყმული ჩაფხუტი და მეორეზე – ოქროს ვარსკვლავი. 3. სიმორცხვეს. 4. მოსეს ხუთწიგნეულს – თორას. 5. ორატორია. 6. „პუმა“. 7. შიმშილობა. 8. აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი. 9. გრიპი. 10. 1 აპრილი.**

# ყველა კაცი ერთნაირია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №12-14(640)**

**მარტივი ჭეშმარიტება**

ისეთ საპასუხისმგებლო საქმეში, როგორიც ქალთან ურთიერთობაა, სასურველია, გყავდეს შუამავალი. თუმცა, ეს მარტივი ჭეშმარიტება მამაკაცების მინიმალურ რაოდენობას ესმის. საერთოდაც, აბსოლუტურად გაუგებარია, საიდან წამოვიდა მითი მამაკაცების ძლევამოსილებისა და ყოვლისმცოდნეობის შესახებ. ქალების ხომ არ ესმით და უმრავლესობა ფულთანაც არ არის ჰარმონიულ დამოკიდებულებაში. ის ხომ ტყუილია, თითქოს ქალებს მარტო ფულის ხარჯვა შეუძლიათ – შოვნაც არაჩვეულებრივად შეუძლიათ. თანაც, თუ ქალი ახერხებს, მამაკაცს მისი შემოსავლების ნახევარი მაინც საკუთარი სიამოვნებისთვის დაახარჯვინოს, ამით მტკიცდება, რომ ქალი ჭკვიანია და ფულის ყადრი იცის. აი, მამაკაცი კი...

მოკლედ, ბევრი მითია, ცოტა – რეალობა. ჭეშმარიტების პოვნა არც ადვილია და მგონი, არც არავის სჭირდება. თუმცა, მარტივი ჭეშმარიტებები მაინც არსებობს და ამ ფაქტს ვერსად წაუვალთ. მაგალითად, ფაქტია, რომ ფულს მაგიური ძალა და ფანტასტიკური შესაძლებლობები აქვს. ხსნის და იმავდროულად, აჩენს კომპლექსებს; ცვლის ადამიანების ცხოვრებას უკეთესობისკენ და იმავდროულად, – უარესობისკენ; აჩენს პასუხისმგებლობას, ან სრულიად აზშობს მას – ანუ, პარადოქსამდე მიჰყავს ადამიანები. სხვათა შორის, ფული ქალისა და კაცის შემთხვევაში, სხვადასხვანაირად „იქცევა". ქალებთან ის თითქოს სულიერი ხდება და სქესსაც იცვლის. მამაკაცების გვერდით „ინტიმური ხასიათი" აქვს და არცთუ იშვიათად, მდედრობითი სქესის არსებების „ყიდვას", გნებავთ მოხიბვლას ემსახურება. ანუ, ხდება ის შუამავალი, რომელიც ქალთან ურთიერთობაში მამაკაცს სჭირდება, როცა მეტი არაფრის შეთავაზება არ შეუძლია.

ჩნდება მთავარი კითხვა: რაში სჭირდება მამაკაცს ფული, რეალურად? თუკი ამ ფულს მაინც ქალებზე დაახარჯავს და იხელმძღვანელებს ლოგიკით: ახლა ამას მანქანას ვუყიდი, ის კი ერთპიროვნულ მბრძანებლად მაღიარებს. მამაკაცს, რა თქმა უნდა, შეუძლია, ასე არ იფიქროს, მაგრამ რა ქნას, თუკი ცდუნებას, უფრო სწორად ერთპიროვნული მბრძანებლის იდეას ვერ უმკლავდება?! რა თქმა უნდა, იდეას – თორემ რეალურად სამყაროს ისევ მატრიარქატი მართავს...

ნინი მოწყენილი იჯდა და წამდაუწუმ მობილურის ეკრანს აშტერდებოდა. აშკარად რაღაცას ელოდა. ცდილობდა, ნერვიულობა არ დატყობოდა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო, მიხოს დაკვირვებული თვალისთვის გამოეპარებინა აფორიაქება.

– არ გირეკავს, ხომ? უნდა მოსულიყო?

– ვინ? – ნინიმ ნაძალადევად გაიცინა, – არ ვიცი, რას მეკითხები.

– მშვენივრად იცი. სამსახურს ხომ უკვე მორჩი, რატომ არ მიდიხარ სახლში? არ მითხრა, რომ კიდევ საქმე გაქვს.

– ჰო, საქმე მაქვს, – ჯიუტად წარმოთქვა ნინიმ, – ხვალის ნიუსებს უნდა დავხედო. თანაც ამის გაკეთება სიმშვიდეში მირჩევნია.

– მე რატომ მატყუებ? კარგად გიცნობ. ზუსტად ვხვდები, როდის ნერვიულობ.

– ასე კარგად შემისწავლე? – ნინიმ მობილური მაგიდაზე დადო და მიხოს ნაწყენი ბავშვივით მიაშტერდა.

– არაჩვეულებრივად. ამის მეტს არაფერს ვაკეთებ, – სერიოზულად გასცა პასუხი ბიჭმა. ნინიმ ამოიოხრა.

– კარგი და, შენ რაღატომ არ მიდიხარ? შენთვისაც ხომ დასრულდა სამუშაო დღე?!

– პრინციპში, დასრულდა. მაგრამ, სანამ შენ აქ ხარ, ფეხსაც არ მოვიცვლი.

– მიხო, რამდენჯერ გითხარი, დროს ტყუილად კარგავ.

– დრო ჩემია და როგორც მინდა, ისე მოვექცევი. შენ რა განაღვლებს? – წარბიც არ შეიხარა მიხომ, – თანაც, შენ სუბიექტური ხარ ობიექტურობასთან მიმართებაში.

– მიხო, გეყოფა. ჩვენ იმდენჯერ ვილაპარაკეთ ამ თემაზე, – დამრიგებლური ტონით დაიწყო ნინიმ.

– რამდენჯერაც უნდა ვილაპარაკოთ, ამით ჩემი გრძნობა არ გაქრება. არც ლაპარაკი მეზარება. ხომ არაფერს გთხოვ, ჭკუას მაინც ნუ დამარიგებ, ჩემი სიყვარული განსაკუთრებულად იმსახურებს საპასუხო გრძნობას. ვერ გავექცევი იმას, რაც ბედნიერებას მპირდება.

– გამოუსწორებელი ოპტიმისტი ხარ. უკვე აღარ ვიცი, რა მოგიხერხო.

– არაფერი. არაფერი არ უნდა მომიხერხო. მაინც არაფერი შეიცვლება.

– მაიძულებ, რომ ვინერვიულო და შენზეც ვიფიქრო, მაშინ, როცა...

– ვიცი, გყავს ადამიანი, რომელიც შენთვის, ამ ეტაპზე, ძვირფასია. მაგრამ, შეიძლება, ხვალ ყველაფერი შეიცვალოს.

– გეუბნები, გამოუსწორებელი ოპტიმისტი ხარ-მეთქი. იცი, როგორ მიჭირს ყოველდღე აქ მოსვლა და შენი მზერის მოთმინებით გაძლება. რა ვუყო, სამსახური შევიცვალო?

– ეგ არ გიშველის. მეც შევიცვლი სამსახურს, – მიხო ისევ მშვიდი იყო, მაგრამ კატეგორიული.

ნინი ადგა და მასთან მივიდა. მხარზე ფრთხილად შეახო ხელი და ხმადაბლა სთხოვა.

– მიხო, გეხვეწები, ეს თემა დავხუროთ, რა. გიგი მიყვარს, ეს ის არის, რასაც ველოდი და რაც მინდა. რატომ არ შეგიძლია, ეს მარტივი ჭეშმარიტება გაიგო? არ მინდა, დაიტანჯო.

– ვაიმე, ნინუც, პირიქით, მხოლოდ სიამოვნებას ვიღებ. ესეც შენ – ჩემი მარტივი ჭეშმარიტება!

– მაინც, როდემდე აპირებ აქ ჯდომას ერთგული დარაჯივით?

– სანამ თქვენი უდიდებულესობა არ მიხვდება, რომ ის, ვისაც ასე მოუთმენლად ელი, არ მოვა და გაბრაზებული სახლისკენ არ გაუყვები გზას. მე გავბედავ და გაგაცილებ. კომპენსაციის მიზნით, კინოში დაგპატიჟებ.

– მიხო! – გამაფრთხილებლად აუწია ხმას ნინიმ. ბიჭმა ორივე ხელისგული ტუჩებზე აიფარა, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიკავა და წამოსცდა.

– ისე, მაინც, როდემდე უნდა ელოდო?

– ეტყობა, საქმე აქვს. მოიცლის და დამირეკავს, – უფრო საკუთარი თავის დასარწმუნებლად თქვა ნინიმ და უცებ სახე გაუბრწყინდა, – შემოსასვლელი კარის ხმა გაიგონე? მოვიდა, არ დაურეკავს, პირდაპირ მოვიდა.

მიხო მოიღუშა და ადგა.

– წავედი მე. თქვენს რომანტიკულ შეხვედრას ვეღარ გავუძლებ. ეს უკვე მეტისმეტია, ჩემნაირი მშვიდი ნერვების ადამიანისთვისაც კი...

...მაგრამ კარი გაიღო და ოთახში გიგის ნაცვლად ოცდათხუთმეტიოდე წლის, საგულდაგულოდ მოვლილი, განსაკუთრებული გემოვნებით ჩაცმული ქალი შემოვიდა. მიხომ წაუსტვინა. ნინი მოულოდნელობისგან გაშრა.

– ვა, ეს ვინ მოსულა?! – ბიჭმა სიხარული ვერ დაფარა და გამარჯვებულის იერით გახედა ნირწამხდარ ნინის, – სასწაულია, პირდაპირ. რას მივაწეროთ თქვენი ამ დროს ოფისში გამოჩენა, ქალბატონო ლიზა? დროის სარტყელი ხომ არ აგერია, ძვირფასო?! ერთი გავიხსენო, ბოლოს რომელი ქვეყნიდან ჩამოფრინდი და დროში სხვაობა რამდენი იყო? შეიძლება, „დაგიტოვა". ხდება ხოლმე, არ იცი შენ?

– შენი იდიოტური ხუმრობები ჩემზე აღარ მოქმედებს, – ამაყად განაცხადა ლიზამ წოდებულმა, – მოვედი იმიტომ, რომ საქმე მაქვს. ანგარიშს კი შენ არ ჩაგაბარებ, არც იოცნებო.

– რა იცოდი, რომ აქ ვიქნებოდით? – დაინტერესდა მიხო, – მართლა რატომ მოხვედი, ძალიან მაინტერესებს. სამსახურში მაშინ არ დადიხარ, როცა საჭიროა და... ქმარს ხომ არ გაშორდი და სახლიდან გამოგაგდო?

ლიზამ მედიდურად შეისწორა საგანგებოდ



დავარცხნილი თმა და მიხოს ისე შეხედა, როგორც არარაობას.

– გაგიმართლა, რომ კარგ გუნებაზე ვარ. საშინელებაა ლაქლაქა კაცი. აი, შენნაირ ქმარს კი, აუცილებლად გავეყრებოდი. თუმცა, რა სისულელეს ვამბობ. შენნაირ კაცს ცოლადაც არასოდეს გავყვებოდი. კიდევ კარგი, რომ ნინისაც ყოფნის ჭკუა და არ მოგყვება.

მიხო აშკარად ვერ იტანდა ლიზას და ამას ყოველთვის, ყველაფერში ავლენდა. გადაწყვიტა, არც ახლა დაეზოგა.

– ჰო, რა თქმა უნდა. შენი ქმარი ჩემზე გაცილებით მაგარი ტიპია. ამიტომაც ადგამ ხოლმე დროდადრო რქებს, მის განსაკუთრებულობას პეწი რომ არ დაეკარგოს.

ლიზამ შეღებილი წამწამები დაახამხამა.

– პეწი რა არის? საიდან მოგაქვს ასეთი სიტყვები. თუმცა, ეს ნაკლებად მაინტერესებს. სახლში რომ წახვიდე, არ გინდა? ნინისთან მარტო მინდა დარჩენა.

ნინიმ მობილური გამორთო. მაგიდაზე დაუდევრად მიაგდო და ლიზას დაბანგულმა შეხედა.

– ჩემთან გაქვს საქმე?

– ჰო. პრინციპში, ოფისში სხვა რამის გამო მოვბრუნდი, მაგრამ რადგან აქ ხარ, ბარემ დაგელაპარაკები.

– მოკლედ, როგორც მივხვდი, მე აქ ზედმეტი ვარ, – მიხომ თავისი ნივთები აკრიფა და გასასვლელისკენ გაემართა. ზღურბლთან მისული შემობრუნდა.

– ჩემი წინადადება ძალაშია. აქვე ახლოს ვიქნები. ტელეფონის ნომერი იცი. მე ხომ გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ. ვინ იცის, იქნებ აზრი შეიცვალო...

– უჰ, ძლივს არ წავიდა?! – შვებით ამოისუნთქა ლიზამ, როცა მიხომ კარი გაიხურა და სავარძელზე მოიკალათა, – აუტანელი ვინმეა, როგორ უძლებ მაგის გამოხდომებს, ვერ ვხვდები.

– რას ერჩი, კარგი ბიჭია, – მხრები აიჩეჩა ნინიმ და ამოიოხრა, – თავისას ცდილობს.

– ჰო. მაგაში გეთანხმები. ყველა ცდილობს თავისას. ეს ადამიანის ბუნებაა. ჩემი ქმარიც ასეა. სულ ცდილობს და ცდილობს. სხვა საქმეა, რამდენად გამოსდის, – გადაიკისკისა ლიზამ, – გუშინ მეჩხუბა და დღეს სამაგიერო უნდა გადავუხადო. ჭკუა თუ არ ვასწავლე, თავს სულ აიშვებს. დროდადრო მაგარი შეჯანჯღარება სჭირდება ხოლმე. მერე ისეთი კეთილი ხდება...

– ისედაც არ უნდა იყოს ბოროტი, – ნინისთვის აშკარად სულერთი იყო, რას იტყოდა.

– ჰო. არ არის ბოროტი, მაგრამ ეგეც ისეთივეა, როგორც ყველა კაცი. ზედმეტს ვერ დაახარჯინებ. სულ წუწუნებს. ამას წინათ, „ჯიპი“ რომ მიყიდა, წნევამ აუწია ნერვიულობისგან. ეს მამაკაცები გადამრევენ. თვითონ არ იციან, რა უნდათ. თითქოს ვინმე აძალებდეთ ჩვენთვის საჩუქრების ყიდვას. სინამდვილეში, საკუთარ სიამოვნებაზე ზრუნავენ. ვაღიაროთ, რომ ჩვენს არცთუ იდეალურ სამყაროში სავაჭრო ფულადი ურთიერთობები ხელს უწყობს გრძნობაზე აგებული ურთიერთობების განვითარებას. კაცებიც ხედავენ ამას, მაგრამ სიჯიუტე ხმამაღლა თქმის საშუალებას არ აძლევთ. ჩვენ ხომ გვიყვარს მამაკაცი და არა მისი ფული, თუმცა ფულიც ძალიან გვიყვარს. პირადად მე, ასე ვარ, – ლიზამ ხმამაღლა გადაიკისკისა, – მაგალითად, ახლა ნამდვილად შეყვარებული ვარ. ყოველ შემთხვევაში, სერიოზულად გატაცებული. აქაც იმიტომ მოვედი, რომ კომპიუტერი მჭირდება.

– რა? ვერაფერი გავიგე, – ნინიმ გაოცებულმა შეხედა თანამშრომელს, – მაპატიე, კარგად არ გისმენდი.

– მივხვდი. იმ გოგიზე ფიქრობ. არ ღირს ეგ ბიჭი ამდენ დარდად და ვაებად...

– მიყვარს... – საწყლად ჩაილაპარაკა ნინიმ.

ლიზამ ტუჩები გაბუსხა.

– ვაიმე, ნინი... შენ მე ჭკვიანი ქალი მგონიხარ. რა დროის სიყვარულია. გაიხედ-გამოიხედე, რა ხდება. შეყვარებული და გახარებული გინახავს ვინმე? დამიჯერე, სიყვარული მხოლოდ პრობლემებს აჩენს. თუ არ გჯერა, ჩემი ქმრის მაგალითი აიღე. რაც შევუყვარდი, მას შემდეგ სულ პრობლემები აქვს, – ლიზას ისეთი სიცილი აუტყდა, ჩაბჟირდა.



– რანაირი ხარ, ლიზა, როგორ ლაპარაკობ ქმარზე. მე ასეთი რაღაც ვერ წარმომიდგენია.

– კარგი, ერთი... ის ბედნიერია, რომ მისი ცოლი ვარ. მართალია, ერთხელ წამომცდა, გაგშორდები-მეთქი და გაგიჟდა. სწორედ მაშინ ვიმოგზაურე ევროპაში.

– ჰოო? – ამის თქმაღა მოახერხა ნინიმ.

– იცი, რას გეტყვი, ჩემო ლამაზო? ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა. ყველაფერი უნდა გააკეთო მაქსიმალური სიამოვნების მისაღებად.

– შეიძლება, მართალიც იყო, – ამოიოხრა ნინიმ და ერთბაშად გულახდილობის გუნებაზე დადგა, – ზოგჯერ გიგი ისე უცნაურად იქცევა... მგონი, ჩემ ცოლად მოყვანაზე საერთოდ არ ფიქრობს.

– ელაპარაკე ამაზე? – ლიზამ ჩანთიდან კოსმეტიკის ჩანთა ამოიღო, გახსნა და მაგიდა კოსმეტიკით გაავსო, – ცოტა უნდა შევლამაზდე... დღეს, შეიძლება, ერთ ტიპს შევხვდე.

– ვინ ტიპს, საყვარელი გყავს?

– oო, რატომ ასე უხეშად? შენ რა გგონია, მე თუ ცოტას გავერთობი, ამით ქვეყანა დაიქცევა?

– ცოტას გაერთობი, რას ნიშნავს? ქმარი ხომ გყავს?

– ქმარს სხვა დანიშნულება აქვს, საყვარელო. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. არის თემები, რომლებშიც ქმარი არ გამოგადგება.

– მინდა გაგიგო, მაგრამ არ მესმის შენი, – თავი გააქნია ნინიმ.

– ეგ იმიტომ, რომ ჯერ ქმარი არ გყავს. გათხოვდები და მიხვდები... მერე ქართველსაც თუ გაჰყვები. ქართველი ქმარი ცალკე ფენომენია. ოო, კარგად შესასწავლი ფენომენი. გამაოგნებელი უკიდურესობებითა და კომპლექსებით. მაგათ რომ უყურო, დეპრესიაში ჩაგვაგდებენ. მაგალითად, ჩემი ქმარი ნამდვილი „მუდოა“. ვერაფერზე დაელაპარაკები. თავისმა ბიზნესმა და საინფორმაციო გამოშვებებმა სულ გამოაშტერა. წარმოდგენა არა აქვს, რანაირი ვარ – რა მწყინს, რა მიხარია. ოთხი წელია, ჩემი ქმარია და ვერაფრით დაიმახსოვრა მარტივი ჭეშმარიტება, რომ ყვავილები საერთოდ არ მიყვარს, ვერ ვიტან.

– რატომ? მე ისე მიყვარს... განსაკუთრებით მინდვრის ყვავილები.

– ნუ ხარ ასეთი მარტივი, თორემ გვირილებსაც არავინ გაღირსებს ბოლოს. ისე მიშლის ნერვებს, ყვავილებით რომ მომადგება ხოლმე. მაგ დროს სურვილი მიჩნდება, ის ყვავილები თავზე გადავაყარო. ჯერ საყვავილეში უნდა ჩააწყო, მერე გახმება და უნდა გადაყარო. რა სარგებლობაა მათგან, – ლიზამ შეღებილი წამწამები მედიდურად აახამხამა, – არ გაინტერესებს, ვისთან მაქვს „ლოვი“?

– შენ რა, არ ხუმრობ? მართლა შეგიყვარდა ვინმე... რანაირად?

– ნუ, „ლოვი“ ისე ვთქვი, სიტყვაზე. წელან ხომ გითხარი, სიყვარული პრობლემებს აჩენს-მეთქი. მე კი ამ ურთიერთობიდან სიამოვნება უნდა მივიღო.

– უკვე შეხვდი?

– ჯერ არა. ჯერ საინტერესო სტადია გვაქვს – ვირტუალური ნაცნობობა. თუ შევხვდი, მერე სალაპარაკოდ არ გვეცლება.

– ანუ... – ნინის თვალები გაუფართოვდა. ლიზას ისევ სიცილი აუტყდა.

– ვაიმე, ნინი... შენ ჯერ სად ხარ? არა, რა... რამდენიმე გაკვეთილი უნდა ჩაგიტარო, როცა მოვიცლი, თორემ დამეჩაგრები ძალიან. ახლა ცოტა ხანს ჩემს ბიჭს დაველაპარაკები, სახლში კომპიუტერს პაროლი დაადო ჩემმა საზიზღარმა ქმარმა. ამ ბოლო დროს ეჭვიანობა დაიწყო... სულელი...

– არა აქვს საფუძველი?

– ლამაზი ცოლი რომ უნდოდა, ეგეც უნდა გაეთვალისწინებინა. მაგრამ, მთავარი, იცი, რა არის, ჩემო კარგო? – ეჭვით საქმეს ვერ უშველის. მე ასეთი ვარ, აღარ შევიცვლები. ქალი ვარ, „დოპინგი“ მჭირდება, მძაფრი ვნებები, ემოციები...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ემზადები პაემნისთვის – როგორ?



***ფსიქოლოგია საინტერესოა და ძალიან სასარგებლოც. წარმოიდგინეთ, რომ პირველ პაემანზე წასასვლელად ემზადებით. ამოირჩიეთ ერთ-ერთი ვარიანტი ჩამონათვალიდან. რომელ ნივთს წაიღებთ თან ბოლო მომენტში. მერე კი ნახეთ შედეგი. იქნებ რაღაცაში დაგეხმაროთ.***

**** თილისმა*** (საყვარელი ნივთი, რომელიც კარგად დასცადეთ) – ესე იგი, პაემანი გაშინებთ. არ ხართ საკუთარ თავში დარწმუნებული. გჭირდებათ განწყობა იმაში დასარწმუნებლად, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის. სხვათა შორის, ნივთები სულაც არ არის საჭირო საკუთარ შესაძლებლობებში დასარწმუნებლად. მაგრამ, ზოგადად ხართ ასეთი – სუსტი და დაუცველი.

**** სუნამო, სავარცხელი, პატარა სარკე*** – საკუთარ გარეგნობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ. გინდათ, უკეთ და უკეთ გამოიყურებოდეთ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ თვითშეფასების კრიტერიუმი საკმაოდ მაღალი გაქვთ. მაგრამ, სტერეოტიპულ ჩარჩოში ზიხართ და თმაც რომ აგეწეწოთ, საშინლად ნერვიულობთ. ეს კი ურთიერთობაში გიშლით ხელს. ნუ შეგეშინდებათ, იყოთ სხვადასხვანაირი – ზოგჯერ ქარაფშუტაც, ზოგჯერ კი ძალიან სერიოზული.

**** ჩანაწერების წიგნი*** (მინი კომპიუტერი) – ეს იმას ნიშნავს, რომ მუდმივად საქმეზე ფიქრობთ. ზოგადად, პრაგმატულად აზროვნებთ. თქვენი სტილის ადამიანები ნაკლებად ნერვიულობენ პირადულ პრობლემებზე. სამაგიეროდ, თითქმის ყოველთვის სწორ არჩევანს აკეთებენ. ცხოვრობთ გათვლით და ანალიზით. ეს ცუდი არ არის, მაგრამ ზოგჯერ ემოციებიც საჭიროა.



## ეშმაკის გამოგონება

შუა საუკუნეებში მცხოვრებმა ბერებმა ეს ნივთი ეშმაკის გამოგონებად შერაცხეს. დღეს ამ სრულიად უწყინარი ნივთის გარეშე ჩვენი ცხოვრება პრაქტიკულად გამორიცხულია – საუბარია ჩანგალზე, რომელიც აბსოლუტურად ყველა ოჯახს აქვს და, ბავშვმაც იცის, რისთვის გამოიყენოს.

ჩანგალი დანის „მეგობარია“, მეზობელი და დამხმარე ჩვენს სუფრაზე. მისი ასაკი, სულ რაღაც, ცხრაასი წელია.

ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ ჩანგლის დაბადების წელია 1072. ადგილი – ბიზანტია კონკრეტულად კი, კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარი.

ამ მშვენიერი ნივთის „დედიკო“ თვით ბიზანტიის პრინცესა მარია ივერიელი გახლდათ. მას არ შეეძლო და ზიზღს ჰგვრიდა ხელით ჭამა, ამიტომ, სთხოვა კარის დურგალს, ჯერ ხისგან დაემზადებინა ხელსაწყო, რომელიც ჭამაში დაეხმარებოდა, მერე კი ის სუფთა ოქროსგან ჩამოასხეს. სახელური ინკრუსტირებული იყო მინანქრით. ამ პირველყოფილ ჩანგალს მხოლოდ ორი ბრტყელი კბილი ჰქონდა. მის გამოგონებამდე ყველა ხელით და დანით ჭამდა. ანუ, დანა ჩანგალზე გაცილებით ხანდაზმულია. ჩანგალმა პირველად ვენეციის დოჟის ვაჟი – პეტრო ორსელეოლო გააოცა. როცა მას მოოქრული ჩანგალი მიუტანეს, ვერაფრით ვერ მიხვდა, რაში უნდა გამოეყენებინა, მერე კი მას ზღვარგადასული გიჟური ფუფუნება უწოდა. ასეთმა ფუფუნებამ, შეიძლება, პრინცესა მარიასა და მისი მეუღლის მიმართ ზეციური რისხვა გამოიწვიოსო, – განაცხადა მან. მართლაც მოხდა საკმაოდ უცნაური ფაქტი: პრინცესა და მისი მეუღლე მალე შავი ჭირის ეპიდემიას ემსხვერპლენ. იმ დროში ამ სენმა თითქმის ნახევარი ევროპა მოსრა.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩანგალი ინგლისში პირდაპირ ვენეციიდან აღმოჩნდა. საფრანგეთში ჩანგლის სიკეთე პირველად საფრანგეთის დედოფალმა ჟანა დევრიემ შეაფასა (1325-1328 წლები). ერთადერთი ჩანგალი მთელ საფრანგეთში მხოლოდ მას ჰქონდა და საგულდაგულოდ ინახავდა ძვირფას ფუტლარში, საკუთარ საძინებელში.

ესპანეთის დიდებულებმა ჩანგლის გამოყენება უკვე მეთექვსმეტე საუკუნეში დაიწყეს ევროპის ქვეყნებიდან, ყველაზე ბოლოს კი ჩანგალი გერმანიაში გავრცელდა.

## ვერსია... ზღაპარი... რეალობა...

ალბათ, ბევრს წაგიკითხავთ ზღაპარი ლურჯწვერაზე – დიახ, ეს სწორედ ის დიდებული გახლავთ, რომელიც ცოლებს კლავდა. არსებობს ვერსია, რომ ის მხოლოდ ზღაპრების გმირი არ ყოფილა.

1440 წელს 26 ოქტომბერს ნანტში სიკვდილით დასაჯეს საფრანგეთის მარშალი ჟილ დე რე – ლურჯწვერას პროტოტიპი. ლურჯწვერა შარლ პერომ თავის ზღაპარში უკვდავყო. ჟილ დე რეს ბევრი ბრალეულობა წაუყენეს – პედოფილობიდან მკვლელობამდე. თუმცა, ის მაინც დარჩა ისტორიაში, როგორც საზიზღარი ბოროტმოქმედი, ისე საფრანგეთის ნაციონალური გმირი.

ბარონი ჟილ დე რე ზღაპრულად მდიდარი გახლდათ და სარფიანადაც დაქორწინდა. ლურჯწვერასგან განსხვავებით, მას მხოლოდ ერთი ცოლი ჰყავდა, თუმცა, ცოლი საერთოდ არ აინტერესებდა. ერთადერთი შვილი შეეძინა, რაც იმ დროში ნონსენსი იყო. ჟილ დე რეს ბრძოლა სწყუროდა და ის ჟანა დარკის მოკავშირე ხდება – მასთან ერთად მონაწილეობს ყველა მნიშვნელოვან ბრძოლაში. რეიმსში კარლოს მეშვიდის კორონაციაში იღებს მონაწილეობას. ხდება საფრანგეთის მარშალი. მაგრამ, მისი კარიერა დიდხანს არ გაგრძელებულა – ჟილ დე რე ალქიმიამ გაიტაცა. მართალია, ფილოსოფიური ქვა ვერ იპოვა, მაგრამ, სამაგიეროდ, გაკოტრდა და თავისი ციხე-კოშკები ბრეტონის ჰერცოგს მიჰყიდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ იტალიიდან ნეკრომანტი ფრანჩესკო პრელატო მოიწვია, რომელიც ამტკიცებდა, რომ საკუთარი დემონი ჰყავდა, რომლის მეშვეობითაც ადვილად იპოვიდა ფილოსოფიურ ქვას. პრელატის „კუდიანური“ ცდების შესახებ ეკლესიამ მალევე გაიგო, თუმცა, ბარონი „ლურჯწვერა“ საბოლოოდ მაინც სასახლის კარის ინტრიგებმა შეიწირა: კარლოს მეშვიდემ გაიგო, რომ ჟილ დე რე მის შვილთან მეგობრობდა. კარლოსს კი პანიკურად ეშინოდა შვილის. ჟილ დე რეს ბევრი მტერი აღმოაჩნდა, თანაც – გავლენიანი.



ნანტის ეპისკოპოსმა ბარონს 47-პუნქტიანი ბრალდება წაუყენა: ჯადოქრობა, ერესი, მსხვერპლშეწირვა, ეშმაკის მსახურება, ყმაწვილთა გახრწნა და მოკვდინება... ბრალდება მხოლოდ რამდენიმე მოწმის ჩვენებას ეყრდნობოდა. ჟილ დე რე არ დამალულა, ის ამაყად წარდგა სამსჯავროს წინაშე და განაცხადა, ჩემი ერთადერთი დანაშაული ალქიმიური წიგნების კითხვააო. ადვოკატიც მოითხოვა, მაგრამ, უარი მიიღო და განაჩენი ისე გამოუტანეს: ჯერ გაგუდეს, რადგან, საშინელი წამების შემდეგ ყველაფერი აღიარა და მოინანია მერე კი დაწვეს. მხოლოდ 1992 წელს, ფრანგმა ისტორიკოსებმა, მკვლევრებმა და ექსპერტებმა, მასალებზე დაყრდნობით, ჟილ დე რეს სრული რეაბილიტაცია მოახდინეს.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

# იდეალური დანაშაული

## ჯეფრი უილიამი

ბანკში სამუშაო დღე უკვე მთავრდებოდა, როცა სტივ ბლანჩარდი დარბაზში შევიდა და მეოთხე სალაროს მიუახლოვდა. ბანკის თანამშრომელი კლიენტს ემსახურებოდა. სტივმა მხოლოდ შეხედა მას: ჩვეულებრივი მამაკაცი იყო, ოდნავ მსუქანი და ოდნავ მელოტი, დიდჯიბეებიანი ტვიდის პალტოთი... ბლანჩარდმა ცოტა შეიცადა, სანამ კლიენტი სალაროს მოსცილდა. მერე სალაროსთან მივიდა და ბანკის თანამშრომელს შუაზე გადაკეცილი ფურცელი გადააწოდა. მან ის გაშალა, წაიკითხა და თვალებში მაშინვე შიში ჩაუდგა – იმ კურდღელს დაემსგავსა, წინ რომ პითონი უზის და გადაყლაპვას უპირებს. ამის მერე სწრაფად გამოალო სალაროს უჯრა და სტივს რაღაც მიაწოდა. ამ ყველაფერს მხოლოდ ერთი წუთი დასჭირდა. სტივ ბლანჩარდი უკვე კართან იყო მისული, რომ დამფრთხალი მოლარე ერთბაშად აყვირდა:

– დაიჭირეთ, ქურდია, არ გაუშვათ! ეს წუთია, გამძურცა!

სემი, ბანკის დაცვის ზორბა თანამშრომელი, ერთი ნახტომით სწვდა კისერში ბლანჩარდს და მაგრად ჩაბღუჯა.

– გაგიჟდით? რა გინდათ ჩემგან? მე არაფერი მომიპარავს, ეგ თქვენი თანამშრომელი შეიშალა!

სემმა, რა თქმა უნდა, არ დაიჯერა და სტივი დარბაზის შუაგულამდე მიათრია. ამასობაში ბანკის პრეზიდენტი ელარდ ჰოფმანიც მოვიდა ორ დეტექტივთან ერთად. დეტექტივებმა დაკავებული საგულდაგულოდ გაჩხრიკეს, მაგრამ, ოცდოლარიანი კუპიურისა და საგანგებოდ დახურდავებული, მონეტებად ჩაწყობილი ოცდარვა დოლარის მეტი ვერაფერი იპოვეს. თავად სტივ ბლანჩარდი აღშფოთებას ვერ მალავდა:

– გირჩევთ, თქვენი მოლარე გაჩხრიკოთ. იქნებ, სწორედ მან მოიპარა ფული და ახლა უნდა, რომ სრულიად უდანაშაულო ადამიანი გამსვაროს? მან მე ფული დამიხურდავა – საღამოს ჩემთან მეგობრები იკრიბებიან პოკერის სათამაშოდ და მონეტები მჭირდებოდა. ან, დავუშვათ, მართლა მე მოვიპარე ის ფული... როგორ თქვით? რა თანხაზეა საუბარი? ოცდაათხუთმეტ ათას დოლარზე? წარმოგიდგენიათ? ამდენი ფული სად უნდა დამემალა?

დეტექტივებმა ერთმანეთს გადახედეს. დაცვამაც მექანიკურად დაუქნია თავი.

– რამდენ ხანს იყავით შენობიდან გასული? – ჰკითხა ერთ-ერთმა დეტექტივმა, მეორეზე უფროსი რომ ჩანდა, – სემ, შენ ის ქუჩაში დააკავე?

– არა, სერ, გასვლა ვერ მოასწრო, ზღურბლზე იდგა.

– ესე იგი, მე ვიტყუები? მან წერილი მომაწოდა, სადაც ეწერა, რომ, თუ ფულს არ მივცემდი და ხმას ამოვიღებდი, მომკლავდა, – ხელების ქნევით გამოხატა თავისი პროტესტი მოლარე კოქსმა, – გეუბნებით, გამძარცვა!

დეტექტივები ბანკის პრეზიდენტთან მივიდნენ და ხმადაბლა დაუწყეს საუბარი:

– მისტერ ჰოფმან, როგორ მოვიქცეთ? შეგვიძლია, დროებით დავაკავოთ და განყოფილებაშიც წავიყვანოთ, მაგრამ, მტკიცებულებები? დარწმუნებული ხართ, რომ ფული მართლა დაიკარგა?

– რა თქმა უნდა! ჩემი თანამშრომელი პატიოსანი და წესიერი ადამიანია. მე მას სავსებით ვენდობი. აქ ფილიალის გახსნის დღიდან მუშაობს და დაგვიანებაშიც კი არ ყოფილა შემჩნეული. შეამოწმეთ ის წერილი, რომელიც კოქსმა მოგცათ, მასზე აუცილებლად იქნება თითის ანაბეჭდები.

– აუცილებლად გავაკეთებთ ამას, მაგრამ, ნება მოგვეცით, თქვენი დაცვაც გავჩხრიკოთ.

სემის უკმაყოფილო, ხმამაღალი რეპლიკების მიუხედავად, დეტექტივებმა ის მაინც გაჩხრიკეს. ფული არსად ჩანდა. მისტერ ბლანჩარდი დამცინავად უყურებდა დაბნეულ დეტექტივებს:

– აბა, რა ქენით, იპოვეთ ნაქურდალი? სხვათა შორის, არც პისტოლეტი მაქვს. ამ ბანკში თაღლითები მუშაობენ და ბინძური მეთოდებით ცდილობენ თავიანთი ფინანსური მაქინაციების გადაფარვას.

– ნუ ნერვიულობთ, – პირქუშად შეაწყვეტინა უფროსმა დეტექტივმა, – ყველაფერს გულდასმით შევამოწმებთ და, თუ უდანაშაულო ხართ, გაგიშვებთ.

დეტექტივებმა ერთმანეთში დაიწყეს თათბირი.

– აქ რაღაც ისე ვერ არის, – ვარაუდი გამოთქვა უფროსმა დეტექტივმა.

– ჰო, მაგრამ არანაირი, სულ მცირე სამხილიც კი არ არსებობს ამ ბლანჩარდის წინააღმდეგ. მოდი, კიდევ ერთხელ სათითაოდ დავკითხოთ ყველა.

დაკითხვამ შედეგი ვერ გამოიღო. დაცვის, მოლარისა და მისტერ ბლანჩარდის ჩვენებები ზუსტად ემთხვეოდა პირველადი დაკითხვისას მიღებულ ჩვენებებს. მისტერ ბლანჩარდის განყოფილებაში წაყვანა მაინც გადაწყვიტეს. მთელი საღამო იქ გაატარა. წერილზე, რომელიც მუქარის ტექსტი იყო აკრეფილი, მისი თითების ანაბეჭდი არ აღმოჩნდა. იყო მხოლოდ კოქსისა და ბანკის პრეზიდენტის თითების ანაბეჭდები. დეტექტივებმა დაკითხეს მისტერ ბლანჩარდის მეგობრები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ისინი მართლაც აპირებდნენ ბლანჩარდთან შეკრებას პოკერის სათამაშოდ. გვიან საღამოს უფროსი დეტექტივი ზალცბერგი დროებით დაკავებულთან შევიდა.

– მოკლედ, ასეა, ფული ბანკიდან დაიკარგა, მაგრამ, ის არც კოქსს აღმოაჩნდა და არც თქვენ.

– ასეც უნდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ მე ეს ფული არ მომიპარავს! – აღშფოთდა ბლანჩარდი, – იმედია, ახლა მაინც გამიშვებთ.

– მოგვიწევს თქვენი გაშვება, მაგრამ, გულახდილი ვიქნები და გეტყვით: თქვენი არ მჯერა, მე მჯერა კოქსის. სხვათა შორის, შესანიშნავი რეპუტაცია აქვს. სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნო, რომ თქვენ წინააღმდეგაც არაფერი გვაქვს.

– რა თქმა უნდა. მე წესიერი, კანონმორჩილი მოქალაქე ვარ, – დაუდასტურა ბლანჩარდმა ამაყად, – ანუ, შემიძლია, წავიდე?

– დიახ, შეგიძლიათ, მაგრამ, ასე ადვილადაც არ ჩაივლის ეს ამბავი. ერთი წუთითაც არ მოგაშორებთ თვალს. თქვენს ყოველ ნაბიჯს გავაკონტროლებთ.

– წარმატებებს გისურვებთ, – ბლანჩარდმა გაიცინა, – იმიტომ, რომ ეს ჩემი პრობლემა არ არის, მე უდანაშაულო ვარ.

თერთმეტი კვირის შემდეგ ბლანჩარდმა პატარა ოტელ „ბივერვუდში" ნომერი იქირავა და გვიან ღამით იმავე სასტუმროს მესამე სართულის ერთ-ერთი ნომრის კარზე დააკაკუნა.

– გამარჯობა, კოქს.

– გაგიმარჯოს, – ბანკის მოლარემ სწრაფად დახურა კარი, – იმედია, ვერავინ შეგნიშნა.

– ისინი უკვე დაიღალნენ და ბოლო ერთი კვირაა, საერთოდ აღარ გამოჩენილან. კოქს, ჩვენ იდეალური ძარცვა ჩავიდინეთ.

– სულელები! ვერც კი იფიქრეს, რომ, შეიძლებოდა ყოფილიყო მესამე, მაგალითაც, კაცი ტვიდის პალტოთი, რომლის ჯიბეები თავისუფლად დაიტევდა მოპარულ ფულს.

– არ დაგავიწყდეს ჩვენი რეპუტაციაც, კოქს, – გაიცინა ბლანჩარდმა, – ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მართლა, სად არის ბერგმანი? დროა, ფული გავიყოთ.

ბერგმანი სწორედ ის მამაკაცი იყო, რომელიც სალაროსთან ბლანჩარდის წინ მივიდა. კოქსმა მას მაშინვე გადასცა სალაროდან აღებული ფული, მერე კი სპექტაკლი გაითამაშა, რითაც საშუალება მისცა თანამზრახველს, მშვიდად გასულიყო ბანკიდან და ფულიც გაეტანა.

– რა არის საჭირო იდეალური დანაშაულის ჩასადენად? – გაიცინა კოქსმა, როცა თავისი წილი მიითვალა.

– იდეალური რეპუტაცია! – შეახსენა ბლანჩარდმა სიცილით.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მკვდარი ვერსია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №7-14(640)

კარის გაღებისთანავე ბინიდან დახუთული ჰაერი გამოიჭრა. ნანამ მაშინვე უკან დაიხია და ჩავარდნილი ხმით ჩაილაპარაკა:

– არა... არ შემიძლია...

– აქ დარჩით. მე ფანჯრებს გავაღებ და მანქანაში დაველოდოთ ბინის განიავებას, – შესთავაზა ნიკამ.

– ასე აჯობებს, – დაეთანხმა ნანა და ეზოში მიმავალ კიბეზე დაეშვა.

ნიკამ სწრაფად გააღო საძინებელი და სასტუმრო ოთახების ფანჯრები, ბინის კარი დახურა და ეზოს მიაშურა. ნანა მანქანაში იჯდა. ნიკა გვერდზე მიუჯდა და უთხრა;

– თხუთმეტ-ოც წუთში ბინა განიავდება და უკან დავბრუნდებით.

– სიმართლე გითხრათ, იმედი არ მაქვს, რომ რამეს მივაგნებთ, – უპასუხა ნანამ.

– ცდა ბედის მონახევრეა. „ინტელგრუპ-ჯორჯიამ“ მოლოდინი გამიმართლა. იქნებ ახლაც იგივე მოხდეს. თუმცა, დიდი ტრაგედია არ იქნება, ბანკთან დადებულ ხელშეკრულებას თუ ვერ მივაგენით. უბრალოდ საქმე ცოტა გართულდება და დროსაც მეტს დავკარგავთ.

– ბატონო ნიკა, რას მოგვცემთ საბანკო ხელშეკრულების აღმოჩენა? – ჰკითხა ნანამ.

– მოდი, ასე შევთანხმდეთ: უბრალოდ, ნიკა დამიძახეთ.

– კეთილი, – გაუღიმა ნანამ.

– ახლა კი საბანკო ხელშეკრულებას დავუბრუნდეთ, – განაგრძო ნიკამ, – მე მაინტერესებს თავად ხელშეკრულების ფორმა. არის მასში მითითებული, რომ შენ შეთანხმების უშუალო მონაწილე ხარ?

– მაგრამ, ბანკს ხომ აქვს ხელშეკრულების მეორე პირი. არ შეიძლება მისი ბანკიდან გამოთხოვა?

– თეორიულად შეიძლება.

– რას ნიშნავს – „თეორიულად“? – დაინტერესდა ნანა.

– მე არ ვარ ოფიციალური საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენელი, ვარ კერძო დეტექტივი და, აქედან გამომდინარე, ბანკის გადაწყვეტილება მხოლოდ მის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

– არ გიცდია, ბანკისთვის მიგემართა? – ჰკითხა ნანამ.

– არა. ადრე მქონდა რამდენიმე ასეთი საქმე და ყველა შემთხვევაში, მიმართვაზე უარი მივიღე. დარწმუნებული ვარ, ახლაც იგივე მოხდება. მეორე მხრივ კი სასამართლოზე ბანკისთვის მოულოდნელად გამოჩენილ დოკუმენტს ბევრად მეტი ეფექტი ექნება.

– რთული პროფესია გაქვს, – ჩაილაპარაკა ნანამ.

– არ მიყვარს ერთი და იმავეს კეთება. ვერასოდეს შევძლებდი ყოველ დილით ერთსა და იმავე სამსახურში მისვლას, კაბინეტში ჯდომას და მუდამ ერთი და იმავე ადამიანებთან ურთიერთობას, – ამ სიტყვებთან ერთად ნიკამ ბინის ფანჯრებს გახედა და დაამატა – საკმარისი დრო გავიდა... წავიდეთ.

– წავიდეთ, – დაეთანხმა ნანა და კარის სახელური გამოსწია.

ნიკამ სინათლე ჩართო ბინაში, ფანჯრები დახურა, სასტუმრო ოთახის ცენტრში შედგა, მიმოიხედა და ნანას ჰკითხა.

– საიდან დავიწყოთ?

– დერეფნის ბოლოში პატარა ოთახია, ანდრო მას სამუშაოდ იყენებდა და იქვე ინახავდა თავის დოკუმენტებსაც, – უპასუხა მან.

პატარა ოთახი სამუშაო ავეჯით იყო გაწყობილი: იდგა მაგიდა, სკამი. მაგიდაზე – კომპიუტერი.

– აი, აქ, – თქვა ნანამ და მაგიდის ერთ-ერთი კარი გამოაღო.

ორ თაროზე საქაღალდეები ეწყო. ნიკა მაგიდას მიუახლოვდა და საქაღალდეები მაგიდაზე ამოალაგა. აშკარად ჩანდა ანდრო სირაძის პუნქტუალურობა: ყველა საქაღალდეზე მითითებული იყო მასში შენახული დოკუმენტების დანიშნულება და შედგენის თარიღები. მაგრამ, არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ბანკთან დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული აღნიშვნა.

– ყველა დოკუმენტის შემოწმება მოგვიწევს. თუ ანდროს არ უნდოდა, რომ მე სესხის შესახებ მცოდნოდა, აღნიშვნასაც არ გააკეთებდა, – თქვა ნანამ, – დოკუმენტების რაოდენობამ არ შეგაშინოს, მეც მოგეხმარები.



ნანამ და ნიკამ დასტა შუაზე გაყვეს, მაგიდას აქეთ-იქიდან შემოუსხდნენ და საქაღალდეების შესწავლას შეუდგნენ. სამუშაო თითქმის ორ საათს გაგრძელდა, მაგრამ საქაღალდეებში საბანკო ხელშეკრულება არ აღმოჩნდა.

– რა ვქნათ ახლა? – ნანამ დაღლილი იერით დახურა ბოლო საქაღალდე.

– სხვაგან სად შეიძლებოდა, შეენახა დოკუმენტები? – ჰკითხა ნიკამ.

– წარმოდგენა არა მაქვს, – მხრები აიჩეჩა ნანამ, – ანდროს იარაღის შესანახი სეიფი ჰქონდა, მაგრამ მისი დაღუპვის შემდეგ იარაღი მამამისმა წაიღო. მე სეიფში არც კი შემიხედავს.

– სად არის სეიფი?

ნანა ადგა, წიგნების თაროს მიუახლოვდა და დეკორატიული კარი გამოაღო. ღრმა ჭრილში საშუალო ზომის სეიფი გამოჩნდა. სეიფი ღია იყო. იქვე თაროზე იდო გასაღებიც. ზედა თაროზე რამდენიმე წიგნი და სქელტანიანი ჟურნალი იდო. ნიკამ თვალის ერთი შევლებით იცნო წიგნებიც და ჟურნალებიც – ეს იყო ცეცხლსასროლი იარაღის კატალოგები, მოვლის წესები, რჩევები მონადირეებისთვის – მოკლედ, ყოველივე ის, რითაც შეიძლებოდა დაინტერესებულიყო ცეცხლსასროლი იარაღითა და ნადირობით გატაცებული ადამიანი. შანსი მცირე იყო, მაგრამ ნიკამ მაინც გამოალაგა სეიფიდან წიგნები და ჟურნალები. მოულოდნელად ერთ-ერთი ჟურნალიდან საოფისე ფაილი გადმოცურდა და იატაკზე დაეცა. ნიკამ სწრაფად აიღო ფაილი, მასში ჩადებული დასტის პირველ გვერდს დააკვირდა. ეს სწორედ ის დოკუმენტი აღმოჩნდა, რომელსაც ისინი ეძებდნენ – სესხის ხელშეკრულება ბანკთან.

– არის! – შვებით ამოისუნთქა ნიკამ, შემდეგ მაგიდას მიუბრუნდა, ფაილიდან დოკუმენტები ამოალაგა და თვალიერებას შეუდგა. ნანას სამწუხაროდ, ნიკას მოლოდინი გამართლდა: ხელშეკრულებაში ნანა სრულფასოვან წარმომადგენლად იყო მოხსენიებული და ამას მისი ხელმოწერა ადასტურებდა. აქედან გამომდინარე, მას სრული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სესხის დაფარვაზე, თანაც, ის წყნეთში მდებარე მისი ოჯახის კუთვნილი აგარაკით იყო პასუხისმგებელი სესხზე.

– ნაძირალა!.. როგორ გამიკეთა ასეთი რამ?! – გულისტკივილით ჩაილაპარაკა ნანამ, სკამზე დაეშვა და სახეზე აიფარა ხელები.

– დამშვიდდი, – მხარზე შეეხო ნიკა.

– წავიდეთ... არ შემიძლია აქ გაჩერება! – სწრაფად თქვა ნანამ და ფეხზე ადგა.

* * *

ნანას სახლისკენ უხასიათოდ ბრუნდებოდნენ. ის, რის მოსაძებნადაც მივიდნენ სირაძეების სახლში, მანქანის უკანა სავარძელზე იდო, მაგრამ კმაყოფილებას არც ერთი გრძნობდა. ხელშეკრულების ნახვამ ნანას უკანასკნელი იმედი გაუქარწყლა, ნიკას კი მისმა აცრემლებულმა თვალებმა გაუფუჭა ხასიათი.

ახლა, როცა ნანა მის გვერდით იჯდა მანქანაში, უცნაური შეგრძნება დაეუფლა. მუშაობისას თავისთავად გამოიმუშავა რამდენიმე წესი. ერთ-ერთი მათგანის მიხედვ-

ით, კლიენტთან არასდროს შედიოდა ახლო ურთიერთობაში. არც ზედმეტი ოფიციალურობა მოსწონდა. ამიტომაც სთხოვა ნანას, შენობით მომმართეო, მაგრამ, გარკვეულ ზღვარსაც არასდროს არღვევდა. ახლა კი უცნაური გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა: ვერ ხვდებოდა, რატომ მიიზიდა ქალმა, რომელიც ერთი კვირის წინ დაქვრივდა.

„შემეცოდა, – გაიფიქრა თავისთვის, – მძიმე საყურებელია ქალი, რომელიც ასე გაიმეტეს. თანაც ვინ?.. მამაკაცმა, რომელთანაც რამდენიმე წელი იცხოვრა, რომელსაც პატივს სცემდა და ენდობოდა... ახლა კი მწარედ განიცდის ყოველ იმ დღეს, რომელიც ტყუილში გაატარა!.. დოდო... – გონებაში მოულოდნელად ამოტივტივდა ნაცნობი სახე, – რამდენი განსხვავებაა ამ ორ ქალს შორის. ორივე ლამაზია, მაგრამ, თავისებურად. დოდო ავაზაა, საშიში ქმნილება, რომელსაც კატასავით კრუტუნი, მოფერება და მწარედ კბენა, კლანჭის გაკვრა შეუძლია, რასაც წინასწარ გრძნობ – ამას მის თვალებში მოგიზგიზე ცეცხლი მიგანიშნებს, მაგრამ, ამასთან ერთად, ის ცეცხლი ისე გიზიდავს, როგორც ნათურა ფარვანას!... ნანა კი... ის სრულიად სხვა ადამიანია. რაღაც აუხსნელ სიმშვიდეს ასხივებს. თბილი, ალერსიანი მზერა აქვს. მისი სიახლოვე თავისთავად გამშვიდებს... რაზე ვფიქრობ?.. დოდო – დოდოა, ნანა კი მხოლოდ კლიენტია, რომელმაც საქმის გამოსაძიებლად დამიქირავა“... – ნიკა მოულოდნელად გამოერკვა და გვერდზე გაიხედა. ნანას ლოყაზე ჩამოედო ხელი და უინტერესოდ იყურებოდა ქუჩის მიმართულებით. ნიკასთვის გასაგები იყო, რომ ახლა მისი გონება სულ სხვა ფიქრებით იყო დაკავებული და, ალბათ ვერც ხედავდა გაჩახჩახებულ სარეკლამო აბრებსა და გამვლელებს. ქალმა მოულოდნელად იგრძნო მზერა და მისკენ გამოიხედა. წამით მათი მზერა ერთმანეთს გადააწყდა. ნიკა შეძრა მის თვალებში ამოკითხულმა ტკივილმა. ის ნანამაც იგრძნო და მაშინვე აარიდა მზერა.

– საღამოს რა გეგმები გაქვს? – მოულოდნელად ჰკითხა ნიკამ.

– ამ საღამოს? – გაიკვირვა ნანამ.

– ჰო... რას გააკეთებ სახლში დაბრუნების შემდეგ?

– არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა ნანამ, – ალბათ, საოჯახო საქმეებს მივხედავ. ამასობაში დაღამდება და დავიძინებ.

– სადმე შევიაროთ, ყავა დავლიოთ, – შესთავაზა ნიკამ.

ნანა მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ ყრუდ ჰკითხა:

– რისთვის?

– ყავის სმაში რამეს ხედავ უცნაურს? – გაეღიმა ნიკას, – ამას მილიონობით ადამიანი ყოველდღიურად აკეთებს.

– ვიცი... მაგრამ, იმ ადამიანებს სხვა აქვთ საფიქრალი.

– მეც სწორედ იმიტომ გეუბნები, რომ სხვებს სხვა აქვთ საფიქრალი, – განაგრძო ნიკამ, – ახლა ფიქრით ვერაფერს შეცვლი, მხოლოდ თავს დაიტანჯავ. კაფეში გატარებული ორი საათი კი შვებას გაგრძნობინებს.



– გეცოდები? – ხმადაბლა ჩაილაპარაკა ნანამ.

– მეცოდები, – გულწრფელად უპასუხა ნიკამ, – მე ყველა მოტყუებული ადამიანი მეცოდება. წლები გადის. ბევრი რამ გვავიწყდება, მაგრამ, ასეთი ჭრილობები არასდროს ხორცდება.

– მართალი ხარ, – ამოიოხრა ნანამ, – არ ვიცი, რა უნდა მოხდეს ცხოვრებაში ისეთი, რომ ეს საშინელი დღეები დამავიწყოს.

– ყავის დალევით დავიწყოთ, – იხუმრა ნიკამ.

ნანამ ღიმილით გამოხედა და შემდეგ უპასუხა:

– კარგი... დავიწყოთ...

კაფეში მშვიდი გარემო იყო – ჩანს, აქ არასდროს იყრიდნენ თავს ხმაურიანი გართობის მოყვარულები. ისმოდა მშვიდი, სალონური მელოდია. ათიოდე მცირე ზომის მაგიდიდან მხოლოდ სამი იყო დაკავებული.

ნიკა და ნანა კარიდან მოშორებით, კუთხეში მიუსხდნენ მაგიდას. ორიოდ წუთში მათთან ოფიციანტი მივიდა.

– რას შეუკვეთავთ? – იკითხა მან.

ნიკამ ნანას მიაპყრო მზერა და ამით აგრძნობინა, არჩევანი შენთვის დამითმიაო.

– მხოლოდ ყავა, – თქვა ნანამ.

– რომელი? – ჰკითხა ოფიციანტმა.

– მოხარშული შავი ყავა და ერთი ჭიქა წყალი.

– მეც იგივე მომიტანეთ, – დაამატა ნიკამ.

ოფიციანტმა შეკვეთა ჩაინიშნა და უკან გაბრუნდა.

ყავა მართლაც კარგი, ცხელი და სურნელოვანი გამოდგა. ნანამ ხელისგულებში მოიქცია ფინჯანი, ოდნავ მოსვა სასმელი და თქვა:

– იცი, ამ საქმის შესახებ ჯერ არავისთვის მითქვამს – არც ჩემი და არც ანდროს მშობლებისთვის.

– რატომ? – გაუკვირდა ნიკას.

– ჩემმა მშობლებმა ძალიან მძიმედ განიცადეს მომხდარი და აღარ მინდა მათთვის დამატებითი ტკივილის მიყენება. ანდროს მშობლები კი... – ნანამ პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა – ანდროს დაღუპვის შემდეგ საერთოდ გაგვიფუჭდა ურთიერთობა. ისინი მე მადანაშაულებენ მომხდარში. ყველა დარწმუნებულია, რომ ის ვაჟამ მოკლა, რომელთანაც მე რომანი გავაბი. ასეთ ვითარებაში ვინ დაიჯერებს, რომ მე მართლაც არაფერი მაკავშირებს იმ სესხთან? თანაც, ჩვენ ძალიან ბევრი საერთო ნაცნობი გვყავს. მე, უბრალოდ, არ შემწევს ყველასთვის ჩემი სიმართლის მტკიცების ძალა, – ნანამ ისევ მოსვა ყავა და ლაპარაკი განაგრძო – ჩვენი ქორწინება ძალიან უცნაურ ვითარებაში მოხდა. ჩვენი ოჯახები ერთმანეთს იცნობდნენ. გვყავდა საერთო სანაცნობო წრე. ყველას მიაჩნდა, რომ კარგი წყვილი ვიყავით – სულ ეს იყო ჩვენი ქორწინების მიზეზი. ჩვენი მშობლების სურვილი, რამდენიმე მეგობრის რჩევა და... – ამით გადაწყდა ყველაფერი.

– მრავალი წყვილი ქორწინდება ასე, – თქვა ნიკამ.

– ვიცი, – ჩაილაპარაკა ნანამ, – ვერ ვიტყვი, რომ ანდროთი უკმაყოფილო ვიყავი. ის ზრუნავდა ჩემზე. თითქოს ყველაფერი გვქონდა: სახლი, აგარაკი, მანქანა... მცირეოდენი დანაზოგი, მაგრამ, ყოველივე ამას მაინც აკლდა ერთი და ყველაზე მთავარი რამ...

– რა? – ჰკითხა ნიკამ.

– სიყვარული... ჩვენ არასდროს გვყვარებია ერთმანეთი და ამან გამოიწვია ეს ყველაფერი. საყვარელ ადამიანს ასე არ ექცევიან!

– ანდრო რომ არ დაღუპულიყო, ალბათ, ვერასოდეს შეიტყობდი იმ სესხის ამბავს.

– შეიძლება... შესაძლოა, ჩვენი შემოსავლით მართლაც უმტკივნეულოდ დაეფარა სესხი, მაგრამ, ჩემი მშობლების აგარაკი ჩემს ზურგსუკან მაინც არ უნდა ჩაედო ბანკში!.. – ნანა მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ თქვა, – რამე სასმელს დავლევდი...

– რომელს? – ჰკითხა ნიკამ.

– რაიმე მსუბუქს... მაგალითად, ერთ ჭიქა ალუბლის ლიქიორს, – უპასუხა ნანამ.

ოფიციანტმა ორიოდ წუთში მოიტანა ორი ჭიქა ლიქიორი. მისი წასვლის შემდეგ ნანამ ხელში შეატრიალა ჭიქა. მცირე ხანი ჩასცქეროდა მეწამულ სითხეს, შემდეგ მზერა გაუსწორა ნიკას და თქვა:

– ამ საღამოს ერთადერთ სადღეგრძელოს მე ვიტყვი.

– გისმენ, – ჭიქას წაეტანა ნიკა.

– იმას გაუმარჯოს, რაც ყველაზე ძალიან გვაკლია, – თქვა ნანამ და ოდნავ მოსვა ლიქიორი.

– გაუმარჯოს, – უპასუხა ნიკამ.

– რა გაკლია ყველაზე ძალიან? – ჰკითხა ნანამ, როგორც კი მან ჭიქა მაგიდაზე დაუშვა.

– ფული... – გაიცინა ნიკამ.

– ფული?! – გაუკვირდა ნანას.

– ჰო ფული. აბა, რისთვის მოვკიდე ამ საქმეს ხელი?

ნანა ყურადღებით ჩააცქერდა თვალებში და შემდეგ თქვა:

– ხუმრობ... შენ არ ხარ ის ადამიანი, რომელიც ცხოვრებაში პირველ ადგილზე ფულს დააყენებს.

– უკეთ რომ მიცნობდე, ასე არ იფიქრებდი, – გაუღიმა ნიკამ.

– ცოლი გყავს? – მოულოდნელად ჰკითხა ნანამ.

– არა და არც მყოლია.

– რატომ?

– მშობლებმა ვერავინ შემირჩიეს, არც მეგობრებმა მირჩიეს რამე. მე კი დღემდე არ შემხვდა ქალი, რომელსაც შევიყვარებდი... ასე რომ... – აღარ დაასრულა ნიკამ.

– მაშინ, კიდევ ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი: იმ ქალს გაუმარჯოს, რომლებსაც მშობლებისა და მეგობრების რჩევის გარეშე აირჩევ, – გაუღიმა ნანამ და ჭიქას წაეტანა.

უკვე ბნელოდა, როდესაც ნიკამ ნანას მშობლების სახლის წინ შეაჩერა მანქანა.

– ახლა არ ღირს და არც მინდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ... როგორი იქნება საქმის გაგრძელება? – ჰკითხა ნანამ.

– ამას გულისხმობ? – საბანკო ხელშეკრულებაზე მიანიშნა ნიკამ.

– ჰო... რა მოჰყვება ხელშეკრულების აღმოჩენას?

– ახლა ვერაფერს გეტყვი. ხელშეკრულებას საფუძვლიანად უნდა გადავხედო. შეიძლება, სპეციალისტებთან საუბარიც დამჭირდეს. როგორც კი რამე გაირკვევა, დაგიკავშირდები.

– დღევანდელი საღამოსთვის მადლობას გიხდი. არ ვიცი, როგორ გადავიტანდი ყოველივე ამას. სახლში ყოფნისას ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ გაღიმებას შევძლებდი, მაგრამ... – ნანა მოულოდნელად გადაიხარა მისკენ და ლოყაზე ფრთხილად აკოცა.. – შემდეგ კი მანქანიდან გადავიდა და სწრაფი ნაბიჯით შევიდა სადარბაზოში.

* * *

ზურაბი კარგა ხანს უკირკიტებდა საბანკო ხელშეკრულებას, შემდეგ უკმაყოფილოდ დააგდო მაგიდაზე, ნიკას მიუბრუნდა და უთხრა.

– ახლა ვნანობ, რომ ამ საქმეში ჩართვა გთხოვე.

– რატომ?

– ყველაფერზე ეტყობა, რომ მაგარი მურტალი საქმეა. თანაც, ეს ყველაფერი რამდენიმე დღეში გამოიკვეთა. წარმოიდგინე, რას შეიძლება შეეჩეხო ერთი ან ორი კვირის შემდეგ, – თქვა ზურაბმა.

– ვნახოთ... – მშვიდად ჩაილაპარაკა ნიკამ, – ხელშეკრულებაზე რა აზრის ხარ?

– ნანა სირაძე ადასტურებს, რომ ხელმოწერა მისია? – ჰკითხა ზურაბმა.

– ადასტურებს. ისიც კი ამიხსნა, თუ როგორ მოაწერინა ხელი ხელშეკრულებაზე ანდრო სირაძემ.

– ერთი რამ გამაგებინე: ნანა სირაძე მემკვიდრედაა აღიარებული და მას ეკისრება სესხის გადახდა?

– ჰო, ასეა, – დაუდასტურა ნიკამ.

– მაშინ, როგორც მემკვიდრეს, მასვე უნდა გადაეცეს „ინტელგრუპჯორჯიას" აქტივები.

– მართალი ხარ, მაგრამ, ორი გარემოების გამო ამ საქმეს პერსპექტივა არა აქვს. პირველ ყოვლისა, ნანა სირაძეს თავად არ აინტერესებს ის აქტვები და, მეორე – რომც სურდეს, ხელშეკრულება ისეთი ფორმითაა დადებული, მაინც ვერ შეძლებს იმ აქტივებით სარგებლობას, – უპასუხა ნიკამ.

– ჰოდა, სწორედ ამიტომ არ მომწონს ეს საქმე. ეს აღარ არის თუნდაც სასტიკი, მაგრამ, მაინც რიგითი მკვლელობის გამოძიება. ეს უკვე სხვა დონეა და ამ საქმის უკან ძალიან სერიოზული ხალხი დგას. ერთ დეტალს მიაქციე ყურადღება? როგორც არ უნდა მოეტყუებინა სირაძეს თავისი ცოლი, რა გზითაც არ უნდა აღმოჩენილიყო მისი ხელმოწერა ხელშეკრულებაზე, მას არც ერთ შემთხვევაში არ მიიღებდა ბანკი. საქმე იმდენად მსხვილ თანხას ეხება, რომ ნანა სირაძის ბანკში პირადად მისვლის გარეშე ხელშეკრულება ვერ უნდა შემდგარიყო!

– ანუ?

– ანუ, იმ „სასტავს" ბანკში თავისი ხალხი ჰყავს, თანაც, საუბარი არ არის რიგით კრედიტ-ოფიცერზე – ის ვერ გაბედავდა ასეთ რისკზე წასვლას და არც ბანკის სისტემა მისცემდა ამის საშუალებას. ამ საქმის უკან ბანკის უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელი უნდა იდგეს. ახლა მეორე გარემოება: სესხი გარანტირებულია ნანა სირაძის აგარაკითაც. ამ დროს უნდა ჩატარებულიყო ერთი აუცილებელი პროცედურა – კრედიტოფიცერს უშუალო მფლობელთან ერთად უნდა მოენახულებინა აგარაკი. რადგან სესხი გაიცა, გამოდის, რომ ეს პროცედურაც შესრულდა, მაგრამ, ნანა სირაძემ არაფერი იცის ამის შესახებ. რა გამოდის?



– ანდრო სირაძემ თავად მიიყვანა აგარაკზე კრედიტოფიცერი, – უპასუხა ნიკამ.

– მართალი ხარ, – თავი დაუქნია ზურაბმა, – მაგრამ, ანდრო სირაძე არ იყო აგარაკის მფლობელი, ამიტომ, ნანა სირაძის მონაწილეობის გარეშე კრედიტოფიცერს დადებითი დასკვნის გაცემის უფლება არ ჰქონდა. ანუ, ყველაფერი ისევ და ისევ ბანკს უკავშირდება. ერთ რჩევას მოგცემ: ხელშეკრულებას მიაწექი – აქ უკვე არის პროკურატურის საქმეში ჩართვის საფუძველი. წესითა და რიგით, ახალი გარემოებების აღმოჩენის გამო, პროკურატურამ საქმის ძიება უნდა განაახლოს. არსებობს დიდი ალბათობა, რომ სწორედ იმ ფულის გამო მოკლეს სირაძე.

– თუ ასეა, ეს საქმე პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს „ინტელგრუპჯორჯიას", – ივარაუდა ნიკამ.

– ვარაუდებით შორს ვერ წავალთ, მაგრამ, რაღაც სქემა მაინც უნდა გამოვკვეთოთ. დავიწყოთ თავიდან: ანდრო სირაძე. ვინაა ის? საშუალო დონის ბიზნესმენი, რომელსაც არასდროს დაუპირებია მსხვილი საქმის წამოწყება. მოულოდნელად მას უჩნდება სურვილი ჩაერთოს ახალ, ბევრად უფრო მასშტაბურ ბიზნესში, მაგრამ, არ აქვს შესაბამისი თანხა. ყურადღება მიაქციე ერთ გარემოებას: ის არ მიდის მამასთან, რომელსაც ბევრად მეტი შესაძლებლობა გააჩნია. მე პირადად დავკითხე მამამისი და მან არაფერი იცოდა შვილის მიერ ახალი საქმის წამოწყების შესახებ. თავისთავად ისმება კითხვა: რატომ?

– მამამისი უარს იტყოდა ამ საქმეში ჩართვაზე, – უპასუხა ნიკამ.

– ან – სესხის აღებაზე, – განაგრძო ზურაბმა, – ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი ისაა, რომ სირაძე სხვა გზით წავიდა. ყველასგან ფარულად, მეუღლის მოტყუებით აიღო სესხი და ისე ჩადო საქმეში, რომ ამის შესახებ არც მისმა მშობლებმა იცოდნენ და არც უახლოესმა მეგობრებმა.

– ასეთ საქმეებს ასე ფარულად არ აკეთებენ, – ჩაილაპარაკა ნიკამ.

– უბრალოდ, ჩვენ არაფერი ვიცით იმ ადამიანების შესახებ, რომლებთანაც მას ბოლო ხანებში ჰქონდა ურთიერთობა... – თქვა ზურაბმა, – ახლა გადავხედოთ ნინუასთან დაკავშირებულ გარემოებებს. აქაც უცნაური ვითარებაა: გამოცდილი ბიზნესმენი, რომელიც კარგად ერკვევა თავის საქმეში; თავს მშვენივრად გრძნობს თავის სფეროში; გააჩნია შესაბამისი კავშირები, გავლენა და, უეცრად – სრულიად უცნობ სფეროში დებს ფულს. ცოტა ხნის შემდეგ კი ორი ადამიანი ბუნდოვან ვითარებაში იღუპება. თანაც, ორივეს საქმიანობა უკავშირდება „ინტელგრუპჯორჯიას". გაიხსენე ნინუას ვაჟთან შეხვედრაც – ოჯახის წევრები იმდენად დაშინებულები არიან, რომ საქმეში ჩადებული თანხის მოთხოვნასაც კი არ აპირებენ.

ნიკას უმალ თვალწინ დაუდგა სოსო ნინ-



უას ჩამქრალი მზერა. მისთვის ადვილი წარმოსადგენი იყო, რასაც განიცდიდა ახალგაზრდა კაცი. მისმა ოჯახმა დაკარგა უზარმაზარი თანხა, მოკლეს მისი მამა, ამის შემდეგ კი თავხედურად უკავშირდებოდნენ ტელეფონით და „ინტელგრუპჯორჯიაში" ჩადებული თანხის დავიწყებას უბრძანებდნენ. თანაც, მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ვინ იყო იმ ზარების ავტორი. თუმცა, იმას კი ხვდებოდა, რომ მუქარა ანგარიშგასაწევი იყო. ამას ადასტურებდა მისი მამის თავხედური მკვლელობა, რომელიც გამოძიებამ ვერ გახსნა.

– კვალი აშკარად „ინტელგრუპჯორჯიისკენ" მიდის, მაგრამ, ამ ეტაპზე ამის დადასტურება შეუძლებელია, – განაგრძო ზურაბმა, – საერთოდ, ყველა მოვლენა მარტივი მიდგომით უნდა შეაფასო. გადახედე ყველა გარემოებას, შეაფასე მოვლენები, გაარკვიე, ვინ დარჩა მოგებული და შემდეგ გამოიტანე დასკვნა. ამ შემთხვევაში კი მოგებული მხოლოდ „ინტელგრუპჯორჯიაა". ნინუამ და სირაძემ ქონებასთან ერთად სიცოცხლეც დაკარგეს. ბანკის შემთხვევაში განსაკუთრებულ ინტერესს ვერ ვხედავ – ის მხოლოდ პროცენტს მიიღებს. მთელი ამ თანხით კი, ბუნდოვანი ხელშეკრულებების საფუძველზე, „ინტელგრუპჯორჯია" სარგებლობს.

– მაგაზე მეც ვფიქრობ, მაგრამ, მთელ ამ ისტორიაში ვერულიძის ადგილს ვერ ვხედავ – მას არაფერი აკავშირებდა ნინუასთან. სირაძეს კი სესხი მანამდე ჰქონდა აღებული, სანამ მისი ცოლი ვერულიძეს გაიცნობდა, – თქვა ნიკამ, – მის ქილერობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

– მის როლს მეც ვერ ვხედავ, მაგრამ, მაინც არ მჯერა, რომ ვერულიძისა და სირაძის მკვლელობები მხოლოდ დამთხვევაა, – ჩაილაპარაკა ზურაბმა, – როგორ აპირებ მუშაობის გაგრძელებას?

– ბანკით დავიწყებ. ამ ეტაპზე ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სესხთან დაკავშირებული ვითარების გარკვევაა, – უპასუხა ნიკამ.

– მკვლელობები არ გაინტერესებს?

– მე ნანა სირაძემ დამიქირავა და, პირველ ყოვლისა, მის ინტერესებს დავიცავ.

– მართალი ხარ, შენ კერძო დეტექტივი ხარ და შემკვეთის ინტერესების სასარგებლოდ უნდა მოქმედებდე. მაგრამ... – ღიმილით ჩაილაპარაკა ზურაბმა.

– რა – „მაგრამ"? – ჩაეძია ნიკა.

– არ მინდა, რომ ჩვენ შორის რამე იყოს დაფარული. მე შემთხვევით არ შევთავაზე ნანა სირაძეს შენთან დაკავშირება.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა ნიკამ.

– ის მკვლელობები მოსვენებას არ მაძლევს. არ ვიცი, როგორ უყურებს ამ ამბავს პროკურატურა, მაგრამ, მე მკვლელს თბილისის ქუჩებში სიარულის უფლებას არ მივცემ. კარგად ვიცი შენი ხასიათი – არ მოისვენებ და, ადრე თუ გვიან, მაინც გამიყვან იმ არაკაცზე. მაგრამ, ერთი თხოვნა მაქვს შენთან, მეგობრული თხოვნა.

– რა გინდა?

– დღეიდან იარაღით იარე და ჩემთან შეუთანხმებლად ნურაფერს მოიმოქმედებ... მოსულა? – თქვა ზურაბმა.

– მოსულა, – ნიკამ ღიმილით დაუქნია თავი და ხელი გაუწოდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ზომბები ჩვენს შორის არიან – ადამიანს ვირუსი მართავს

ზომბი დიდი ხანია, მყარად „შემოვიდა" ჩვენს ცხოვრებაში – თავდაპირველად, ვუდის კულტის მითებით, შემდეგ საშინელებათა ფილმებით, კომპიუტერული თამაშებით... მაგრამ, ცოტამ თუ იცის, რომ ზოგიერთი ცოცხალი ორგანიზმი მართლა გადაიქცევა ხოლმე ნამდვილ ზომბად: კარგავს კონტროლს საკუთარ თავზე და მთლიანად სხვის ნებას ემორჩილება, მის მსხვერპლად იქცევა. რიგ შემთხვევებში, ისინი ადამიანები არიან. სხვათა შორის, შეიძლება „ზომბირებული" გახდეს მოსახლეობის 40 პროცენტი.

ზომბებს ორგანიზმში შეჭრილი პარაზიტები მართავენ.

არსებობს კრაზანები, რომლებიც კვერცხებს ობობას მუცელში დებენ. შემდეგ კი, ჭუპრები ისეთ ნივთიერებას გამოყოფენ, ობობას ზომბად აქცევენ და იმის ნაცვლად, რომ ქსელი გააბას, ამ ჭუპრების დასაცავად პარკის ქსოვას იწყებს.

ბრაზილიის ტროპიკებში კი სოკოს ნაირსახეობაა, რომელიც ჭიანჭველებს მართავს. სპორებით დასნებოვნებული ჭიანჭველა გადაუხვევს ჩვეულ ბილიკს და მიხვეულ-მოხვეული გზით მიდის მიზნამდე – დაახლოებით 25 სანტიმეტრის სიმაღლის მცენარის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ფოთოლზე. მას „სასიკვდილოდ" ჩაასობს ყბებს. რომელსაც შემდეგ ის უკვე ვეღარასდროს გაიხსნის და 6 საათში კვდება. რამდენიმე დღის შემდეგ კი ჭიანჭველის სოკო ამოდის.

ჭიანჭველების „ზომბირებას" მიმართავს ზოგიერთი ჭიაც. მათ გამრავლებისთვის აუცილებლად ცხვრის ნაწლავები სჭირდებათ. ამიტომ, ჭიანჭველას ის „გადენის" ბალახის წვერზე. თუ ცხვარი შუადღემდე მას არ შეჭამს, ჭიანჭველა, მზემ რომ არ გადაწვას, მიწაზე ეშვება და საღამოს ისევ ბალახზე ადის.

მეცნიერებმა სულ ახლახან დაიწყეს ასეთი პარაზიტების ზემოქმედების მექანიზმის ამოხსნა. პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორმა დევიდ ჰიუზმა აღმოაჩინა, რომ სოკოს მიერ გამოყოფილი ერთ-ერთი ნივთიერება შლის მიტოქონდრიებს – უჯრედის ენერგიის უნიკალურ წყაროს. დასნებოვნებულ ჭიანჭველას თითქოს „ელექტროენერგიას ურთავენ".

ბევრ პარაზიტს ტვინში დასახლება „უყვარს" – იქ უფრო უსაფრთხოდ გრძნობს თავს, სავსებით დაცულია „მასპინძლის" იმუნური სისტემისგან, თანაც იქ ადვილი ხელმისაწვდომია „მართვის ცენტრალური პულტი". მეცნიერები ამბობენ, რომ ადამიანებიც ადვილად შეიძლება, აღმოჩნდნენ ასეთი ჭიანჭველის როლში რომელიმე პარაზიტისთვის. მაგალითად, არსებობს ასეთი „ადამიანური" ავადმყოფობა – ტოქსოპლაზმოზი. მას იწვევს ტოქსოპლაზმა – პარაზიტული უმარტივესი. მისი „დამტარებლები" კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლები არიან. შესაბამისად, ისინი შინაურ კატებშიც შეიძლება დასახლდნენ – ისინი მხოლოდ კატის ორგანიზმში მრავლდებიან. ამიტომ, ქმნიან პირობებს, რომ ადვილად შესაჭმელები გახდნენ. ამით დასნებოვნებულ მღრღნელებს კატების აღარ ეშინიათ და პირიქით ეძებენ ისეთ ადგილს, სადაც კატამ თავისი სუნი დატოვა. რა თქმა უნდა, ტოქსიკოპლაზმით დაავადებულ ადამიანს კატის შარდის სუნი არ იზიდავს, თუმცა კარგავს შიშის გრძნობას და თვითმკვლელობისკენ მიდრეკილიც კი ხდება. საქმე ისაა, რომ ტოქსოპლაზმით პარალიზდება ტვინის ის ნაწილი, რომელიც შიშსა და სიამოვნებაზეა პასუხისმგებელი.

თუმცა, არსებობს გაცილებით გავრცელებული „მაზომბირებელი პარაზიტი" – ჩვეულებრივი გრიპის ვირუსი. ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ გრიპის ვირუსით დაავადებულმა პირებმა, რომლებიც მხოლოდ ნაცნობთა ვიწრო წრეში ტრიალებდნენ, უცბად იგრძნეს მოთხოვნილება ხალხმრავალ ადგილებში ევლოთ, სადაც ვირუსების გავრცელების კარგი შესაძლებლობაა.

შეიძლება, ამ ისტორიებმა ვიღაც შეაშინოს, თუმცა მეცნიერები გვამშვიდებენ: ასეთი ტესტები ძალიან სასარგებლოა, რომ, რაც შეიძლება, მეტი გავიგოთ პარაზიტებსა და ინფექციებზე. ეს ცოდნა შეუცვლელია ნეიროტროპული წამლების შესაქმნელად, რომლებსაც, პოპულარული კინოსიუჟეტებისგან განსხვავებით, ზომბების განკურნება შეუძლია.

# რას იწონის მსოფლიო ოქრო

ოქროს მსოფლიო მარაგის სხმული თითქოს უზარმაზარი უნდა გამოვიდეს, თუმცა, სინამდვილეში, ის არც ისე დიდია. თუ დღემდე მოპოვებულ ყველა ოქროს მოვაგროვებთ, გადავადნობთ და ჩამოვასხამთ ერთ კუბს, მისი ერთი წახნაგის სიგრძე მხოლოდ 20 მეტრი იქნება, წონა კი – 171,3 ათასი ტონა. სხვა შეფასებებით, ეს წონა 155,2 ათასი ტონიდან 2,5 მილიონ ტონამდე მერყეობს. ანალიტიკოსების ასეთი განსხვავებული აზრი იმითაა გამოწვეული, რომ ზოგი ქვეყანა ამჯობინებს, არ გამოაქვეყნონ ინფორმაცია მათ მიერ მოპოვებული ძვირფასი ლითონის რაოდენობის შესახებ. ზოგან კი უკანონო ოქროს მოპოვება ყვავის.

**მომზადდა**
**ლაშა გაგელიძე**

**როგორც შევიტყვე, გიორგი ნაზღაიძე, 2 წლის წინ ბათუმში მომხდარი ჩხუბის გამო, რამდენიმე დღე ციხეში იჯდა. გიორგიმ მეგობრების დახმარებით, კარგად შეძლო ამ ამბის დამალვა და მხოლოდ მას შემდეგ ალაპარაკდა, როგორც კი 2-წლიანი პირობითი სასჯელი მოუხსნეს.**

# როგორ მალავდა გიორგი ნაზღაიძე საკუთარ ნასამართლეობას და ვის გამო იჯდა ის ციხეში

**გიორგი ნაზღაიძე**: ამ ეტაპზე დიდად არ ვარ დაკავებული, თუმცა რაღაცეებს ვაკეთებ. რადიოში ორი გადაცემა მაქვს: „ცოტა ყავა და ბევრი ჭორი“ და „თეთრი ღამეები“, რომელიც მე და თამუნა მუსერიძეს მიგვყავს. 7 აპრილს ამერიკაში მივფრინავ ***(ინტერვიუ ჩაწერილია 3 აპრილს – ავტორი)*** და შეიძლება, საქორწინო მუსიკამაც გაიჟღეროს, ამას იქ გადავწყვეტთ. საქართველოში მერე გვინდა ქორწილის გადახდა. ჩემგან, ხომ იცი, სიურპრიზები არ არის გასაკვირი. წინასწარ დაგეგმვა არ მიყვარს, შეიძლება, უცებ რაღაცამ დამარტყას თავში და გავაკეთო.

**– როგორც მარისთვის, შენთვისაც რთული იქნება ცალ-ცალკე ყოფნა.**

– კი, რთულია, რადგან ხან ის არის ცუდად და მე მხოლოდ ტელეფონით ვუდგავარ გვერდში, ხან მე ვერ ვარ კარგად და როცა მიჭირს, ისიც ტელეფონით მამხნევებს. როდესაც ამ ურთიერთობას ვიწყებდით, მაშინვე ვიცოდით, რას უნდა ჩავჭიდებოდით, რა სირთულეები იქნებოდა. შესაბამისად, ამ ყველაფერს გაგებით ვუდგებით და გვინდა, ეს ამბავი, საბოლოო ჯამში, დაგვირგვინდეს ძალიან კარგი ამბით: ბავშვით. ორივეს ძალიან გვინდა ბავშვი. მარი სულ ამბობს, შენ უნდა დაგემსგავსოსო. მე ვეუბნები: შენ რატომ არ უნდა დაგემსგავსოს-მეთქი? რა მნიშვნელობა აქვს, ვის დაემსგავსება, მთავარია, ჯანმრთელი დაიბადოს.



**ჩემგან, ხომ იცი, სიურპრიზები არ არის გასაკვირი. წინასწარ დაგეგმვა არ მიყვარს, შეიძლება, უცებ რაღაცამ დამარტყას თავში და გავაკეთო**

**– ინტერვიუზე ცხვირზე „გიპსდადებული“ მოხვედი. პლასტიკური ოპერაცია ხომ არ გაიკეთე?**

– ამასთან დაკავშირებით ბევრი მითქმა-მოთქმაა. ამბობენ, რომ ავარიაში მოვყევი, ვიჩხუბე. სინამდვილეში, ცხვირზე რაღაც პრობლემა მქონდა და მოვიშორე, ანუ ქირურგიული ოპერაცია გავიკეთე და არა პლასტიკური. შეიძლება, ცოტა შემეცვალოს ფორმაც. ვაპირებ იმიჯის შეცვლას. მალე სხვა იმიჯით წარვდგები საზოგადოების წინაშე: უფრო სოლიდურად ვიცვამ, აზროვნებაც შემეცვალა.

**– დალვინდი კიდეც?**

– დავლვინდი კიდეც და დავჭკვიანდი. ხომ გაგიგია: სიყვარულმა გადარია ტარიელიო...

**– ცოტა ხნის წინ მითხარი, რომ 2 წლის განმავლობაში „პირობითი“ გქონდა, რომელიც ახლახან მოგეხსნა და საკმაოდ კარგად გაასაიდუმლოე.**

– „სვაბოდაზე ვარ ბრატცი“... 2 წლის განმავლობაში ამ ამბავს ვმალავდი. მეგობრებმაც ისე დამალეს, ვერავინ ვერაფერი გაიგო. 2 წლის წინ ბათუმში, ზღვაზე მომივიდა ჩხუბი. სახეში ჩამარტყეს ხილის ასორტის თეფში. მოკლედ, გადამეკეტა. ბუნჩულა ადამიანი ვჩანვარ, მაგრამ ისეთი სასტიკი ცემა-ტყეპა ატყდა, რომ „ბუიოკიდან“ ვაგდებდი („ბუიოკზე“ იყო ეს რესტორანი). შემდეგ მე წამიყვანეს საავადმყოფოში, სახეზე იარები მქონდა, გამიკერეს. ბოლოს მათ ჩემზე საჩივარი დაწერეს და დამიჭირეს. 2 დღე განყოფილებაში ვიყავით მე და ჩემი 2 მეგობარი. გვეუბნებოდნენ: თქვი, ვინ იყო, თქვიო... მაგრამ ჩვენ არაფერს ვამბობდით. ამის მერე 48 საათით წინასწარ დაკავების იზოლატორში ვიყავით. შემდეგ სასამართლომ განაჩენი გამოგვიტანა: 3-დან 5-წლამდე მიშვებდნენ ციხეში. ერთი დღე ბათუმის ციხეშიც აღმოვჩნდი – ბათუმის ზონაზე ვიყავი, მთაში რომ არის, მწვერვალზე. გარდა ამისა, გირაოს თანხა იყო გადასახდელი.

**– ადრეც შეგმთხვევია მსგავსი რამ?**

– თურქეთში შემემთხვა მსგავსი რამ, იქაურ პატრულს წიხლი ჩავარტყი, დამიშავა რაღაც. დამიჭირეს, ერთი ღამე მაყურყუტეს და მერე გამომიშვეს. მაგრამ, ბათუმში რთულად იყო საქმე – სასამართლომ განაჩენი გამომიტანა, ციხეში გამიშვეს. იზოლატორში რომ ვიჯექი, 48 საათის განმავლობაში თითქმის მარტო აღმოვჩნდი: მე, ეს ოთახი, განაჩენი და ღმერთი. ჩემს ცხოვრებას მთლიანად გადავხედე: რამდენი შეცდომა დავუშვი, რამდენი რამ ვერ გავაკეთე, ვერ მოვასწარი. მივხვდი, რომ ცუდზე არ უნდა დავხარჯო დრო, ნაგავ ადამიანებზე. ციხეზე რომ გადამიყვანეს ფული უნდა გადამეხადა და არ ვიცოდი, დროზე ჩამოვიდოდა თუ არა – ამაზე ვნერვიულობდი.

**– რა თანხაზე იყო საუბარი?**

– საკმაოდ დიდ თანხაზე. ჩემი ოჯახის, მეგობრების დახმარებით თანხა ჩამოვიდა ბათუმში და გამათავისუფლეს, თუმცა, „პირობითი“ დამრჩა. ზონაზე რომ შევედი, ჩემ გარდა კიდევ 33 პატიმარი იყო. ზოგმა ტელევიზორიდან მიცნო: ნაზღაიძეს აქ რა უნდაო. ერთი ჩემი ნაცნობიც აღმოჩნდა, რომელმაც თქვა: ვაიმე, ნაზღაიძე შენ აქ არ გელოდებოდითო. რომ ნახეს, ტრავმირებული ვიყავი, ნაკერები მქონდა, ადამიანურად მომექცნენ, გვერდში დამიდგნენ, საწოლიც კი გამითავისუფლეს. არ მომიწია ფეხზე დგომა, მშვიდობიანად გამიმასპინძლდნენ. ძალიან კარგი ადამიანები იყვნენ. არავინ თქვას, რომ ციხეში ცუდი ადამიანები სხედან. იქ ბევრი ისეთი ზის, ვინც არ უნდა იჯდეს.

**– რაზე იჩხუბე? ტყუილად ხომ არ ჩაგარტყამდნენ თეფშს. შენი ენის გამო ხომ არ მოხდა ყველაფერი?**

– არა, არა... ჩემს მეგობრებთან ერთად ვიჯექი. გვერდით მაგიდასთან ნასვამები ისხდნენ, გაურკვეველი მიზეზების გამო მათი მხრიდან ბილწსიტყვაობა წამოვიდა, მერე – ჩვენიდანაც. ავდექი, მივედი მაგიდასთან, თეფში მომხვდა სახეში. ამის მერე არ ვმალავ და არც არასდროს დავმალავ, რომ ვცემე იმ ადამიანს და თან, ძალიან ნასიამოვნები ვარ, რომ ვცემე. დაცვამ ერთხელ რომ გამიყვანა, მერე უკან შემოვვარდი, უფლება რომ მოეცათ, კიდევ ვცემდი. თან, ჭრილობის გამო სულ სისხლით ვიყავი მოსვრილი. რომ ჩამივარდეს შანსი, ახლაც სიამოვნებით გადავაგდებდი „ბუიოკიდან.“ საჩივარი, რომ შეიტანეს ჩემზე, მერე ჩემმა მეგობრებმაც შეიტანეს საპირისპირო სარჩელი, ამიტომაც მას უფრო დაუმძიმეს ბრალი: ცივი იარაღის გამოყენებით დაუმძიმდა ბრალი. მოკლედ, 2 წლის განმავლობაში მქონდა პირობითი და ძალიან კარგად დავმალე ეს ყველაფერი. თუმცა, დიდი რისკიც იყო, როცა პრობაციის სამსახურში მაინც გცნობს ყველა. ყოველ ხუთშაბათს მივდიოდი, თან, ან ძალიან ადრე, ან ძალიან გვიან, რომ ცოტა ხალხი ყოფილიყო. ვცდილობდი, სათვალე გამეკეთებინა, ქუდი დამეხურა, ისეთი რამ ჩამეცვა, კისერზე ჩემი შტრიხ-კოდი არ გამოჩენილიყო. შევდიოდი და „ლაიქს“ ვაკეთებდი.

**– რატომ არ გინდოდა, რომ საზოგადოებას შეეტყო ამის შესახებ?**

– შეიძლება, კარიერაზე ემოქმედა. მაინც საქართველოა და ვერავინ გაარკვევს, ვინ არის დამნაშავე და ვინ – არა. მეორეც, არ მინდოდა იმიტომ, რომ ჩემი პირადი ცხოვრება მაქვს. ხომ ამბობენ, რომ სკანდალებს ვიგონებ, სკანდალებში ვეხვევი, პირველად ცხოვრებაში სიჩუმე ვარჩიე. ამით ხალხს ვაჩვენე, რომ ძალით არაფერს ვქმნი, არ ვიგონებ. საერთოდ არ გამჩენია სურვილი, რომ ეს ამბავი ხმამაღლა მომეყოლა. „100 გრადუსი ცელსიუსი“ რომ გადიოდა, ნახევარ გადაცემას მითმობდნენ, ამის შესახებ რომ მომეყოლა, მაგრამ უარი ვთქვი. ჩემ გარშემო არიან ჩემი მშობლები, მეგობრები, ვისაც არ უნდოდა, ეს ამბავი გავრცელებულიყო და არც გავავრცელე. ერთი კვირის წინ ვიყავი ბათუმში და მოკლედ „სვაბოდაზე“ ვარ, „ლაიქების“ გარეშე. მეყოფა „ფეისბუქზე“ რომ ვაკეთებ „ლაიქებს“, ახლა პრობაციაშიც რომ არ ვაკეთო. თან, რომ მივდიოდი უცხოეთში, ფულის გადახდა მიწევდა და ახლა თავისუფალი ვარ: როცა მინდა, სადაც მინდა, იქ წავალ – ეს ყველაზე დიდი ბედნიერებაა.

**– ამ ორი წლის განმავლობაში, ალბათ, სულ ფრთხილობდი.**

– კი, პატარა დარღვევაც რომ მქონოდა, პირველი მე დამიჭერდნენ. ყალთაბანდი არ ვარ, მაგრამ სიფრთხილეს ვიჩენდი. თუ მე ვერ ვიჩენდი, ჩემი მეგობრები ისე აკეთებდნენ, რომ წინ თვითონ მიდიოდნენ, მე კი უკან მტოვებდნენ: შენ გაჩერდი, ჩვენ ვჩხუბობთო. მეც ხანდახან დებილივით მიწევდა დგომა. არ მყავს ისეთი დებილი ძმაკაცები, ეთქვათ: წამო, გიო, და შარში გაეხვიე ისევ...

**– ამ ყველაფრის შესახებ მარიმაც იცოდა?**

**ზონაზე რომ შევედი, ჩემ გარდა, კიდევ 33 პატიმარი იყო. ზოგმა ტელევიზორიდან მიცნო: ნაზღაიძეს აქ რა უნდაო. ერთი ჩემი ნაცნობიც აღმოჩნდა, რომელმაც თქვა: ვაიმე, ნაზღაიძე, შენ აქ არ გელოდებოდითო**

– თავიდან არ იცოდა, სადამდეც შემეძლო, ვუმალავდი. მქონდა იმის შიში, რომ ამერიკაში მცხოვრებ გოგონას შეიძლება, არ გაეგო კარგად... ჩვენი გოგონებისთვის უფრო სამარცხვინოა. მერე ცოტა შევაპარე: ბათუმში ვიჩხუბე, ცოტა პრობლემები მქონდა-მეთქი. მეორე კვირას ვუთხარი: განაჩენი გამომიტანეს და მხოლოდ შემდეგ კვირას გავუმხილე, რომ პირობითი მქონდა. საკმარისად გაოცდა, თუმცა მერე დაწყნარდა, რადგან ყველას შეიძლება შეემთხვას ასეთი რამ.

**ნათია უტიაშვილი**

**„მისტერ ვალენტინის” კონკურსის გამარჯვებულ ბერდია თორფურიას საკმაოდ აქტიური ცხოვრების წესი აქვს. ბავშვობიდან ცეკვავს ქართულ ხალხურ ცეკვებს, სწავლობს ტექნიკურ უნივერსიტეტში და ამჟამად უკვე სამოდელო სააგენტო „ბესთ მოდელსის” მოდელია. ინტერვიუში ბერდია თავად გვიამბობს, თუ როგორი გოგონები მოსწონს, როგორია მისი ცხოვრების სტილი და რას აპირებს მომავალში.**

# როგორ აწვალებს ხოლმე გოგონებს ფიზიკურად „მისტერ ვალენტინი“ და რა ჭორები გავრცელდა მასზე კონკურსის შემდეგ

**ბერდია თოფურია**: ბავშვობიდან დავდივარ ქართულ ხალხურ ცეკვებზე – 14 წელია, ვცეკვავ. ამჟამად ვარ ოსეთის ანსამბლ „ნართების” მოცეკვავე. გასტროლებზე დავდიოდი სხვადასხვა ქვეყანაში: საბერძნეთში, ბულგარეთში, თურქეთში. ვსწავლობ ტექნიკურ უნივერსიტეტში, ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტზე. „მისტერ ვალენტინის” კონკურსამდე სამოდელო სფეროში არანაირი გამოცდილება არ მქონია. თავიდან ცოტა მეშინოდა, რადგან, სხვა კონკურსანტები საკმაოდ გამოცდილები იყვნენ და არც ვფიქრობდი გამარჯვებაზე. საქართველოში მოდელ ბიჭებს დიდ ყურადღებას არ აქცევენ. ამიტომ, ვფიქრობ, უცხოეთში წავიდე და სამოდელო კარიერა იქ განვაგრძო.

**– რატომ გადაწყვიტე „მისტერ ვალენტინის” კონკურსში მონაწილეობის მიღება?**

– ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება ჩემი ინიციატივით არ მომხდარა, იქ უბრალოდ, მეგობრების დაჟინებული თხოვნით მივედი. ყველა მეუბნებოდა, რომ ფიზიკური მონაცემები ხელს გიწყობს და აუცილებლად უნდა გახვიდე კონკურსზეო. დავთანხმდი მეგობრებს და მივედი. ფინალში გამოიკვეთა ორი ლიდერი, მე და მახო მაჭარაშვილი. ხმებიც შესაბამისად გაიყო. ორივეს თანაბარი შესაძლებლობები გვქონდა, მაგრამ, ჟიურის გადაწყვეტილებით მე გავიმარჯვე. ძალიან კარგი საჩუქრები მივიღე: გამაჯანსაღებელი ცენტრისა და სოლარიუმის აბონემენტი, დივიდი ფლეიერი, ორკაციანი საგზური ეგვიპტეში, ხუთასლარიანი ვაუჩერი. ცეკვის გამო ჯერ ვერ წავედი ეგვიპტეში, ზაფხულში აუცილებლად წავალ.

**– როგორ ფიქრობ, რა კრიტერიუმით აგირჩიეს შენ?**

– კონკურსის მოთხოვნები იყო ასეთი: სიმაღლე, მამაკაცურობა, სიარულის მანერა. ალბათ თითოეული მათგანი დავაკმაყოფილე, რადგან, გავიმარჯვე. იმასაც ამბობდნენ, რომ „ჩაწყობილი“ იყო კონკურსი, მაგრამ, რასაკვირველია ეს სიმართლეს არ შეესაბამება. მოდელი რომ ვყოფილიყავი, შეიძლება, ეფიქრათ, რომ ეს ტიტული ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და ამიტომ „ჩავაწყვე“, მაგრამ, ამ კონკურსამდე არც ერთ სააგენტოში არ ვყოფილვარ, ასე რომ, ჩემთვის არაფერს წყვეტდა, გავიმარჯვებდი თუ არა. კიდევ ამბობდნენ, რომ არ ვიმსახურებდი „მისტერ ვალენტინის” ტიტულს, რადგან, ელამი ვარ ***(იცინის)*** არადა, ელამი ნამდვილად არ ვარ. კიდევ ბევრ სხვა ნაკლს იმიზეზებდნენ, მოკლედ, ათასი ჭორი დადიოდა.

**– კონკურსის შემდეგ თუ მიიღე შემოთავაზებები სამოდელო სააგენტოებიდან?**

– დიახ, მივიღე რამდენიმე შემოთავაზება. ბათუმში კეთდება ახალი პროექტი, სადაც მიმიწვიეს, თუმცა, ჯერ ზუსტად არ ვიცი, რა სახის პროექტია. ასევე, გავდივარ „ფეშენ-ვიქზე”. მივიღე შემოთავაზება რამდენიმე სარეკლამო რგოლში. კონკურსის შემდეგ კონტრაქტი დავდე კახი ხაბეიშვილის სამოდელო სააგენტო „ბესთ მოდელსთან“ და, როცა ჩემთან რაიმე წინადადება აქვთ, ჯერ ამ სააგენტოს უკავშირდებიან და მათგან ვიგებ მე.

**– გარდა იმისა, რომ მოდელი გახდი, კიდევ თუ შეიცვალა რამე შენს ცხოვრებაში ამ კონკურსის შემდეგ?**

– უფრო პოპულარული გავხდი გოგონებში ***(იცინის).*** მანამდეც არ მაკლდა ყურადღება მათი მხრიდან, მაგრამ, ახლა უფრო გააქტიურდნენ. ძალიან ბევრი წერილი მხვდება „ფეისბუქზე“. ძირითადად ისე ხდება, რომ, როდესაც რაღაცას მიაღწევ, რაიმე ტიტულს აიღებ, უფრო განსაკუთრებული და პოპულარული ხდები. ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა. ცოტა მაღიზიანებენ არატრადიციული ორიენტაციის მქონე მამაკაცები ***(იცინის).*** ძალიან ხშირად მწერენ, მირეკავენ, კომპლიმენტებს მეუბნებიან. როცა ხვდებიან, რომ თავიდან ვიშორებ, შემდეგ გოგოს სახელით მწერენ, მირეკავენ და გოგოს ხმით მელაპარაკებიან ***(იცინის).*** ამ დროს ძალიან ვგიჟდები და თავს ველარ ვაკონტროლებ. ერთხელ რომ ავუხსნი, ხომ უნდა გაიგონ ჩემი აზრი ამის შესახებ, ეს მართლა ძალიან მაღიზიანებს. კონკურსის შემდეგ განსაკუთრებით მომრავლდნენ ***(იცინის).*** თავიდან უფრო მეშლებოდა ამაზე ნერვები, ახლა უკვე აღარ ვაქცევ ყურადღებას. კონკურსის შემდეგ ჩემი ცხოვრების სტილიც შეიცვალა. მოდის სფეროში უფრო გავერკვიე. ახლა უფრო აქტიური წესით ვცხოვრობ, ვიდრე მანამდე. შეიძლება ითქვას, ერთიით მეტი საქმე გამიჩნდა, პროფესიულადაც უფრო დავკავდი.



**ცოტა მაღიზიანებენ არატრადიციული ორიენტაციის მქონე მამაკაცები. ძალიან ხშირად მწერენ, მირეკავენ, კომპლიმენტებს მეუბნებიან. როცა ხვდებიან, რომ თავიდან ვიშორებ, შემდეგ გოგოს სახელით მწერენ, მირეკავენ და გოგოს ხმით მელაპარაკებიან**

**– რაც შეეხება დასვენებას, გართობას, როგორ ატარებ თავისუფალ დროს?**

– კლუბებში დავდივარ. ძირითადად აქტიურად ვისვენებ ხოლმე. ძალიან მიყვარს პარასკევი და შაბათი, რადგან, ეს არის კლუბის დღეები და ყოველთვის იქ დავდივარ, სახლში ვერ ვჩერდები. ძალიან მიყვარს ცეკვა, მუსიკა, მეგობრებთან ერთად ყოფნა. ყოველდღე ვვარჯიშობ, ფორმაში რომ ვიყო. ძირითადად, არაფერს ვგეგმავ ხოლმე, ყველაფერი სპონტანურად ხდება ჩემს ცხოვრებაში. დილით, შეიძლება, მეგობრებმა დამირეკონ და სადმე წავიდეთ. არასდროს არ ვგეგმავ როდის სად წავალ.

**განათლებასაც ვანიჭებ მნიშვნელობას, მაგრამ, ისეთი განათლებულიც არ უნდა იყოს, რომ მე გადამფაროს**

**– გოგონებთან ურთიერთობისას აქტიური ხარ თუ მათგან ელი ხოლმე აქტიურობას?**

– გააჩნია სიტუაციას. შეიძლება, ვიაქტიურო, ოღონდ, გადაჭარბებულად არა. თუ ძალიან მომწონს, შეიძლება, საჩუქარი გავუკეთო, სიურპრიზი მოვუწყო. ხშირად ფიზიკურად ვაწვალებ ხოლმე გოგოებს ***(იცინის).***

**– როგორი გოგონები მოგწონს?**

– ეს ცოტა რთული თემაა ***(იცინის).*** ჩამოყალიბებული კრიტერიუმები არ მაქვს – შეიძლება, ქერა მომეწონოს, ან – შავგვრემანი. მთავარია, ეშხიანი იყოს, ფერებს მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია რაღაცით მიმიზიდოს და დამაინტერესოს. ცოტა განსხვავებული აღქმა მაქვს: შეიძლება, მომეწონოს გოგო, რომელიც სხვებს არ მოსწონთ, მაგრამ, მასში ისეთი რაღაც დავინახო, რითიც მოვიხიბლო. მთავარი გარეგნობა არ არის, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ხასიათს – ცოტა ეშმაკი გოგოები მომწონს ***(იცინის).*** განათლებასაც ვანიჭებ მნიშვნელობას, მაგრამ, ისეთი განათლებულიც არ უნდა იყოს, რომ მე გადამფაროს ***(იცინის).***

**– შეყვარებული არ გყავს?**

– შეყვარებული არ მყავს, მაგრამ, არის ჩემს ცხოვრებაში ადამიანი, ვისთანაც გარკვეული გრძნობები მაკავშირებს.

**– შენთან ურთიერთობა ადვილია?**

– არა, ჩემთან ურთიერთობა ადვილი მართლა არ არის, ძალიან რთული ხასიათი მაქვს. ხშირად წვალდებიან გოგონები ჩემს ხელში ***(იცინის).*** ძალით კი არ ვაწვალებ, უბრალოდ, ასე გამოდის ხოლმე. ძალიან ეჭვიანი ვარ, მეგობრებზეც კი ვეჭვიანობ. ცოტა ფეთქებადი ხასიათი მაქვს – შინაგანად ვფეთქდები ხოლმე, მაგრამ, უმეტესად ვცდილობ, თავი გავაკონტროლო. როდესაც ადამიანი ისეთ რაღაცას აკეთებს, რაც ჩემში არ ზის, ძალიან ვღიზიანდები. ვერ ვიტან ტყუილს. თუ ვინმე მატყუებს, წყობიდან გამოვდივარ, მაგრამ კონტროლს არასდროს ვკარგავ. მე ვცდილობ, არასდროს ვთქვა ტყუილი, ყოველ შემთხვევაში, ისე არ მოვიტყუო, რომ ვინმეს ზიანი მივაყენო. ზოგადად ცივი და უხეში ადამიანი არ ვარ. საკუთარ თავზე ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ, ზოგადად, დადებითად მახასიათებენ ხოლმე მეგობრები.

**– სამომავლოდ რას აპირებ, რა გეგმები გაქვს?**

– ჯერ არ ვარ ჩამოყალიბებული, რა პროფესიას გავყვები. კარგი იქნება, თუ მოდის სფეროში მივაღწევ წარმატებას და საქართველოს ფარგლებს გარეთაც გავალ. თუ შემომთავაზებენ რამე წინადადებას, აუცილებლად დავთანხმდები და სამოდელო კარიერას უცხოეთში გავაგრძელებ.

**ხატია კარანაძე**

**წითელას უჩვეულო გააქტიურებამ მოსახლეობაში ისეთი პანიკა დათესა, რომ ექიმები პაციენტთა მშობლების ზარებს ვეღარ აუდიან, საავადმყოფოები კი – დამფრთხალი მშობლების საფუძველმოკლებულ ვიზიტებს. თუმცა, მშობლების კარგად მესმის, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის, შემთხვევების სიმრავლისა და ორი გარდაცვლილი ადამიანის ფონზე, მშვიდად ყოფნა თითქმის შეუძლებელია. რამ გამოიწვია ეს მდგომარეობა, არის თუ არა პანიკის საფუძველი და როგორ გამოვიდეთ მდგომარეობიდან, ამაზე ვრცლად გვესაუბრება პედიატრი თემურ მიქელაძე, ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკის ამბულატორიული სამსახურისა და კლინიკა „კურაციოს“ პედიატრიული სამსახურის უფროსი.**

# რა უნდა ვიცოდეთ წითელას შესახებ და როგორ დავიცვათ თავი ამ დაავადებისგან

**თემურ მიქელაძე:** გამონაყარით მიმდინარე ინფექციები რიგითობით არის დაჯგუფებული – წითელა, წითურა, ქუნთრუშა, ატიპიური ქუნთრუშა, პარვოვირუსული ინფექცია და მეექვსე ვირუსული ეგზანთემა. გამონაყარის დაავადებები იდენტურია. ჩუტყვავილა ჰერპეს-ვირუსული დაავადებაა, რომელსაც სხვა სახის, წყლულოვან-ბუშტუკოვანი გამონაყარი ახასიათებს. კლინიკურად როგორ გამოვლინდება, იმის მიხედვით დგინდება წითელაა, წითურა თუ სხვა. მათ შორის ყველაზე მაღალი კონტაგიოზურობით, ანუ ყველაზე იოლად ვრცელდება წითელა, რომლის კონტაგიოზურობის ინდექსია 90. ანუ, დაავადებულთან კონტაქტით ასი ადამიანიდან ოთხმოცდაათი დაემართება, თუ, რა თქმა უნდა, ისინი არ არიან იმუნიზებული, ან დაავადება წარსულში არ გადაუტანიათ. ასე რომ, წითელა ოთხმოცდაათი პროცენტით გადამდებია. საქართველოში 1999-2000 წლებში იყო ეპიდემიური აფეთქება. მახსოვს, იძულებით გადაადგილებულ პირებში – ჩეჩნეთიდან თუ აფხაზეთიდან, მაღალმთიან რეგიონებში, კოდორის ხეობაში, პანკისში ჩატარდა იმუნიზაცია, აქ იყო ერთგვარი გავრცელების კერა. ამის შემდეგ, საკმაოდ ბევრი წლის განმავლობაში, საქართველოში სულ, წითელას ათი-თორმეტი შემთხვევა თუ ფიქსირდებოდა. 2008 წელს ვაქცინაციის პროგრამა ჩავარდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვაქცინა უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე. ამის პროპაგანდას ეწეოდა ინფორმაციის მასობრივი გავრცელების საშუალებები და ზოგიერთი ექიმიც. ეს წარმოდგენა აბსოლუტურად მცდარია!



მაღალგანვითარებულ ქვეყნებში წითელა პრაქტიკულად არ გვხვდება

**– ამან გამოიწვია ეპიდემია?**

– ამან გამოიწვია, რომ წელს საქართველოში უკვე დაფიქსირებულია წითელას შვიდასზე მეტი შემთხვევა. რომ მიხვდეთ ეს რამდენად ბევრია ჩვენი ქვეყნის მასშტაბებისთვის, ერთ მაგალითს მოვიყვან. ამერიკის შეერთებულ შტატებში, დაახლოებით 1967-1968 წლებში იყო წითურას თორმეტ მილიონამდე და წითელას რვა მილიონამდე შემთხვევა. 2012 წელს წითელას მხოლოდ ოთხმოცამდე შემთხვევა ჰქონდათ, ისიც ემიგრანტების მიერ შეტანილი. წარმოიდგინეთ, სამას მილიონზე მეტი მოსახლეობის პირობებში, ოთხმოცამდე შემთხვევა იყო და ოთხმილიონიან ქვეყანაში – შვიდასი. ეს ძალიან მაღალი მაჩვენებელია. მათ შეძლეს წითელა-წითურა-ყბაყურას დამარცხება, რომლის საწინააღმდეგოდაც ერთი ვაქცინა არსებობს. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში წითელა, პრაქტიკულად, არ გვხვდება. ვიზაზეც რომ აკეთებ განაცხადს, იქ არის სპეციალური გრაფა, სადაც გეკითხებიან: ხარ თუ არა აცრილი წითელა-წითურა-ყბაყურაზე, ან დამატებით მოითხოვენ ვაქცინაციას. ამის გარეშე ვიზას არ გასცემენ.

**– რატომ არის ასეთი პანიკური შიში მშობლებში აცრის მიმართ? ზოგადად, სხვა აცრებსაც ვგულისხმობ.**

– ზუსტი პასუხი არ მაქვს. გავრცელებულია მითი და ალბათ, ექიმებიც ვალდებულები ვართ, თქვენი დახმარებით, მისი უგულებელყოფა მოვახდინოთ. რა ხდება რეალურად? წითელას ვაქცინას სულ რამდენიმე უკუჩვენება აქვს. მისი გამოყენება არ შეიძლება ორსულებში და ვაქცინაციის შემთხვევაში, რეკომენდებულია, ადამიანი არ დაორსულდეს სამი-ოთხი თვის განმავლობაში. არ კეთდება ტუბერკულოზის აქტიური ფორმების იმუნოსუპრესიული თერაპიისა და სხვადასხვა სხივური ან ქიმიოთერაპიული მკურნალობის დროს. ასევე, მწვავე ინფექციების შემთხვევაში, როცა ცხელება 39 გრადუსია და ზემოთ. ასეთ დროს ხდება გადავადება. ნერვული სისტემის დაავადებების: ენცეფალიტის, მენინგოენცეფალიტის დროს კი, ვაქცინამ შეიძლება ეს დაავადებები გაართულოს. საქართველოში დაახლოებით სამოცი ათასი ბავშვი იბადება, რომელთაგან მსგავსი უკუჩვენება შეიძლება მხოლოდ თხუთმეტ-ოცს, უკიდურეს შემთხვევაში ას პაციენტს ჰქონდეს. თან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვაქცინის გაკეთებით ჩვენ იმ ასამდე პაციენტსაც ვუფრთხილდებით, რომელიც ვერ იცრება, რადგან ეპიდემია შესაძლოა მათთვის დამღუპველი აღმოჩნდეს. აუცილებელია ვაქცინაციამ მოსახლეობის მაქსიმალური ფენა მოიცვას, რათა თავიდან ავიცილოთ წითელა-წითურა-ყბაყურას გავრცელება.

**– რატომ არ კეთდება აცრა ექვს თვემდე?**

– თუ დედას გადატანილი აქვს დაავადება, ან აცრილია, ბავშვს ანტისხეულები ტრანსპლაცენტარულად გადაეცემა. ანუ, მას თანდაყოლილი იმუნიტეტი აქვს და იცავს წითელასგან. თუ დედას წითელა გადატანილი აქვს, ახალშობილს იმუნიტეტი შესაძლოა, წლამდეც კი გაჰყვეს; თუ მხოლოდ იმუნიზებულია, მაშინ ექვს თვემდე მიჰყვება. ამიტომაც, მოთხოვნაა, რომ აცრა გაკეთდეს ერთი წლის ასაკში. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ცხრა თვეზე კეთდება. შემდეგ ხდება რევაქცინაცია ხუთი წლის ასაკში და ვაქცინაციის რაუნდები ეპიდემიური სიტუაციების გათვალისწინებით. ეპიდემიის დროს აუცილებელია, შემდეგი პირების ვაქცინაცია: ბავშვების ერთიდან ხუთ წლამდე, ვისაც ერთი ვაქცინა მაინც აქვს გამოტოვებული; ასევე, ექვსი თვიდან ოცდაათ წლამდე ასაკის პირებში. მიჩნეულია, რომ 1960 წლამდე დაბადებულებში წითელას საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება აუცილებელი არ არის, რადგან ყოველ მათგანს, უსიმპტომოდ ან ძლიერი სიმპტომატიკით აქვს დაავადება გადატანილი.

**– როგორ უნდა გავარჩიოთ წითელა წითურისგან და სხვა მსგავსი ინფექციებისგან?**

– სხვა დანარჩენებთან შედარებით, წითელა მაღალი ტოქსიკურობით ხასიათდება და გააჩნია თავისი პერიოდები: ინკუბაციის, რომელიც საშუალოდ 14 დღემდე გრძელდება; შემდეგ პროდრომალური, ანუ კლინიკურ ნიშნებამდე გამოვლენის პერიოდი, რომელიც ორიდან ოთხ დღემდე გრძელდება და საკმაოდ ხშირად მას თან ახლავს სინათლის შიში, კონიუნქტივიტი, ხველა, ყელის ტკივილი და ლოყის შიგნით ზედაპირზე მორუხო-მოთეთრო ფერის ლაქები (კოპლიკი). ამით შეგვიძლია, წითელაზე ეჭვი მივიტანოთ. თავიდან წითელა იწვევს აპენდიციტის მსგავს შეტევით ტკივილებს მუცლის არეში. წითელას ლორწოვანი გარსის დაზიანება ახასიათებს, მათ შორის ჭიანაწლავის გაღიზიანება. ტკივილი მთავრდება მას შემდეგ, რაც კანზე გამონაყარი ჩნდება. წითელას კლინიკური გამოვლინების პერიოდია მაღალი ცხელება და გამონაყარი. გამონაყარი იწყება ყურის უკანა ნაწილიდან, ჩამოდის ყელზე, გულმკერდზე, მუცელსა და კიდურებზე. კიდურებზე გადასვლის დროს წითელა უკუგანვითარებას განიცდის და ამ დროს ადამიანი უკეთესად გრძნობს თავს. გადამდებია წითელა გამონაყარამდე ორი და გამონაყარიდან შვიდი დღე. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია, პაციენტის მაქსიმალურად იზოლირება.

**– როგორ უნდა დავამარცხოთ?**

– წითელას დამარცხება, გრიპის ვირუსისგან განსხვავებით, უფრო მარტივია, რადგან მას მხოლოდ ერთი სეროტიპის ვირუსი იწვევს, რომელზეც ვაქცინა შემუშავებულია. მისი დამარცხება სწორი და გეგმური იმუნიზაციის შედეგად მარტივია.

**– გართულებების საშინლად ეშინიათ მშობლებს.**

– გარდაცვალების სულ ორი შემთხვევა იყო, ორ და ოცდაათ წლამდე პაციენტთან. გარდაცვალება გამოიწვია მძიმე თანამდევმა ბაქტერიულმა ინფექციამ. აუცილებელია, ექიმის მუდმივი მეთვალყურეობა, რათა წითელას ბაქტერიული ვირუსები არ დაერთოს. წითელას მკურნალობა არ არსებობს. ერთადერთი რეკომენდაციაა A ვიტამინის მიხმარება: წლამდე ასაკში ასი ათასი საერთაშორისო ერთეულით, ხოლო წლის ზემოთ – ორასი ათასი საერთაშორისო ერთეულის სახით პირველ, მეორე ან მეოთხე დღეს, იმ პაციენტებთან, ვისაც თვალის დაზიანების საფრთხე აქვთ. მკურნალობა სიმპტომურია, დამზოგველი თერაპია, სითხეების დიდი რაოდენობით მიღება, სიცხის დამწევები. ბაქტერიული ინფექციის თანდართვის შემთხვევაში, აუცილებელია, ანტიბიოტიკური თერაპიის დროულად დაწყება. არ იმკურნალოთ ექიმის გარეშე.

**– გრიპის აცრაზეც მინდა გკითხოთ. მთელი ევროპა და ამერიკა, შემოდგომაზე ოჯახებით მიდიან კლინიკებში და იკეთებენ გრიპის აცრას. ჩვენთან რატომ არ დაინერგა ეს კულტურა?**

– გრიპის ვაქცინა კეთდება ალგორითმით, თუ იმ ზამთარს რომელი შტამის გავრცელებაა მოსალოდნელი. 2012-2013 წლებში გაკეთდა A ტიპის H1N1 და H 3N2 და B ტიპის ნარევი. ეს ვაქცინა უნდა გაკეთდეს ოქტომბერ-ნოემბერში. ჩვენ გრიპის ინფექცია ეპიდემიის დროს გვახსენდება და ვიცრებით იანვარში, როცა უკვე დაგვიანებულია. განსხვავებით წითელა-წითურა-ყბაყურისგან, გრიპის აცრა ფასიანია და თან, რეკომენდებულია სპეციალურ რისკ-ჯგუფებში გაკეთდეს – ორ წლამდე ასაკის, გულის თანდაყოლილი მანკის მქონე პაციენტებში და სხვა მსგავსი შემთხვევების დროს.

**– მეორე თემაა ვაქცინების ხარისხი. როდესაც პოლიკლინიკაში გეკითხებიან, ინდურს გაიკეთებ თუ ფრანგულსო, წინასწარვე ცუდი განწყობა გიჩნდება უფასო ვაქცინის მიმართ.**

– ვაქცინის ხარისხი ორივე შემთხვევაში, პრაქტიკულად იდენტურია. კომერციული ვაქცინა ერთი შპრიც-დოზაა, უფასო – ორი შპრიც-დოზა. ორივე ერთნაირ, მყარ, წითელას საწინააღმდეგო დაცვას ავითარებს.

**სალომე გველესიანი**

# რითი დაიღალა გივი თარგამაძის ცოლი და ისმინება თუ არა მისი ტელეფონი

*„ჩე გევარას შემდეგ მსოფლიოს ისტორიაში არავის ღირსებია იმდენი ყურადღება, რამდენიც გივი თარგამაძეს – ვგულისხმობ მისთვის მსოფლიო რევოლუციონერობის დაბრალებას," – ასე პასუხობს მიხეილ სააკაშვილი რუსი ჟურნალისტის შეკითხვას. უკვე თვეა, რაც გივი თარგამაძეზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული. რუსეთის სასამართლომ ქართველ დეპუტატს, პარლამენტისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, ბრალი რუსეთში მასობრივი არეულობების მომზადებასა და ოპოზიციის ფინანსური მხარდაჭერისთვის წაუყენა და დაუსწრებლად შეუფარდა პატიმრობა. ჩვენ აღარ მოვყვებით გივი თარგამაძეზე გავრცელებულ ჭორისა თუ სიმართლის გარკვევას, თუ რა ქონებას ფლობს ის საქართველოსა და უცხოეთში; რომ ის „რევოლუციების ბიზნესით" არის დაკავებული; რომ უკრაინაში მცხოვრები ქართველი (არა მხოლოდ) კანონიერი ქურდების მფარველი და მეგობარია... ჩვენ დღეს მას სხვა მხრიდან – საყვარელი ქალის თვალით დაგანახვებთ. ნინო მუშკუდიანის ჩვენთვის მოცემული ექსკლუზიური ინტერვიუდან შეიტყობთ, თუ ვინ არის სინამდვილეში გივი თარგამაძე, რა აზრისაა მისი მეუღლე ყველა იმ ბრალდებაზე, რაზეც მის ქმარს ედავებოდნენ, ედავებიან და ასე შემდეგ.*

*ცოლის შეფასებით, გივი თარგამაძე რბილი ხასიათის, მეოჯახე მამაკაცია. ის ძალზე მოწესრიგებულია თავის ნივთებთან და სამოსთან მიმართებაში. ქმრის ერთადერთ ნაკლად არაპუნქტუალურობას მიიჩნევს, რადგან, ყოველთვის ყველგან აგვიანებს. თუ შინ არის, ძირითადად მუშაობს; ხანდახან საოჯახო საქმეებშიც იღებს მონაწილეობას და დრო შვილებისთვისაც რჩება. სახლში არასდროს ლაპარაკობს პოლიტიკაზე მხოლოდ ერთი მიზეზით – დაიღალა. ქმრისთვის ტანსაცმელს ნინო თავად ყიდულობს. გივი თარგამაძე, თურმე, კოსტიუმებსა და ჰალსტუხებს ვერ იტანს, თუ მაინც მოუწია მათი ჩაცმა-გაკეთება, დიდხანს ასე გამოწყობილი ვერ ძლებს – შინ შეირბენს და აუცილებლად ჯინსს ჩაიცვამს. ნინოსა და გივის ორი ქალიშვილი ჰყავთ – ნატალი და ეკატერინე. ცოლ-შვილის მიმართ ძალიან ყურადღებიანია. უყვარს მათთვის სიურპრიზები, ძვირფასი საჩუქრების გაკეთება.*

**– ნინო, პირველ ყოვლისა, გმადლობთ, რომ ინტერვიუზე დაგვთანხმდით. სად არის ახლა თქვენი მეუღლე-მეთქი, რომ გკითხოთ, უაზრობა იქნება – ვიცი, მაინც არ მიპასუხებთ, ამიტომ, თქვენი, როგორც გივი თარგამაძის ცოლის აზრი და განცდები მაინტერესებს იმ საკითხზე, რის გამოც ის დღეს ინტერპოლით არის ძებნილი.**

– გივის არაფერი გაუკეთებია ისეთი, რომ დაიჭირონ. ამიტომ, იმის შიში არ მაქვს, რომ დაკითხვაზე დაიბარებენ და რაღაც... დარწმუნებული ვარ, ვერაფერს მოუძებნიან. ისე კი, რაღაც ჭორები ყოველთვის არსებობდა, რომ მილიონები იშოვა, რომ ბევრი სახლი გვაქვს არა მხოლოდ თბილისში, უცხოეთშიც. ერთ-ერთ გაზეთში ვნახე იმ სახლების ფოტოები, რომლებიც ვითომ ჩვენი საკუთრებაა. სასაცილოა ეს ყველაფერი. რაც შეეხება რუსეთის მხრიდან ბრალდებებს, არანაირი როლი არ აქვს გივის ამაში. უყურეთ „მეცხრე არხს"? მე არ ვიცი, როგორ შეიძლება ქართველმა ეს იკადრო, რაც მათ იკადრეს; ძალიან აღშფოთებული ვარ. როგორც ვხვდები, ზუსტად იცოდნენ, სად იყო გივი, მივიდნენ, გადაუღეს და მერე ეს კადრები რუსულ ტელეარხებს გადასცეს. ამ კადრების შემდეგ მას ადგილსამყოფლის შეცვლა მოუწია. თან, სიუჟეტი ასე დაიწყო: რომ ქართველმა ჟურნალისტებმა ჩაატარეს გამოძიება და ეს კადრები მათ მოგვაწოდესო. მე ვფიქრობ, რაც არ უნდა მოხდეს, შენი ქვეყნის მოქალაქე უნდა დაიცვა. აქ რომ ვერაფერი მოუგონეს, ახლა რუსეთში მასობრივი არეულობების ორგანიზებას აბრალებენ. რა თქმა უნდა, განვიცდი, ვნერვიულობ, თუმცა, იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. გული ცუდს არ მიგრძნობს. საქართველოს მხარეს უფლება არ აქვს, გივი რუსეთს გადასცეს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ უფლება რომ ჰქონდეთ, გადასცემენ. აქ რომ შეჰქმნოდა პრობლემა, ასე არ ვინერვიულებდი; ღმერთის წყალობით, თუ ადამიანი ჯანმრთელი ხარ, ამას გადაიტან, მაგრამ, იქ, რუსეთის სპეცსამსახურების ხელში მოხვედრას არავის ვუსურვებ.

**– ფიქრისთვის ყველაზე კარგი დრო არის ღამე. ძილის წინ თუ ფიქრობთ ხოლმე, რაში შეიძლება იყოს მართალი თქვენი მეუღლე, რაში მტყუანი და რით შეიძლება დამთავრდეს ეს ყველაფერი?**



**საქართველოს მხარეს უფლება არ აქვს, გივი რუსეთს გადასცეს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, უფლება რომ ჰქონდეთ, გადასცემენ**

– ღამით საერთოდ არ მძინავს. ჩვენ ასეთი რეჟიმით ვცხოვრობდით: რადგან გივი გვიან მოდიოდა სახლში, ყველა ჩვენი მეგობარიც გვიან მოდიოდა ჩვენთან და ისე გახდებოდა ხოლმე დილის ხუთი, ექვსი საათი, რომ ვერ ვიგებდით. ამიტომ, ასეთ რეჟიმს შევეჩვიე. ვინც ფიქრებში მიდის, მერე დეპრესიაში გადასდის; ამიტომ, ვცდილობ, არაფერზე ვიფიქრო და, ან ვკითხულობ, ან ტელევიზორს ვუყურებ...

**– ან ქმარს ელაპარაკებით კომპიუტერით.**

– არა, გივიმ საერთოდ არ იცის კომპიუტერთან ურთიერთობა. „ფეისბუქსზე" ვიღაცას მისი გვერდი აქვს გაკეთებული. ასე რომ, მინდა იცოდეს ყველამ, რომ ეს გივი თარგამაძის „ფეისბუქი" არ არის.

**გივი გაფითრებული სახით ჩამოვიდა ფოიეში და თქვა – ნომერში შევედი და არაფერი აღარ დამხვდაო. ავედით და, ვხედავთ, ყველაფერი ადგილზეა. აღმოჩნდა, რომ სხვის ნომერში შესულა, შხაპიც მიუღია და მოწესრიგებულა კიდეც**

**– სატელეფონო მუქარები, შემოთვლები, თვალთვალი ხომ არ ყოფილა?**

– მუქარა და ეგეთი რაღაცეები არა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ტელეფონს უსმენენ. მართლა დავიღალე. ხან გამორთულია და ვერსად ვრეკავ, ხან საშინლად შიშინებს... ბევრჯერ მითქვამს ტელეფონში საუბრისას სპეციალურად, იქნებ გამისწოროთ, თორემ, ველარ ვლაპარაკობ, დავიტანჯე-მეთქი. ან, რა უნდა ვილაპარაკო ისეთი, მაგას კი არ ფიქრობენ.

**– თქვენს ქონებაზე მუდმივად არის ლაპარაკი. გივი თარგამაძე რომ არ იყოს თანამდებობის პირი, არ ჰქონდეს კარგი მატერიალური შესაძლებლობები და იყოს ძალიან დაბალი სოციალური ფენის, ღარიბი ადამიანი, თუ იქნებოდით მის გვერდით?**

– მე რომ გივის გავყევი ცოლად, არც თანამდებობა ჰქონდა და არც არაფერი, ჩვეულებრივად ვცხოვრობდით და, მიმაჩნია, რომ დღესაც ასე ვცხოვრობთ. მას არასდროს გამოუყენებია თანამდებობა პირადი მიზნებისთვის. რომ დავქორწინდით, პავლოვზე ვცხოვრობდით გივის მშობლებთან. ჩვენი მეზობელი ბანკში მუშაობდა, რომელიც დაგვეხმარა ცალკე ბინის შეძენაში – ნუცუბიძის ქუჩაზე რაღაც ფართი იყო და ნელ-ნელა უნდა გადაგვეხადა. შევიძინეთ. მერე ეს ბინა გამოჩნდა, ის გავყიდეთ და ეს ვიყიდეთ. ამაზეც დაგვჭირდა საბანკო სესხის დამატება.

**– კუს ტბის თვალისმომჭრელ კომპლექსზე რას გვეტყვით, რომელიც გივიმ შეიძინა და სადაც ახლა მისი დედა და ძმა ცხოვრობენ.**

– ჩემმა დედამთილმა რამდენიმე წლის წინ პავლოვზე გაყიდა ბინდა და იქ იყიდა.

**– ვიცი, მიჩვეული ხართ ქმრის ხშირ წასვლა-წამოსვლებს, მაგრამ, ახლა ალბათ ძნელია, ოჯახის გვერდით რომ არ არის. მისი არყოფნა თუ აისახა თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე? ალბათ, ახლა რაღაც-რაღაცეებზე გიწევთ უარის თქმა, მაგალითად, ისეთ ნივთებზე, რაც ოჯახში აუცილებელი არ არის: ცნობილი მხატვრის ფერწერული ტილო, ძვირფასი ავეჯი, სამკაული...**

– რა თქმა უნდა, ძნელია, აქ რომ არ არის. ფინანსურად კი აისახა იმდენად, რამდენადაც ჩვენ არავინ გვეხმარება, ოჯახს გივი განაგებს. ჯერჯერობით არ ვიცი, რას აპირებს, რა იქნება, რადგან, საერთოდ არ გვაქვს არანაირი კონტაქტი ერთმანეთთან. შეძენით კი, რა ვიცი... არასდროს მქონია მოთხოვნილება, ძვირფასი ნახატი, სამკაული ან ანტიკვარები მეყიდა, ეს ჩემში არ ზის და არც არასდროს მიმიცია თავისთვის ამის უფლება.

**– კარგი. ახლა მის ხასიათსა და თვისებებზე ვისაუბროთ.**

– გივი არ არის წუწუნა და მომთხოვნი, როგორც ქართველ ქმრებს სჩვევიათ. ძალიან დამოუკიდებელია, საკუთარ თავს თვითონ უვლის. ბევრჯერ ყოფილა, რომ საუზმე, ჩასაცმელი თვითონ მოუმზადებია და აქეთ შემოუთავაზებია, ჩაი ან ყავა ხომ არ გინდაო. ძალიან მშვიდი ხასიათისაა. უკვე 12 წელია, ერთად ვართ და ჯერ მისგან ხმამაღალი სიტყვა არ გამიგია; არ მახსოვს, ჩემთვის რამე ეწყენინებინა. შეიძლება სახლში საჭმელი არ დახვდეს, მაგრამ, არასოდეს იტყვის საყვედურს. არც ჩაცმის მხრივ არის პრეტენზიული. უყვარს ჯინსები, მაისური, სადა ფერები. პიჯაკები, პერანგები და ჰალსტუხები მისთვის ტრაგედიაა. ძალიან უნდა ეხვეწო, რომ პიჯაკი ჩაიცვას. კლასიკურ სამოსში ვერც ყველა ქალი გრძნობს თავს კარგად და მეც ასე ვარ. სულ მგონია, ცუდად ვხდები და, ერთი სული მაქვს, სახლში როდის მივალ და გამოვიცვლი. საერთოდ, გივიმ ტანსაცმლის ამორჩევა იცის. ახალ რაღაცას რომ იყიდის, მასთან შეგუება უჭირს. კონკრეტულ სავაჭრო ცენტრში დავდივარ და ვხედავ თანამდებობის პირები როგორ დადიან და ვაჭრობენ. გივის ეს მომენტი არ აქვს.

ერთი ამბავი გამახსენდა: ჯვარი რომ დავიწერეთ, ხუთი თვის შემდეგ ქორწილი გვქონდა მანამდე მეგობრებთან ერთად თურქეთში ვიყავით საქორწილო კაბის შესაკერად. უკან რომ ვბრუნდებოდით, ყველაფერი, რაც შევიძინეთ, ერთ ნომერში გადავიტანეთ. გივი გაფითრებული სახით ჩამოვიდა ფოიეში და თქვა – ნომერში შევედი და არაფერი აღარ დამხვდაო. ავედით და, ვხედავთ, ყველაფერი ადგილზეა. აღმოჩნდა, რომ სხვის ნომერში შესულა, შხაპიც მიუღია და მოწესრიგებულა კიდეც.

**– პოლიტიკის გარდა სად წარმოგიდგენიათ ქმარი?**

– გივი პოლიტიკის გარდა ვერსად წარმომიდგენია. როგორც ვიცი, ადრე კარგი ჟურნალისტი იყო. დედამისს უნდოდა, ექიმი გამოსულიყო და სამედიცინოზეც სწავლობდა, მაგრამ, მერე თავი დაანება და ჟურნალისტიკაზე ჩააბარა.

**ეკა პატარაია**




**ვოცნებობ, რომ პარიზში წავიდე – ეიფელის კოშკი მინდა, ვნახო, პარიზის ქუჩები მაინტერესებს, როგორია; კიდევ, „დისნეი-ლენდში“ მინდა მოხვედრა; კიდევ, ძმა მინდა პატარა...**

**„თბილისელებთან“ შეხვედრის, მიღების, გადაღებისა და ინტერვიუს ჩანერის დროს, დიდი, სერიოზული და გამოცდილი რესპონდენტივით იქცეოდა დათო ტურაშვილის ლამაზი და ჭკვიანი ქალიშვილი – სოფიო. მან თავისი უშუალობით, ლოგიკური მსჯელობითა და სიდინჯით გაგვაოცა. ინტერვიუდან დადებითი ემოციებით დამუხტულები დავბრუნდით.**

# რა რჩევებს აძლევს დათო ტურაშვილს თავისი ნაბოლარა ქალიშვილი

**სოფიო ტურაშვილი:** მე ვარ სოფიო ტურაშვილი, 9 წლის. ვსწავლობ ქართული სასწავლებლის მესამე კლასში. სკოლის საგნებიდან ყველაზე ძალიან ქართული ენა მიყვარს. საერთოდ, კითხვა მიყვარს. სკოლის გარდა, დავდივარ ხატვაზე და ცეკვაზე. ხატვა უფრო მომწონს, იქ ვერთობი; ცეკვაზე ცოტა ვიღლები. მუსიკაზე მინდა, შემიყვანონ... ვნახოთ, თუ შემიყვანენ.

**– მეცადინეობა გიყვარს?**

– არ მიყვარს... არავის არ უყვარს მეცადინეობა. მეცადინეობის დროს თუ გამიჭირდება რამე, დედიკო მეხმარება, თუ არ სცალია, მაშინ – მამიკო. საერთოდ, მარტო ვმეცადინეობ. გარეგნობით, მეუბნებიან, მამიკოს გავხარო. მხიარული ბავშვი ვარ, მაგრამ, ხანდახან ისეთ ცუდ ხასიათზე ვდგები ხოლმე...

**– რამ შეიძლება გაგიფუჭოს ხასიათი?**

– ძალიან ცუდ ხასიათზე ვდგები, როცა საჭმელს ძალით მაჭმევენ ხოლმე. ტრადიციული საჭმლები არ მიყვარს, „მაკდონალდსი“ მიყვარს, პიცა...

**– მოდი, რაც გიყვარს იმაზე ვისაუბროთ. ამჟამად რას კითხულობ?**

– პატარა რომ ვიყავი, მამა მიკითხავდა რაღაცეებს. ყველაზე მეტად „დონ კიხოტი“ მიყვარდა. ახლა თვითონ ვკითხულობ. სწავლის პერიოდში პატარა წიგნებს ვკითხულობ, არდადეგების დროს – უფრო მოზრდილს. ბიოგრაფიების კითხვა მიყვარს.

**– ვისი ბიოგრაფია დაგამახსოვრდა?**

– ფიროსმანის. საინტერესო ცხოვრება ჰქონდა. სიღარიბეში ცხოვრობდა, დუქნებში ხატავდა და ძალიან გვიან აღმოაჩინეს. ფიროსმანის ნახატების გამოფენაზეც ვიყავი, განსაკუთრებით მომეწონა „გოგონა ბუშტით“, „მარგარიტა“.

ფიროსმანის გარდა, გავეცანი ლეონარდო და ვინჩის, ვაჟა-ფშაველას, გალილეო გალილეისა და ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფიებს. ყველაზე ძალიან დამამახსოვრდა ის, რომ ექვთიმე თაყაიშვილი, როდესაც მაღალი კლასის მოსწავლე იყო, დაბალკლასელები ჰყავდა და იმათ ასწავლიდა; კიდევ, ჩამოაყალიბა უნივერსიტეტი. „ბითლებზეც“ წავიკითხე, მათი სიმღერებიც მომისმენია.

**– მამიკოს წიგნებს კითხულობ თუ ის მხოლოდ დიდებისთვის წერს?**

– ჯერ არაფერი წამიკითხავს. ვეუბნები ხოლმე, რომ ბავშვებისთვისაც დაწეროს რამე. ერთხელ დაწერა, ჟურნალში იყო რუბრიკა – „საბავშვო დრო“ და იქ იბეჭდებოდა – მამას ნაწერები.

**– მამაზე მომიყევი რამე.**

– რა ვიცი, რა მოგიყვეთ... კარგი კაცია, რასაც ვთხოვ, ყველაფერს ყიდულობს ჩემთვის, გარდა ცუდი საჭმელებისა.

**– ცუდი საჭმელები რომელია?**

– ჩიპსები, მარილიანი ორცხობილები... ხანდახან მამას ზოოპარკში დავყავარ ხოლმე, ხანდახან – კუს ტბაზე, ოღონდ, ზაფხულში. სადაც მომინდება, იქ დავყავარ. მამიკო ჩემი მეგობარია. თუ რამეს შემპირდება, აუცილებლად მისრულებს, დედაც და მამაც. ტელევიზორში ხშირად ვნახულობ მამას. ხანდახან მასწავლებლებიც მეუბნებიან ხოლმე – მამაშენი ვნახეთ ტელევიზორში და კარგად ლაპარაკობდაო... კარგ რაღაცეებს მეუბნებიან მამაზე.

მამაჩემს რჩევებს ვაძლევ ხანდახან – როცა მეკითხება, შენ რას მირჩევო. მაგალითად: რომელი წიგნი წავიღო გადაცემაში, შენ რომელი წიგნი მოგწონსო, რომელი წიგნი მოგიტანოო.

**– რის გამო გიბრაზდება მამიკო?**

– საჭმელს თუ არ შევჭამ. მეტი არაფერზე არ ბრაზდება ჯერჯერობით.

**გადაღების პროცესი ძალიან მომეწონა. კიდევ თუ გადამიღებენ, კარგი იქნება. არ მეგონა, ფილმის გადაღებას ამდენი რამ თუ სჭირდება. ერთსა და იმავეს იმდენ ხანს წერდნენ, რა ვიცი... მე ვუყურებდი და მომწონდა**

**– მე ვიცი, რომ მამიკოსთან ერთად გიმოგზაურია კიდეც. მართალია?**

– დიახ, ზაფხულში ეგვიპტეში ვიყავით. ბევრი ძველი ტაძარი დავათვალიერეთ, იეროგლიფები ვნახეთ. გემით ვისეირნეთ ნილოსზე და იქიდან ნიანგი დავინახე. ჩვენი გემი სხვადასხვა ადგილებში ჩერდებოდა. ერთგან გადავედით და დავათვალიერეთ ნიანგების მუზეუმი. იქ ნიანგების მუმიები ვნახეთ. საინტერესო იყო, მაგრამ, სურათები არ გადაგვაღებინეს – არ შეიძლებაო.

ეგვიპტეში ნიკა წულუკიძე გავიცანი და ერთად ვითევზავეთ. მე ვერაფერი დავიჭირე, ნიკამ კი ძალიან ლამაზი თევზები დაიჭირა. კიდევ, „დაივინგზე“ ვიყავით, იახტით წავედით. შემდეგ იახტა წითელ ზღვაში გაჩერდა და ჩვენ ჩავყვინთეთ. წყლის ქვეშ ყველაფერი ძალიან ლამაზი იყო. ვნახეთ მარჯნები, ფერად-ფერადი თევზები...

**– ოცნებობ რამეზე?**

– ვოცნებობ, რომ პარიზში წავიდე – ეიფელის კოშკი მინდა ვნახო, პარიზის ქუჩები მაინტერესებს როგორია; კიდევ, „დისნეი-ლენდში“ მინდა მოხვედრა; კიდევ, ძმა მინდა პატარა...

**– სახელიც ხომ არ გაქვს მისთვის მოფიქრებული?**

– იოანე და ნიკა მომწონს.

**– ლამაზი გოგო ხარ, ასე მგონია, რომელიღაც ფილმში მყავხარ ნანახი...**

– ფილმის გადაღებაზე ვყოფილვარ – ზაფხულში. ფილმი „სიყვარული აქცენტით“ ჩემი მამიკოს სცენარით გადაიღეს და მე მასში ბოლო ეპიზოდში ვჩანვარ, ოღონდ, მაშინ გრძელი თმა მქონდა.

**– ალბათ, იმიტომ ვერ გიცანი თავიდან. მოგეწონა? საინტერესო პროცესი ყოფილა ფილმის გადაღება?**

– საინტერესო იყო. ნახევარი ჯგუფი რუსები იყვნენ – ნახევარი ქართველები. რუსული კარგად არ მესმის და უფრო ქართველებთან ვკონტაქტობდი. მე და რეზიკო (გიგინეიშვილი) ხშირად დავდიოდით ერთად. მიშა მესხი და თინა დალაქიშვილი გავიცანი. მიშა ბაყაყის ხმაზე ლაპარაკობდა და ძალიან მაცინებდა. გადაღების პროცესი ძალიან მომეწონა. კიდევ თუ გადამიღებენ, კარგი იქნება. არ მეგონა, ფილმის გადაღებას ამდენი რამ თუ სჭირდება. ერთსა და იმავეს იმდენ ხანს წერდნენ, რა ვიცი... მე ვუყურებდი და მომწონდა.

**– ფილმში მე ვინ გადამიღებს, მაგრამ ის მაინც მასწავლე, რა არის საჭირო იმისთვის, რომ გადაღებას დაგასწრონ?**

– ჩუმად უნდა იყო. სასტუმროს სცენას რომ იღებდნენ, ყველა გასუსული იყო, ვინმეს ან ბოთლი რომ დავარდნოდა, ან გამოქცეულიყო, ან დაეხველებინა, ყველაფრის ხელახლა გადაღება დასჭირდებოდათ.

**– ფილმი რომ ნახე დასრულებული სახით, მოგეწონა? შენ ასეთი წარმოგედგინა?**

– ძალიან მომეწონა. ფილმი უფრო კარგი გამოვიდა, ვიდრე წარმომედგინა. ყველაზე მეტად, დუტა რომ ვერ ეუბნება თავის შეყვარებულს ვერაფერს, ის მომენტი მომეწონა და ვერასდროს რომ ვერ პოულობს იმ გოგოს.

**– გადაწყვეტილი გაქვს, რა გინდა გამოხვიდე, როცა გაიზრდები?**

– არა, ჯერ არ გადამიწყვეტია.

**– ყველაზე მეტად ვინ განებივრებს?**

– ბებია, მამა და დედა.

**ეკა სალაღაია**

**მისი საზოგადოებაში გამოჩენა ყოველთვის არაერთგვაროვან რეაქციებს იწვევს: ზოგს უკვირს, ზოგს მოსწონს, ზოგი აღფრთოვანებულია, ზოგიც აკრიტიკებს, საბოლოო ჯამში, მაინც ყველა თვალს აყოლებს და აინტერესებს, ჯეი.ბი საზოგადოების წინაშე როგორი „ლუქით“ წარდგება. თან, ძალიან მალე „თბილისის ფეშენ-ვიქიც“ იწყება... რაც მთავარია, ჯეი.ბი ახლახან Vogue World-ის მეორეხარისხოვანი რედაქტორი გახდა.**

# რა მისია იკისრა ქართველი ხალხისთვის ჯეი.ბიმ და როგორ გახდა ის მთელ მსოფლიოში შერჩეულ 10 კაცს შორის Vogue World-ის მეორეხარისხოვანი რედაქტორი

**ჯეი.ბი**: ვემზადები „თბილისის ფეშენ-ვიქისთვის“. მთელმა მსოფლიოს დიზაინერებმა ერთი, კონკრეტული თემა აიღეს. ყველას ჩვენება ერთმანეთს დაემსგავსა, რადგან ერთი ტენდენცია აკავშირებთ. ამიტომ მინდა, მსგავსი რამ გავაკეთო „ფეშენ-ვიქისთვის“, ჩემი ყველა „ლუქი“ უკავშირდებოდეს თემას, რომელიც დღეს ყველაზე აქტუალურია. მადონამ გახსნა ეს თემა და მერე გადავიდნენ დიზაინერებიც. მოკლედ, დანარჩენს აღარ დავაკონკრეტებ, რადგან მინდა, ჩემი „ლუქი“ „ფეშენ-ვიქზე“ სიურპრიზი იყოს. ეს ის ადგილია, რასაც ვემსახურები და რაც მე მემსახურება. შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა, „თბილისის ფეშენ-ვიქი“ იქნება, თუ პარიზის, ან მილანის. მთავარია, ეს არის მოდის კვირეული და მოგეთხოვება, მიხვიდე შესაბამისად ჩაცმული და მათაც მოეთხოვებათ, რომ შესაფერისად დაგხვდნენ. რამდენი წელია, ასე მივდივარ და ჩემი ყოველი მისვლის შემდეგ, მაინც აბრუნებენ თავს – ყველა ემოციებში ვარდება. ეს კარგია, რადგან ამ დროს არ ძველდება ადამიანი. კი, თითქოს ბოროტიენები ამბობენ, ჩვენ ამას შევეჩვიეთო. საბოლოოდ, გულის სიღმეში მაინც უკვირთ. თან, საქართველოა, ამ მენტალობაშია გაზრდილი ეს თაობა და ის, რაც მენტალურად გაქვს, იმას ვერავინ ამოგიშლის თავიდან. შესაბამისად ლოგიკურია, რომ გაგიკვირდეს. თუ ადამიანს არ უკვრის, ისე, არაფერს ამტკიცებს. ერთხელ გავაკეთე ორი „ლუქი“, განსხვავებული კი იყო, მაგრამ რაღაცით ჰგავდა ერთმანეთს. ამაზეც ერთი ამბავი ატეხეს: იგივე იმიჯით რატომ იყოო. არადა, არ ვყოფილვარ. საერთოდ, როცა რაღაცას აკრიტიკებ, იმ სფეროში კარგად უნდა ერკვეოდე და დიდი ბაზა უნდა გქონდეს. ბევრი მეუბნება: შენ დიზაინერობა გინდა თუ „სთაილ აიქონობაო“. მე შემიძლია, ვიყო დიზაინერი, მაგრამ მეცვას ასე. უბრალოდ, სულ სხვა სურვილები მაქვს: ვიყო არა დიზაინერი, არამედ „სთაილ აიქონად“ ვიქცე. ერთი მიზანი მაქვს და იმისკენ, იცი, როგორ მივდივარ? გარშემო შავი ღრუბელია, მარტო იმ რაღაცას ვხედავ, წინ რაღაც ანათებს და დიდი რქებით მივიწევ მისკენ. სხვას არაფერს ვუყურებ. დედაჩემი მეუბნებოდა: ისეთ სამყაროში შეჰყავი თავი, ძალიან გაგიჭირდება იქიდან გამოსვლაო. შოუ-ბიზნესი და პლუს მოდა, ეს არის სფერო, სადაც ყველაზე მეტად გასასიზღრებენ, გლანძღავენ, გჭორავენ. ტრიალებდე მოდაში – ეს არის საკუთარ თავზე აღებული დიდი პასუხისმგებლობა. ძალიან ძლიერი უნდა იყო, რომ ამ ყველაფერს გაუძლო. რა თქმა უნდა, არ მომწონს წინააღმდეგობები, მაგრამ მათ გარეშე, უინტერესო იქნებოდა ყველაფერი. ეს უფრო მაძლიერებს და წინ მივდივარ. ყოველთვის პირდაპირ ვამბობდი, რაც მინდოდა. შეიძლება, 10 კაცში ვიჯდე, ყველა ერთ აზრზე იყოს, მე კი მაინც ხმამაღლა ვიტყვი განსხვავებულ აზრს და არ შემეშინდება იმის, ეს 10 კაცი ჩემ წინააღმდეგ რომ წამოვა. ჩემმა მეგობარმა, თორნიკემ დაწერა ჩემზე: ეს ის ბიჭია, ვისაც დასცინოდით, აფურთხებდით ქუჩაში, ლანძღავდით, აგინებდით, ამბობდით, რომ ფარდები აქვს შემოხვეული, რადგან ძალიან მახინჯია და ამით მალავს ყველაფერს, ამით უნდა თავის დამკვიდრებაო. ახლა კი ეს ბიჭი „ვოგის“ ყდაზეა. ძალიან კარგად გამოუვიდა. მართლა ასე იყო. ზოგადად, მიყვარს ბიოგრაფიების კითხვა. შეიძლება, ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ სიმართლეა. მათ, ვინც რაღაც შეცვალეს კაცობრიობისთვის, იბრძოდნენ ზნეობრივი გამოსწორებისთვის, ხალხის გემოვნების დასახვეწად. დასაწყისში, ყველა მსგავს რაღაცას განიცდიდა, ამგვარად ებრძოდნენ მასაც.

**– ამხელა მისია გაქვს შენც, ანუ ქართველი ხალხის გემოვნების შეცვლაზე და დახვეწაზე ზრუნავ?**

– მაგისკენ მივდივარ. მოდაში ისე არ შევდგამ ფეხს, თუ რამეს არ მივაღწევ. არ მინდა, მერქვას მხოლოდ დიზაინერი და ვიბეჭდებოდე „ვოგის“ უკანა ფურცელზე ორი სიტყვით – ეს არ მაკმაყოფილებს. რადგან ამ სფეროში შევდგი ფეხი, ვიცი, რომ ჩემს სიტყვას ვიტყვი, ჩემს თმის ღერს დავტოვებ. საქართველოდან მომიწია ამ ყველაფრის გაკეთება, თან, ეს მიხარია კიდეც, რადგან ხალხთან კონფლიქტში იმხელა გამოცდილება დამიგროვდა... ამაზე მეტად ვერსად შემჭამენ. აქ თუ გავუძლებ, მერე ყველგან გავუძლებ. მიუხედავად ყველაფრისა, არასდროს მიფიქრია შევცვლილიყავი და ხალხს დავმსგავსებოდი. ადამიანებს უნდა უყვარდეთ სიმართლის მოსმენა. მე სულ ვამბობ: ეს არის ჩემი სიმართლე, არაფერს ვმალავ, მაგრამ ეს აღიზიანებთ. მერე ვფიქრობ: მოვიტყუო, ჩავიცვა ტყავის ქურთუკი, ჯინსები და ისე ვიარო? მერე სახლში მოვიდე და ჩავიცვა ისევ ჩემი რაღაცეები? რა თქმა უნდა – არა. იმის მაგივრად, რომ სიმართლეს ვამბობ და მომისმინონ, პირიქით, აგრესიაზე გადადიან, ჭკუის დარიგებას იწყებენ. ისიც ჰგონიათ, რომ დარიგებას აღარ მოვისმენ. გააჩნია, ვინ მარიგებს და რა თემაზე. ბაბუაჩემმა მოდაზე რომ დამარიგოს ჭკუა, რა თქმა უნდა, კეთილად გამელიმება და არ მოვუსმენ, სამაგიეროდ, სხვა რაღაცეებში მოვუსმენ.



**შოუ-ბიზნესი და პლუს მოდა, ეს არის სფერო, სადაც ყველაზე მეტად გასაზიზღრებენ, გლანძლავენ, გჭორავენ. ტრიალებდე მოდაში – ეს არის საკუთარ თავზე აღებული დიდი პასუხისმგებლობა**

**იმავე დღეს გვიან მომივიდა წერილი: „გამარჯობა, გიორგი, ღვთაებრივი სტილი გაქვს, მე ვარ „ვოგის“ რედაქტორი“. ემოციურად ერთ ამბავში ჩავვარდი, ძალიან გამიხარდა, მაგრამ არ შევიმჩნიე და ჩვეულებრივ მივწერე მეც**

**– როგორი რეაქციები აქვს ბაბუას, როდესაც შენს გარეგნობას, ჩაცმულობას უყურებს?**

– გაკვირვებული მიყურებს ხოლმე. გიჟდება ჩემზე, ძალიან ვუყვარვარ და ცუდი დამოკიდებულება არასდროს გვქონია. ერთი კვირა დავდიოდი შავებში, ვუალებით და მკითხა: შავებში ჩაცმული რატომ დადიხარ, ვინმე გარდაიცვალაო? ჩვეულებრივად არ იღებს, მაგრამ საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

**– ახლა მომიყევი იმ სიახლის შესახებ, რომელიც „ვოგმა“ შემოგთავაზა.**

– რამდენიმე დღის წინ ჩემი მეგობარი ანანო დოლაბერიძე შემეხმიანა: Vogue World-ის – მეორეხარისხოვანი ედიტორი გავხდიო. ძალიან გამიხარდა, მივულოცე. იმავე დღეს, გვიან მომივიდა წერილი: „გამარჯობა, გიორგი, ღვთაებრივი სტილი გაქვს, მე ვარ „ვოგის“ რედაქტორი“. ემოციურად ერთ ამბავში ჩავვარდი. ძალიან გამიხარდა, მაგრამ არ შევიმჩნიე და ჩვეულებრივ მივწერე მეც. სამ წინადადებაში უკვე მითხრა: ჩვენ თქვენთან თანამშრომლობის ძალიან დიდი სურვილი გვაქვს და გაგვიხარდება, თუ თქვენც დაგვთანხმდებითო. ვკითხე: კონკრეტულად ჩამომიყალიბეთ, რას მთავაზობთ და შემდეგ დაელოდეთ ჩემს პასუხსმეთქი. შემომთავაზეს: ჩვენ ძალიან გვინდა, რომ იყოთ Vogue World-ის ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი რედაქტორიო. მეორე დღეს დავთანხმდი. მომცეს დავალებები, ანუ რაზეც უნდა ვწერო. ეს არის: ავანგარდი, კონცეპტუალური მოდა და ოტ-კუტიური. ზუსტად შეაფასეს ის, რაც მე უნდა მეწერა: „მოდა – გაკეთებული ხელოვნებაში“ – ეს თემა მომცეს, სწორად გათვალეს. დიდი ხანი მსჯელობდნენ, ჩემთვის რა დავალება მოეცათ.

**– როგორ გიპოვეს?**

– აზრზე არ ვარ. „ფეისბუქზე“ ვერ ვიტყვი, რომ რამე მიწერია, რომელი სკოლა დავამთავრე, ისიც კი არ მიწერია, არ ვაქცევ დიდად ყურადღებას. ფოტოები მედო. ალბათ, მათ ხალხი ჰყავთ გამოყოფილი, რომლებიც მსოფლიოს გარშემო ეძებენ ადამიანებს – Vogue World -ისთვის 10 კაცი შეარჩიეს მთელი მსოფლიოდან. ამას ვერ ვიჯერებდი. მერე გვერდის ადმინისტრატორი რომ გავხდი, ყველაფერს ვხედავ: იცი, რამდენი ესემესი მოსდით: „ძალიან გთხოვთ, დაგვამატეთ“, აგზავნიან ნამუშევრებს და მე არაფერი გამიგზავნია. ამერიკული „ვოგის“ კრეატიული დირექტორის პროექტია გააკეთოს „ვოგი მსოფლიო“. ჯერ გვერდი შეიქმნა და თუ ჩვენ ათივე აღმოვჩნდებით ძლიერი რედაქტორები, სამომავლოდ, ალბათ, ჟურნალი შეიქმნება, რომელიც გამოიცემა. მანამდე ინტერნეტით მოხდება ყველაფრის განთავსება. 5 საფეხური გვაქვს, რომელიც უნდა გავიაროთ. მანამდე გვაკვირდებიან: როგორი გემოვნება გაქვს, რას პოსტავ, რას წერ, საიდან დებ, როგორ დებ, რა სათაურს აძლევ და ასე შემდეგ.

**– როგორ წერ?**

– ერთი სტატია დავწერე გალიანოზე, ძალიან მოეწონათ: არაჩვეულებრივია და ვფიქრობთ, ჩვენს ბლოგზე განვათავსოთო. ჩამოყალიბებულად წერ, ნეიტრალური მხარე გიკავია, კარგი მაგალითები მოგყავს და საკმაოდ კარგად იკბინებიო. დღეში ორზე მეტი პოსტი უნდა დავდო საიტზე, რომ ხალხმა ნახოს, დაათვალიეროს. ამ ხუთ საფეხურს თუ გადავლახავ, რა ენაზეც უფრო კარგად წერ, გესმის, შესაბამისი ქვეყნის „ვოგში“ წაგიყვანენ სამუშაოდ და იქ უკვე გექნება ანაზღაურება, მანამდე არ გაქვს. მე ყველაზე მეტად საფრანგეთში წავიდოდი, ფრანგულ „ვოგში“.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**გოგოლი**: ქრისტიანი კაცი არ შეიძლება მარტო მასწავლებელი ან მარტო მოსწავლე იყოს. ის მუდამ ერთიცაა და მეორეც, ამიტომ მიდის სრულყოფილებისკენ. ჩემო მეგობარო, თავი მხოლოდ შეგირდად ჩათვალე. ნუ იფიქრებ, რომ დაბერდი, დაბრძენდი, დასრულდა შენი სწავლა-განათლება, შენმა სულმა და ხასიათმა სრულყოფილებას მიაღწია. ქრისტიანისთვის არ არსებობს დამთავრებული კურსი, იქ სამარის კარამდე მოწაფეა.

**ვინკელმანი**: ორატორულ ხელოვნებაში ძნელია არა ბევრის თქმა, არამედ ცოტას თქმა.

**დემოსთენე**: ყოველგვარი სიტყვა უბადრუკი და ცარიელია, თუ საქმე არ მოჰყვა.

**ბუასტი**: ნუ აქცევთ ბავშვს კერპად, თორემ გაიზრდება და თაყვანისცემას მოითხოვს.

**გოეთე**: ხელოვნება გამოუთქმელის შუამავალია.

**ლეონარდო და ვინჩი**: ფერმწერი ედავება და ეჯიბრება ბუნებას.

**კამპანელა**: ჭეშმარიტების კრიტერიუმია ცდა.

**გალილეი**: მხოლოდ დოგმის სიკვდილით იწყება მეცნიერება.

**ცვაიგი**: არც ერთმა ექიმმა არ იცის დაქანცული სხეულისა და გატანჯული სულის სამკურნალოდ იმისთანა წამალი, როგორიცაა იმედი.

**კონსტანტინე**: როგორც წერას, ისე სროლასაც დროის შერჩევა უნდა.

**საბა**: თუ გონების თვალით ბრმა ხარ, ყოველი შენებრ გგონია.

**ბელინსკი**: პატიოსან ადამიანებს აქვთ ცუდი ჩვეულება: უტიფართა წინაშე თავს ხრიან.

**ფრანკლინი**: ადამიანებს, რომელნიც რჩევას არ იკარებენ, ვერაფრით დაეხმარები.

**ვერჰარნი**: ყველა სიძნელე ჩვენში მხოლოდ ამრავლებს ძალებს.

**უაილდი**: ქალებს ჩვენ ვუყვარვართ ჩვენი ნაკლოვანებების გამო.

**ბლეიკი**: ერთსა და იმავე ხეს ხედავენ სულელი და ჭკვიანი, მაგრამ სულელს ერთნაირი ეჩვენება, ჭკვიანს – სხვანაირი.

**მონტენი**: ვინც სნეულების შიშითაა შეპყრობილი, ის უკვე შეპყრობილია შიშის სენით.

**ჟანა დარკი**: თუნდაც ასო-ასო დამკეპოთ და სული ამომგლიჯოთ, მაშინაც არ შევცვლი ჩემს ჩვენებას, რადგან მე რომ სხვა ვთქვა, ყოველთვის იქნება საბაბი დამცირებისა, რომ სიტყვა გადამათქმევინეთ.

**ადისონი**: დუმილი ზოგჯერ ბევრად უფრო მრავალმნიშვნელოვანი და ამაღლებულია, ვიდრე ყოვლად კეთილშობილური და მეტყველი ენამჭევრობა და ბევრ შემთხვევაში მაღალ გონებაზე მეტყველებს.

**დეფო**: ადამიანური სიბრძნის უზენაესი ხარისხი ისაა, რომ უნარი ჰქონდეს, შეეგუოს შექმნილ ვითარებას და ყოველგვარ ქუქა-ქუხილში სულის სიმშვიდე შეინარჩუნოს.

**შექსპირი**: რაცა სჭირდება, მასზე მეტი ხალხს თუ არ მიეც, ადამიანი ხომ პირუტყვად გადაიქცევა!

**ბეკონი**: სიკვდილის მიახლოება სულით ძლიერთ ნაკლებად აძინებთ, რადგან მუდამ რჩებიან იმად, რაც არიან.

**დიკენსი**: სიყვარული – ყველაზე უფრო საინტერესო და საპატიო გახლავთ ადამიანურ სისუსტეთა შორის.

**ბრიუიერი**: ნუთუ არ შეიძლება, გამოიგონოს ვინმემ საშუალება, რომელიც ქალებს თავიანთ ქმრებს შეაყვარებდა?

**ლოლობრიჯიდა**: მამაკაცი საკუთარ საიდუმლოზე ერთგულად სხვის საიდუმლოსინახავს, ქალი კი – პირიქით.

# თუ გამოიცნობთ

1. სანამ ევროპა მას მიიღებდა, ზოგს მიაჩნდა, რომ ქვართლისგან მზადდებოდა და მისი გამოყენება სასიკვდილო ცოდვა იყო. თუმცა, მისი ერთგვარი დაცვა იყო ბახის კანტატა, რომელიც მან პიკანდერის ტექსტზე შექმნა. **დაასახელეთ ნაწარმოები.**

2. 1256 წელს დანიელ წარჩინებულებს დაავალდებულეს მიეღოთ გვარები. ზოგმა გვარი საკუთარი გერბის მიხედვით აიღო. **დაასახელეთ** რა იყო გამოსახული გერბებზე, რომელთაგანაც წარმოიშვა გვარები: როზენკრანცი და გოლდენსტერნი.

3. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ გრძნობას და არისტოტელეს აზრითაც, სწორედ ის ამკობს ახალგაზრდას. თუმცა, ასაკოვნებს, პირიქით, ჩრდილს აყენებს. **რომელ გრძნობას?**

4. ბერეშიტი, შმოტი, ვა-იკრა, ბა-მიტბარ, დვარიმ – ასე ეწოდებათ მათ ორიგინალის ენაზე. **რას ვეძახით ჩვენ ყველას ერთად?**

5. საერთოდ, ასე უწოდებენ ნაწარმოებს, რომელიც დაწერილია დრამატულ სიუჟეტზე და განკუთვნილია სოლისტებისთვის, გუნდისთვის – მუსიკალური თანხლებით ან ორკესტრისთვის. ის ოპერის მრავალ ელემენტს აერთიანებს და მთავარ ადგილს იკავებს მუსიკალურ ჟანრებს შორის. ამ ჟანრის სახელწოდება კი ლათინური სიტყვა „მჭევრმეტყველებიდან" წარმოიქმნა. **დაასახელეთ ეს ჟანრი.**

6. ადოლფ დასლერი – „ადიდასის" დამაარსებელი, თავდაპირველად თავის ძმასთან, რუდოლფთან ერთად მუშაობდა. შემდეგ რუდოლფი გამოეყო და შექმნა საკუთარი, კონკურენტული ფირმა. **დაასახელეთ, რომელი?**

7. იოსაფატმა დააკანონა ეს, როგორც საშუალება მთელი იუდეის გამოსაჯანმრთელებლად. როგორც ლუკას სახარებიდანაა ცნობილი, ფარისეი იმით ამაყობდა, რომ ამას კვირაში ორჯერ აკეთებდა. დაახლოებით 2010 წლის წინ, ამ მეთოდზე, როგორც ყველა ავადმყოფობისგან განკურნების საშუალებაზე, წერდა ფილოსოფოსი ასკლეპიდე. ეს, ისევე, როგორც თანამედროვე გამოცემაში, ბევრ ძველინდურ და ჩინურ ხელნაწერშიც რეკომენდებულია ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის. **რა?**

8. ბიბლიის თანახმად, ადამი არა მარტო კაცობრიობის წინაპარია, არამედ ზოგადად, მისი სიმბოლოც, იმიტომ რომ ბერძნული სიტყვების – Antole, Sysis, Arctos, Mesenbria-ს აბრევიატურაა. **როგორ ითარგმნება ეს სიტყვები?**

9. ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ჰიპოკრატე თავის წიგნში „ეპიდემიები," აღწერდა ავადმყოფობას, სახელწოდებით „კათარზისი", რაც „სამყაროს უწმინდურობისგან განწმენდას" ნიშნავს. მისი მთავარი სიმპტომები იყო: ხველა „ჭუჭყიანი" სითხის გამოყოფით. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ტემპერატურის აწევას, რაც ფილტვების ანთებასთან ერთად, ლეტალურ გამოსავალს იძლეოდა. ამ დაავადების ლათინური დასახელებაა „ინფლუენცა". ჩვენთვის ცნობილი ოფიციალური სახელი კი ფრანგმა ექიმებმა შეარქვეს. **რა?**

10. ჩვენთვის ცნობილია გერმანული სიზუსტე, მაგრამ, მსოფლიოში მხოლოდ გერმანიის ქალაქ შტეინრიხში რეკავს რატუშის საათი ცამეტჯერ, თუმცა, წელიწადში გამორჩეულ ერთ დღეს. **რომელია ეს დღე?**

***პასუხები იხილეთ 69-ე გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* ურუგვაი – 1930 და 1950 წლები; იტალია – 1934, 1938, 1982, 2006; ბრაზილია – 1958, 1962, 1970, 1994, 2002; ინგლისი – 1966; არგენტინა – 1978 და 1986; გერმანია – 1954, 1974, 1990; საფრანგეთი – 1998, ესპანეთი – 2010 – მსოფლიო ჩემპიონები ფეხბურთში.

* სარდაფი, პირამიდა, ცისარტყელა, ჭა, კუდები, მზე, ორი რგოლი, საათი, მამალი კალათაში – ეს პასიანსის სახელებია.

* ყველამ ვიცით გამონათქვამები: „თეთრი ოქრო" – ბამბა, „შავი ოქრო" – ნავთობი, „მწვანე ოქრო" – ჩაი, „მინდვრის დედოფალი" – სიმინდი... მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ „სოციალიზმის ლითონი" ალუმინია.

* ამ ტიპის ლექსის სტრიქონთა პირველი ასოების ზემოდან ქვემოთ წაკითხვით, სიტყვა ან ფრაზა დგება. მას ძველმა ბერძნებმა აკროსტიხი შეარქვეს.

* ანეკდოტი გავრცელდა ლენინის ძეგლის შესახებ, რომელსაც ერთი კეპი თავზე ეხურა, მეორე კი – ხელში ეჭირა. თუმცა, ეს ძეგლი მართლაც იდგა ტიუმენის ოლქის ქალაქ იშიმის ვაგზლისწინა მოედანზე.

* ლონდონში მდებარე მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურათა მუზეუმში ჯორჯ ბუში-უმცროსის ფიგურას მშრალი ნამცხვრის, ეგრეთ წოდებული „პრეთზელის" პაკეტი დააჭირეს... საქმე ისაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ამ ნამცხვრის ჭამისას გონება დაკარგა და დაცემისას სახეზე ნაკვალევიც დააჩნდა.

* კოლჰოტი ჩეხურად შარვალს ნიშნავს.

* ძალიან მარტივი იყო შუა საუკუნეების ჩერნოგორიაში ცოლ-ქმრის გაყრა. ეს პროცესი უბრალო რიტუალით წყდებოდა: მეუღლეები ხელს ჰკიდებდნენ ქამარს და შუაზე ჭრიდნენ.

* რუსეთის იმპერიაში რევოლუციამდე არსებობდა კანონი – ყოველგვარი ფირნიში მიწიდან არანაკლებ სამი არშინის სიმაღლეზე უნდა ყოფილიყო ჩამოკიდებული – გამვლელებს თავი რომ არ მიერტყათ.

* ძველ საფრანგეთში წლის განსაზღვრულ დღეს – 1 აპრილს იწყებოდა თევზ მაკეროს ჭერის სეზონი. სხვათა შორის, ამ თევზის დაჭერა ძალიან ძნელია და მეთევზეებს ხშირად უცრუვდებათ იმედი – ჰგონიათ, რომ თევზი დაიჭირეს, ამოიღებენ ბადეს და ცარიელია, ან მაშინვე სხლტება.

* ადამიანმა ფეხი მთვარეზე პირველად 1969 წლის 21 ივლისს, 6 საათსა და 19 წუთზე დადგა – ნილ არმსტრონგმა დედამიწის თანამგზავრზე პირველი ნაბიჯი გადადგა.

* საკვოიაჟი ფრანგულად „სამგზავრო ტომარას" ნიშნავს.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. მხe6-F5!**
**შეადგინა სერგილ სუხიტაშვილმა**



ჩრდილოეთ პოლუსზე, ყინულზე ზის თეთრი დედა დათვი. მის ირგვლივ დარბის პატარა თეთრი დათვი და ეკითხება:
– დე, ჩვენ მურა დათვი გვყავს ნათესავებში?
– არა, შვილო.




– გრიზლი?
– არა, რას ამბობ...
– კოალები ან პანდა?
– არა-მეთქი, არა!
– აბა, რატომ ვიყინები?

***

ბოშა ქალი მამაკაცს გადაეკიდა:
– მომეცი ხელი და ყველაფერს გეტყვი...
– კარგი, აბა, მითხარი, რამდენია რადიუმის ნახევარდაშლის პერიოდი....

***

– დე, 20 ლარი მომეცი, კინოში წასვლა მინდა.
– რა დროს კინოა, გაკვეთილები იმეცადინე...
– მომეცი და საიდუმლოს გეტყვი, მამას შეეხება...
მისცა დედამ 20 ლარი.
– შენ რომ ბებოსთან იყავი წასული, ჩვენთან ქალი მოვიდა, იმ ოთახში შევიდნენ, კარი მიხურეს და ლაპარაკობდნენ...
– რაზე?
– 50 ლარი მომეცი და გეტყვი.
მისცა. ბიჭმა ჩაიდო ფული ჯიბეში და განაგრძო:
– ქალმა უთხრა, თქვენმა შვილმა სწავლას მოუკლო, ცუდად იქცევა, უზრდელობსო. მამამ უთხრა – დავსჯიო...

***

პარლამენტში დასამტკიცებლად წარადგინეს „არ იქურდო“ და... პარლამენტარებმა მასში 395 შესწორება შეიტანეს.

***

მიხო და მარო ეზოში სხედან. ხედავენ, ძაღლები გადაბმულან და ერთ ამბავში არიან.
– მიხო, ხვადები როგორ იგებენ, რომ ძუს უნდა?
– რავი, აბა, ალბათ, სუნითა...
– ო, შენა, ალბათ, მუდმივი სურდო გაქ...

***

მიხო პარიზიდან რეკავს:
– მარო, მიტუაი გაქურდეს?
– არა, კაცო, საიდან მოიტანე...
– მა მაგის „ჯოკონდასა“ ლუვრში რა უნდა?

***

– რომელი კაბა ჩავიცვა, ეს თუ ეს? – ეკითხება ცოლი ქმარს.
– ორივეს არა უშავს, რომელიც გინდა, – პასუხობს ქმარი გაზეთიდან თვალმოუშორებლად.
– მე არ მინდა, „არა უშავს“ გამოვიყურებოდე, მინდა, რომ იმ წვეულებაზე გადასარევ ფორმაში ვიყო...
– მაშინ, ორივე ჩაიცვი – გადასარევი იქნები...

***

დანტისტი მთელი ძალისხმევით ექაჩება კბილს, მაგრამ, ვერ ამოიღო.
– ამ კბილს მარტო ორთქლმავალი თუ ამოიღებს, – ხელი ჩაიქნია ექიმმა.
რამდენიმე დღის შემდეგ შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს – პაციენტს არც ერთი კბილი აღარ აქვს.
– ო, მიაგენით ღონიერ ექიმს?
– არა, თქვენი რჩევა გავითვალისწინე და მატარებლის ბოლო ვაგონს მივაბი კბილები, თუმცა, არაფერი გამომივიდა – სამი ვაგონი რელსებიდან გადავიდა.
– კი მაგრამ, კბილები ხომ აღარ გაქვს?
– ეს რკინიგზის სადგურის უფროსმა ჩამიმტვრია.

***

არ არსებობს უფრო პარადოქსული ფრაზა, ვიდრე ქალის ნათქვამი: „მე მას შევალიე ჩემი საუკეთესო წლები“. ერთი მხრივ, ქალი დარდობს ამ „უმადურ“ არსებასთან გატარებულ წლებზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ის აღიარებს, რომ მის სიცოცხლეში სწორედ ეს წლები იყო საუკეთესო.




***

ახალგაზრდა ქალი ეზოში ეტლით ასეირნებს ბავშვს. ამ დროს მისი დაქალი მოუახლოვდა.
– გაჭრილი ვაშლივით ჰგავს შენს ქმარს...
ქალი ჩაფიქრდა:
– მესამე სართულის მეზობელმა მთხოვა, ნახევარი საათით ავალ, საქმე მაქვს და ბავშვს დაგიტოვებო...

***

– ჩემო ფისუნია, ყავას მომიდუღებ?
– კი, საყვარელო...
– იქნებ, მისაყოლებელიც გაქვს რამე, ბაჭია?
– ძეხვი მაქვს და ბუტერბროტს გაგიკეთებ, ჩემო დათუჩა...
– მიყვარხარ, ლაბუა...
– მოიცა, შენც არ გახსოვს ჩემი სახელი?!

***

„სასწრაფოდ ვყიდი „ბეემვეს“, 2010 წლის, საუკეთესო მდგომარეობაში... ჩემთვის დავიტოვებდი, მაგრამ, გუშინ ჩემმა ცოლმა მართვის მოწმობა აიღო... მეშვიდე მცდელობაზე...“

***

– რა ენაღვლებათ ქალებს კაცებს მათგან მხოლოდ სექსი უნდათ... კაცი კი რა დღეშია?! თავს იმტვრევს – რა უნდა მისგან ქალს?!

***

გინდა გაიცნო მამაკაცი? – დაათვრე
გინდა გაიცნო ქალი? – გააბრაზე.

***

ქალი რეკავს დიეტოლოგთან:
– ექიმო, თქვენი კონსულტაცია მჭირდება – მგონი, ზედმეტი წონა მაქვს. დღეს მოლაპარაკე სასწორი ვიყიდე და, რომ დავდექი, მითხრა, თითო-თითოდ აიწონეთო...

***

მამა-შვილი ჭიები ნეხვში სხედან.
– მამი, ვაშლში კარგია ცხოვრება?




– კარგია...
– მსხალში?
– მსხალშიც...
– ატამში?
– ატამში სამოთხეა!
– აბა, ამ ნეხვში რას ვაკეთებთ?
– იცი, შვილო, არსებობს ასეთი სიტყვა – სამშობლო...

***

ვიყიდე „ინგლისური ენის კურსი – ძილში“. შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა: რამდენიმე ინგლისური სიტყვის გაგონებისთანავე მომენტალურად მეძინება.

***

ახალგაზრდა ქალი ფირმა მანქანით ავტოსერვისში მივიდა.
– აბა, რა სჭირს თქვენს მანქანას, ლამაზო? – ეკითხება მექანიკოსი.
– არ ვიცი, აბლუყლდება და ჩერდება...
ახადა მექანიკოსმა „კაპოტი“ და იქ წერილია მიკრული:
„მაგან მანქანის მართვა არ იცის... ფულს არ გადაგიხდით. ქმარი“.
– უკაცრავად, ვერაფრით დაგეხმარებით, იქნებ, სხვას აჩვენოთ...
გოგონა გამწარებული:
– რა ხდება? უკვე მეხუთე ავტოსერვისიდან მისტუმრებენ უარით, რა სჭირს ასეთი?!

# ქართველი როკმენების გასტროლები „საშუალო დონის“ რუსულ ქალაქში და ორი ცრუ განგაში

1979 წელს ფილარმონიის ერთ პრესტიჟულ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლთან ერთად გასტროლებზე გავემგზავრე ურალში. იმ დღეს (უფრო სწორად – საღამოს) ერთ საშუალო დონის ქალაქში გვაქვს კონცერტი დაგეგმილი.

„საშუალო დონე“ იმიტომ ვახსენე, რომ ნაკლები ვერ ვაკადრე. ახალგაზრდა ბიჭებს ტვიდის კოსტიუმებზე „ზნაჩოკები“ რომ აქვთ მიკრული („ვტაროი რაზრიად“); ხნიერ კაცებს ყოველდღიურად სახმარ კოსტიუმებზე მეორე მსოფლიო ომიდან მონაყოლი მედლები („ზა ოტვაგუ“) რომ აქვთ ჩამოკიდებული; ქალები ფერად-ფერადი „კოლგოტკებით“ რომ დაპინტრიშობენ და „გრუზავიკები“, შოფრის კარზე (გარედან) თუნუქიდან გამოჭრილი სტალინის გამოსახულება რომ აქვთ აკრული, ე, ისეთი ქალაქია.

ქალაქი გაგაცანით.

ახლა – ჩვენი ანსამბლი:

თავმომწონე როკმენები, მოშვებული, გრძელი თმითა და ყბებამდე ჩამოგრძელებული ბაკენბარდებით. ტექნიკის უახლესი ეფექტები: „ბლიც-ეფექტი“, „ნისლი“ სცენაზე და გაძლიერებული ჟღარუნი...

500-კაციანი დარბაზი კონცერტის დაწყებამდე ერთი საათით ადრე უკვე გადატენილი იყო.

და, აჰა, დავიწყეთ.

რუსების სხვა თქვი, თორემ, ქართული შემოქმედება გულით უყვართ. თავიდან საფირმო და ტრადიციული „სულიკო“ ვაჯახეთ. გაგიჟდნენ, გადაირივნენ და სამჯერ გაგვამეორებინეს – ბიიისსს!!!

მერე და მერე (პატიოსნად მივყვებით პროგრამას) ერთ-ერთი მომდევნო ნომრის შესრულებისას ბლიც-ეფექტი ჩაირთო. ამ დროს სცენაზე




ციმციმა მუშაობს (ინთება-ქვრება).

ამ ამბავში ვართ და, დარბაზი თითქოს შეიშმუშნა. კულისებში ჩოჩქოლი ატყდა. „ზაკროიტე ზანავეს!“ – მოგვესმა როყიო ბრძანება და შეწყდა ჟღარუნი. ფარდა დაიხურა.

სცენაზე ოთხი „კასკიანი“ და რეზინისხელთათმანიანი ელექტრიკოსი შემოვარდა ოპერატიულად. გაოცება არ გვაცალეს.

– რებიატა, გდე ზამეკანიე?!

თურმე, ფრიად ოპერატიულ ადმინისტრატორს დაურეკავს თელასში: რაღაც „ჩეპეა“, შუქი გლახაობს, არ დავიბუგოთ ამ სიკეთის დროსო და ისინიც მოცვივდნენ.

ძლივს დავაწყნარეთ, ავუხსენით და გავისტუმრეთ. ბევრი იცინეს...

ისევ გაიხსნა ფარდა და დიდი „პარდონის“ შემდეგ გაგრძელდა კონცერტი. სამი ნომერი რომ რჩებოდა კონცერტის დამთავრებამდე, ერთი სევდიანი სიმღერის შესრულებისას, „ნისლის ეფექტი“ ჩაირთო: ნელ-ნელა დაიძრა ნისლი და დაწვა სცენაზე... მერე მოიმატა და მოიმატა. ამჯერად მაყურებელი ყველაფერს გაგებით შეხვდა. ეგ კი არა, ბიის! – ატყდა შეძახილები. ძალიან მოეწონათ. რომ არ მოგვეშვნენ, თავიდან დავიწყეთ ის ნომერი. შუამდე არ ვართ მისული და, უცებ, ზემოდან წყლის წვეთები წამოვიდა. ავიხედე მაღლა – ჭერია ჩვეულებრივი, დაუზიანებელი. არაფრით არ შეიძლება, რომ წვიმა ჩამოვიდეს, არადა, წყალმა აშკარად იმატა ზემოდან.

საზღვარი ყველაფერს აქვს და გალუმპულები გავცვივდით კულისებში. მერე გარეთ გავიხედეთ და რას ვხედავთ:

გარეთ ოთხი სახანძრო მანქანა დგას და ოთხი სქელი შლანგით შენობას გარედან შხუილით „რწყავენ.“

თურმე, იქვე მცხოვრებ მეზობელს დაურეკავს „პაჟარკამანდაში“ – საკონცერტო დარბაზიდან ბოლი გამოდის, გადაგვწვავენო...

ბოლოს ყველაფერი გაირკვა და მაშინაც ბევრი იცინეს „პაჟარნიკებმა“, მაგრამ, ჩვენ ჩვენი დაგვემართა.

ახლა სხვა დროა, რუსეთს ასეთები აღარ უკვირს.

ეჰ, ნეტავი იმ დროს! დღევანდელზე პატარა ვიყავი მაშინ...

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# გაქართველებული ხუნხუა და „გაუთხოვრად დარჩენილი“ ლუსი

გამარჯობა, დედა!

როგორ ხართ? ძალიან მომენატრეთ, როგორც აქაურები იტყვიან, ერთი ეს ახალი წლები გადავაგოროო და იქნებ ჩამოვიდე, კიდევ ცოტა ხნით.

რომ მეგონა, აქ ახალი წელი პირველ იანვარს არის-მეთქი, სულ ტყუილი ყოფილა. პირველი იანვრიდან 15 იანვრამდე ზეიმობენ საქართველოში ახალ წელს, ამ თხუთმეტ დღეში კი კიდევ რამდენიმე დღესასწაულია. ამ წერილში ერთ-ერთის შესახებ მოგიყვები.

ბედობას საქართველოში 2 იანვარს აღნიშნავენ და უქმე დღეა. კაციშვილმა არ იცის, რატომ. არსებობს აქ ცრურწმენა, რომ, რასაც 2 იანვარს გააკეთებ, როგორც მოიქცევი, მთელი წელი ის დაგებედება. ამიტომ, ამ დღეს აქ გადაბმულად და შეუსვენებლად სვამენ, თუმცა, ნეტავ დაბედება რად უნდათ, აქ ისედაც მთელი წელი სვამს ყველა.

დილას ჩვენი დიასახლისი შემოვიდა, თაფლში არეული ნიგოზი შემოიტანა და ყველას თითო ლუკმა ჩაგვიდო პირში. თავიდან სანგი არ ჭამდა, რადგან ნიგოზზე ცუდად ხდება, მაგრამ დიასახლისმა ძალით გააღებინა პირი და შეაჭამა – არ შეიძლება, რომ არ შეჭამო, სიტკბო აღარ დაგებედებაო. სიტკბოს დაბედება რა არის, ვერ მივხვდი. იქნებ, საერთოდ არ მიყვარს ტკბილი და რატომ უნდა დამებედოს?! ამის შემდეგ, ყველას, ვისაც რამდენი გვქონდა ქაღალდის ფული, ამოგვაღებინა და ოთახში იატაკზე გაგვაფანტვინა – ბარაქა დაგებედებათო. მერე ძლივს გავინაწილეთ – აღარ გვახსოვდა, ვისი რამდენი იყო. სიტყვა „ბარაქა“ რას ნიშნავს, ვერ აგიხსნი, ვერც ქართველები აგიხსნიან მაინცდამაინც გასაგებად. მე როგორც მივხვდი, ღარიბებისთვისაა მოგონილი ეს, თორემ, მდიდრები აქ არც ხმარობენ ამ სიტყვას.

ამ დღეს დიასახლისმა თავისი აბაზანით სარ-




გებლობის უფლება მოგვცა და კართან გვდარაჯობდა, სანამ ყველამ სათითაოდ არ ვიბანავეთ. ერთი-ორი კი გაძალიანდა, მაგრამ, მაინც ყველას დაგვაბანინა – იქნებ დაგებედოთ, თქვე ძუნძგლიანებოო. ეს ბოლო სიტყვა რას ნიშნავს, არ ვიცი, იმედია, ცუდი არაფერია.

შუადღისას ჩემი მეგობარი კობა შემოვიდა, რა თქმა უნდა, უგონო მთვრალი და ჭიდაობა დამიწყო – ბიჭებთან უნდა წაგიყვანოო, მაგრამ, მთვრალ კობასთან ერთად სიარული არ შეიძლება და უარი ვუთხარი.

რადგან არ წავყევი, ახლავე მოვალო, – გარეთ გავარდა და თხუთმეტ წუთში არყისა და ლუდის ბოთლებით დაბრუნდა, მაგიდაზე დაალაგა და გამოაცხადა, ვინც არ დალევს, ყელს გამოვჭრი ღორივითო. აქ ჩვენ ნანახი გვაქვს, როგორ კლავენ ღორებს, ძალიან შეგვეშინდა, ამიტომ, დავლიეთ და ყველა ძალიან დავთვერით. კობამ ჩემი ჩაის ჭიქა არყით გაავსო, სიყვარულის სადღეგრძელო დალია და გამოაცხადა: ლუსი ძალიან მიყვარს და ცოლად უნდა მოვიყვანო, მასაჟი სცოდნია მაგარიო. მე ვუთხარი, მთვრალი ხარ, ლუსის მესამედ ხედავ, ცოლად როგორ უნდა მოიყვანო-მეთქი და გაგიჟდა: თქვენი დასაწუნი რა მაქვს, თქვენი ასე და ისეო, მერე ბოთლები კედელს მიაფშვნა და გარეთ გავარდა. არ მწყენია, დედა, ქართველებმა ეგრე იციან სიმთვრალეში, მაგრამ, როცა გამოფხიზლდებიან, თავისი საქციელის ძალიან რცხვენიათ. ეს ხუნხუაც სულ მთლად გაქართველდა – დათვრა და თავისი ქართველი გოგო გაახსენდა – მარიამთან უნდა წავიდეო. მე ვუთხარი, მარიამის ძმა არ იყო, მაგრად რომ დაგჟეჟა, სადღა მიდიხარ-მეთქი, მაგრამ, არ დაიშალა – უნდა დავიბედოო და ისიც გარეთ გავარდა. მე სახლში დავრჩი, იმიტომ, რომ ყველა ცუდად გახდა და ხომ უნდა მიმეხედა. ლუსიც მთვრალი იყო და ბოდავდა – რას გამიქციეთ ის კაცი, იქნებ მართლა მოვყავდი ცოლად, პასპორტსაც ავიღებდი და, თან, ერთ კაცს მაინც გავუკეთებდი ხოლმე მასაჟსო. ახლა კი უნდა გავიდე, დედა, აფთიაქში, სპირტი და ბამბა უნდა ვიყიდო, თორემ, სადაცაა ხუნხუა დაბრუნდება და, ალბათ, დასჭირდება. კიდევ მალე მოგწერ, დედა... მომიკითხე ყველა.

გკოცნით

**თქვენი ტობი ვონგი**



ISSN 1987-569X
9 771987 569002